ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲝᲫᲦᲕᲐᲠᲡ

წმ. ᲜᲘᲙᲝᲓᲘᲛᲝᲡ ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲓᲔᲚᲘ

ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ
„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲘᲕᲔᲠᲝᲜᲘ“

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

2014

საეკლესიო ბიბლიოთეკა

XVIII

წმ. ნიკოდიმოს მთაწმიდელი

უხილავი ბრძოლა

ბერძნულიდან თარგმნა
ეკა დუღაშვილმა

წმ. ნიკოდიმოს მთაწმიდელის თხზულების „უხილავი ბრძოლა" ქართული თარგმანი შესრულებულია თარგმანის თეორიის მთავარი პრინციპების გათვალისწინებით: ძეგლი თარგმნილია ორიგინალის ენიდან, ამასთანავე, ეფუძნება სარწმუნო დედანს, ანუ კრიტიკულად დადგენილ და გამოცემულ ტექსტს:
Ο Αόρατος πόλεμος, εκδοσις Συνοδίας Σπυρίδωνος Ιερομονάχου. Νέα Σκήτη. Ἅγιον Ὄρος, 2005.
ჩვენთან გავრცელებული წინამდებარე ძეგლის რუსული თარგმანი დედნისაგან ძალიან განსხვავებულია. ის უფრო თავისუფალი გადმოტანაა წმინდა ნიკოდიმოს მთაწმიდელის თხზულების შინაარსისა, რადგანაც ასეთი თარგმანის სტილი ახასიათებდა მის მთარგმნელს - წმ. თეოფანე დაყუდებულს.

რედაქტორი: **გიორგი წულაძე**

რეცენზენტ-კონსულტანტი: ღვთისმეტყველების დოქტორი,
დეკანოზი **მაქსიმე ჭანტურია**

წიგნის მთლიანი ან ნაწილობრივი გადაბეჭდვა და რაიმე სახით კვლავ გამოცემა გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია

© "ახალი ივერონი"

ISBN 987-9940-900-0-18

წმიდა ნიკოდიმოს მთაწმიდელი

(1748-1809)

წმიდა ნიკოდიმოს მთაწმიდელი (ერისკაცობაში - ნიკოლოზი) 1748 წელს დაიბადა საბერძნეთის კუნძულ ნაქსოსზე; ოცდაექვსი წლის იყო, როცა ათონის მთას მიაშურა და იქ, წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის (დიონისეს) მონასტერში ბერად აღიკვეცა ნიკოდიმოსის სახელით.

თავდაპირველად ნიკოდიმოსი მკითხველისა და საქმის მწარმოებლის მორჩილებას აღასრულებდა. სავანეში მისი მოსვლიდან ორი წლის შემდეგ ათონს კორინთელი მიტროპოლიტი მაკარი ეწვია. მან ახალგაზრდა ბერს დაავალა, გამოსაცემად მოემზადებინა „სათნოებათმოყვარეობის" ხელნაწერები, რომლებიც 1777 წელს ვატოპედის მონასტერში აღმოაჩინა. ამ წიგნზე მუშაობით დაედო საფუძველი ნიკოდიმოს მთაწმიდელის ხანგრძლივ ლიტერატურულ მოღვაწეობას. წმიდა ნიკოდიმოსი პანტოკრატორის სკიტში გადავიდა, გამოცდილ მოძღვარ არსენი პელოპონესელთან, რომლის ხელმძღვანელობითაც გულდასმით სწავლობდა საღვთო წერილსა და წმიდა მამათა ნაწერებს. 1783 წელს ნიკოდიმოსმა სქემა შეიმოსა და სრულ მდუმარებას მიეცა. როცა ათონზე კვლავ ჩავიდა მაკარი კორინთელი, მან მოშურნე ბერს ახალი მორჩილების საქმე დაუწესა - ღირსი სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის თხზულებათა რედაქტირება. ნიკოდიმოსმა დაუტევა მდუმარების ღვაწლი, კვლავ ლიტერატურულ სამუშაოს მიჰყო ხელი და, აქედან მოყოლებული, სიკვდილამდე გულმოდგინედ იღვწოდა ამ სარბიელზე.

აღსასრულამდე ცოტა ხნით ადრე ნიკოდიმოსი საცხოვრებლად გადავიდა ხატმწერ მღვდელ-მონაზვნებთან, სტეფანე და ნეოფიტე სკურტეებთან. წმიდანმა ბერებს სთხოვა, ეზრუნათ მისი ნაშრომების გამოცემაზე, რასაც თავად, სნეულებათაგან დაუძლურებული, უკვე ვერ ახერხებდა. აქ, სკურტეებთან, ნეტარმა მამამ 1809 წლის 1 ივლისს მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს.

თანამედროვეების მოწმობით, ღირსი ნიკოდიმოსი უბრალო, მშვიდი, უანგარო და საოცრად მობილიზებული იყო. მას საკვირველი მეხსიერება ჰქონდა: ზეპირად იცოდა მთელი საღვთო წერილი და მრავალი ადგილი წმიდა მამათა ნაწერებიდან.

მრავალფეროვანია წმიდა ნიკოდიმოსის ნაშრომები: მისი ასკეტური შეგონებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნი „უხილავი ბრძოლა"; მას ეკუთვნის აგრეთვე „სწავლება აღსარების შესახებ", „სათნოებათმოყვარეობის" შესავალი, წმიდა მოსაგრეთა მოკლე ცხოვრებანი, შვიდი კათოლიკე ეპისტოლის განმარტება... ღირსმა მამამ შეადგინა „წმინდანთა ცხოვრებების ახალი რჩეული" და „ახალი სვინაქსარი" სამ ტომად; გამოსაცემად მოამზადა „პიდალიონის" - ბერძნული „სჯულისკანონის" ახალი რედაქცია, რომელიც შეიცავს მოციქულების, მსოფლიო და ადგილობრივი კრებებისა და წმიდა მამების მიერ დადგენილ წესებს.

პ რ ო ლ ო გ ი

წინამდებარე სულისმარგებელ წიგნს სამართლიანად ეწოდება „უხილავი ბრძოლა“. ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, ყველას თავისი შინაარსის შესაბამისი სახელწოდება აქვს (მაგ. დაბადებას მოსეს წიგნი ჰქვია, იგი მოგვითხრობს სამყაროს შექმნაზე, გამოსვლათა – ისრაელის ერის ეგვიპტიდან გამოსვლას გადმოგვცემს, ლევიანთა წიგნი ლევიანთა ტომის წმინდა საქმეებს ეხება, მეფეთა – მეფეთა ცხოვრებას და საქმეებს. ოთხი სახარება – სახარებად იწოდება, რადგან შეიცავს ადამიანთა მაცხოვნებელ უწყებას).

წიგნი „უხილავი ბრძოლა“ მოგვითხრობს არა ხილულ ბრძოლაზე და ხორციელ მტრებზე, არამედ გონებაში მიმდინარე უხილავ ბრძოლაზე. ამ ბრძოლაში ყველა ქრისტიანი ნათლობის წუთიდან ერთვება, მას შემდეგ, რაც პირობა მისცა უფალს, რომ იბრძოლებს მისი სახელის მადლისთვის სიკვდილამდე. სწორედ ამიტომ ეს წიგნიც ალეგორიულად დაიწერა და ეწოდება „საუფლო ბრძოლა“ (რიცხვ. 21. 14). წიგნი უსხეულო და უხილავ მტრებზე მოგვითხრობს. ეს მტრები სხვადასხვა ვნებებია, ხორციელი სურვილები და ცბიერი დემონები, რომელთაც სძულთ ადამიანები და დღედაღამ გვებრძვიან, როგორც ამბობს პავლე მოციქული: **„რამეთუ არა არს ბრძოლა ჩუენი სისხლთა მიმართ და ჴორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ჴელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა მის ამის საწუთროჲსა, სულთა მიმართ უკუეთურებისა და, რომელნი არიან ცასა ქუეშე**“ (ეფეს. 6,12).

ამ ბრძოლაში მეომარი თითოეული ქრისტიანია. მათი მთავარსარდალი თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტეა, მას გარს ერტყმიან ათასისთავნი და ასისთავნი, ანგელოზთა და წმინდანთა დასნი. ბრძოლის ველი ჩვენი გულია, მთელი შინაგანი სამყაროა, ბრძოლა მთელი სიცოცხლე გრძელდება.

რომელი იარაღით იბრძვიან ამ ომში? მოისმინეთ! მეომართა მუზარადი საკუთარი თავისადმი სრული ურწმუნოებაა. დროშა და რკინის მოსასხამი ღვთის მიმართ სიმტკიცე და სასოება. აბჯარი უფლის ვნებების შემეცნებაა. ფეხსაცმელები სიმდაბლე და საკუთარი სნეულებების შეცნობა. ფარი განსაცდელში მოთმინებაა და გულგრილობისგან განრიდება. მეომარს ცალ ხელში ხანჯალი უნდა ეპყრას – ეს გონებითი და სიტყვითი ლოცვაა, ცოდნით განპირობებული, მეორე ხელში სამკაპა შუბი იმისთვის, რომ არ დაემორჩილოს ვნების შემოტევას, განაგდოს რისხვით და შეიძულოს იგი. მათი საზრდელი, რითაც ძალას იკრებენ მტრის წინააღმდეგ, ხშირი საღმრთო ზიარებაა, როგორც საკურთხეველში აღსრულებული მისტაგოგიის დროს, აგრეთვე გონებითი. ნათელი და უღრუბლო ჰაერი, საიდანაც შორიდან არჩევენ მტრებს – არის გონების წვრთნა და ნების ასკეზა იმისთვის, რომ ადამიანი იყოს ღვთისათვის სათნო, გულში კი მშვიდობა და სიმშვიდე სუფევდეს. აქ, ამ უხილავ ბრძოლაში, უფრო სწორად, საუფლო ბრძოლაში, ქრისტეს მხედრები ეცნობიან მრავალნაირ ცდუნებას, ცბიერების ხელოვნებას, რასაც მათ წინააღმდეგ მიმართავენ გონიერი მტრები წარმოსახვებით, სარწმუნოების დამცრობით და ოთხი ვნების შემოტევით: ურწმუნოებით, სასოწარკვეთილებით, ცუდადმზვაობრობით და ამ ყოველივეს ნათელ ანგელოზებად გადაქცევით! ქრისტეს მხედრები სწავლობენ და ეძებენ, როგორ შეებრძოლონ მტრების დაგებულ ხაფანგებს! ეს წიგნი გვასწავლის, რომელი კანონი უნდა დაიცვან მამაცურად ბრძოლაში! მოკლედ რომ ვთქვათ, ამ წიგნიდან ისწავლის ადამიანი, რომელსაც ცხონება უნდა, უხილავ მტერთან ბრძოლაში გამარჯვებას და იმასაც, თუ როგორ უნდა მოიპოვოს ღვთიური და ჭეშმარიტი სათნოებები და როგორ უნდა მიიღოს უჭკნობი გვირგვინი, რაც არის ღმერთთან ერთობა ამ საუკუნეშიც და მომავალშიც.

ამრიგად, მიიღეთ ეს წიგნი, ქრისტეს მოყვარულო მკითხველნო, სიხარულით და კეთილგონიერებით და ისწავლეთ უხილავი ბრძოლის ხელოვნება! იზრუნეთ იმაზე, რომ იბრძოლოთ არა უბრალოდ, არამედ წესისაებრ, რათა გვირგვინი მოიხვეჭოთ, მოციქულის

სიტყვების თანახმად: „**და უკუეთუ ვინმე იღუწიდესცა, არა გჳრგჳნოსან იქმნების, არა თუ სჯულიერად იღუაწოს**“ (2 ტიმ. 2.5).

აღიჭურვეთ იმ იარაღით, რასაც გასწავლით, უხილავი და გონებითი მტრების დასამარცხებლად. ეს მტრები ვნებებია, სულს რომ გირყვნით და დემონები ვნებათა დამბადებელნი: „**შეიმოსეთ ყოვლადსაჭურველი იგი ღმრთისაჲ, რაჲთა შეუძლოთ თქუენ წინა-დადგომად მანქანებათა მათ ეშმაკისათა**“ (ეფ. 6.11).

გახსოვდეთ ნათლობისას დადებული პირობა, რომ უარყოფთ სატანას და შეებრძოლებით მის ყველა საქმეს, ცოდვას, რაც არის სიამოვნებისმოყვარეობა, დიდებისმოყვარეობა, ვერცხლისმოყვარეობა და სხვა ვნებები. ამიტომაც იბრძოლეთ შეძლებისდაგვარად, რომ ვნება შეცვალოთ, არცხვინოთ და დაამარცხოთ სრულყოფილებით.

და რა არის საზღაური, რასაც ამ გამარჯვებაში სანაცვლოდ მიიღებთ? საზღაური ბევრია და დიდებული! მოუსმინეთ, რას ამბობს უფალი!

„რომელმან სძლოს, მივსცე მას ჭამად ძელისა მისგან ცხორებისა, რომელი არს შორის სამოთხესა ღმრთისა ჩემისასა“ (გამოცხ. 2.7).

„რომელმან სძლოს, არა ევნოს მას სიკუდილისა მისგან მეორისა“ (გამოცხ. 2. 11).

„რომელმან სძლოს, მივსცე მას მანანაჲს მისგან დაფარულისა“ (გამოცხ. 2,17).

რომელმან სძლოს … მივსცე ჴელმწიფება … ვითარცა მე მოვიღე მამისაგან და მივსცე მას ვარსკულავი იგი განთიადისა“ (გამოცხ. 2. 26-28).

„რომელმან სძლოს, ესრეთ შეიმოსოს სამოსელი სპეტაკი და არა აღვჴოცო სახელი მისი წიგნისაგან ცხოველთაჲსა და აღვიარო სახელი მისი წინაშე მამისა ჩემისა და წინაშე ანგელოზთა მისთა“ (გამოცხ. 35).

„რომელმან სძლოს, ვყო იგი სუეტად ტაძარსა შინა ღმრთისა ჩემისასა“ (გამოცხ. 3,12).

„რომელმან სძლოს, მივსცე მას დაჯდომაჲ ჩემ თანა საყდარსა ჩემსა“ (გამოცხ. 3.21)

„რომელმან სძლოს, მივსცე მას ესე ყოველი და ვიყო მისა ღმერთ და იგი იყოს ჩემდა ძე“ (გამოცხ. 21.7).

ხედავთ ღირსებებს? ხედავთ საზღაურს? ხედავთ ამ გვირგვინს, რომელიც უჭკნობი ყვავილებით სავსეა? ამ გვირგვინით შეიმკობით ძმანო, თუ დაამარცხებთ სატანას! ამიტომ გამხნევდით, იბრძოლეთ **„რაჲთა არავინ მიგიღოს გჳრგჳნი შენი“** (გამოცხ. 3.11) სირცხვილია, რადგან სხეულებრივ შეჯიბრებებში, ხუთჭიდში მონაწილეებს ყველა ამხნევებს გამარჯვებისთვის, ფინიკის ან დაფნის ჭკნობადი გვირგვინის მოსაპოვებლად! თქვენ კი, ვისაც შეგიძლიათ უჭკნობი გვირგვინი მიიღოთ, ცხოვრება სიზარმაცით და გულგრილობით უნდა გაატაროთ?! ერწმუნეთ პავლე მოციქულს: „**არა უწყითა, რამეთუ რომელნი-იგი ასპარეზსა მას შინა რბიედ, ყოველნივე რბიედ, ხოლო ერთმან მიიღის ნიჭი? ესრეთ რბიოდეთ, რაჲთა ეწინეთ, ხოლო ყოველივე იგი მოღუაწე ყოველსავე მოითმენენ, იგინი უკუე სამე რაჲთა განხრწნადი გჳრგჳნი მოიღონ, ხოლო ჩუენ უხრწნელი**“ (1 კორინთ. 9, 24-25).

ძმანო, ვინც გაიმარჯვებთ და მიიღებთ უჭკნობი გვირგვინის ბრწყინვალებას, ევედრეთ უფალს, რათა შეუნდოს იმას, ვინც თქვენი შემწე იყო და გამოსცა ეს წიგნი.

უპირველეს ყოვლისა, აღაპყრეთ თვალები ზეცისკენ და მადლობა შესწირეთ და განადიდეთ ამ გამარჯვების პირველმიზეზი და შემოქმედი უფალი და მთავარსარდალი თქვენი იესო ქრისტე და გაიმეორეთ ზორობაბელის სიტყვები:

„შენდა, უფალო, დიდებაჲ, ძალი და სიქადული, ძლიერებაჲ და სიმტკიცე, რამეთუ შენ უფლებ ყოველთა ზეცისათა და ქუეყანისათა, და პირისა შენისაგან ძრწიან ყოველნი მეფენი ქუეყანისანი და თესლები“ (1 ნეშტთა 29,11).

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

თავი პირველი

რა არის ქრისტიანული სრულყოფილება. მის მისაღწევად საჭიროა ბრძოლა. ოთხი აუცილებელი პირობა ამ ბრძოლისათვის

ყველაზე დიდი და სრულყოფილი მიღწევა, რაზეც ადამიანს შეუძლია იფიქროს, არის უფალთან მიახლება და მასთან შეერთება. ქრისტესმიერ საყვარელო მკითხველო, თუ გსურს, რომ ამ მწვერვალს მიაღწიო, თავდაპირველად უნდა გაიგო რა არის სულიერი ცხოვრება და ქრისტიანული სრულყოფილება[1].

მრავალნი ამბობენ, რომ ცხოვრება და სრულყოფილება მარხვას, მღვიძარებას, მუხლდრეკას, მიწაზე წოლას და სხვა მსგავს სხეულებრივ ღვაწლს ნიშნავს. სხვები თვლიან, რომ ქრისტიანული ცხოვრება ლოცვაა და ეკლესიაში ხანგრძლივ მსახურებაზე დასწრება. არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთა აზრით სრულყოფილება გონებითი ლოცვაა, განმარტოება,მდუმარე განდეგილობა. სულიერი კანონის მორჩილებაა, არც გადამეტება და არც ნაკლებობა. ჩამოთვლილი სათნოებები დამოუკიდებლად არ არსებობენ. მათი საშუალებით უნდა მოვიპოვოთ სული წმიდის მადლი, ანუ ისინია სული წმიდის ნაყოფი. უეჭველია, რომ ეს სათნოებები სული წმიდის მადლის მოსაპოვებლად

[1] ქრისტიანთა სრულყოფილება ახალი აღთქმისეული მცნებაა, უფალი ამბობს: „იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამაჲ თქუენი ზეცათაჲ სრულ არს (მათ. 5. 48). პავლე მოციქული ამბობს: „ნუ ყრმა იქნებით გონებით, არამედ ბოროტისათჳს ყრმა იყვენით, ხოლო გონებათა სრულ იყვენით“ (1 კორ. 14,20) და კიდევ: „მტკიცედ სდგეთ სრულნი და აღვსებულნი ყოვლითა ნებითა ღმრთისაჲთა“ (კოლ. 4.12); „სისრულისა მიმართ მოვიდეთ“ (ებრ. 6.1).; „წინასწარმეტყველი აღუდგინო მათ ძმათაგანვე თჳსთა, ვითარცა - ეგე შენ, და მივსცნე მე სიტყუანი ესე ჩემნი პირსა მისსა და ეტყოდის მათ ყოველთავე მცნებათა მათ ჩემთა“ (მეორე სჯული 18.18.)

უძლიერესი საშუალებებია. ვხედავთ ბევრ სათნო ადამიანს, ვინც დასახელებულ სათნოებათა გზით ძლიერდება სამი მთავარი მტრის: ხორცის, ამა სოფლისა და ეშმაკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ სათნოებათაგან იღებენ სულიერ შემწეობას. ეს დახმარება კი სჭირდება ღვთის ყველა მონას და განსაკუთრებით დამწყებთ. სული წმიდის მადლის ღირსნი რომ გახდნენ, „და განისვენოს მის ზედა სულმან ღმრთისამან, სულმან სიბრძნისა და გულისხმის-ყოფისა, სულმან განზრახვისა ძლიერებისა, სულმან მეცნიერებისა და ღმრთისმსახურებისა“ (ესაია 11,2).

არც ისაა საეჭვო, რომ ჩამოთვლილი საქმეები სული წმიდის ნაყოფია და მათი შედეგებია: სიყუარული, სიხარული, სარწმუნოება, მოთმინება (გალ. 5. 22). სულიერი ადამიანები სხეულს წვრთნიან მკაცრი ღვაწლით მუდმივი თავმდაბლობისა და მორჩილებისათვის ღვთის წინაშე, მდუმარებენ და განმარტოვდებიან, რომ აარიდონ თავი უფლისადმი უმცირეს კადნიერებასაც. ლოცულობენ და უფლის თაყვანსაცემად აღასრულებენ სარწმუნოებრივ საქმეებს, რათა ზეციური სასუფეველი დაიმკვიდრონ. სწავლობენ მაცხოვრის ცხოვრებას და მის ვნებებს საკუთარი ცოდვილიანობის უკეთესად შესაცნობად და უფლის მოწყალებისა და სახიერების დასანახად იესო ქრისტეს მიმდევარნი ხდებიან თვითუარყოფით და მხრებზე ტვირთული ჯვრით, რომ იგრძნონ ღვთის სიყვარულის სიმხურვალე და საკუთარი თავის სიძულვილი.

სხვა მხრივ, სათნომყოფელებმა, რომლებიც სათნოებებში ხედავენ თავიანთი ცხოვრების აზრს და მიზანს, შეიძლება ზიანი მიაყენონ საკუთარ თავს. ამაში დამნაშავენი სათნოებები არ იქნებიან (რადგან ისინი თავისთავად წმინდანი არიან). ზიანის მიზეზი სათნოებათა არასწორი გამოყენებაა. სათნომყოფელნი ყურადღებას აქცევენ სათნოებათა აღსრულების გარეგნულ მხარეს, მათი გული კი საკუთარი სურვილებისა და ეშმაკის სურვილებისკენ არის მიდრეკილი. ეშმაკი ხედავს, რომ გულმა სწორ გზას გადაუხვია და სიხარულით უწყობს ხელს სხეულებრივი ღვაწლის აღსრულებაში ამაო აზრითა და სასუფევლის დიდებულების მცდარად ხილვით. ამგვარად ჰგონიათ ად-

ამიანებს, რომ ამაღლდნენ ანგელოზთა დასამდე და თითქოს უფალი დამკვიდრდა მათში! და ზოგჯერ ფიქრებსა და აზრებში ჩაღრმავებულნი მიიჩნევენ, რომ მიატოვეს ეს ქვეყანა და მესამე ცამდე არიან აღტაცებულნი.

რამდენ ცდუნებაში იხლართებიან ადამიანები და რა შორს არიან ჭეშმარიტი სრულყოფილებისაგან. ამას თითოეული მათგანის ცხოვრებასა და ზნეობაში ვხედავთ! მათ სურთ სხვებზე აღმატებულნი იყვნენ ყველაფერში. თვითნებურნი და საკუთარი ნების მტკიცედ აღმასრულებელნი საკუთარ თავს ბრმად უყურებენ, სამაგიეროდ ბეჯითად და ყურადღებით განსჯიან სხვების სიტყვებს და საქმეებს. თუკი ვინმე შეეხება მათ პირადად, ან ხელს შეუშლის სათნო მოღვაწეობაში, განსაკუთრებით სხვათა თანდასწრებით (ღმერთმა დაიფაროს!) ასეთი ადამიანები შფოთავენ, მრისხანებენ და შეშლილებს ემსგავსებიან.

უფალს თუ ნებავს მათი მოქცევა და სრულყოფილების ჭეშმარიტ გზაზე დაყენება, მოუვლენს მწუხარებას, სნეულებას, დევნას (ამ განსაცდელებს იღებენ ნამდვილი მონები უფლისა). მათი წყალობით ვლინდება მათ გულში დაფარული ყველაფერი, რაც ამპარტავნებით არის შებილწული! რა მწუხარებაც არ უნდა შეხვდეთ, მაინც არ ემორჩილებიან ღვთის ნებას, არ სურთ განისვენონ უფლის სამართლიან სამსჯავროზე, არ სურთ მაცხოვრის, იესო ქრისტეს მსგავსად დაიმდაბლონ თავი ყველა ქმნილებაზე მეტად, საყვარელ მეგობრებად თვლიდნენ მდევნელთ და მათ მიიჩნევდნენ ცხონებაში დამხმარედ.

ამგვარად, ცხადია, რომ დიდ განსაცდელში იმყოფებიან. ასეთ ადამიანებს სულიერი თვალი, უფრო სწორად, გონება დაბნელებული აქვთ. ასეთი თვალით ხედავენ საკუთარ თავს. მიიჩნევენ, რომ მათი გარეგნული ქმედება კარგია და ჰგონიათ, რომ სრულყოფილებას მიაღწიეს. გაამაყებულნი სხვებს განიკითხავენ. ასეთ შემთხვევაში ადამიანს ვერავინ უშველის, გარდა უფლისა. რადგან უფრო ადვილად შეიცვლება გაცხადებული ცოდვილი, ვიდრე ფარული და ყალბი სათნოებების საფარველში შეფარული ადამიანი.

ახლა, როცა გაიგე კარგად, რომ სულიერი ცხოვრება და სრულყოფილება არ გამოიხატება იმ სათნოებებით, რაზეც ვისაუბრებთ, შეიმეცნე ისიც, რომ სრულყოფილება უფლის სათნოებისა[2] და დიდებულების, ჩვენი უძლურებისა და ბოროტისკენ მიდრეკილების შეცნობას ნიშნავს. ღმერთის სიყვარული და საკუთარი თავის სიძულვილი არა მარტო უფლის, არამედ ყველა ქმნილებისადმი მორჩილებაა ღვთის სიყვარულის გამო, საკუთარი სურვილებისაგან განთავისუფლება და ღმერთის ნების აბსოლუტური მორჩილება.

უნდა გვინდოდეს ყოველივე ამის კეთება მხოლოდ და მხოლოდ უფლის სადიდებლად[3], რადგან ასეთია ნება ღვთისა და უნდა გვიყვარდეს იგი და ვმორჩილებდეთ მას. ეს არის სიყვარულის კანონი, რაც თავად უფლის ხელით დაიწერა მორწმუნეთა გულებში! ეს თვითუარყოფაა, რასაც ითხოვს ჩვენგან უფალი. ეს არის იესოს „ტკბილი უღელი და ტვირთი მსუბუქი“. ეს არის უფლის ნების მორჩილება, რისკენაც მოგვიწოდებს მაცხოვარი ჩვენი და მოძღვარი საკუთარი მაგალითით და სიტყვით[4].

---

[2] ხედავ საყვარელო მკითხველო, რაოდენ კარგია ამ წიგნში აღწერილი ყველა წესი და მეთოდი. ეს უკანასკნელნი მათი მიზნით, ფილოსოფიური ღირსებით, დასაწყისით და დასასრულით შეიცნობა.. სწორედ ამიტომ, წინამდებარე წიგნი წარმოაჩენს უხილავი ბრძოლის მიზანს და სრულყოფილებას დასაწყისშივე მათთვის, ვინც უნდა იბრძოლოს და არ შეცდეს არაფრით, არამედ მიმართული იყოს ერთი მიზნისაკენ, მისკენ წარმართოს ყველა ქმედება.

[3] სწორედ ამის შესახებ საუბრობს მოციქული პავლე: „გინა თუ შჭამდეთ, გინა თუ სუმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდეთ, ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა იქმოდეთ“ (1 კორ. 10. 31).

[4] ჭეშმარიტად, უფლის ნების მორჩილებისთვის, იმისთვის, რომ მისი ნება ჩვენს საკუთარზე მაღლა დავაყენოთ, უფალმა იესო ქრისტემ გვასწავლა ასეთი ლოცვა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა… იყავნ ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ (მათ. 6,10). გვასწავლა პირადი მაგალითით, როცა იგი ითხოვდა ყველაფრის აღსრულებას ღმერთის ნების თანახმად: „ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ! (ლუკ. 22. 42). და სახარებაში ამბობს: „რამეთუ გარდამოვჴედ ზეცით, არა რაჲთა ვყო ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისა მამისაჲ“ (იოანე 6. 38).

ძმაო, თუ გსურს ამ სრულყოფილების სიმაღლეზე ასვლა, შეუსვენებელი ბრძოლა უნდა წარმართო საკუთარ თავთან. გამარჯვებისთვის კი ყველა შენი ნება, დიდიც და მცირეც, უნდა უგულებელყო. მთელი სულიერი მისწრაფებით ამ ბრძოლაში უნდა ჩაება (გვირგვინს მოიპოვებს მამაცი მებრძოლი), ეს ბრძოლა ყველა სხვა ბრძოლაზე რთულია (რადგან საკუთარ თავს ვებრძვით) და გამარჯვებაც ყველაზე დიდებული იქნება და უფლისთვის სათნო. თუ გსურს დათრგუნო შენი ცელქი ვნებები, სურვილები და მისწრაფებები, უფრო მეტად მოეწონება უფალს და შეძლებ მის მსახურებას უკეთესად, ვიდრე სისხლიანი გამათრახებით, ან ძველ მეუდაბნოეებზე მეტი მარხვით, ათასობით ცდუნებული სულების მოქცევით, მაგრამ ვნებებით დატყვევებული იქნები[5]. უფალს მართლა უყვარს ცდუნებულ სულთა მოქცევა, ვიდრე ერთი ვნების დათრგუნვა, მაგრამ შენ, საყვარელო, უნდა გააკეთო უმთავრესი, რასაც გთხოვს ღმერთი. რადგან ის კმაყოფილია უფრო, როცა იღვწი შენი ვნებების დასამარცხებლად, ვიდრე აკეთებ უფრო დიდ და მნიშვნელოვან საქმეს და უგულებელყოფ შენს ვნებებს.

ახლა, როცა ისწავლე რა არის ქრისტიანული სრულყოფილება და რომ მის მოსაპოვებლად მტკიცე ბრძოლა გჭირდება საკუთარ თავთან, უნდა დაიმახსოვრო, რომ არსებობს ოთხი აუცილებელი და დამცავი იარაღი უხილავ ბრძოლაში გასამარჯვებლად და გვირგვინის მისაღებად. ესენია: 1) ნურასოდეს ენდობი საკუთარ თავს; 2) შენი სასოება და გამბედაობა მიანდე უფალს; 3) იღვაწე მუდამ; 4) ილოცე.

---

[5] ამავეს ამბობს ამბა ისაკი (λογ. κγ): „უმჯობესია თავი დაიხსნა ცოდვის ბორკილებისგან, ვიდრე მონები მონობისაგან გაათავისუფლო!“

თავი მეორე

არასდროს არ ვენდოთ და ვერწმუნოთ ჩვენს თავს

ნუ დაუჯერებ შენს თავს[6], საყვარელო ძმაო, ეს იმდენად საჭიროა ბრძოლაში, რომ დარწმუნებული იყავი, არა თუ ვერ გაიმარჯვებ, მცირე წინააღმდეგობასაც ვერ გაუწევ. ეს ჩაიბეჭდე გონებაში მტკიცედ.

ჩვენ ადამის შეცოდების შემდეგ ბუნებით დაცემულნი ვართ და ჩვენი თავი ვიღაც გვგონია[7]. ეს ნაკლია, რაც ადვილად ამოიცნობა და არ მოსწონს უფალს. უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა მადლი და სათნოება უფლისგან მომდინარეობს. იგია წყარო ყოველი სიკეთისა და ჩვენგან არ მოდის არანაირი კარგი აზრი, რაც უფლისთვის სათნოა. ეს უცილობელი ჭეშმარიტება (არ

---

[6] იერემია წინასწარმეტყველი განდგომილს უწოდებს იმ ადამიანს, ვისაც საკუთარი თავისა სწამს. „წყეულ იყავნ კაცი, რომელსა სასოება აქვს კაცისა მიმართ და განამტკიცოს **ჴ**ორცი მკლავისა **თ**ჳ**ს**ისა**ჲ** და უფლისაგან განდგეს გული მისი“ (იერემ. 17. 5) ამ სიტყვებს განმარტავს ბასილი დიდი და ამბობს, რომ ჩვენს თავს არ უნდა ვერწმუნოთ. ვინც თავის იმედს ადამიანზე ამყარებს, უფლისგან განდგომილია. დაინახე რა კარგია ეს წიგნი, რადგან გადმოგვცემს, რომ ბრძოლა იწყება თავმოყვარეობასთან (საკუთარი თავის სიყვარულთან), რაც არის ყველა ვნების საწყისი.

[7] ის, რომ ჩვენი თავი ვიღაც გვგონია, ნიშნავს ამპარტავნებას. ეს ერთგვარი ვნებაა, რაც საკუთარი თავის სიყვარულისგან იბადება. ის წარმოშობს სხვა ვნებებსაც. ამპარტავნება ისეთი ფაქიზი და ფარულია, რომ მის არსებობას ვერც კი გრძნობს ადამიანი, მაგრამ იგი უდიდესი ბოროტებაა. გონების უმთავრეს კარიბჭეს, საიდანაც მადლი ღვთისა შედის ადამიანში და ივანებს, ამპარტავნება ახშობს. როგორ დამკვიდრდება უფლის მადლი ადამიანში, და შეეწევა, თუკი ეს არ სურს თავად, თუკი არ სჭირდება დახმარება? თუკი თვლის, რომ ბრძენია თავად? ღმერთმა დაგვიფაროს ამ ეშმაკეული ვნებისა და სნეულებისგან! ასეთ ადამიანებს ეუბნება უფალი წინასწარმეტყველის პირით, მოციქულის სიტყვებით, სოლომონ მეფის სიტყვებით. „ბრძენ არიან თავით **თ**ჳ**ს**ით და წინაშე მათსა ზედმიწევნულებ!“ (ისაია 5,21). მოციქული გვაუწყებს: „ნუ იქმნებით ბრძენ თავით **თ**ჳ**ს**ით” (რომ. 12.16). გაიხსენე სოლომონ მეფის სიტყვები: „ნუ იფიქრებ, რომ ბრძენი ხარ” (იგავნი სოლომ. 3.7)

გვჯეროდეს ჩვენი თავის) ღვთიური ხელით ქმნილია, და მისგან ეძლევა ზოგჯერ შთაგონებით და განათლებით, ზოგჯერ კი მკაცრი მათრახით და მწუხარებით, ზოგჯერ ძალადობით, თითქმის დაუძლეველი განსაცდელებით და ზოგჯერ სხვა მეთოდებით, რასაც ჩვენ ვერ ვხვდებით. ყოველივე ამით უფალს სურს, რომ გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია. ამიტომაც, ძმაო, ჩამოგითვლი ოთხ საშუალებას, რომელთა დახმარებითაც შეგვიძლია მიაღწიო იმას, რომ არასოდეს არ ენდო შენს საკუთარ თავს.

პირველი საშუალებაა საკუთარი თავის არარაობის შეცნობა[8]. უნდა იფიქრო, რომ მარტო შენ ვერაფერი კარგის გაკეთებას ვერ შეძლებ, რითაც ზეციური სასუფევლის ღირსი გახდები.

მეორე საშუალებაა,უფალს მდაბალი და მხურვალე ლოცვით შესთხოვო შეწევნა. ეს მისი წყალობაა! თუ გსურს მიიღო იგი, თავდაპირველად შეხედე შენს თავს ამ ცოდნის გარეშე და სრულიად უძლურმა! შემდეგ უფლის სიდიადის წინაშე ისაუბრე ხშირად და მწამს, რომ მისი უსაზღვრო მოწყალებით მიიღებ შეწევნას. ნუ დაეჭვდები, რომ მიიღებ.

მესამე საშუალებაა, მიეჩვიო საკუთარი თავის შიშს, გეშინოდეს ურიცხვი მტრისა, რომელთაც მცირე წინააღმდეგობასაც ვერ გაუწევ. გეშინოდეს მათი შემოტევების, ხლართების, ბრძოლების, მათი ანგელოზებრივი შუქად სახეცვლილებისა, ურიცხვი საფრთხისა. ეს ყველაფერი ფარულად აგაცდენს სათნოების გზას.

მეოთხე საშუალებაა, როცა ცდუნდები და ნათლად ხედავ შენს უძლურებას. ეს უფალმა დაუშვა, უკეთ რომ დაინახო შენი სნეულება[9] და უგულებელყო იგი არა მარტო შენ თავად, არამედ

---

[8] ამაზე ამბობს იოანე ოქროპირი, რომ ვინც თავის თავს არაფრად მიიჩნევს, იგი ყველაზე უკეთ იცნობს თავის თავს, წმ. მაქსიმე აღმსარებელი წერს: „სათნოება არის ადამიანური ბუნების უძლურებისა და ღვთიური ძალის ერთობის შეცნობა“ (κεφ. οθ. φιλοκαλία). წმ. პეტრე დამასკელი ამბობს: „ვიდრე საკუთარი უგნურებისა და უძლურების შეცნობაზე უკეთესი არაფერია, ამ შეცნობის უგულებელყოფაზე უარესიც არაფერია“.

[9] არა მხოლოდ ცდუნებისას, არამედ უბედურების, მწუხარების, სხეულის სნეულებისას, უნდა შეიცნო, შენი თავის სიმდაბლე და დამდაბლდე. ეს ყოველივე უფლის დაშვებით ხდება, ადამიანთაგან, ეშმაკისგან თუ ბუნებრივი

სხვებმაც დაინახონ შენი სნეულება. ამ სურვილის გარეშე შეუ-ძლებელია საკუთარი ნების უარყოფა, რასაც საფუძვლად უდე-ვს ჭეშმარიტი სიმდაბლე.

ზეციურ ნათელთან ერთობისათვის საკუთარი თავის შეცნობა აუცილებელია. ეს შეცნობა ამპარტავანთ ღვთის მოწყალებას აჩვენებს დაცემით, ცდუნებით, რათა შეიცნონ თავიანთი უძლურება და აღარ მიენდონ საკუთარ თავს. უფალი ამ საშუალებას ყოველთვის არ „იყენებს“, როცა სხვა გზით ვერ მიდის ადამიანი თავის შეცნობისკენ, მაშინ დაუშვებს ღმერთი ადამიანის მეტ-ნაკლებ დაცემას იმის მიხედვით, რამდენად ამპარტავანია იგი და რამდენად მაღალი წარმოდგენა აქვს თავის თავზე.

იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს ამგვარი აზრი (მაც-დუნებელი), მაგალითად ქალწული მარიამის შემთხვევა, მაშინ არ ხდება დაცემა. ამრიგად, თუ კი შენ დაეცემი, მაშინვე თავმდ-აბლობით ეცადე საკუთარი თავის შეცნობა და ლოცვით შესთხ-ოვე ღმერთს გამოგიჩინოს ჭეშმარიტი ნათელი, რომ შეიცნო შენი არარაობა და არ ენდო საკუთარ თავს, თუკი არ გსურს კვლავ არ დაეცე და ხრწნასა და ვნებას არ მიეცე!

განსაცდელები ღმერთისაგან დაშვებულია. მოციქული ამბობს: „არამედ თავით თვისით განჩინებაჲ იგი სიკუდილისაჲ მოგუელო, რაჲთა რა ვესვიდეთ თავთა ჩუენთა, არამედ ღმერთსა, რომელმან-იგი აღადგინნოს მკუდარნი” (2 კორ. 1,9)

მოკლედ რომ ვთქვათ, ვისაც სურს, შეიცნოს თავის უძლურება სინამ-დვილეში, დააკვირდეს საკუთარ აზრებს, საქმეებს ერთი დღის მანძილზე. მიხვდება, რომ მათი უმრავლესობა მცდარია, ირიბია, უგნურია, ცუდია. ამ მცდელობით გაიგებს, რაოდენ სნეულია და დამდაბლდება და საკუთარ თავს აღარ მიენდობა.

თავი მესამე

უფლისადმი რწმენა და მინდობა

ამ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესია ის, რომ საკუთარ თავს არ ვენდოთ (ამაზე ვისაუბრეთ ზემოთ). მიუხედავად ამისა, თუკი იმედს დავკარგავთ, მტერი გვძლევს, ამიტომ საკუთარი ნების სრულ უარყოფასთან ერთად საჭიროა გვქონდეს სასოება და ნდობა უფლის მიმართ. მხოლოდ ღმერთისგან უნდა ველოდეთ სიკეთეს და შეწევნას და გამარჯვებას. ჩვენი თავისგან ნგრევისა და დაცემის მეტს, არაფერს არ უნდა ველოდოთ, რადგან არარაობანი ვართ, მხოლოდ უფლისგან მომდინარეობს ყველა გამარჯვება. როგორც კი გული აივსება შეწევნის მისაღები ცოცხალი იმედით, მაშინვე მივიღებთ ღმერთისგან დახმარებას. ფსალმუნში ნათქვამია: „აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი და დაჰმწყსენ და აღამაღლენ იგინი უკუნისამდე“ (ფსალმ. 27,9). ამგვარ სასოებას, შეწევნასთან ერთად მივაღწევთ ოთხი მიზეზის გამო.

1) დახმარებას ვითხოვთ ყოვლადძლიერი ღმერთისაგან, რომელიც ყოვლის შემძლეა და ძალუძს ჩვენი შეწევნა.

2) შეწევნას ვითხოვთ ყოვლადბრძენი უფლისგან, რომელიც ყველას და ყველაფრის მცოდნეა და, შესაბამისად, იცის ის, რაც ჩვენი ცხონებისთვის არის საჭირო.

3) შეწევნას ვითხოვთ ღმერთისგან, რომელიც არის უსასრულო სიკეთე, ის აღუწერელი სიყვარულია და ნებით ყოველთვის მზად არის ყოველ წამს დაგვეხმაროს ჩვენს საკუთარ თავზე გამარჯვებაში, თუკი მაშინვე მივმართავთ მას მტკიცე იმედით! განა შეიძლება იმ მწყემსმა, რომელიც ოცდაცამეტი წელი სდევდა დაკარგულ სამწყსოს და უხმობდა მას ისე ხმამაღლა, რომ ხორხი ეტკინა, დადიოდა ეკლიან და მძიმე გზებზე, დაღვარა სისხლი და მსხვერპლად გაიღო სიცოცხლე, ვამბობ, განა შეიძლება მან მიატოვოს მისკენ მიმავალი სამწყსო, რომელიც მას

ეძახის და ევედრება, შეიძლება არ მიაპყროს მწყემსმა თვალი თავის სამწყსოს? განა არ მოუსმენს და არ იტვირთავს მათ თავის ღვთიურ მხრებზე, განა არ იზეიმებს ანგელოზებთან ერთად ზეცაში?

თუკი უფალი დაბეჯითებით ეძებს დაკარგულ დრაქმას, (სახარების მიხედვით) უსინათლო და ყრუ ცოდვილს, როგორ მიატოვებს საკუთარ სამწყსოს?! მაშინ ვინ დაიჯერებს, რომ ღმერთი, რომელიც უწყვეტად აკაკუნებს ადამიანის გულზე და მასში დამკვიდრება სურს[10], აძლევს წყალობას, ადამიანი უხსნის გულს და უხმობს, უფალი კი არ ისმენს და არ სურს შესვლა?

4) მეოთხე გზა ღვთისმიერი იმედის მოსაპოვებლად წმინდა წერილის ჭეშმარიტების ხსოვნაა. სახარება გვეუბნება, რომ უფლის იმედით აღსავსე ადამიანი არასოდეს არ რჩება უყურადღებოდ.[11].

ამრიგად, ძმაო, ამ ოთხი იარაღით აღიჭურვე, დაიწყე შენი საქმე და იბრძოლე გამარჯვებისთვის. ასე მოიპოვებ არა მხოლოდ სრულყოფილ იმედს უფლისას, არამედ საკუთარი თავის სრულ უიმედობასაც, ამას კიდევ ერთხელ შეგახსენებ. საკუთარი თავის იმედი ისე ფარულად არსებობს ჩვენში, რომ ხშირად ვერ შევიგრძნობთ და გვგონია, რომ ღვთის იმედი გვაქვს. ასე, რომ გაექეცი ამ ამაო გრძნობას და იღვაწე საკუთარი თავის ნდობისგან გასათავისუფლებლად. უწინარეს ფიქრად გქონდეს შენი უძლურება და უფლის ყოვლადძლიერება. ეს ორი აზრი ჩვენს ყველა ქმედებას უნდა ახლდეს.

---

[10] იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადებაში ვკითხულობთ:, „აჰა, ესერა ვდგა კარსა ზედა და ვჰრეკ, უკუეთუ ვინ ისმინოს ჴმისა ჩემისაჲ და განაღოს კარი და შევიდეს მის თანა და ვჭამო მის თანა სერი და მან ჩემ თანა” (გამოცხ. 3,20).

[11] მეფე ავგაროზმა აღადგინა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი და დაწერა: „ქრისტე, ღმერთო, შენი იმედით არასოდეს არ დავეცემი“.

თავი მეოთხე

როგორ უნდა გაიგოს ადამიანმა, რომ იღწვის საკუთარი თავის იმედის დასათრგუნად და უფლის სრულყოფილი სასოების მოსაპოვებლად

ზოგიერთი თვითნება ადამიანი ფიქრობს ზოგჯერ, რომ თავის თავს არ ენდობა და მთელი სასოება და რწმენა უფლისათვის აქვს მინდობილი. თუმცა სინამდვილეში ეს ასე არ არის. ამას კი ხვდება მაშინ, როცა ეცემა. დაცემული ადამიანი წუხს, სასოწარკვეთილია და ფიქრობს, რომ უკეთესად შეეძლო გაეკეთებინა, ეს უტყუარი ნიშანია ადამიანის საკუთარი თავისადმი და არა ღმერთისადმი ნდობისა. თუკი დაცემული ადამიანის წუხილი და უიმედობა დიდია, მაშინაც ცხადია, რომ იგი თავის თავს ენდობა და არა აქვს უფლის რწმენა. ვინც საკუთარ თავს არ ენდობა და ღმერთის სასოება აქვს, იგი არ წუხს ძალიან, რადგან იცის, რომ მისი დაცემის მიზეზი მისი უძლურება და ღმერთისადმი მცირე რწმენაა! ამ დროს მდაბლდება და უფრო მეტი სასოებით მიენდობა უფალს! მოიძულებს ყველაფერზე მეტად თავის ვნებებს, რაც მისი დაცემის მიზეზია, დიდი ტკივილით, მშვიდად და წყნარად მოიპოვებს საკუთარი თავის უნდობლობას და მტრებს განდევნის მამაცურად და მტკიცედ სიკვდილამდე. ვისურვებდი, ჩემს ნათქვამზე ეფიქრათ სულიერ და კეთილ ადამიანებს, რომლებიც, როცა სცდებიან, ვერ მშვიდდებიან და მწუხარებისგან გასათავისუფლებლად გარბიან სულიერ მოძღვართან, რომელთანაც საკუთარი ცოდვების მოსანანიებლად, საკუთარი ნების წინააღმდეგ საბრძოლველი ძალის მისაღებად, სინანულისა და აღსარების წმინდა საიდუმლოსთვის უნდა მისულიყვნენ.

თავი მეხუთე

ცდება, ვინც სულმოკლეობას სათნოებად თვლის

დიდი შეცდომაა სულმოკლეობის სათნოებად მიჩნევა. ცოდვის ჩადენის შემდეგ გადამეტებული მწუხარება მომდინარეობს ფარული ამპარტავნებისგან, რაც ეფუძნება საკუთარი თავის იმედს და ძალას. ვისაც თავისი თავი მიაჩნია რამედ, გამბედავია. დაცემისას განსაცდელში მყოფი ხედავს თავის უძლურებას და შფოთავს და წუხს, როცა ხედავს მიწაზე დაცემულ საკუთარ თავს, ვისი იმედიც ჰქონდა. ასეთი რამ არ ემართება თავმდაბალ ადამიანს, მას მხოლოდ უფლის იმედი აქვს და არა საკუთარი თავის. ამიტომაც დაცემისას თუმცა კი წუხს, მაგრამ არ შფოთავს, არც ეჭვი იპყრობს, რადგან იცის, მისი უძლურების გამო დაემართა, რაც დაემართა. ეს კი ნათლად ჩანს ჭეშმარიტების შუქზე.

თავი მეექვსე

სხვა ცოდნა, რომლითაც მიიღწევა საკუთარი თავის უნდობლობა და უფლის იმედი

მთელი ძალა, რომლითაც მტრები მარცხდებიან, იბადება საკუთარი თავის უნდობლობისგან და ღმრთისადმი სასოებისგან. ძმაო, საჭიროა იცოდე ზოგი რამ, რითაც შეძლებ უფლის წყალობით ძალის მოპოვებას. დაიმახსოვრე უეჭველად, რომ ვერანაირი ნიჭით, წმინდა წერილის ცოდნით, ვერც წლების მანძილზე უფლისთვის მოღვაწეობით და ვერც სხვა რამით ვერ შევძლებთ უფლის ნების აღსრულებას თუკი ყველა ღვთისათვის სათნო საქმეში, რაც განსაცდელის ჟამს უნდა შევასრულოთ, ყველანარი ჯვრის ტვირთვისას, არ ამაღლდება ჩვენი გული უფლის შემწეობით და არ გაგვაძლიერებს. უფალი ხომ ამბობს: „თჳნიერ ჩემსა

არარა ძალ-გიც ყოფად არცა ერთი” (იონ. 15,15). აქედან გამომ-დინარე, მთელი ცხოვრების განმავლობაში უნდა გვახსოვდეს, რომ არ ვენდოთ საკუთარ თავს.

უფლის იმედს რაც შეეხება, მინდა დავამატო, რომ ღმერთის-თვის ყველაზე ადვილია დაგამარცხებინოს მტრები ცოტაც და ბევრიც, ძველიც და ახალიც, მამაციც და უძლურიც. ამგვარად, სული რაც არ უნდა დამძიმებული იყოს, ამქვეყნიურ ცოდვებში ჩაფლული, რომც იყოს შებილწული, რამდენადაც ეს შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, რომ ეცადოს და გამოიყენოს ყველა საშუალება ცოდვისგან გასათავისუფლებლად, მაგრამ მცირედ წარმატებასაც ვერ მიაღწიოს, არამედ, პირიქით, უფრო ღრმად ჩაეფლოს სიავეში, მიუხედავად ამისა, არ უნდა დაკარგოს უფ-ლის იმედი და არ მიატოვოს სულიერი ბრძოლა, უნდა იბრძო-ლოს მამაცურად! რადგან იცოდე, ამ უხილავ ბრძოლაში, არ იკარგება ის, ვინც ბრძოლას არ წყვეტს და არ კარგავს ღმერ-თის სასოებას. უფლის შემწეობა არ აკლდება მებრძოლთ, თუმცა ზოგჯერ უშვებს ღმერთი, რომ მებრძოლი დაიჭრას. უნდა იბრძო-ლოს თითოეულმა ადამიანმა, რადგან ამ ბრძოლას ეყრდნობა სამყარო და შემწეობაც ეძლევა მტკიცე სასოებით: და დგება ჟამი, რომელსაც მებრძოლი არ ელოდება და გაუჩინარდებიან მტრები. გახსოვს წმინდა წერილი; „მოაკლდა მეჰომე ბაბილო-ნისა მბრძოლად, და დასხდენ წყუდეულებასა შინა. მოსწყდა მძლავრება მათი და იქმნნეს, ვითარცა დედანი. მოიწუნეს კარვებ-ნი მათნი, შემუსრნნეს მოქლონნი მისნი“ (იერ. 51.30).

თავი მეშვიდე

როგორ აღვზარდოთ ჩვენი გონება უგნურებისგან დასაცავად

უხილავ ბრძოლაში აუცილებელი ორი რამეა: საკუთარი თავისადმი ურწმუნოება და უფლისადმი მინდობა. თუკი ჩვენ-

ში მხოლოდ ეს ორი რამ დაგვრჩება, არათუ ვერ გავიმარჯვებთ, ბოროტების მორევში მეტად ჩავიძირებით! ამიტომ კიდევ საჭიროა გონებისა და ნების წვრთნა. ეს მესამე პირობაა, რაზეც ზემოთ აღვნიშნეთ. ბუნებრივია, გონება უგნურებისგან უნდა დავიცვათ, რადგან ეს უკანასკნელი სიბნელეა და ხელს უშლის ჭეშმარიტების შეცნობას. ჭეშმარიტების შეცნობა კი გონების მიზანი და საგანია. აქედან გამომდინარე, გონება უნდა გავწვრთნათ, სანამ არ გახდება იგი ნათელი და სუფთა. ასეთი გონება ხედავს სწორად რა გვჭირდება იმისთვის, რომ სული განვიწმიდოთ ვნებებისგან და მოვკაზმოთ სათნოებებით. გონების სინათლე მიიღწევა ორი გზით. პირველი და აუცილებელი გზა არის ლოცვა, რომლითაც შევთხოვთ სული წმიდას ღვთიური ნათელის გაბნევას ჩვენს გულებში. ეს აღსრულდება, თუკი მართლაც მოვძებნით ჭეშმარიტ უფალს და გულწრფელად ვიღვაწებთ მისი წმინდა ნების აღსასრულებლად. თუკი ყოველ ჩვენს ქმედებაში დავუმორჩილებთ საკუთარ ნებას წმინდა მამათა რჩევებს.

გონების წვრთნის მეორე გზა არის საგანთა მუდმივი შესწავლა და მათი არსის შეცნობისკენ სწრაფვა იმისთვის, რომ ნათლად გავარჩიოთ რომელია კეთილი და რომელი ბოროტი. ოღონდ ისე კი არა, როგორც მათ გრძნობა და სამყარო აღიქვამს, არამედ სული წმიდის მადლით და სწორი აზრით, უფრო სწორედ ღმრთივსულიერი წმინდა წერილისა და ეკლესიის მამათა ნააზრევის მიხედვით. ამგვარი სწორი ხედვისა და შეცნობის შემდეგ ჩვენ გავიგებთ, რომ ყოველივე, რაც უყვარს დაბრმავებულ და გახრწნილ ამქვეყნიურ სამყაროს, არის ამაო და ყალბი. ჩვენ შევიცნობთ, რომ ამაქვეყნიური პატივი, სიამოვნება და სიმდიდრე სხვა არაფერია, თუ არა ამაოება და სულის სიკვდილი. ამასოფლისგან მომდინარე შეურაცხყოფა და უპატივცემულობა ჭეშმარიტ დიდებას გვანიჭებს, ხოლო ამასოფლის მწუხარება კი სიხარულს გვაძლევს.

მტრისათვის პატიება და მათთვის სიკეთის ქმნა არის ჭეშმარიტი დიდსულოვნება, რითაც ყველაზე მეტად ვემსგავსებით ღმერთს! ვინც მოიძულებს ამ ქვეყანას, მას უფრო მეტი ძალა

ეძლევა, ვიდრე იმას, ვინც მეუფეს ამა სოფელში! ნებითი მორჩილება უფრო აღმატებული დიდსულოვნება და ვაჟკაცობაა, ვიდრე ამაქვეყნის მეფეთა დამორჩილება და მართვა!

საკუთარი თავის თავმდაბალი შეცნობა აღემატება ყველა სხვა შეცნობას. ჩვენი ვნებებისა და სურვილების (უმნიშვნელოსიც კი) დამარცხება მეტი ქების ღირსია, ვიდრე ციხეკოშკების აღება, ლაშქრის იარაღით დამარცხება,თვით სასწაულების აღსრულება და მკვდრების აღდგინებაც!

თავი მერვე

რატომ ვერ ვარჩევთ საგნებს სწორად და როგორ უნდა შევიცნოთ ისინი

მიზეზი იმისა, რატომ ვერ ვარჩევთ საგნებს სწორედ, ის არის, რომ მათ არსს არ ვუღრმავდებით და შეხედვისთანავე ვავლენთ მათ მიმართ სიყვარულს ან სიძულვილს. ამგვარი სიყვარული ან სიძულვილი გონებას იმორჩილებს და არ შეგვიძლია საგნები სწორად გავარჩიოთ[12]. ასე რომ, საყვარელო ძმაო, თუ გსურს, რომ შენს გონებას ცდუნება არ დაეუფლოს, ყურადღებით იყავი. ნებისმიერი საგნის ხილვისას მოთოკე შეძლებისდაგვარად შენი სურვილი და ეცადე, რომ არც შეიყვარო და არც შეიძულო იგი, მხოლოდ გონებით დააკვირდი (წინასწარ იფიქრე სწორედ, თუ საგანი შენთვის მიუღებელია და სიძულვილის აღმძვრელი, მაშინ სიძულვილით ხარ აღძრული, თუკი საგანი შენში სიამოვნებას იწვევს, სიყვარულით ხარ აღძრული და სურვილი გიმორჩილებს).

---

[12] წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ სიყვარულისგან ან სიძულვილისგან იჩრდილება ჭეშმარიტება: „ყველაზე მეტად ადამიანებს უცხოზე საუბარი აკმაყოფილებთ, და როცა ვინმეს მიმართ სიყვარულით ან სიძულვილით განიმსჭვალება ადამიანი, სწორედ ამ გრძნობათა გამო იფარება მისთვის ჭეშმარიტება“ (λογ. ἀπολ).

ამ ფიქრით გონება ვნებებით არ არის დაბინდული და თავისუფალია, სუფთაა და შეუძლია ჭეშმარიტების შეცნობა, საგანთა არსის წვდომა, არსისა, რომელშიც ზოგჯერ ბოროტება იმალება ყალბი, მიმზიდველი გარეგნობით და ზოგჯერ კი პირიქით სიკეთეა დამალული გარეგნული ბოროტების მიღმა.

თუ სურვილი წინ გაგისწრებს და შეიყვარებ ან შეიძულებ საგანს, გონება ვერ მოასწრებს მის შეცნობას სწორად. ყოველგვარი წინასწარი მსჯელობა, განწყობა ან უფრო სწორად ვნება, რაც სულში იბადება, კედელივით აღიმართება გონებასა და საგანს შორის, გონებას აბნელებს და საგნის აღქმა არასწორად ხდება. ვნებით კი გონებაში ძლიერდება წინასწარი განწყობა. ამ დროს სურვილი (სიძულვილი ან სიყვარული) იზრდება და გონება მეტად ბინდდება! ამგვარად დაბინდული გონებით საგანი ადამიანს ყველაზე საყვარელი ან ყველაზე საძულველი ეჩვენება!

როცა არ სრულდება ზემოთ ნათქვამი წესი (სიყვარულისგან და სიძულვილისგან თავშეკავება!) სულის ორი ძალა გონება და ნება შენი ბოროტისკენ მიიდრიკება, სიბნელიდან უფრო ღრმა სიბნელეში და მცირე შეცდომიდან დიდისკენ მიექანება!

საყვარელო ძმაო, თავი დაიცავი ყველანაირად ვნებიანი სიყვარულისგან და საგნის მეტისმეტი სიძულვილისგან, სანამ კარგად არ შეგისწავლია იგი გონების სინათლით და საღმრთო წერილის სიტყვის თანახმად,მადლისა და ლოცვის სინათლით, სულიერი მოძღვრის რჩევით, შეცდომა რომ არ დაუშვა და ბოროტი კეთილი გეგონოს ან პირიქით. ეს კი ხშირად ხდება, როცა ზოგიერთი საქმე კეთილი და წმინდაა თავისთავად, მაგრამ აღესრულება შეუსაბამო დროს, ადგილას და საშუალებით და ზიანს აყენებს მათ აღმსრულებლებს. ცნობილია, რამდენი ადამიანი მოხვდა განსაცდელში ამგვარი წმინდა საქმეების აღსრულებისას.

თავი მეცხრე

როგორ დავიცვათ გონება ზედმეტი ცნობისმოყვარეობისგან

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გონება უცოდინრობისგან უნდა დავიცვათ. ამავე დროს საჭიროა მისი დაცვა ზედმეტი ცნობისმოყვარეობისგანაც. რაც სწრაფად ავავსებთ გონებას ბევრი ცოდნით, წარმოსახვებით და აზრებით, რომელთაგან უმრავლესობა ამაო, უსარგებლო და საზიანოა, მით მეტად დავაუძლურებთ მას და ვეღარ შეძლებს იგი (გონება) სწორად შეიმეცნოს ის, რაც ჩვენი ნების დასათრგუნად და ჩვენი სრულყოფილებისთვის არის საჭირო. აქედან გამომდინარე, ამქვეყნიურ საგნებთან და მოვლენებთან მიმართებით მკვდარს უნდა მიემსგავსო, რადგან ისინი შეიძლება დასაშვები იყოს, მაგრამ არა აუცილებელი. მოიკრიბე გონება და დაიცავი ამქვეყნიური საგანთა ცოდნისაგან! დაე, ყველა ახალმა ამბავმა, ყველა სიახლემ, ყველა სახელმწიფო გადატრიალებამ შენგან შორს ჩაიაროს და ისე დარჩეს ყოველივე, თითქოს არც არსებობს![13]

თუ ვინმე ამგვარ თემას შემოგთავაზებს, წინააღმდეგობა გაუწიე, განეშორე გულიდან და წარმოსახვიდან. იყავი ყურადღებიანი მოყვარული სულიერისა და ზეციურის შემეცნებისა, არ ისურვო სხვა არანაირი ცოდნა, მხოლოდ იფიქრე ჯვარცმულზე (მაცხოვარზე ე.დ.), მის ცხოვრებაზე და მის სიკვდილზე, იფიქრე იმაზე, რასაც ითხოვს შენგან უფალი. მადლობა შესწირე ღმერთს, რომლის რჩეული და საყვარელი ის არის, ვინც მის ნებას აღასრულებს. ნებისმიერი სხვა ცოდნა და კვლევა ეგოიზ-

[13] წმინდა ბასილი დიდი გვირჩევს ამქვეყნიური ამბები მწარე გემოს მქონედ მივიჩნიოთ, წმინდა მამათა ნააზრევი კი თაფლივით ტკბილად (λογος Φιλοκαλία τ.5.c.5, Ασκητικός περί ἀποταγης). დავით მეფსალმუნე ამბობს: „მითხრეს მე უსჯულოთა ზრახვა, არამედ არა იყო, ვითარ შჯული შენი, უფალო“ (ფსალ. 118,85).

მია, ამპარტავნებაა, ეშმაკის ბორკილია. ბოროტი აკვირდება უფლის რჩეულთა ცხოვრებას, ხედავს, რომ მათი სულიერი ცხოვრება მტკიცეა და ძლიერი და ცდილობს მისი გონების დაპყრობას ცნობისმოყვარეობით. ამ მიზნისთვის ეშმაკი წარმოშობს ვითომდა ამაღლებულ, ფაქიზ და საინტერესო აზრებს, განსაკუთრებით გონებამახვილ ადამიანებში, რომლებიც ადვილად ხდებიან ამპარტავანნი! ამრიგად სიამოვნებისგან და ამაღლებული აზრებით დატყვევებულნი, ფიქრობენ, რომ ამ აზრებში ამოიცნეს უფალი, ივიწყებენ გულის განწმენდას, თავმდაბლობას და საკუთარი ნების უგულებელყოფას. ამპარტავნების ბორკილით შეკრულნი საკუთარ გონებას კერპად აქცევენ. ამის შემდეგ, ნელ-ნელა ეჩვევა ადამიანი, რომ აღარ სჭირდება სხვების რჩევა და ემორჩილება და ენდობა მხოლოდ თავის გონებას. ეს მდგომარეობა სახიფათოა და ძნელად იკურნება, რადგან გონების ამპარტავნება უფრო საშიშია, ვიდრე ნებისა.

გონებაში გაცხადებული სურვილის ამპარტავნება ოდესმე განიკურნება თუ დაემორჩილება იმას, რაც საჭიროა. რაც შეეხება გონებას, რომელსაც მტკიცედ სწამს, რომ მისი მსჯელობა ყველაზე უკეთესია, ვერავის ვერ დაემორჩილება და ძნელად განიკურნება ვინმესგან. თუკი ვინმეს სულის თვალი ანუ გონება, რომლითაც ადამიანი შეიმეცნებს და განიწმენდს ნების ამპარტავნებას, დასნეულებულია, დაბრმავებულია და აღსავსეა ამპარტავნებით, ვინ განკურნავს მას? თუკი სინათლე სიბნელეა და კანონი შეცდომა, როგორ განათდება და გამოსწორდება ეს ყოველივე? ამიტომ საყვარელო ძმაო, წინ აღუდექი გონების სახიფათო ამპარტავნებას, სანამ ტვინის ძვლამდე შეაღწევს, ლაგამი ამოსდე შენი გონების სიმახვილეს და საკუთარი აზრები სხვებისას დაუმორჩილე. ღვთის სიყვარულისთვის გახდი უგნური! მაშინ ჭეშმარიტად იქნები სოლომონზე ბრძენი, „ნუვინ თავსა თ სსა აცთუნებნ, უკუეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თ სი თქუენ შორის ამას სოფელსა, სულელ იქმნენინ, რა თა იყოს იგი ბრძენ!“ (1 კორ. 3.18).

თავი მეათე

როგორ გავწვრთნათ ჩვენი ნება, რომ იგი ყველა სულიერ თუ ფიზიკურ ქმედებაში ღვთისათვის სათნო მიზანს ეძებდეს

გონების შემეცნებითი წვრთნის გარდა, შენი ნებაც უნდა გაწვრთნა, რათა იგი სურვილს არ დაემორჩილოს, არამედ ღმერთის ნებას ეთანხმებოდეს. იფიქრე კარგად, რომ არ არის საკმარისი სურვილი და ძიება ღვთისსათნო საქმისა, შენ, ღვთისაგან მართული, მხოლოდ მისთვის, სათნო საქმისთვის უნდა იღვწოდე განწმენდილი გულით. ამ მიზნისკენ სწრაფვაში ყველაზე მეტი ბრძოლა გვექნება საკუთარ ბუნებასთან. ეს იმიტომ, რომ ჩვენი ბუნება მიდრეკილია საკუთარი სიამოვნებისკენ. და ყველა საქმეში, კეთილსა და სულიერში ეძებს საკუთარ სიამოვნებას და სიმშვიდეს და მათით საზრდოობს. სულიერ საქმეთა შემოთავაზებისას, მაშინვე იღვიძებს ჩვენში მათი აღსრულების სურვილი, მაგრამ იგი ღვთისგან მართული კი არ არის ან მიმართული იქითკენ, რომ უფლისთვის სათნო იყოს, არამედ ანთებული ვართ ამ საქმეთა აღსრულებისას განცდილი საკუთარი კმაყოფილებით და სიხარულით, რადგან გვინდა ის, რაც სურს უფალს ჩვენგან. ეს ცდუნება დაფარულია ჩვენში ღრმად. არ კმარა გვინდოდეს ის, რაც სურს უფალს, არამედ უნდა გვსურდეს ის, თუ როგორ, რატომ და როდის სურს ეს რაღაც ღმერთს ჩვენგან[14].

დაიმახსოვრე, რომ უფლის ძიებისას თავს იჩენს ხშირად ცდუნება, რაც საკუთარი თავის სიყვარულისგან მომდინარეობს,

[14] მოციქული მოგვიწოდებს, განვიცადოთ უფლის ნება არა მარტო როგორც სათნო, არამედ მისაღები და აღსრულებული ყველა მდგომარეობაში „ნუ თანა ხატ ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცვალენით განახლებითა მით გონებისა თქუენისა, რაჲთა გამოიცადოთ თქუენ, რაჲ-იგი არს ნებაჲ ღმრთისაჲ: კეთილი, სათნო და სრული“ (რომ. 12.2). თუკი ამათგან ერთი მდგომარეობა აკლია, და არ აღვასრულებთ სრული ნებით და ძალით, მაშინ გამოდის, რომ არ ვასრულებთ ღვთის ნებას. ჩანს, რომ ის სრულყოფილი არ არის და ასეც იწოდება.

რადგან ბევრჯერ ვითვალისწინებთ იმას, რაც ჩვენთვის არის მისაღები და სასიამოვნო და არა ღვთის ნებას. ღვთისას, რომელიც უნდა ვადიდოთ და რომელსაც უნდა დავემორჩილოთ მარტო მისი დიდებისთვისაც.

ამგვარად, ძმაო, თუ გინდა თავი დაიცვა იმ ბორკილებისგან, რაც სრულყოფილების გზაზე ხელს გიშლის, თუ გსურს აკეთო ყველაფერი უფლის ნებით, მისი მორჩილებით, მისთვის სათნო, თუ გსურს, რომ ყველა ფიქრსა და საქმეში უფალი იყოს საწყისი და სასრული, მოიქეცი შემდეგნაირად.

როცა რაიმე კეთილ საქმეს აკეთებ, იმას, რაც სურს უფალს, ნუ აღიძვრები მისი აღსრულების სურვილით, მანამდე უფლისკენ აღმართე გონება, რომ გაიგო, ეს საქმე უფლისთვის სათნოა თუ არა, მისი ნებაა თუ არა. მას შემდეგ რაც დარწმუნდები, რომ ღვთიური ნებიდან მომდინარეობს შენი სურვილიც, მაშინ აღასრულე, რადგან ეს არის ღვთის ნებაც და მისი სადიდებელი და მისი მორჩილება.

ასევე მოიქეცი, როცა არ გინდა იმის გაკეთება, რაც არ სურს უფალს. რაც ცუდია, მაშინვე ნუ იმოქმედებ. თავდაპირველად გონების თვალი ღვთიურ ნებას მიაპყარი. ჩვენი ადამიანური ბუნების ცდუნება დიდია და მას ცოტანი თუ ხვდებიან; ადამიანური ბუნება თავისას ეძებს და გვგონია, თითქოს მას ერთი მიზანი აქვს – ღვთისათვის სათნო იყოს, სინამდვილეში კი ასე არ არის.

ამგვარად, ხშირად ხდება, ვფიქრობთ ან ვაკეთებთ რამეს საკუთარი სიამოვნებისთვის და გვგონია, რომ ღვთისათვის სათნოდ ვმოქმედებთ. ამგვარ ცდუნებას რომ გავექცეთ, გულის სიწმინდე უნდა დავიცვათ, რაც მიიღწევა „ძველი ადამიანის“ მიტოვებით და ახლის შემოსვით (აქეთკენ არის მიმართული უხილავი ბრძოლა).

წარმატებით რომ მიაღწიო, მოისმინე! ნებისმიერი საქმის დასაწყისში განთავისუფლდი საკუთარი ნებისგან, რამდენადაც შეგიძლია, არ გააკეთო და არც ისურვო არც მოქმედება და არც უმოქმედობა, სანამ არ შეიგრძნობ, რომ შენ წარგმართავს ღვთის ნება. თუკი ყოველ საქმეში ფიზიკურსა თუ სულიერში ვერ

შეიგრნობ ღვთის „ენერგიას“ და მისთვის სათნოებას[15], დაკმაყოფილდი მხოლოდ შენი ჭეშმარიტი სურვილით, რომ ყველა საქმე იყო უფლისთვის სათნო.

რაც შეეხება საქმეებს, არა მარტო მათი აღსრულების დასაწყისში, არამედ მის განმავლობაშიც და ბოლოშიც მხოლოდ იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი მოქმედება იყოს ღვთისთვის სათნო[16], თუ ასე არ მოიქცევი, გელის კვლავ საკუთარი თავის სიყვარულის ტყვეობაში ჩავარდნის საფრთხე. ეს კი მიმართულია საკუთარი სარგებლობის და სიამოვნებისკენ, ვიდრე ღვთივსათნოებისკენ. დროსთან ერთად ხშირად ჩვენ ვეჩვევით ამგვარ ქმედებას და საგნებისა და მოვლენებისადმი დამოკიდებულება გვეცვლება, ამასთან ერთად იცვლება ჩვენი თავდაპირველი მიზნებიც. ვინც ყურადღებით არ არის და იწყებს ქმედებას ერთადერთი მიზნით, რომ იყოს ღვთისათვის სათნო, შემდეგ ნელ-ნელა საკუთარი ნება შემოაქვს და საქმეში თავის სიამოვნებასაც ხედავს. იმდენად, რომ ღვთის ნებას ივიწყებს, გატაცებულია საქმის აღსრულებით და თუკი ღმერთი სნეულებით ან სხვა განსაცდელით ხელს შეუშლის, ადამიანი შფოთვას იწყებს, განსჯის ყველაფერს, რაც წინ ელოდება (რომ არაფერი ვთქვათ თვით ღმერთზეც ბუზღუნებს). ეს კი იმის ნიშანია, რომ ადამიანის ქმედება ღვთიური ნებიდან არ მომდინა-

[15] ღვთის ნების ენერგიის შეგრძნებისას გონება ნათდება და ცხადდება უფლის ნება გულით განწმენდილთათვის, ხილვით და ღმრთივსულიერი სიტყვით. განწმენდილ გულში უფლის მადლი ამოქმედდება: ეს მადლი ვლინდება სიცოცხლის სიხარულში, გამოუთქმელ სიხარულში, სულიერ აღტაცებაში, მდუმარებაში, გულისმიერ ცრემლებში, ღვთიურ სიყვარულში და სხვა ღმრთივსათნო გრძნობებში, რაც მხოლოდ უფლის ნებით იბადება. ამ გრძნობებით გვანიშნებს ღმერთი, რომ ჩვენი ქმედება მისი ნებაა. მანამდე კი ვალდებულნი ვართ უფლის წინაშე მხურვალე და წმინდა ლოცვა აღვავლინოთ ერთხელ, ორჯერ და მრავალჯერ.

[16] წმინდა გრიგოლ სინელი ამბობს: „ყურადღება მიაქციე შენს არჩევანს და სურვილს, ყოველ დროს ზუსტი დაკვირვებით: არის თუ არა იგი ღვთის ნებისგან, სულიერი სარგებლობისგან, სიკეთისგან მომდინარე, მდუმარებ თუ გალობ, კითხულობ თუ ლოცულობ, ასრულებ სათნო საქმეს. არ დაემალო ამის გააზრებას“ (Φιλοκαλία. καφ. 12).

რეობს, იგი ამპარტავნების გახრწნილი და ბილწი ფესვიდან წარმოიშვა. თუკი ადამიანი მარტო ღვთის ნების თანახმად მოქმედებს, ერთ საქმეს მეორისგან არ არჩევს, არც იკვლევს რომელია უფრო დიდი და მცირე, და თავმდაბალია. მას თანაბრად სურს ორივენაირი საქმის აღსრულება, რადგან ორივე ღვთისათვის სათნოა დროით, მეთოდით ან სხვა რამით, რაც თვით უფალმა იცის. ასეთი ადამიანი დიდი და მცირე საქმის აღსრულებისას ერთნაირად თავმდაბალია და მშვიდი, რადგან ნებისმიერი საშუალებით ისწრაფვის მიზნისკენ, – გამოჩნდეს ღვთისათვის სათნო ყველა საქმით, სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც. როგორც ამბობს მოციქული: „ამისთჳსცა პატივცემულ ვართ, გინა თუ შემოვიდეთ, გინა თუ განვიდეთ, სათნომცა ხოლო ვართ მისა“ (2 კორ. 5,9). ამიტომაც, საყვარელო, იყავი მუდამ ყურადღებიანი, საკუთარ თავში ჩაღრმავებული და ეცადე შენი საქმეები ერთი მიზნისკენ წარმართო.

თუ აღგეძვრება სურვილი რაიმე სულიერი საქმის აღსასრულებლად, რომ გაექცე ჯოჯოხეთს და დაიმკვიდრო სასუფეველი. – ეს საქმეც უნდა ერთი მიზნისკენ – ღვთისთვის სათნომყოფობისკენ წარმართო. რადგან სწორედ უფალს სურს შენი სასუფეველში შესვლა. ამ მიზანს კი სრულყოფილად ვერავინ შეიცნობს, ვერავინ გაიგებს მის ძალაუფლებას. უმცირესი საქმეც, რომლის მიზანია იყოს მხოლოდ ღვთისთვის სათნო, უსაზღვროდ ღირსეულია, ვიდრე ათასი მნიშვნელოვანი, დიდებული და დიდი საქმენი, რომლებიც ამ მიზნის გარეშე სრულდება. რატომ არის ღვთის წინაშე მეტად მისაღები ერთი გროშის გაღება ღარიბისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ ღვთის დიდებისთვის სათნო იყოს ეს ქმედება, ვიდრე მთელი ქონების დათმობა სხვა მიზნით, თუნდაც სასუფევლის დასამკვიდრებლად, რადგან ეს მიზანი (უფლისთვის სათნო) კეთილია და სასურველი.

ეს სულიერი ღვაწლი - ღვთისთვის სათნო ქმედება - მთელი შენი აზრების, გრძნობების და საქმეთა მიმართვა ღვთისაკენ – თავდაპირველად რთულად მოგეჩვენება, მაგრამ თანდათან იოლი გახდება, თუკი ერთი მხრივ იღვაწებ ასეთი სულიერი

ღვაწლით, მეორე მხრივ – მუდმივად გულში ღვთიურ ცეცხლს ატარებ და მიმართული იქნები მისკენ, როგორც ერთადერთი და სრულყოფილი სიკეთისკენ, რომელსაც უნდა ეძებდე, ემსახურებოდე და უნდა გიყვარდეს ყველაზე მეტად. უფალში უსაზღვრო სიკეთეს უნდა ვეძებდეთ. მაშინ უფრო ხშირად და მხურვალედ აღსრულდება ზემოთ ჩამოთვლილი ჩვენი ნების საქმენი და უფრო სწრაფად მივეჩვევით ყოველივე ვაკეთოთ მხოლოდ უფლის სიყვარულით, ერთი სურვილით, რომ ჩვენი საქმეები ღმერთისთვის სათნო იყოს, რომ ის ერთადერთია ყველაზე მეტად ჩვენი სიყვარულის ღირსი.

და ბოლოს, თუკი გსურს გაიგო წარგმართავს თუ არა უფალი,ითხოვემისგან მხურვალე ლოცვით,სთხოვე, რომ ეს მადლიც მოგიძღვნას სხვა წყალობათა გვერდით, რაც მოგანიჭა და განიჭებს მუდმივად მხოლოდ და მხოლოდ შემდამი სიყვარულით და ანგარების გარეშე.

თავი მეთერთმეტე

ზოგიერთი მოსაზრება, რაც ადამიანის ნებას და სურვილს მიმართავს ღვთისათვის სათნო ქმედებისაკენ

შენი ნება და სურვილი ღვთის სადიდებელი ქმედებისკენ რომ მიმართო, უნდა გახსოვდეს, რომ უფალმა შეგიყვარა და პატივი მოგაგო. არაფრიდან თავის ხატად და მსგავსად შეგქმნა და ყველა სხვა ქმნილება შენს სამსახურში ჩააყენა. გიხსნა ეშმაკის მონობისაგან, ანგელოზი კი არ გამოგიგზავნა, არამედ ძე თვისი მხოლოდშობილი, რომ გამოესყიდე არა ხრწნილი ოქროთი და ვერცხლით, არამედ თავისი პატიოსანი სისხლით და ყველაზე ტანჯული და შეურაცხყოფილი სიკვდილით. ამის შემდეგ კი ყოველ წამს გიცავს მტრებისგან, იბრძვის შენთვის ღვთიური მადლით, შენს საზრდოდ და დასაცავად განამზადა

„საყვარელი ძე თვისი“ წმინდა ზიარებით. ეს უფლის შენდამი აღმატებული პატივისცემისა და სიყვარულის გამოხატულებაა. ეს პატივი იმდენად დიდია, რომ ვერ ჩავწვდებით მის სიღრმეს, ყოველთა მპყრობელი მეუფე რომ მიაგებს ჩვენს სიმდაბლეს. რაოდენი პატივისცემა გვმართებს უზენაესის წინაშე, რომელმაც ამდენი საოცარი საქმე გაგვიკეთა.

თუკი მიწიერ მეფეებს ჩვენდამი კეთილი ქმედების სანაცვლოდ მივაგებთ სამაგიერო პატივს, მაშინ რამდენად დიდი პატივისცემა გვმართებს ზეციური მეუფისადმი, რომლის სიყვარული ჩვენდამი უსაზღვროა.

გარდა ყოველივე თქმულისა, მუდამ გახსოვდეს, რომ ღვთიური დიდებულება თავისთავად პატივმისაგებია, თაყვანსაცემია და მისი სამსახური მარტო წრფელი გულითაა შესაძლებელი.

თავი მეთორმეტე

ადამიანის სურვილების და ნებათა და მათ შორის წინააღმდეგობების შესახებ

იცოდე, რომ ჩვენში არსებული ორი სურვილი იბრძვის. ერთი მიეკუთვნება სულის გონიერ ნაწილს, ამიტომ გონების სურვილად, უმაღლესად იწოდება. მეორე სურვილი გრძნობადია და უმდაბლესად იწოდება. მასვე უწოდებენ ხორციელ და ვნებიან სურვილს. ამაღლებული სურვილი კეთილისაა, მდაბალი კი ბოროტის.

ამრიგად, როცა რაიმე გვინდა გრძნობით და არა გონებით, ნიშნავს, რომ ნამდვილად გვინდა. უხილავი ბრძოლა სწორედ იმიტომ მიმდინარეობს, რომ ამაღლებული სურვილი ქვენა სურვილს არ დაემორჩილოს. გონებითი სურვილი მასზე აღმატებული უფლის ნებასა და გრძნობით სურვილს შორის არსებობს და მას (გონებითი სურვილს) ხან ერთი და ხან მეორეს სურვილი ებრძვის. თითოეული ცდილობს მეორის დათრგუნვას და დამორჩილებას[17].

ისინი, ვინც ცუდს შეეჩვევიან და სურთ, რომ შეცვალონ თავიანთი ხორციელი ცხოვრება, დიდ განსაცდელში ხვდებიან. ამ დროს იმათ გონებით სურვილს ებრძვიან ღვთიური ნება და გრძნობიერი სურვილი. ეს ბრძოლა საკმაოდ ძლიერია და იგი ისეთი მძიმე არ არის მათთვის, ვინც შეეჩვია უკვე ან სათნოებებით ან ბოროტებით ცხოვრებას. რადგან კეთილი ადამიანები ადვილად ეთანხმებიან ღვთის ნებას, ბოროტნი კი გრძნობიერ სურვილს ემორჩილებიან ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე[18].

ნუ იამაყებს ნურავინ თითქოს შეეძლოს უფლის სამსახური ისე, როგორც საჭიროა, თუ ჭეშმარიტად არ დაატანს ძალას საკუთარ თავს ჩვეული დიდი და მცირე სიამოვნებების დასათრგუნად. სწორედ ამიტომ მცირედნი ახერხებენ სრულყოფილების მიღწევას[19]. დიდი სიამოვნებების დათრგუნვის შემდეგ არ სურთ დამარცხება მცირე და უმნიშვნელო სურვილებისა, რომლებიც მათ ყოველ წუთს იპყრობენ.

მაგალითად, არსებობენ ადამიანები, რომლებიც უცხო ნივთს არ იღებენ, მაგრამ საკუთარი ზედმეტად უყვართ. ზოგიერთები არ ითხოვენ პატივს, მაგრამ ხარობენ თუკი მიიღებენ, სხვანი მოვალეობის გამო იცავენ მარხვას, მაგრამ ნაყროვანებას ემორჩილებიან და ზედმეტს ჭამენ. სხვები თავშეკავებით ცხოვრობენ, მაგრამ არ ეშვებიან მათთვის სასიამოვნო ურთიერთობებს, რაც

---

[17] ამ სამ სურვილს პავლე მოციქული კანონებს უწოდებდა (რომ.7 21-23) გონებითი სურვილი გონების კანონია, მისი საპირისპიროა გონებასთან მებრძოლი სურვილი. ღმერთის ნება არის სულიერი კანონი, რომლითაც გონებას უკავშირდება. მოციქული სამ კანონს მეოთხეს - ცოდვის კანონსაც ამატებს. მას წმ. იოანე დამასკელი თავის განმარტებაში მტრისგან თავს მოხვეულ ბოროტ აზრებს უწოდებს, მათით დატყვევებულია გონება. წმინდა მამა გონების კანონს კი სინდისს არქმევს (βιβλ.. θεολογ. κεφ.υθ΄).

[18] სოლომონის მიხ. „ბოროტეულს სიძულვილი მოჰყვება, ლანძღვა-გინებას კი – სირცხვილი (იგავ. 18.3)

[19] სრულყოფილება და ღმერთთან ერთობა ისეთი დიდებული და ფაქიზია, რომ მას ერთმა ბეწვმაც კი შეიძლება ხელი შეუშალოს და ვერ შევძლოთ უფალთან შეერთება. წმ. სვიმონ ახალი ღმრთისმეტყველი ამბობს (λογιζ΄) „თუ რწმენაში მცირე მერყეობა, ორგულობა, შიში ან სხვა ვნებაა, ნიშნავს, რომ არ გვინდა ღირს ვიქმნეთ, რომ უფალი ჩასახლდეს ჩვენს სულში“.

ხელს უშლით სულიერ ცხოვრებაში და ღმერთან ერთობის მიღწევაში. ახალი ადამიანებთან ურთიერთობების რაც უფრო ნაკლებად ეშინია ვინმეს, მით მეტად უნდა ეცადოს მათგან გაქცევას[20].

ზემოთქმულის შემდეგ აღსანიშნავია ერთიც, ადამიანები აკეთებენ სიკეთეს, მაგრამ არა სრულყოფილად, რადგან სურთ, რომ მათ სიკეთეს ხოტბა შეასხან. ამგვარად ცხონების გზაზე ვერ დადგება ადამიანი, პირიქით უწინდელ ცოდვებს დაუბრუნდება და რატომ? იმიტომ, რომ არ უყვარს ჭეშმარიტი სათნოება, არც ღვთის მადლიერია, ღვთისა, რომელმაც ეშმაკის მონობისგან იხსნა. ამასთან ერთად ადამიანი ბრმაა და არ ესმის, რომ განსაცდელი ყოველ წამს შეიძლება შეხვდეს, თვით ისეთ დროსაც, როცა ჰგონია, რომ უსაფრთხოდ არის. ამ დროს თავს იჩენს ცდუნება, უფრო სწორად, დანაკარგი, რაც ნაკლებად ცნობილია ყველასთვის. მრავალნი ცხოვრობენ სულიერი ცხოვრების წესით, მაგრამ ზედმეტად უყვართ საკუთარი თავი (თუმცა სინამდვილეში ამას ვერც ხვდებიან). მეტისმეტად იღვწიან იმისთვის, რაც მათი სურვილიდან მომდინარეობს და ივიწყებენ ყველაფერს, სურვილის საწინააღმდეგოს და არ ებრძვიან მას.

ამიტომაც ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო, მოგიწოდებ, რომ ყოველთვის გიყვარდეს სიძნელე და განსაცდელი, რაც ამ უხილავ ბრძოლას მოსდევს. გიყვარდეს მაშინაც, თუკი შენ დამარცხებული იქნები. ზირაქის სიბრძნეა: „ნუ შეიძულებ მძიმე სამუშაოს“ (7.15). რადგან მასშია ყველაფერი. რაც მეტად გიყვარს სიძნელე, რომელსაც სათნოება და ბრძოლა წარმოაჩენს, მით სწრაფად და ძლიერად გაიმარჯვებ. რას ვამბობ? თუ გიყვარს ვნებებთან მტანჯველი ბრძოლა შენს საკუთარ სათნოებებზე მეტად, ძალიან სწრაფად მოიპოვებ ყოველგვარ სიკეთეს.

[20] აქ შევნიშნავ ძმაო, რომ ბუნებრივი მიდრეკილებები ან ვნებები სასიკვდილო ცოდვად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ჩვენი სხეულებრივი სურვილებიდან მომდინარეობენ. ზოგიერთი ნაკლი და დეფექტი მწარე და მელანქოლიურია, ან მკაცრი და მახვილი, ზოგი მსუბუქი და მერყევი, ზოგი ჯიუტი. ამ ნაკლს უნდა ვებრძოლოთ და სათნოებებად ვაქციოთ. რადგან ყველაფერი ბუნებრივი ველურიც რომ იყოს, ღვთის მადლით და ჩვენი ღვაწლით არ შეიძლება არ დამარცხდეს. ვამბობ, ვებრძოლოთ მათ, რადგან ბუნებითი ნაკლიც და შეძენილიც ხელს გვიშლის სრულყოფილებაში.

თავი მეცამეტე

როგორ ვებრძოლოთ გრძნობისმიერ სურვილებს და რა საქმენი უნდა განხორციელდეს ნებით სათნოებათა მოსაპოვებლად

ყოველთვის, როცა ერთი მხრივ გრძნობიერი სურვილი და მეორე მხრივ ღვთის ნება ებრძვიან შენს გონებრივ სურვილს და თითოეულ მათგანს სურს გამარჯვება, მაშინ უნდა იღვაწო ყოველმხრივ, რომ სრულად გაიმარჯვოს უფლის ნებამ.

პირველი, როცა გებრძვის გრძნობიერი სურვილი, წინ აღუდექი მას ძლიერად, რომ არ დაითრგუნოს შენი ამაღლებული გონებითი სურვილი. მეორე, თუ შეჩერდა შემოტევა, კვლავ აღძარი შენს წინააღმდეგ, რომ დაამარცხო და განაგდო შორს მთელი ძალისხმევით. ამის შემდეგ კიდევ მოუხმე სურვილებს საბრძოლველად და შეეჩვევი, რომ გძულდეს ისინი მთელი სულით[21].

---

[21] ვინც ამას მიაღწია პრაქტიკაში, ის განმტკიცდა და გაძლიერდა გონებით, რომ განთავისუფლებულიყო ყალბი დიდებისგან ჭეშმარიტი აზრით და სულიერ სიტყვათა ჭვრეტით, ეს სიტყვები საღმრთო წერილშია თავმოყრილი. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ ებრძოლონ ვნებებს და აზრებს წმინდა წერილის სიტყვებით, ისე როგორც თვით უფალი შეებრძოლა და დაამარცხა სამი განსაცდელი: სიამოვნებისმოყვარეობა, დიდებისმოყვარეობა და ვერცხლისმოყვარეობა. ასეთი ადამიანები იბრძვიან სწორი და მართალი სიტყვებით, რომლითაც გამოავლენენ ვნებებისა და აზრების სიცრუეს და ცდუნებას.

ამ დროსაც ხდება ბრძოლა მტრებთან და გამარჯვებულნი გვირგვინით იმოსებიან. ისინი, ვინც აზროვნებით უძლურნი არიან, უმჯობესია აზრებს და ვნებებს შეებრძოლონ. უფრო სწორად, როგორც კი შემოუტევენ აზრები ან ვნებები, მაშინვე უფლისკენ წარემართონ ლოცვით, რომ შეწყვიტონ ვნებებთან და აზრებთან საუბარი, როგორც ამბა ისააკი გვასწავლის. ასეთი ადამიანები, სნეულნი არიან, რომელთაც ვნებები და აზრები აწუხებთ და გრძნობენ, რომ ბრძოლის უნარი შესწევთ, პირდაპირ ამ აზრებს და ვნებებს უნდა შეეწინააღმდეგონ, რომ გამოვლინდეს მათი სიმამაცე და ცუდის სიძულვილის თავისუფალი არჩევანი. ამას შესანიშნავად განმარტავს ამბა ისააკი: „თუ არ დადგება დრო ვნებებთან ბრძოლისა, ჩვენ აღვძრათ იგი“.

როცა პირისპირ ვებრძვით ვნებებს და აზრებს, მტკიცე იარაღი და შეწევნაა გულსა და ბაგეზეგვქონდეს უფლის სახელი, ლოცვა: „უფალო,

ეს სამი ბრძოლა უნდა წარიმართოს ყველა ჩვენი სურვილის დროს. (გარდა ხორციელი ვნებებისა, რომელთა შესახებ შესაბამის ადგილას ვისაუბრებთ.)

ბოლოს კი, უნდა გააკეთო ყველაფერი, რაც შენს ვნებებს ეწინააღმდეგება. მაგალითად, თუ ვინმემ შეურაცხყოფა მოგაყენა და მოუთმენლობა არ გასვენებს, ყურადღება მიაქციე და კარგად შეიგრძნობ, რომ შენი მოთმინება ეწინააღმდეგება ამაღლებულ და გონიერ სურვილს და სურს მისი დამორჩილება. შეებრძოლე ამ სურვილს და გაიმეორე ოსია წინასწარმეტყველის სიტყვები: „შევმუსრავ მათ“ (1.5) და არასოდეს შეწყვიტო ბრძოლა იქამდე, სანამ არ გაიგებ, რომ მტერი დაღლილი, დამარცხებულია და სიკვდილის პირასაა. (ყურადღებით იყავი, ეშმაკისგან დაიცავი თავი, რადგან როცა ის ხედავს, რომ ვნებას წინააღმდეგობას ვუწევთ, თუკი თვითონ გვებრძვის, ჩერდება, რადგან ჩვენც შევჩერდეთ და ღვაწლით ვერ შევეჩვიოთ სათნოებების მოპოვებას. ეშმაკი ცდილობს, რომ დაგვეუფლოს ცუდადმზვაობრობა და ამპარტავნება და დავიჯეროთ, რომ მამაცი მეომრები ვართ და უკვე დავამარცხეთ მტრები).

ამიტომაც საყვარელო, შენ გადადი მეორე ბრძოლაში. უფრო სწორედ შენს წინააღმდეგ აღძარი ის აზრები, რაც შენი მოუთმენლობის მიზეზი გახდა. ამ აზრთა ქმედება განაგდე შორს შენგან, და დავით წინასწარმეტყველის სიტყვები გაიმეორე „და მტერნი ჩემნი მომცენ მეოტად და მოძულენი ჩემნი მოსრენ” (ფსალ. 17,41).

საკმარისი არ არის მარტო მტრების განდევნა, არამედ აუცილებელია მათი მოძულება მთელი გულით, რომ სხვა დროსაც არ დავმარცხდეთ. მესამე ბრძოლით კი შეებრძოლები მოუთმენ-

---

იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო შემიწყალე მე“. ამ ლოცვით მტრებსაც ვებრძვით და ვამარცხებთ და ამავე დროს ამპარტავნება არ გვეუფლება, რადგან გამარჯვება უფალს ეკუთვნის. დაიმახსოვრე, რომ უდიდესი იარაღი ამ ბრძოლაში არის აზრების და ვნებების მოძულება, ფსალმუნის სიტყვების მსგავსად: „ხოლო მე ვითარცა ყრუსა, არა მესმოდა და ვითარცა უტყუმან, არა აღაღის პირი თვისი” (ფსალმ. 37,14).

ისე უნდა გააგრძელო გზა სათნოებისკენ, რომ აზრების უმცირესმა შიშმაც არ შეგიშალოს ხელი. ვისაც ეს გზა უყვარს, გამოიყენოს იგი იარაღად და დიდ სარგებელს მოიპოვებს.

ლობას იქამდე, სანამ არ მოიძულებ სრულად ფსალმუნის სიტყვების მიხედვით „მთავარნი მდევნიდეს მე ცუდად და სიტყუათა შენთაგან შეეშინა გულსა ჩემსა" (ფსალმ. 118,162). „შეჰრისხენ შენ ამპარტავანთა; წყეულ არიან, რომელთა გარდააქციეს მცნებათაგან შენთა" (ფსალმ. 118,21).

საბოლოოდ სრულყოფა მიიღწევა შემდეგი სათნოებების მიხედვით[22]. გარდა ამისა სულიერი საქმეები უნდა აღასრულო, რაც მოუთმენლობის წინააღმდეგ იქნება მიმართული, დააცხრვე ენაჲ შენი ბოროტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყჳან ზაკვასა" (ფსალმ. 33,14). მაგალითად, თუ გსურს მოთმინება ჩვეულებად გექცეს, არ კმარა მარტო ზემოთ დასახელებული ბრძოლის საშუალებებით ღვაწლი, ამასთანავე უნდა შეგეძლოს შეურაცხყოფისა და ლანძღვის უგულებელყოფა და მოემზადო მოთმინებით უფრო მძიმე შეურაცხყოფისთვის. ამგვარი საქმეები აუცილებელია იმისთვის, რომ სრულყოფილი სათნოებები მოვიპოვოთ. რადგან სხვაგვარად, სხვა საქმეები, თუნდაც დიდი არ არის საკმარისი სიბოროტის ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად. იქ, სადაც ამოიზარდა ბოროტება, იქვე უნდა აღმოცენდეს სათნოება[23], რომ განიკურნოს იგი. თუკი არ შევეჩვევით მრავალ და მუდმივი ღვაწლით რომ შევიყვაროთ მოთმინება, ვერ გავთავისუფლდებით ვერასოდეს

[22] სათნოებები მიიღწევა მრავალწლიანი და მუდმივი ღვაწლით, ქმედებით და ამიტომაც ჩვეულებად იქცევა, ამ ჩვეულებას მეორე ბუნება ეწოდება, რადგან როგორც ბუნება, ისიც ადვილად ავლენს თავის ქმედებებს.

[23] ეს სწავლება ამბა ისააკს ეკუთვნის. უმჯობესია ვნებები მათი საპირისპირო სათნოებებით დავამარცხოთ, ვიდრე წინააღმდეგობა გავუწიოთ მათ. სულს ხომ სამი ნაწილი აქვს, მოაზროვნე, სურვილიანი და მრისხანე. ამათგან იბადება სამი სახის აზრები. მოაზროვნეთაგან წარმოიშობა ურწმუნოების, უფლის მიმართ უმადურობის, უგუნურების აზრები, ზოგადად ცილის მწამებლური აზრები. სულის სურვილიანი ნაწილიდან იბადება სიამოვნების მოყვარება, დიდების მოყვარეობა, ვერცხლისმოყვარეობა და სხვა ე.წ. სამარცხვინო აზრები. მრისხანე ნაწილი წარმოშობს სურვილს, შფოთს, სამაგიეროს გადახდის ვნებებს, ე.წ. ცბიერ აზრებს. ამრიგად ეს ყველაფერი უნდა დაამარცხო საპირისპირო სათნოებებით. ურწმუნოება - ღვთისადმი მხურვალე რწმენით, უმადურება - უფლისადმი მადლიერებით, განურჩევლობა - კარგისა და ცუდის გარჩევით, უგუნურება - ჭეშმარიტი ცოდნით. სიამოვნების მოყვარეობა - მარხვით და თავშეკავებით, დიდების მოყვარეობა - თავმდაბლობით, ვერცხლისმოყვარეობა

მოუთმენლობის სიავისგან, რაც ყოველთვის დააჭკნობს სათნოებას ზოგჯერ კი მთლიანად ჩაახრჩობს და ჩვენც გვიქმნის დაცემის საფრთხეს. საპირისპირო საქმეთა აღმოცენების გარეშე შეუძლებელია სათნოებების მოპოვება.

დაიმახსოვრე, ეს საქმეები იმდენი უნდა იყოს და იმდენ ხანს გაგრძელდეს, სანამ სრულად არ განადგურდება ჩვენს გულში ფესვგადგმული ბოროტების ჩვეულება, ცუდ საქმეებზე კარგი უნდა აღმოცენდეს, მაშინ გახდება სათნოება ჩვეულება. კეთილი საქმეები ბოროტს არ ჰგავს, ისინი ცოდვისაგან ხრწნადი არ არის.

კიდევ ერთს დავამატებ; თუ სათნოება, რაშიც იწვრთნები, მოითხოვს, მაშინ შინაგან ღვაწლთან ერთად გარეგნული საქმეებიც უნდა აღასრულო. ასე მაგალითად, მოთმინების მოსაპოვებლად არ კმარა გიყვარდეს შენი შემწუხებლები. არამედ მათ უნდა მიმართო სიყვარულით სავსე სიტყვებით და ემსახურო კეთილი საქმით, რათა მათში სინანული აღძრა[24]. ეს სულიერი და

- უპოვრებით. სიძულვილი - სიყვარულით, შურისძიება - მოთმინებით, შფოთი - გულის სიმშვიდით. წმ. მაქსიმეს სიტყვები რომ გავიმეოროთ: „სულის გონიერი ნაწილი მოკაზმე ლოცვის სათნოებით და ღვთიური ცოდნით და ამგვარად შენი გონების სინათლე არასოდეს არ დაბნელდება“.

[24] იოანე ოქროპირი ამბობს (ομιλ. მათეს IV თავის განმარტებები), რომ უფალი ამ თავში (მათ. 4). გადმოგვცემს ცხრა საფეხურის შესახებ. ამ საფეხურებით მაღლდება ყველა ქრისტიანი: 1) ქრისტიანი არ უნდა მოექცეს უსამართლოდ არავის; 2) თუკი ქრისტიანს უსამართლოს მოექცევიან, მან მსგავსი საქციელით არ უნდა უპასუხოს; 3) არ გაუკეთოს სხვებს ბოროტება, თუკი მას გაუკეთეს, არამედ მოითმინოს და დამშვიდდეს; 4) არა მარტო დამშვიდდეს, არამედ ნებით მიიღოს ბოროტისგან ტანჯვა; 5) მოითხოვოს ბოროტის მქმნელისგან მეტი ტანჯვა; 6) არ შეიძულოს მისთვის ავისმქმნელი; 7) შეიყვაროს მთელი გულით მისთვის ბოროტისმქმნელი; 8) სათნო ეყოს მას; 9) ევედროს უფალს მტრისათვის. წმ. სვიმონ ახალი ღმრთისმეტყველი, უვნებობისა და მის მადლთა შესახებ, ცხრა საფეხურს ამატებს კიდევ უფრო დიდ სამს: 1) არა მარტო ვილოცოთ მტერთათვის, არამედ აღვიბეჭდოთ წარმოსახვაში მათი სახეები და ვეამბოროთ მათ უვნებოთ, სიყვარულის ცრემლით როგორც ერთგულ მეგობრებს, 2) შევინარჩუნოთ ბოროტის ქმნის დროს მათდამი გულითადი, კეთილი დამოკიდებულება, 3) უნდა დავივიწყოთ ყველაფერი, რაც შეგვამთხვიეს და აღარ გავიხსენოთ, არც მაშინ, როცა ჩვენი ბოროტისმქმნელნი ჩვენ გვერდით არიან, და მაშინაც, როცა არ არიან, და მათ მეგობრების მსგავსად მოვექცეთ, ვესაუბროთ და ვჭამოთ მათთან ერთად.

ფიზიკური საქმეები რთულად გეჩვენება შენი გონების უძლურების გამო. ყველა შემთხვევაში ნუ მიატოვებ ამ ღვაწლს. რაც არ უნდა სუსტი იყოს ეს საქმეები შენ განგამტკიცებს ბრძოლაში და გიადვილებს გამარჯვების გზაზე სიარულს. ყურადღებით იყავი და ებრძოლე არა მარტყო შენს დიდ და ძლიერ სურვილებს, არამედ მცირესაც, თითქოს უმნიშვნელოს, რაც ვნებებიდან მომდინარეობს. პატარა სურვილები დიდს უხსნიან გზას. ამის შემდეგ იბადება ჩვენში ავი ზრახვები.

შეგახსენებ, რომ საჭიროა დათრგუნო იმ საგანთა სურვილიც, რაც დაშვებულია, მაგრამ არ არის აუცილებელი (ასეთია მაგ. ბევრი საუბარი, მსუქე საჭმელი და სხვ.). ამას მოსდევს ბევრი კარგი რამ. მათით მოემზადები მეტად საკუთარ თავზე გასამარჯვებლად. განსაცდელებში საბრძოველად გამოწრთობილი განეშორები ეშმაკის ხიფათს და უფლისთვის სათნო მდგომარეობას მიაღწევ.

თუკი მოეშვები საყვარელო ამ წმინდა ღვაწლის გზას, გჯეროდეს, რომ სულ ცოტა ხანში ბევრს მიაღწევ და ჭეშმარიტად სულიერი ადამიანი გახდები, ჭეშმარიტი და არა ყალბი, რომელიც მხოლოდ სახელი აქვს „სულიერი“. სული წმიდის მადლს ვერ მოვიპოვებთ მარტო ჩვენთვის სასიამოვნო ღვაწლით. როგორც პირველ თავში აღვნიშნე, ეს მადლი მიიღწევა იმგვარი ღვაწლით, რაც ჩვენს ბუნებას ჯვარის ტარებასა და ტანჯვის ატანას აიძულებს, ასე აღასრულებს ადამიანი სახარებისეული სათნოებებს და უერთდება ჯვარცმულ შემოქმედს.

დაიმახსოვრე, რომ ბოროტების ჩვეულება ხანგრძლივი გონებრივი სურვილიდან იბადება, და გადაეცემა გრძნობისმიერ სურვილებს. ამის მსგავსად სახარებისეული სათნოებების შეჩვევა მიიღწევა ხანგრძლივი და მრავალი საქმის აღსრულებით და ღვთის ნების მორჩილებით და სათნოებისკენ წარიმართება.

ჩვენი გონებრივი სურვილი არ იქნება არასოდეს ცუდი და მიწიერი, რაც არ უნდა ებრძოდეს მას ხორციელი სურვილი თუკი არ დაემორჩილება მას. ასევე გონებრივი სურვილი ვერ იქნება სათნო და უფალთან დაკავშირებული თუ უფლის მადლისგან არ მომდინარეობს და არ ემორჩილება სრულად მის ნებას როგორც ფიზიკური, ისე სულიერი საქმეებით.

თავი მეთოთხმეტე

რა უნდა მოვიმოქმედოთ, როცა ამაღლებული გონებრივი ნება მდაბლისაგან და მტრისაგან დამარცხებული ჩანს

თუკი ერთხელ იგრძნობ, რომ ცოდვიანმა სურვილმა შემოგიტია და მისი წინააღმდეგობა არ შეგიძლია და გგონია, რომ საერთოდ ბრძოლის სურვილი გაგიქრა, ძმაო, ხელებს ნუ ჩამოუშვებ, მტკიცედ დადექი, ბრძოლას ნუ მიატოვებ, რადგან გამარჯვებულად ჩაითვლები თუკი საკუთარ თავს დარცხვენილს ვერ დაინახავ. ჩვენს ამაღლებულ ნებას საქმეთა აღსასრულებლად არ სჭირდება მდაბალი სურვილების არსებობა, რადგან ეს უკანასკნელნი ვერასდროს დაამარცხებენ ამაღლებულ ნებას უძლიერესი ბრძოლითაც კი. უფალმა ჩვენი ნების იმგვარი თავისუფლება და ძალა მოგვანიჭა, რომ ყველა დემონი, ყველა გრძნობა და მთელი სამყაროც რომ აღიჭურვოს მასთან საბრძოლველად, ჩვენი თავისუფალი ნება შეძლებს ყველა წინააღმდეგობის უგულებელყოფას და ისურვებს იმას, რაც სურს, რამდენჯერაც სურს და რა მიზანითაც სურს და მოსწონს რაიმე.

თუკი ოდესმე გონებრივი მტრები და ცოდვიანი სურვილი ძლიერად დაგვეუფლება, ბრძოლაში დაუძლურდები და ვერ შეძლებ სულიერი საქმით წინ აღუდგე და ეს დაგეხმაროს, მაინც ნუ დაუშვებ იარაღს მიწაზე. გამოიყენე სხვა იარაღი და უთხარი მტრებს: „უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა მეშინოდის? უფალი შესავედრებელ არს ცხორებისა ჩემისა; ვისგან შევძრწუნდე?" (ფსალმ. 26.1). „შენ გამო მტერნი ჩუენნი დავრქენეთ და სახელითა შენითა შეურაცხვყუნეთ იგინი, რომელნი აღდგომილ არნ ჩემ ზედა" (ფსალმ. 43.7). „ჩუენ თანა ღმერთი ცანთ წარმართთა და იძლიენით, ისმინეთ ვიდრე დასასრულამდე ქუეყანისა და განძლიერებულნი იძლიენით, რამეთუ უკეთუ კუალად განძლიერდეთ, კუალად იძლიენით, ხოლო უფალი ძალთა - იგი იყოს შენდა შიშ და უკეთუ მისდამი მოსავ იყო, იყოს შენდა წმიდამყოფელად" (ესაია. 8, 9.12-14).

შენ ისე მოიქეცი, როგორც ხილულ ბრძოლაში იქცევა მტრისგან შევიწროებული მეომარი. იგი უკან იხევს, რათა უკეთესი წერტილი აირჩიოს დასაკვირვებლად და პირდაპირ კი არ შეუტიოს მას, გვერდიდან ესროლოს და დაჭრას. შენც მას მიბაძე, გონება მოიკრიფე, საკუთარ თავს ჩაუღრმავდი და გაიაზრე, რომ არაფერი არა ხარ, უძლური ხარ და მიენდე უფალს, რომელიც ყოვლისშემძლეა და მოუხმე მას თბილი სასოებით და ცრემლით ვნებასთან საბრძოლველად, თქვი: „საჯენ უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა" (ფსალმ 34.1.)

„ღვთისმშობელო ქალწულო, შემეწიე, რათა არა მძლე მექმნეს მტერი".

თუ ვნება და მტერი დროს გაძლევს, მაშინ შეგიძლია სხვაგვარად დაეხმარო შენს უძლურებას. მაგ. ხარ განსაცდელში და ვერ უძლებ მას, მაშინ:

1) იფიქრე, რომ გადასატანი განსაცდელის გაძლება ღირს, რადგან თავად ხარ მისი გამომწვევი და უნდა გაუძლო იმ ჭრილობებს, რაც საკუთარი ხელით გახსენი.

2) თუკი განსაცდელში ბრალი არ მიგიძღვის, დაფიქრდი შენ სხვა დიდ შეცდომებზე და იფიქრე, რომ უფალმა ჯერ კიდევ არ დაგსაჯა მათ გამო და არც შენ იაზრებ შენს შეცდომებს სწორად, მოწყალე ღმერთმა შეგიწყალა და გიცავს საუკუნო სატანჯველისგან. ამიტომაც მოგეცა დროებითი განსაცდელი, ამიტომ მიიღე სასოებით და კმაყოფილებით.

3) იფიქრე, თუნდაც მოგესწრო და შეგესრულებინა კანონი ყველა ჩადენილი ცოდვისთვის, რომლითაც ღმერთისთვის არა სათნო ჩაიდინე. იფიქრე, რომ ზეციურ სასუფეველში მხოლოდ განსაცდელითა და ტკივილის ვიწრო კარიბჭის კარის გავლით შედიან. „მრავლითა ჭირითა ჯერ-არს ჩუენდა შესლვაჲ სასუფეველსა ღმრთისასა" (საქმ. 14.22).

4) შენ შეგიძლია სასუფეველში სხვა გზით შეხვიდე, ეს ღვთის სიყვარულის გზაა (მაგრამ ამაზე არ იფიქრო არასდროს), რადგან ძე ღვთისა და მისი მოწაფეები ეკლებითა და ჯვრებით შევიდნენ ზეციურ სასუფეველში.

5) იფიქრე, რომ შენი განსაცდელი უფლის ნებაა (ეს ყველა შენი ქმედებისა და მწუხარების დროს უნდა იფიქრო). იგი სიყვარულით გიყურებს და ხარობს, როცა გხედავს, რომ განსაცდელს უძლებ რწმენით მტკიცედ და მამაცი მებრძოლივით. ამგვარად, ღმერთის შენდამი სიყვარულის საპასუხოდ, რაც არ უნდა უსამართლო და მძიმე განსაცდელი გქონდეს, გაუძელი, მოითმინე მადლიერებით. ასე შენ საქმით ამტკიცებ სიყვარულს და უმძიმეს ტანჯვაშიც გიყვარს მხოლოდ უფლის ნება, რომლის გვერდით ყველაფერი მწარე ტკბილია, ყოველივე უწესრიგო მოწესრიგებული და სრულყოფილია.

თავი მეთხუთმეტე

უნდა ვიბრძოლოთ მთელი ძალისხმევით უწყვეტად და მამაცურად

თუ გსურს მტრებზე სწრაფად და ადვილად გამარჯვება, საჭიროა იბრძოლო ძმაო, უწყვეტად და მამაცურად ყველა ვნების, განსაკუთრებით კი საკუთარი თავის სიყვარულის, უფრო ზუსტად საკუთარი თავის გამადმერთებული სიყვარულის წინააღმდეგ. ამქვეყნიური მწუხარების სიყვარულით მიღებას უნდა შეეჩვიო.

თუკი ადამიანი ვერ შეიცნობს თავის თავთან ბრძოლის მნიშვნელობას და უგულებელყოფს მას, მაშინ გამარჯვება რთული, იშვიათი და წარმოუდგენელი იქნება. ამრიგად, სულიერი ბრძოლა უნდა წარიმართოს უწყვეტად, სიკვდილამდე მამაცურად. ამ სიმამაცეს კი ადვილად მოიპოვებ, თუ ღმერთისგან ითხოვ. თუ იმაზე იფიქრებ სიძულვილის და დამორჩილების როგორი მრისხანე სურვილი ამოძრავებთ შენს მტრებს შენდამი, იფიქრე იმაზე, რომ ბრძოლის მეორე მხარეს არის უფლის ძალმოსილება და უსაზღვრო სიყვარული, ზეციური ანგელოზებიც მტრებზე მეტ-

ნი არიან და წმინდანთა ლოცვაც უფრო ძლიერია. ისინი ჩვენს მხარეს არიან, როგორც ნათქვამია ამალეკის შესახებ: „რამეთუ ხელითა დაფარულითა ჰბაძავს უფალი ამალეკსა ნათესავით ნათესავამდე" (გამოს. 17,16) ამგვარი აზრით განმტკიცდა უამრავი ქალი და ბავშვი და დაამარცხა ამქვეყნიური სიბრძნე, ეშმაკის ცდუნება და ჯოჯოხეთის სიბოროტე. არ უნდა შეშინდე არასდროს, მაშინაც კი როცა გგონია, რომ მტრების ბრძოლა ძლიერია და მთელი შენი ცხოვრების მანძილზე გაშინებს დაცემით სხვადასხვაგვარად. მტრების ყოველი ძალა და ცოდნა უფლის, იესო ქრისტეს ხელშია, შენ სწორედ მისთვის იბრძვი. უფალი გიხმობს ბრძოლაში და არა თუ არ მიგატოვებს დასამარცხებლად, არამედ, პირიქით, ის შენთვის იბრძოლებს და დამარცხებულ მტრებს ჩაგიგდებს ხელში (მეორე სჯ. 23,14).

თუკი უფალი გამარჯვებას დაგიგვიანებს[25] სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ესეც შენს სასარგებლოდ მოხდება. შენ, მხოლოდ შენ უნდა იბრძოლო დიდსულოვნად, კიდეც რომ დაიჭრა ბრძოლაში, არ შეჩერდე, არ დაყარო იარაღი და არ გაიქცე. მამაცურად რომ იბრძოლო, იცოდე, ეს ბრძოლა გარდაუვალია ნებისმიერი ადამიანისთვის სიცოცხლეშიც და სიკვდილშიც. ვინც არ იბრძვის ვნებების და მტრების დასამარცხებლად, ის დატყვევებული იქნება ან აქვე (ამქვეყნიურ ცხოვრებაში - მთარგმნ.) ან იმქვეყნად გარდაცვალების შემდეგ.

უფალი არ კლავს ჩვენში ყველა ვნებას, ზოგიერთს გვიტოვებს სიცოცხლის ბოლომდე საბრძოლველად, იმავე მიზნით, რომ გამოსცადოს ჩვენი მისდამი სიყვარული, მისი ნების მორჩილება და გვასწავლოს სულიერი ბრძოლა. ამ საკითხს ზუსტად განმარტავს თეოდორიტე. მისი სიტყვებით უფალი ამას აკეთებს იმისთვის, რომ

[25] ღმერთმა როცა აღთქმულ მიწაზე მიიყვანა ებრაელები, იქ მცხოვრები ყველა ტომი არ დაახოცინა. დატოვა ისრაელიანთა მოქიშპე ხუთი ხალხი. ეს იმიტომ მოხდა, რომ ერთი მხრივ გამოსცადა ღმერთმა ებრაელები, რამდენად სწორედ ასრულებდნენ რჯულს და მეორე მხრივ იმიტომ, რომ ესწავლებინა ბრძოლა (მსაჯულთა 3,1-3, 2, 21-23).

1) არ გავხდეთ უდებნი, ვიფხიზლოთ, ვიყოთ ყურადღებით.

2) არ დაგვავიწყდეს ბრძოლა და ვნებებმა არ დაგვიმორჩილონ.

3) უფალს მოვუხმოთ ხშირად და შეწევნა შევთხოვოთ.

4) ამპარტავნება არ დაგვეუფლოს და ვიყოთ თავმდაბალნი.

5) მთელი გულით შევიძულოთ ვნებები და მტრები, რომლებიც დაუღლელად გვებრძვიან.

6) უნდა გამოვიცადოთ, შევძლებთ თუ არა სიცოცხლის ბოლომდე დავიცვათ უფლის სიყვარული და რწმენა.

7) ბეჯითად ვეცადოთ დავიცვათ უფლის ყველა მცნება და მცირედაც არ გადავუხვიოთ.

8) განსაცდელით ვისწავლოთ რა არის სათნოება და ცოდვას განვერიდოთ.

9) უწყვეტი ბრძოლის საფასურად გვირგვინი მივიღოთ.

10) ვადიდოთ ღმერთი და ვარცხვინოთ ეშმაკი და ცოდვა მოთმინებით სიცოცხლის ბოლომდე.

11) ბრძოლას შეჩვეულებს აღარ შეგეშინდეს სიკვდილის წინ, როცა ყველაზე დიდი ბრძოლის გადატანა მოგვიწევს.

ამრიგად, უნდა ვიბრძოლოთ ვაჟკაცურად და მუდმივად, რადგან გვყავს მტრები, რომელთაგან მშვიდობას, შესვენებას და ბრძოლის შეწყვეტას არ უნდა ველოდეთ. კარგი იქნებოდა, თავიდანვე არ შემოგვეშვა ვნებები გულსა და სულში. თუკი ერთხელ დამკვიდრდა ვნება სულში, მას ვეღარ უგულებელვყოფთ. უნდა ვებრძოლოთ, რომ მისგან გავთავისუფლდეთ. ეს კი ბრძოლის გარეშე შეუძლებელია[26].

---

[26] წმ. ბასილი დიდი თავის ჰომილიაში „ქალწულებისთვის“ წერს: „როგორც მეფის მეომრები ომის დროს საბრძოლო აღჭურვილობით დატვირთულ ურმებს ღია სახლებში ტოვებენ და არ ეშინიათ, რომ მათ ვინმე გადაყრის, სწორედ ასე ცბიერი დემონები გულის კარს ღიას ნახავენ თუ არა, თავიანთ იარაღს – ბოროტ აზრებს და ვნებებს იქ ტოვებენ, თუკი ჩვენ არ შევებრძოლებით და არ გადავყრით“.

თავი მეთექვსმეტე

ქრისტეს მეომარი გაღვიძებისთანავე როგორ უნდა ჩაებას ბრძოლაში

დილით რომ გაიღვიძებ, ილოცებ და წარმოთქვამ: „უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე.” ამის შემდეგ პირველად იფიქრე იმაზე, რომ უყურებ ერთ ადგილს და ერთ მდგომარეობაში[27] ჩაკეტილ საკუთარ თავს. ეს შენი გული და მთელი შენი შინაგანი სამყაროა. ვინც იქ არ იბრძოლებს, ის მარადიულად მკვდარი იქნება. წარმოიდგინე, რომ გულის სიღრმეში უმზერ მტერს და შენს ბოროტ სურვილს, რომელთან ბრძოლა გადაწყვიტე და მზად ხარ მოკვდე კიდეც, ოღონდაც გაიმარჯვო.

ამგვარ მდგომარეობაში ყოფნისას, გვწამდეს, რომ მარჯვნივ ხედავ გამარჯვების მომტან მთავარსარდალს – უფალს ჩვენსას, იესო ქრისტეს, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელს, ანგელოზთა და წმინდანთა დასს, პირველ ყოვლისა მიქაელ მთავარანგელოზს. შენს მარცხნივ კი ხედავ მიწისქვეშეთის ეშმაკს თავის დემონებთან ერთად. ისინი ცდილობენ შენს წინააღმდეგ აღძრან ვნება და ბოროტი სურვილი და გაიძულონ მიატოვო ბრძოლა, მათ დაემონო. წარმოიდგინე, რომ ყურში ჩაგესმის მფარველი ანგელოზის ხმა: შენ დღეს იბრძოლებ ამ ვნების და სხვა მტრების წინააღმდეგ. ნუ შედრკება შენი გული და ნუ შეწყვეტ ბრძოლას შიშის ან სხვა რამის გამო, რადგან უფალი ჩვენი იესო ქრისტე ათასობით ანგელოზთა დასით გარშემორტყმული დგას შენი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად და არ დაუშვებს შენს დამარცხებას: „უფალი ებრძოლოს თქუენ წილ და თქუენ დუმენით” (გამოსლვ. 14.14)

ასე რომ, იდექი მტკიცედ, ძალა დაატანე შენს თავს, მოითმინე ტკივილი, რომელსაც იგრძნობ და ბევრჯერ გაიმეორე გულის სიღრმიდან: „მტერთა ჩემთათვის ნუ მიმცემ მე სულთა მაჭირვებელთა ჩემთა“ (ფსალმ. 26.14). მოუხმე უფალს და ყოვლადწმინდა ქალწულს, წმინდანებს და უთუოდ გაიმარჯვებ, რადგან

[27] მდგომარეობა ანუ სტადია ის არის, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს.

ნათქვამია: „მივსწერ თქუენდა, ჭაბუკნო, რამეთუ გიძლევიეს ბოროტისადა“ (იოან. 1.2,13). თუ შენ სუსტი და მცირეს მცოდნე ხარ, მტრები კი ძლიერნი და მრავალნი არიან, მაშინ შენი შემოქმედისგან უფრო მეტი შემწეობა გექნება, რადგან მან შეგქმნა და გიხსნა, ამიტომ შეუდარებლად ძლიერია ამგვარ ბრძოლაში უფალი. გაიხსენე ფსალმუნის სიტყვები: „ვინ არს ესე, მეუფჱ დიდებისა, უფალი ძლიერი და მტკიცე, უფალი ძლიერი ბრძოლასა შინა?“ (ფსალმ. 23,8).

უფალს უფრო მეტად სურს შენი გადარჩენა, ვიდრე მტერს შენი განადგურება. ამიტომაც იბრძოლე და არ დაგეზაროს ამგვარი ღვაწლი. ამ ღვაწლისგან, ძალისხმევისგან და განსაცდელისგან, რასაც ბოროტთან ბრძოლაში გრძნობ, იბადება გამარჯვება და უდიდესი საგანძური, რომლითაც მოიპოვება ზეციური სასუფეველი და სული უერთდება სამარადისოდ უფალს.

უფლის სახელისთვის სასოებითა და უფლისმიერი სიმტკიცით ებრძოლე საკუთარ თავს. ლოცვით და ღვაწლით გაძლიერდი. განსაკუთრებით განგამტკიცებს გულისმიერი და გონებითი ლოცვა, – ეს იარაღია სიტყვები: უფალო, იესო ქრისტე – საშინელი სახელი, რომელიც ბაგეებიდან მახვილივით იჭრება გულში და დაანაწევრებს ვნებებს და დემონებს. ამასთან დაკავშირებით თქვა იოანე სინელმა: „იესოს სახელით გაამათრახე მტრები“. ამის შესახებ სხვა ადგილას ვისაუბრებთ. შეებრძოლე შენს წინააღმდეგ აღძრულ ვნებებს და ბოროტ სურვილს, როგორც გასწავლე, ეს ბოროტი სურვილი უნდა დაამარცხო წინა თავში ჩამოთვლილი რიგის მიხედვით. უფრო სწორად, ზოგჯერ წინააღმდეგობებით, ზოგჯერ შეიძლება ისე დაჭრა, რომ სიკვდილის პირას მიიყვანო, ზოგჯერ მოძულებით, ზოგჯერ მისი საპირისპირო სათნოებით. აღასრულე ღვთისათვის სათნო საქმეები. ღვთისათვის, რომელიც ზეცაში მოზეიმე ეკლესიით უხილავად დგას და შენს ბრძოლას ადევნებს თვალყურს. ამ ბრძოლაში არ უნდა დამწუხრდე, იფიქრე თითოეული ჩვენგანის მოვალეობზე, რომ უნდა ვიშრომოთ ღვთისათვის სათნოდ. და ვიბრძოლოთ ისე, როგორც გასწავლე. თუკი მივატოვებთ ბრძოლას, ყველა

შემთხვევაში მოვკვდებით, თუ გაიქცევი ერთი წუთით ბრძოლას როგორც განდგომილი და ამქვეყნიერ ცხოვრებაში გადაეშვები, მიეცემი სხეულის შვების მომგვრელ ქმედებებს, ამის შემდეგ მაინც უნდა აიძულო თავი, და ბრძოლა განაგრძო. ამდენი წინააღმდეგობით, რომლითაც სახე გაგიოფლიანდება და გული დაგეჭრება სასიკვდილო ჭრილობებით. და მერე რა? სიბერის ჟამს. სიკვდილის წინ შენი ვნებების დემონები გარს შემოგერტყმიან. და ისე დაგიმორჩილებენ, შებრძოლებას ვეღარ შეძლებ და განწირული ხარ საუკუნო სიკვდილისათვის. ამიტომაც, საყვარელი მკითხველო, ნუ იქნები ასეთი უგუნური, არამედ გონიერებით დაითმინე ბრძოლის სიმძიმე, მომავალი გამარჯვებისთვის, რომ მოიპოვო გვირგვინი და შეუერთდე უფალს ამ ქვეყნადაც და ზეციურ სასუფეველშიც: „გახსოვდეს შენი გამჩენი შენს სიჭაბუკეში, ვიდრე დაგიდგებოდეს მწარე დღეები და გეწეოდეს წლები, რომლებზეც იტყვი, რაღაში მადგიან მე ისინიო“ (ეკლეს. 12.1.)

თავი მეჩვიდმეტე

როგორი წესით უნდა ვებრძოლოთ ჩვენს ვნებებს

ძმაო, საჭიროა ისიც იცოდე, წესი, რომლიც უნდა დაიცვა ვნებებთან ბრძოლაში და არ იბრძოლო უბრალოდ, როგორც მოგიხერხდება, ისევე, როგორც სხვები იბრძვიან და მარცხდებიან. ეს ცოდნა აუცილებელია, მტრებისა და ბოროტი სურვილების წინააღმდეგ ბრძოლის წესი ასეთია: ჩაუღრმავდი შენს გულს და ბეჯითად გამოიძიე, რომელი აზრებითა და სურვილებით არის იგი გარშემორტყმული, რომელი ვნებითაა დამორჩილებული და ტანჯული. თავდაპირველად სწორედ ამ ვნების წინააღმდეგ აღმართე იარაღი და შეებრძოლე. თუკი მოხდება ისე, რომ სხვა ვნებებისგანაც შეწუხდები, შენ მაინც უნდა ებრძოლო, – უახლოეს ვნებას, რომელიც ყველაზე მეტად გიმორჩილებს.

თავი მეთვრამეტე

როგორ უნდა ვებრძოლოთ ვნებების უეცარ შემოტევას

საყვარელო მკითხველო, თუ შენ კიდევ არ ხარ შეჩვეული ცდუნებების, ან სხვა მოვლენების უეცარ შემოტევებიან ბრძოლას, გირჩევ შემდეგნაირად იმოქმედო; შენ ყოფნისას შეეჩვიე იმას, რომ შეგხვდება მრავალი წინააღმდეგობა, შეურაცხყოფა, ცდუნება, მიიღებ ჭრილობებსაც. ამიტომაც მომზადებული იყავი და ნუ შეშფოთდები, არამედ მოითმინე მადლიერებით შფოთის გარეშე. ამგვარი მომზადება გვჭირდება შინიდან გასვლის წინ, ან ადვილად განრისხებად ადამიანთან საუბრისას. ასეთი წინასწარი მომზადება და გაწვრთნა გონიერი საქციელია, ამიტომ მრისხანების ვნების შემცირება აღარ გამოიწვევს შფოთს: „განვემზადე და არა შევძრწუნდი, რამეთუ ვიმარხენ მე მცნებანი შენნი“ (ფსალმ. 118.60)[28].

წინასწარ მომზადებასთან ერთად გამოიყენე შემდეგი საშუალებაც. თუკი შემთხვევით ვინმე დაიწყებს შენს ლანძღვას, ან სხვაგვარად შეურაცხყოფას მოგაყენებს, შეჩერდი ცოტა ხნით: მოიკრიფე აზრები გულში და მთელი ყურადღება მიმართე გონებისკენ, რომ არ აღშფოთდეს გული. თუ ვერ მოასწარი და გულში შფოთი გაივლე, ნუ გამოუშვებ ვნებებს გარეთ და შეიკავე თავი სამწუხარო ლანძღვისგან: „ჩემ შორის შემიძრწუნდა გული ჩემი“ (ფსალმ. 142.3-4)[29].

---

[28] ეს სიბრძნე და ჭეშმარიტებაა, რადგან წინასწარ მომზადება უძლიერესი ქმედითი და დამცავი იარაღია ვნებების უეცარი შემოტევისას. მოულოდნელად ზღვაზე ამოვარდნილი ქარიშხალი ამოატრიალებს გემებს და ყველაზე გამოცდილი მეზღვაურებიც უიმედო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან სწორედ ასევე ვნებების მოულოდნელი შემოტევები სათნოებაში სრულყოფილი ადამიანებსაც აკარგვინებენ განჯის უნარს.

[29] მრისხანების ვნება და შფოთი გარეთ არ გამოვა. ზღვის ტალღა თუ საზღვრებს არ გადასცილდება დამშვიდდება, ასევე შეკავებული მრისხანებაც მშვიდდება. ასე განმარტავს წმ. ბასილი დიდი („სიტყუაჲ მრისხანებისათჳს“).

თანდათან თავს ძალა დაატანე და აიმაღლე გონება ღმერთამდე, იფიქრე შენდამი მის უსაზღვრო სიყვარულზე, რომლითაც გამოგიგზავნა ეს განსაცდელი, რომ განგწმინდოს მეტად და უკეთ შეუერთდე მას. ამგვარი ფიქრით შენს თავს ჩაუღრმავდი და უთხარი: „უძლურო და ტანჯულო! რატომ არ გინდა იხარო ჯვრით და განსაცდელით, რომელიც გამოგიგზავნა არა ვიღაცამ, არამედ თავად ზეციურმა მამამ. შემდეგ მიუბრუნდი ჯვარს და ემთხვიე გონებით უფრო დიდი სიხარულით. წარმოსთქვი: „ჯვარო, რომელიც ღვთისგან აღიმართე ჩემს დაბადებამდე! ჯვარო, რომელიც დატკბი ჯვარცმულისაგან! მინდა გაგეკრა, რადგან სრულყოფილად შევუერთდე როგორც ჩემს მხსნელს, და მოვკვდე ჯვარცმული“. თუკი მრისხანების ვნება ამოძრავდება და ვერ მოასწრებ გონების აღმართვას უფლისკენ, მაინც ეცადე სწრაფადვე ღმერთს მიმართო, თითქოს არც აღშფოთებულხარ, და შეგეწევა იგი.

ყველაზე შედეგიანი კურნება ვნებებისა, მათგან და მათი გამომწვევი მიზეზებისგან განშორებაა. არსებობს ორი მიზეზი; სიყვარული და სიძულვილი. საყვარელო მკითხველო, თუკი გაქვს ვნებიანი სიყვარული ვინმეს ან რამეს მიმართ და მას წაგართმევენ ან შეაწუხებენ, მაშინვე შფოთი შეგიპყრობს და გული აღელდება თანაგრძნობით. ამ დროს უნდა იბრძოლო და გულიდან ამოიგდო ეს ცუდი სიყვარული. რამდენადაც დიდია ან მცირეა ამგვარი სიყვარული, იმდენად დიდია და მცირე ვნების უეცარი თავდასხმა.

პირიქით თუ გძულს ვინმე ან რამე და ამით მუდმივად შფოთავ, აიძულე თავი, რომ საძულველი შეიყვარო. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისიც შენნაირი ღვთის ქმნილებაა, როგორც შენ და უფლის ხატად და მსგავსად შექმნილი უფლისავე ხელით. არა მარტო იმიტომ, რომ ისიც შენსავით ქრისტეს პატიოსანი სისხლით არის გამოხსნილი, შენი მოძმეა და შენი სხეულის ნაწილია, არ უნდა გძულდეს. და იმიტომ, რომ დაწერილ-

[30] იოანე ღმრთისმეტყველი წერს: „რომელსა არა უყუარდეს ძმა**ჲ**, სიკუდილსა შინა დადგრომილ არს“, „რომელსა სძულდეს ძმა**ჲ** თ**ჳ**სი, იგი კაცის-მკვლელ არს“ (1. იოან. 3.14-15).

ია: „არა გძულდეს ძმაი შენი გონებითა შენითა“ (ლევიტ. 19,17)[30]. თუნდაც იყოს ცუდი და სიძულვილის ღირსი ადამიანი, როცა ის გიყვარს ემსგავსები ღმერთს, რომელსაც უყვარს ყველა თავის ქმნილება, როგორც ამბობს მეფე სოლომონი: „რადგან ყოველი არსებული გიყვარს, არც არას მოიძულებ, რაც შეგიქმნია“ (სოლომ. 11.24). და უფრო მეტად კი გახსოვდეს, რომ უფალი ადამიანთა სიცუდეს არ ამჩნევს და „მზე მისი აღმოვალის ბოროტთა ზედა და კეთილთა და წჯმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მათ. 5.45).

თავი მეცხრამეტე

როგორ უნდა ვებრძოლოთ ხორციელ ვნებებს

საყვარელო ძმაო, ხორციელი ვნებების წინააღმდეგ განსხვავებულად უნდა იბრძოლო. მოწესრიგებულად ბრძოლისთვის საჭიროა იცოდე, რომ არსებობს სამი დრო და სამგვარი ბრძოლა: განსაცდელამდე, განსაცდელის ჟამს და განსაცდელის გავლის შემდგომ.

განსაცდელის წინ ბრძოლა წარიმართება მისი გამომწვევი მიზეზის წინააღმდეგ. თავდაპირველად შენ უნდა წინ აღუდგე არა თვით ვნებას, როგორც წინა თავში გასწავლე, არამედ განეშორე მთელი შენი ძალით ყველაფერს, რაც ხორციელ ვნებას აღძრავს. თუკი ზოგჯერ აუცილებელია ესაუბრო ამგვარ საკითხზე, ეცადე ილაპარაკო მოკლედ, თავმდაბალ და სერიოზულ ადამიანთან. შენი საუბარი იყოს მტკიცე და არა ტკბილი.

„არასოდეს ენდო შენს მტრებს“ (სიბრძ. ზირაქისა 12.10)

და ნურასოდეს ენდობი საკუთარ თავს, რადგან როგორც სპილენძი ჟანგდება, ასევე ხრწნილი ბუნებისგან იბადება ბოროტება.

„არასოდეს ენდო შენს მტერს, რადგან სპილენძივით ჟანგდება მისი ბოროტება“ (სიბრ. ზირაქისა 12.10)

კვლავ გიმეორებ, ნუ ენდობი საკუთარ თავს. დავუშვათ შენ არ გიგრძვნია აქამდე, ვერც მერე შეიგრძნობ დიდხანს ხორციელ

ტყვეობას. ეს ბოროტება ერთ საათში ისე მოქმედებს, რაც დიდი ხნის მანძილზე არ უმოქმედია. ხშირად ხორციელი ვნება ფასეულად მოქმედებს. რაც მეტად გიახლოვდება, ნაკლებ ეჭვს ბადებს და მეტისმეტად გაზიანებს და უკურნებელ ჭრილობას გაყენებს[31].

ხშირად უნდა გეშინოდეს (გამოცდილებამ წარმოაჩინა და მომავალშიც გვიჩვენებს) ისეთი ადამიანებისა, რომლებთანაც ურთიერთობა გსიამოვნებს. ისინი ან ნათესავები არიან, ან სათნო და მოკრძალებულნი[32], მათგან სიკეთე გახსოვს და ამიტომ თავს ვალდებულად თვლი, რომ ხშირად მიესალმო.

გაუაზრებელი ურთიერთობით ირევა წრფელი გრძნობა, სულის გონიერ ნაწილში უჩინარდება და აბნელებს აზროვნებას იმდენად, რომ ცოდვის მიზეზის საფრთხეს ვეღარ გრძნობს ადამიანი.

ეროტიკული მზერა, ტკბილი სიტყვები ორივე მხრიდან, თამამი მოძრაობები და ქცევა, რაც ცოდვით დაცემამდე მიდის და მისგან განთავისუფლება ძნელია.

ძმაო, ამგვარ ცეცხლს უნდა განერიდო, რადგან შეშას გავხარ, თანაც არა სველს, არამედ მშრალს, რომელიც ცეცხლის ნაპერწკალთან შეხებით აალდება, სამსონის შესახებ როგორც არის დაწერილი (ფსალ. 16,9).

---

[31] ამის შესახებ ამბობს წმინდა მამა ნილოსი: „თუ მიგაჩნია, რომ უფალთან ხარ, თავი დაიცავი რყვნილების დემონისგან, ის ცბიერია, განმხრწნელი და სწრაფი, ამიტომ საჭიროა შენი გონების სიფხიზლე (κεφ. γ᾽ Φιλοκαλία). ხორციელი სურვილისგან შეწუხების მიზეზი საკუთარი თავის სიყვარულია. ადამიანს, ბუნებრივია, უყვარს საკუთარი თავი და უყვარს ასევე ამ ბოროტებაში (საკუთარი თავის სიყვარულში) გამრავლდეს თავად და მასვე მიემსგავსოს. ასევე გვაცდუნებს ხშირად ცუდად მზვაობრობა და ხორციელი სურვილი, ამიტომ ძნელად ვიცავთ თავს მათგან.

[32] მრავალნი შეცდნენ ასეთი სათნო და მოკრძალებული ადამიანებისგან, ქალებისგან, უწვერული მამაკაცებისგან. მათთან უყურადღებო ურთიერთობისას სამარცხვინო ვნებას დაემორჩილნენ, შეცდნენ მათი სათნოებით, თავმდაბლობით და ა.შ. აქვე შევნიშნავთ, რომ არა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებით აღიქმება ხორციელი ტრფობა, არამედ სხვა შემთხვევებშიც; მაგ., როცა ადამიანი მდიდარი ოჯახიდანაა, ზრდილობიანია, ნიჭიერია მუსიკაში, ხელოვნებაში, ანუ აქვს ბუნებრივი და შეძენილი ღირსებები. ყოველივე ეს აძლიერებს სურვილს და ხორციელ სიყვარულს, ამიტომ ყურადღებით უნდა ვიყოთ და თავი დავიცვათ მათგან.

ნუ იფიქრებ, რომ მტკიცე გადაწყვეტილება გაქვს მიღებული, სჯობს მოკვდე, ვიდრე ცოდვით აწყინო უფალს. თუკი დავუშვებთ, რომ სველი შეშა ხარ, ოღონდ ხშირად ურთიერთობა გახარებს. ცეცხლი თავისი მხურვალებით ნელ-ნელა გამოაშრობს შენი კეთილი ნების „სისველეს“ და უიმედოდ ისე მიეწებები ეშმაკეულ ტრფობას, რომ აღარ შეგრცხვება ადამიანების, აღარ სცემ პატივს ნათესავებს და მეგობრებს, არც ღმერთის შეგეშინდება. არაფრად ჩააგდებ პატიოსნებას, სიცოცხლეს, არც ჯოჯოხეთის სასჯელს, არამედ ჩაიდენ ცოდვას. ამიტომაც გაექეცი როგორცშეგიძლია:

1) შფოთისა და ინტრიგების აღმძვრელ ადამიანებს, თუ მართლა არ გსურს ცოდვისგან დატყვევება და სიკვდილი[33].

2) განერიდე სიზარმაცეს და უსაქმურობას. იყავი ფხიზლად და მღვიძარე აზრებში და საქმეებში.

3) დაემორჩილე სულიერ მამებს. სწრაფად და ხალისით გააკეთე, რასაც გეტყვიან. გააკეთე ის, რაც დაგამდაბლებს და რაც შენი ნებისა და ბუნებრივი მიდრეკილების საწინააღმდეგოა.

4) ნუ განსჯი ამპარტავნებით მოყვასს. ნუ განიკითხავ ჩადენილი ხორციელი ცოდვის გამო. თანაგრძნობა გამოხატე და ნუ აღიძვრები მის წინააღმდეგ, არც დასცინო. მისი მაგალითით შენ დაიმდაბლე თავი, იფიქრე, რომ სნეული ხარ, მტვერი ხარ, ფერფლი ხარ. თქვი: „დღეს, ის დაეცა, ხვალ მე დავეცემი ცოდვით. რადგან თუკი ადვილად განიკითხავ სხვებს, უფალი შენს სასწავლებლად

---

[33] სოლომონი ბრძენს უწოდებს იმას, ვინც ერიდება ბოროტის გამომწვევ მიზეზს, უგნურია ის, ვინც საკუთარ თავს ენდობა და არ ერიდება ბოროტებას: „ბრძენი ფრთხილობს და ბოროტებას ერიდება, უგნური კი ბრაზიანია და თავდაჯერებული“ (იგავ. 14.16) ბრძენი იყო მშვენიერი იოსები, რომელმაც დატოვა თავის სამოსელი და განერიდა ცოდვის მიზეზს და განერიდა თვით ცოდვას. რომ არ განრიდებოდა,აუცილებლად დაიპყრობდა მას ცოდვა. ამბა მაკარი წერს, რომ არაკეთილგონიერი აღმოჩნდა ქრისტეს ის მოწაფე, რომელმაც მრავალი ტანჯვა დაითმინა უფლისთვის და ციხეში აღმოჩნდა. იქ კი ერთი მონაზონი მოემსახურა მას. მოწამემ არ იფხიზლა, საკუთარ თავს მიენდო და არ განეშორა ცოდვის მიზეზს (მონაზონს). ამიტომაც შესცოდა მასთან. სწორად გვაფრთხილებს პავლე მოციქული: „ევლტოდეთ სიძვასა“ (1 კორინთ. 6. 18).

დაუშვებს, რომ შენც იგივე ცოდვა ჩაიდინო, ნათქვამია: „ნუ განიკითხავთ, რაᲗთა არა განიკითხნეთ“ (მათ. 7.1).

ამას უფალი უშვებს, რათა დაცემით შეიცნო შენი ამპარტავნება და დამდაბლდე. ღმერთისგან ითხოვო კურნება ორივე ცოდვისთვის. ამპარტავნებისა და სიძვისთვის. თუკი დაგიფარავს ღმერთი და ცოდვას არ ჩაიდენ, ნურც მაშინ შეიცვლი აზრს. და ნუ მიენდობი შენს თავს, გეშინოდეს და შენი მდგომარეობა აკონტროლე.

5) ფხიზლად იყავი, თუკი ღვთიური მადლი მიიღე და კარგ მდგომარეობაში ხარ, ნუ გადააჭარბებ და ნუ წარმოიდგენ, რომ ვინმე ხარ და მტრები ვერაფერს დაგაკლებენ, ვერ შეგებრძოლებიან, რადგან ამჟამად ისინი გძულს და მათგან შორს ხარ, თუ დაცული არ იქნები, ადვილად დაეცემი.

ყოველივე ზემოთქმული უნდა დაიცვა, სანამ ხორციელი ვნება დაგეუფლება. ვნებით გამოწვეული განსაცდელის დროს კი იფიქრე რა არის უხილავი ბრძოლის მიზეზი, შინაგანია თუ გარეგანი?

გარეგანი მიზეზი თვალის ცნობისმოყვარეობაა, ტკბილად მოსასმენი სიტყვები და სიმღერები, ფაფუკი და მორთული სამოსელი, სასიამოვნო სურნელი, საუბარი, ხელების მოძრაობა, რასაც ცოდვისკენ მივყავართ. ყოველივე ამის საპასუხო კურნებაა: მოკრძალებული და უბრალო სამოსელი, არ გსურდეს ძვირფასის ყურება, სასიამოვნო სურნელის ყნოსვა, საუბარი და შეხება მასთან, რაც ცოდვისკენ გვიბიძგებს, განრიდება ზემოთ აღწერილი ურთიერთობებისგან.

შინაგანი მიზეზი მომდინარეობს სხეულებრივი სიამოვნებისგან ან აზრებისგან, რომლებიც ჩვენი ავი ჩვეულებებისგან ჩნდებიან, ვნებებისგან და ეშმაკის ცდუნებისგან. სხეულებრივი სიამოვნება იწვრთნება მარხვით, მდვიძარებით, მუხლდრეკით და სხვა მსგავსი ღვაწლით, როგორც გვასწავლიან წმინდა მამები. აზრთაგან მომდინარე ცოდვის მიზეზების კურნება ყოველი ადამიანისთვის მისი მდგომარეობის შესაბამისად ხდება. ეს არის წმინდა წერილისა და წმინდა მამათა: წმ. ეფრემის, წმ. იოანე

სინელის, ევერგეტინოსის, „სათნოებათმოყვარეობის“ მამათა და სხვათა ნააზრევის კითხვა და ლოცვა. როგორც კი შეგაწუხებს სიძვის სურვილი, მაშინვე გაიხსენე ჯვარცმული მაცხოვარი და სულის სიღრმეში წარმოთქვი: „იესო ჩემო, იესო ჩემო უტკბესო, შემეწიე სწრაფად, რომ არ დამატყვევოს ამ მტერმა“. და რამდენჯერმე (გონიერად ან რეალურად, თუკი ჯვარცმის გამოსახულებასთან დგახარ) ემთხვიე ჯვარს, რომელზეც აცვეს უფალი, ემთხვიე მის ჭრილობებს და სიყვარულით წარმოთქვი: „უმშვენიერესო ჭრილობებო, უწმინდესო, უსპეტაკესო ჭრილობებო დაჭერით ჩემი უწმინდური და უბრალო გული და ხელი შემიშალეთ, რომ თქვენ არ დაგაზიანოთ“.

დროთა განმავლობაში, როცა ხორციელი სიამოვნების სურვილი მატულობს, შენი ღვაწლი პირდაპირ მათ წინააღმდეგ არ უნდა მიმართო (თუმცა ამგვარ ღვაწლზე ბევრ წიგნშია ნათქვამი, რომ იფიქრო ხორციელი სიამოვნების სიბილწეზე, სინდისი აკონტროლო, ამას მოჰყვება ბევრი სიმწარე, განსაცდელი ქალწულების შერყვნისა, შეურაცხყოფა და ა.შ.). რადგან ასეთი ღვაწლი ყოველთვის მტკიცე არ არის ხორციელი განსაცდელის დასამარცხებლად, შეიძლება ზიანიც მოგიტანოს. ამ დროს მართალია, გონებიდან ამოვარდება დროებით ცოდვიანი აზრები, მაგრამ ვინაიდან თავად გონება სნეულია და ვნებიანი, ცოდვაზე ფიქრისას მასში სიამოვნებით აღიბეჭდება ცოდვა და მაინც მის ტყვეობაში ექცევა. ხორციელი სიამოვნების ნამდვილი კურნება ნიშნავს იმას, რომ განვერიდოთ არა მხოლოდ მათ, არამედ ყველაფერს, რაც ამ სიამოვნებას გვახსენებს. აქედან გამომდინარე, იფიქრე მუდმივად მხოლოდ ჯვარცმული მაცხოვარის ცხოვრებაზე, მის ტანჯვაზე, შენს სიკვდილზე, უკანასკნელ სამსჯავროზე და ჯოჯოხეთის სატანჯველზე.

თუკი ხორციელი სურვილები ჩვეულებრივზე მეტად გებრძვიან, ნუ შეშინდები და ნუ შეწყვეტ აღწერილ ფიქრსა და ღვაწლს. გააძლიერე ფიქრი ჯვარცმულ უფალზე და უგულებელყავი მაცდუნებელი აზრები. რადგან არ არსებობს წინააღმდეგობების უკეთესი საშუალება, ვიდრე სრული იგნორირება

ცოდვაზე ფიქრისა. ყოველი შენი ფიქრი დაასრულე ლოცვით: „მიხსენ მე, შემოქმედო და მხსნელო ჩემო მტერთაგან, შენი გამოუთქმელი სათნოებით“. და ნუ მიდრეკ გონებას ხორციელი ბოროტებისკენ, რადგან მხოლოდ გახსენებაც კი არ არის უსაფრთხო. ნუ დაფიქრდები და ნუ ჩაუღრმავდები საკუთარ თავს გასარკვევად დაემორჩილე თუ არა ვნებას.

ეს კონტროლი თითქოს კეთილად მოჩანს, მაგრამ სინამდვილეში ეშმაკის ცდუნებაა, რომ შეგაწუხოს, უიმედობა და სულმოკლეობა ჩაგისახოს და მუდმივად ფიქრების ტყვეობაში გამყოფოს, შემდეგ კი სხვა ცოდვა ჩაგადენონოს. ასეთ განსაცდელში (როცა ცოდვისადმი დამორჩილება ცხადად არ ჩანს) საკმაოა აღსარებაში მოკლედ აღიარო სულიერი მოძღვრის წინაშე. დამშვიდდი და აღარ იფიქრო მეტი, მოძღვარს განუცხადე ყველა შენი აზრი სირცხვილის გარეშე. მტერთან ბრძოლაში გვჭირდება თავმდაბლობის ძალა გასამარჯვებლად. ყველაზე მეტად კი ხორციელ ვნებასთან ბრძოლაში გვჭირდება იგი, რადგან ეს ბოროტება არის სასჯელი და შესაბამისად აღმზრდელი ამპარტავნებისა[34].

მას შემდეგ, რაც განსაცდელი გაივლის, შემდეგნაირად იმოქმედე. რაც არ უნდა გეჩვენებოდეს, რომ ხორციელი ბრძოლისგან თავისუფალი ხარ, მაინც შორს იდექი განსაცდელის გამომწვევი მიზეზებისგან-პირობებისგან ან ადამიანებისგან. არ იფიქრო, რომ მათთან უნდა გქონდეს ურთიერთობა, რადგან ნათესავები, ახლობლები ან კეთილი ადამიანები არიან. ეს აზრიც დაცემული ბუნების ცდუნებაა და ჩვენი მარადიული მტრის, ეშმაკის ხაფანგია. ის ხომ ნათელ ანგელოზად გადაიქცევა ხოლმე, რომ სიბნელეში მოგვაქციოს, როგორც ამბობს პავლე მოციქული: „რამეთუ თჳთ იგიცა ეშმაკი იცვალვისვე ანგელოზად ნათლისა“ (2 კორ. 11. 14).

---

[34] წმ. იოანე სინელი ამბობს, რომ ვინც სიძვით ან სხვა ხორციელი ცოდვით დაეცა, იგი უწინარესად ამპარტავანი იყო და უფალმა დაუშვა მისი დაცემა დასამდაბლებლად. „სადაც მოხდა დაცემა, იქ წინ უძღოდა ამპარტავნება“, „ისწავლე ამპარტავანო, დაცემით“ (λόγος κβ’).

თავი მეოცე

როგორ უნდა ვებრძოლოთ სიზარმაცეს

სიზარმაცეს, რომელიც ხელს გიშლის სრულყოფილების გზაზე სვლაში, და მტრის ხელში გაგდებს, აუცილებლად უნდა დააღწიო თავი. ამისთვის საჭიროა განთავისუფლდე ყოველგვარი ცნობისმოყვარეობისგან, ყოველივესგან, რაც მიწიერ საქმეებს უკავშირდება, და შენ არ გეხება. ამის შემდეგ ძალა დაატანე თავს და დაემორჩილე სულიერი მოძღვრის რჩევებს და მისი მითითებების მიხედვით იმოქმედე. გააკეთე ყველაფერი დროულად და დაუგვიანებლად. ერთ შეყოვნებას მოსდევს მეორე, მესამე და სხვ. შენი გრძნობები ადვილად ემორჩილება სიამოვნებას ჯერ ერთი დაგვიანებით, შემდეგ მეორე და ა.შ. ამიტომ საქმის კეთება თუ გვიანდება ან არ სრულდება იმიტომ, რომ მოსაბეზრებელია, ასე ნელ-ნელა ვეჩვევით დაუდევრობას. ეს ხდება ისე, რომ ვერც კი ვამჩნევთ, სანამ არ შევწუხდებით და არ მოგვიწევს სერიოზული და საყურადღებო საქმეების აღსრულება. მხოლოდ მაშინ შევიტყობთ, რამდენი დრო დაგვიკარგავს დაუდევრობაში და გული დაგვწყდება, იმაზე თუ რამდენი კარგი რამის გაკეთება შეგვეძლო[35]. დაუდევრობა ყველგან არსებობს, იგი თავისი საწამლავით ადამიანის ნებას წამლავს, რომ ნებისმიერი ხელსაქმის თუ სულიერი ღვაწლს მოაშოროს. იგი აბნელებს გონებას, და ვეღარ იაზრებს ადამიანი, რომ მისი ნება ავ გულისთქმას ემორჩილება. იგი აღარ ასრულებს სასარგებლო საქმეს ან გადადებს სხვა დროისთვის. არ კმარა მხოლოდ საქმის სწრაფად გაკეთება, ის შესაბამის დროს, ხარისხიანად და მთელი ძალისხმევით უნდა შესრულდეს რომ სრულყოფილი იყოს. ამის

[35] წმ. მარკოზ დიდი ასკეტი და წმ. პეტრე დამასკელი ამბობენ „რამდენი ღვაწლია საჭირო ერთ დღეში კეთილი საქმის გასაკეთებლად, ერთი იმდენი ღვაწლი სჭირდება ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმისთვის, რომ მისი ძალა და მისწრაფება სიკეთისკენ მიიმართოს“ (Φιλοκαλία).

შესახებ ნათქვამია: „წყეულ იყავნ მოქმედი საქმესა უფლისასა უდებებით” (იერ. 48.10).

ყოველივე ცუდი ხდება იმიტომ, რომ არ ფიქრობ იმაზე, თუ რა ძალა აქვს კეთილი საქმის აღსრულებას, როცა ის დროულად და გონიერად სრულდება, ამ დროს ამარცხებ სიძნელეს, რაც თავის მხრივ ბადებს დაუდევრობის დამწყებ მეომრებში.

ამგვარად, ხშირად იფიქრე იმაზე, რომ გონების „აღხილვას“ უფლისკენ, თავმდაბლად მუხლის მოდრეკას მის წინაშე მეტი ფასი აქვს, ვიდრე მთელს ამქვეყნიურ სიმდიდრეს. დაიმახსოვრე, როცა დაუდევრობას ვძლევთ და ბეჯითად ვასრულებთ საქმეებს, მაშინ ანგელოზებს ზეციურ სასუფეველში დიდებული გამარჯვების გვირგვინი მიაქვთ და პირიქით, ზარმაცებს და დაუდევრებს ღმერთი არ აძლევს გვირგვინს, არამედ ართმევს სათითაოდ მინიჭებულ წყალობას და მიატოვებს მათ სასუფევლის გარეშე თავიანთი დაუდევრობისა და სიზარმაცის გამო. „ხოლო მათ უდებ-ყვეს [ქორწილი იგი] და წარვიდეს, რომელიმე თ**ჳ**სსა აგარაკსა, რომელიმე სავაჭროსა თ**ჳ**სსა“ (მათ. 22.5). უფალი მეტ წყალობას მიანიჭებს ბეჯით და შრომისმოყვარე ადამიანებს, მათ ვინც სძლია საკუთარ თავს. სწორედ მათ პირდება ღმერთი სასუფეველს: „სასუფეველი ცათა**ჲ** იიძულების; და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი“ (მათ. 11.12).

თუკი ბოროტი გულისთქმა გებრძვის, და სიზარმაცისკენ გიბიძგებს, გაფიქრებინებს, რომ სასურველი სათნოების მოსაპოვებლად მრავალი შრომა და ღვაწლი გჭირდება, შენი მტრები შენზე ძლიერები არიან, შენ კი უძლური. თუკი ეს აზრი სიზარმაცისგან გებადება, ნუ მოუსმენ მას. იფიქრე თითქოს ცოტა დრო გჭირდება რამე საქმის გასაკეთებლად, ვითომ ერთ მტერს ებრძვი და სხვები არ არსებობენ. დიდი იმედით უფლის შემწეობით მათზე (მტრებზე) ძლიერი იქნები. ასე თუ იფიქრებ და გააკეთებ დაუძლურდება სიზარმაცე და შეიცვლება სიბეჯითის სათნოებით. იგივე გააკეთე ლოცვისთვისაც. მაგ. თუკი ერთი საათიანი ლოცვა გაქვს წასაკითხი და სიზარმცის გამო ძნელად გეჩვენება, დაიწყე ისე, თითქოს თხუთმეტი წუთი უნდა ილოცო და ასე

ადვილად გაივლის ნახევარი საათი, შემდეგ ერთი საათიც და ა.შ. თუ ლოცვის დროს გაგიჭირდება,შეწყვიტე,რომ არ განეწყო ცუდად. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გააგრძელე. იგივე მეთოდით შეგიძლია გამოიყენო ხელსაქმის დროსაც. როცა ბევრი რამე გაქვს გასაკეთებელი და სიზარმაცის გამო გვირთულდება, ასე მოიქეცი. დაიწყე იმ განწყობით, მშვიდად, თითქოს მხოლოდ ერთი საქმე უნდა გააკეთო. ასეთი ბეჯითი ქმედებით ყველაფერს გააკეთებ მცირე ძალისხმევით, ვიდრე ეს გეჩვენებოდა სიზარმაცის გამო. თუკი ამგვარად არ მოიქცევი, არ იფიქრო, რომ უნდა ებრძოლო სიძნელეს და შრომას, რასაც მტერი გახვედრებს წინ ყველა სათნოებისას, მაშინ სიზარმაცე გძლევს არა მარტო შემოტევისას, არამედ შორიდანაც, მუდმივად შეგეშინდება, რომ ყოველთვის გექნება ბრძოლა და სიძულვილი მტრისგან. სიმშვიდის დროსაც გულისთქმა შეგაწუხებს.

შვილო ჩემო, დაიმახსოვრე, რომ სიზარმაცის ვნება ფარული შხამით ალპობს ახლადაღმოცენებულ სათნოებისა და კეთილი ჩვეულებების ფესვებს. როგორც ჭია ხრავს ხეს, ისე ვითარდება ეს ვნება და იმორჩილებს სულიერი ცხოვრების გონებას. ამგვარი მეთოდით უგებს მახეს ეშმაკი ყველას და განსაკუთრებით სულიერ ადამიანებს, და ადვილად აუფლებს სიზარმაცის ვნებას, როგორც ნათქვამია: „ზარმაცის სული მოწყურებულია, მაგრამ არაფერი აქვს, მუყაითნი კი დანაყრდებიან“ (იგავ. 13.4).

ასე რომ იფხიზლე ლოცვით და შრომით როგორც მამაცმა მეომარმა. ნუ დაელოდებით საქორწილო მოსასხამის მოქსოვას, რათა მოკაზმული დახვდე სიძე ქრისტესთან შესახვედრად. დაიმახსოვრე, რომ შენია დღევანდელი დღე, ხვალინდელი უფლისაა. და ვინც დილა გაჩუქა, არ დაგპირდება, რომ საღამოსაც მოგცემს. ნუ მოუსმენ ეშმაკს, რომელიც გეუბნება, რომ დღევანდელი დღე მას მისცე, ხვალინდელი კი უფალს შენი სიცოცხლის ყოველი წამი ღვთისათვის სათნოდ გაატარე, ისე თითქოს შენთვის სხვა წუთი არ არსებობს. გაითვალისწინე ისიც, რომ ყოველი წამით ზუსტი ანგარიში უნდა გაიღო, რადგან დრო ძვირფასია და მოვა ჟამი, როცა წარსულს მოძებნი და ვეღარ იპოვი.

ფუჭად ჩავლილად ჩათვალე ის დღე, (მრავალი სხვა საქმეც რომ გვქონდეს გასაკეთებელი) როცა არ მოგიპოვებია გამარჯვება ბოროტზე და ღვთისათვის მადლობა არ შეგიწირავს არა მარტო შენდამი მონიჭებული სიქველისათვის, და ტანჯვისთვის შენს გადასარჩენად რომ თავს იდო, უფალმა, არამედ მამობრივი ტკბილი სწავლებისთვის, რასაც მწუხარების სახით გიგზავნის ზოგჯერ.

ვამთავრებ და მოგიწოდებ: „მოიღუაწე ღუაწლი იგი კეთილი სარწმუნოებაჲ“ (1. ტიმ. 6. 12) რადგან ხშირად ერთსაათიანი სიბეჯითით და შრომით მოიპოვება სასუფეველი, და ასევე ერთსაათიანი სიზარმაცით იკარგება იგი. გახდი ბეჯითი, თუ გსურს რომ დაცული იყოს შენი ცხოვრება „უფალზე დანდობილი (ადამიანი) აშენდება“ (იგავი 28. 25)[36].

[36] წმინდა ისაკის მოძღვრების თანახმად ორი იმედი არსებობს. ერთია ჭეშმარიტი, ბრძენი და მეორე ყალბი და უაზრო. ვინც სრულად მიუძღვნა თავი უფალს და არ ზრუნავს მიწიერ საგნებზე, იღვწის ბეჯითად სათნო საქმეებით. ასეთ ადამიანს ჭეშმარიტად სჯერათ, რომ უფალი გადაარჩენს დღევანდელი და მომავალი ბოროტებისგან. ისინი კი, ვინც სიზარმაცით ატარებენ ცხოვრებას და სათნოებებს არ აღასრულებენ, თუმცა ღვთის იმედი აქვთ, ცდებიან, მათი იმედი ყალბია. თავდაპირველად უნდა დაიღალო და დათესო კეთილი საქმეები და შემდეგ გჯეროდეს, რომ მოიმკი და მოიპოვებ სულის ცხონებას.

თავი ოცდამეერთე

გარეგანი შეგრძნებების გამოსწორება. როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა ამას თეორიულად და უფლის დიდებით

ბევრი ფიქრი და დაძაბული წვრთნა არის საჭირო ხუთი ძირითადი გრძნობის გამოსასწორებლად. ესენია: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემოვნება და შეხება. ჩვენი გულისთქმა, რომელიც ჩვენივე დაცემული ბუნების მთავარსარდალს ჰგავს, ეძებს ყოველთვის სიამოვნებას და განსვენებას. მარტო გულისთქმას არ შეუძლია ამ ყოველივეს მოპოვება. ამიტომაც იყენებს სხეულის გრძნობებს და ბუნებრივ ორგანოებს ჯარისკაცებად იმისთვის, რომ გრძნობიერი საგნები, სიამოვნების მომგვრელი სურათები და წარმოსახვები აღიბეჭდოს სულში, რასაც მოსდევს სიამოვნების განცდა. ეს სიამოვნება სულისა და ხორცის ნათესაობის გამო ნაწილდება გრძნობათა სფეროებში და მიიღება სიამოვნება. აქედან წარმოიშვება სულში უკვდავი სიკვდილი. სრულდება, რაც დაწერილია: **„რამეთუ აღმოვიდა სიკვდილი სარკმელთა თქუენთაჲთ“** (იერ. 9,21). ანუ გრძნობების საშუალებით, რომლებიც გულის კარიბჭეს წარმოადგენენ, გრძნობიერი წარმოიქმნება.

ხედავ ძმაო, რა დიდი ზიანი გელოდება გრძნობებიდან. ყურადღებით იყავი, რომ ის განკურნო. უფრო ზუსტად კი, იზრუნე იმაზე, რომ გრძნობები იქით არ წარმართო, სადაც სურთ, არც გამოიყენო გრძნობიერი სიამოვნების მისაღებად, არც სასარგებლო ან აუცილებელ მიზნისთვის. თუკი აქამდე შენი გრძნობები, სიამოვნებას ემორჩილებოდნენ, დღეიდან იღვაწე იმისთვის, რომ გრძნობები მართო, ის გრძნობები, რომლებიც დაემონენ ამაო და სულის განმხრწნელი სიამოვნებას: ეცადე გრძნობების სულისმარგებელი არსი შეიძინონ. ამგვარი აზრით სული თავის თავს უღრმავდება და უხილავი ძალებისგან მონიჭებული ფრთე-

ბით მაღლდება უფლის დიდებამდე[37]. მაგალითად, როცა გარეგანი შეგრძნება დაგეუფლება გრძნობადი საგნით იქნება ეს ხილული, მოსასმენი, საყნოსი თუ გემოს გასასინჯი თუ ხელშესახები, მასში გაარჩიე შენი აზრით ნივთიერ საგანში არსებული უნივთი სული ანუ სული წმინდის ენერგია და იფიქრე, რომ ესა თუ ის საგანი თავისთავად არ არსებობს, მას უხილავი სული აძლევს არსებობას, სიკეთეს, მშვენიერებას, ძალას, სიბრძნეს და სხვ. ამ დროს შენი გული უნდა ხარობდეს, რადგან მხოლოდ ღმერთია მიზეზი და საწყისი ერთმანეთისგან განსხვავებული, დიდებული, საოცარი ნივთებისა და იგი [უფალი] მოიცავს ყოველივეს თავის თავში. ყველა გრძნობადი საგნის სრულყოფილება არის მხოლოდ უმცირესი ან ჩრდილი უფლის უსაზღვრო ღვთიური საოცრებისა და სრულყოფილებისა.

თუკი შენ ამგვარად უყურებ გრძნობად ქმნილებებს და არ აღიქვამ მათ გარეგნული მხრიდან, არამედ გონებით აღწევ მათ შინაგან მშვენიერებაში, მაშინ ნებისმიერი საგნის გარეგნული მშვენიერება უმნიშვნელოა, ამას უგულებელყოფ სული წმიდის ენერგიის წყალობით, გონებას უფლისკენ აღამაღლებ და ადიდებ მას.

ამგვარად, ხედავ რა ბუნების ოთხ სტიქიას: ცეცხლს, ჰაერს, წყალს და მიწას. ჭვრეტ მათ არსს და ძალას და მადლიერებით მიმართავ შემოქმედს: „საღვთო არსებავ! უხილავო ძალავ მიხარია და მადლიერი ვარ, რომ შენ ხარ საწყისი და მიზეზი ყველა ქმნილების არსებისა, ყოველი ენერგიისა და ძალისა“[38].

[37] მის შესახებ ამბობდა ნეტარი ავგუსტინე: „ამ სამყაროს ყველა ქმნილება ესაუბრება სათნო ადამიანებს დუმილის ენით, მაგრამ მთელი მათი ძალით ისმენენ ამ საუბარს ეს სათნო ადამიანები და წარიმართებიან უფლის სიყვარულისკენ და ყველაფერში პოულობენ მიზეზს კეთილი და თავმდაბალი აზრების მისაღებად.

წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი ამბობს: „ყველა და ყველაფერი ადიდებს უფალს დუმილით. ყველაფრით კმაყოფილია უფალი და ასე მათი (ყველა არსების) საგალობელი ღვთისადმი ჩვენიც ხდება, მათგან ვიღებ მეც საგალობელს (ახალკვირიკის ჰომილია). ოდესღაც სამმა ყრმამ იპოვა ყველა ქმნილებაში მიზეზი შემოქმედის საგალობლით განსადიდებლად.

[38] შევნიშნავ, რომ წმ. მაქსიმე აღმსარებლის სწავლების მიხედვით ქმნილებათა არსს ხატად აქვს მამა, ძალად-ძე და ენერგიად სული წმინდა ყოველივე წარმოაჩენს შემოქმედ ღმერთს, არა მხოლოდ ერთად, არამედ სამებად.

ასე რომ, როცა ხედავ ციურ სხეულებს, მზეს, მთვარეს, ვარსკვლავებს და ფიქრობ, რომ მათ სინათლე ღმერთისგან მოდის, იყვირე: „სინათლევ, ყველა სინათლეზე აღმატებულო, შენგან შეიქმნა ნივთიერი და უნივთო შუქი!“

საოცარო შუქო, ანგელოზთა პირველო სიხარულო და წმინდა განსვენებავ, შენ მიმართ ურყევი მზერით ქერუბინთა თვალებიც ბრმავდება და სხვა ყველა გრძნობადი სინათლე ღრმა სიბნელედ ჩანს, შენ გადიდებ, შენ აღგამაღლებ, ჭეშმარიტო სინათლევ, შენ ანათებ ამ ქვეყნად მოსულ ყველა ადამიანს (იოან. 12. 1,9). ღირს-მყავ მე გიმზირო გონებით, რომ ხარობდეს ჩემი გული შენი სრულყოფილებით“. და ასევე, როცა უყურებ ხეებს, ბალახებს, მცენარეებს. ფიქრობ, რომ ისინი იზრდებიან, იკვებებიან, თავიანთ მსგავსებას ბადებენ. ეს კი თავისთავად არ ხდება, არამედ სული წმინდის მოქმედებით წარიმართება, ამას შენ ვერ ხედავ. სული წმინდა აცოცხლებს მათ, შეგიძლია თქვა: „აი, აქ არის ჭეშმარიტი სიცოცხლე, რომლითაც ცოცხლობენ, იკვებებიან, იზრდება ყველაფერი, ო, ცეცხლო კურნებავ ჩემი გულისა!“ იგივე ითქმის პირუტყვებზეც. მიმართე ისევ გონება უფლისკენ, რომელიც მოძრაობის ძალას აძლევს ცხოველებს თქვი: შენ ამოძრავებ ყოველივეს და ხარ უძრავი თავად. როგორ მიხარია შენი უმოძრაობა და სიმტკიცე!“

შეხედე საკუთარ თავსაც სხვა ადამიანებს და მიხვდები, რომ მხოლოდ შენ (ადამიანს) გაქვს სწორი აღნაგობა, ხარ ყველაზე მეტად მოაზროვნე არსება სხვებთან შედარებით, ხარ ერთობა ნივთიერი და უნივთო ქმნილებებისა, ადიდე შემოქმედი ღმერთი: „სამებაო წმინდაო, მამაო, ძეო და სულო წმინდავ, იყავი განდიდებული უკუნისამდე როგორ შემოვწირო მადლობა მარტო იმისთვის, რომ მიწისაგან შემქმენი და გამხადე მიწიერ ქმნილებათა მეუფე, მარტო იმიტომ, რომ ჩემს ბუნებას პატივი მიაგე შენი საკუთარი ხატებით. მიეცი ჩემს სხეულს გონება, აზროვნება, ცხოველმყოფელი სული[39]. რადგანაც მომანიჭე შესაძლებლობა იმისა, რომ სათნოებით შენ მიგემსგავსო და ამგვარად საუკუნო სასუფეველი დავიმკვიდრო! ახლა ხუთ გრძნობას

მივუბრუნდები და მოგმართავ ძმაო, თუ იხიბლები ქმნილი საგანთა მშვენიერებით და სილამაზით, გონებით განჭვრიტე ისინი, იფიქრე უხილავ სულზე. და იფიქრე, რომ საგანთა გარეგნული მშვენიერება შინაგანი უხილავი და უმშვენიერესი სულიდან მომდინარეობს. მადლიერებით აღსავსემ თქვი: „აი, უქმნელი წყაროს მადლიერება! აი, ყოვლად სახურის უსაზღვრო ზღვის ზვირთები! მიხარია გულის სიღრმეში, რომ ვფიქრობ ჩემი შემოქმედის მშვენიერებაზე, რაც არის საწყისი და მიზეზი ყოველი მშვენიერებისა! ვტკბები, როცა ვფიქრობ ღმერთის შეუცნობელ და უმაღლეს მშვენიერებაზე!"

თუ გესმის ტკბილი სიმღერა ან ხმათა ჰარმონია, აღმართე გონება უფლისკენ და თქვი: „უფალო ჩემო, შენ ხარ ჰარმონიათა ჰარმონია, მიხარია შენი უსაზღვრო სრულყოფილება. გასცემ ზეციურ სრულყოფილებას და ანგელოზებთან და სხვა ქმნილებებთან ერთად იქმნება დიდი სიმფონია. როდის მოვა უფალი ჩემი, როცა მოვისმენ გულისყურით შენს ტკბილ ხმას და გეტყვი: „მშვიდობა შენდა, ვნებათაგან დამშვიდება" (ქება-ქებათას თანახმად, 2,14). თუკი იყნოსავ სასიამოვნო სურნელს, ყვავილებს, განიცადე სული წმინდის სურნელი და თქვი: „აი, ყველაზე კეთილსურნელოვანი ყვავილის სურნელი, რაც მიეცა ყველა ქმნილებას.

„მე ვარ ნარგიზი შარონისა და ღელეთა შროშანი"(ქებათა ქება 2.1).

„სახელი შენი დაღვრილ ნელსაცხებელია" (ქებათა ქება,1.3).

ეს არის კეთილსურნელების წყარო, რომელიც უხვად გასცემს ღვთიურ სურნელს ზეციური ანგელოზებიდან დაწყებული ყველაზე მცირე ქმნილებებით დამთავრებული (წმ. დიონისე არეოპაგელი. საეკლესიო იერარქიისათვის. თავი 4). ამ სურნელების

[39]იხილე წმ. გრიგოლ თესალონიკელის სწავლება („სათნოებათმოყვარეობაში" (Φικοκαλία) სადაც წმინდა მამა ამბობს, რომ ის ღვთიური გონება – სხეულის ცხოველმყოფელი სული არის ღვთიური სიყვარული, რომელიც გონებიდან და ლოგოსიდან გამოდის და არსებობს მხოლოდ გონებისა და აზროვნებაში. და ამ ცხოველმყოფელი სულის თანახმად გონიერი სული ანგელოზებზე მეტად არის ღვთის ხატი. რადგან ანგელოზებს არა აქვთ ამგვარი ცხოველმყოფელი სული და არც სხეული, რომელსაც სიცოცხლე მიენჭება.

შესახებ უებნება ისააკი თავის ძეს იაკობს: „აჰა, სუნი ჩემი შვილისა, ვითარცა სუნი უფლის კურთხეული მიწისა“ (დაბად. 27.27)

ჭამისა და სმის დროსაც იფიქრე, რომ ღმერთია ის, ვინც საჭმელს აძლევს გემოს და ამგვარი ფიქრით წარმოთქვი: „იხარე სულო ჩემო, რადგან უფლის გარეშე არ არსებობს განსვენება, არც სიტკბოება, არც გემოვნება. ხოლოდ უფალს შესწირე მადლობა დავით მეფის მსგავსად: „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ კეთილი არს უფალი (ფსალმ. 33.8) ამასვე ამბობს მეფე სოლომონი: „ნაყოფი მისი ეტკბო ჩემს სასას“ (ქება-ქებათა 2,3). საქმის კეთებისას იფიქრე, რომ ღმერთია მიზეზი ამ საქმისა და შენ ხარ მხოლოდ მისი ცოცხალი სამოქმედო იარაღი. უფლისკენ მიმართული აზრით წარმოთქვი: დიდ სიხარულს განვიცდი ჩემს თავში! უფალი შენ გარეშე ვერაფერს ვერ გაგიკეთებს. შენ ხარ პირველი და უმთავრესი შემოქმედი ყველა საქმისა“.

სხვების სათნოების, სიბრძნისა და სამართლიანობის დანახვისას მიმართე უფალს: „უმდიდრესო საგანძურო სათნოებისა, ვხარობ, რადგან შენგან მომდინარეობს ყოველი სიკეთე, და ყველა სხვა სიკეთე და სილამაზე არაფერია შენი ღვთაებრივი სრულყოფილების წინაშე. შენ გმადლობ, ღმერთო ჩემო ამისთვის და ყველა სხვა სიკეთისთვის, რაც ჩემს მოყვასს მიანიჭე. მოიხსენე უფალო ჩემი უპოვარება და საჭიროება იმისა, რომ სათნოება მქონოდეს!“

განვაზოგადებ და გეტყვი, ვინც და რაც არ უნდა მოგეწონოს და გესიამოვნოს, ნუ შეჩერდები მათზე, არამედ მიმართე უფალს: „თუკი უფალო, შენი ქმნილებები ასეთი მშვენიერნი, სათნონი არიან, როგორი მშვენიერი, სათნო და ტკბილი ხარ თავად შენ ყოველის შემოქმედო!“

საყვარელო ძმაო, თუკი ასე მოიქცევი, შეძლებ უფალი შეიცნო ხუთ გრძნობაში და ამაღლდე ქმნილებებიდან ღმერთამდე, როცა უფლის შემოქმედებაში ღმრთისმეტყველებას შეიცნობ და ჯერ კიდევ გრძნობათა სამყაროში მყოფი წარმოადგენ გონებით შემოქმედებას. ჭეშმარიტია, რომ მთელი სამყარო და მთელი ბუნება სხვა არაფერია, თუ არა წესრიგი, რომელშიც

უხილავად მყოფობს შემოქმედი, ის მოქმედებს და წარმოაჩენს თავის შემოქმედებას ხილულ და ნივთიერ სამყაროში და ანიჭებს უხილავ და უსხეულო ენერგიას[40].

თავი ოცდამეორე

გრძნობადი საგნები, რომლებზეც ვისაუბრეთ, გვჭირდება ჩვენი გრძნობების გამოსასწორებლად, თუ ამ გრძნობებს განვიხილავთ განკაცებული უფლის სწავლებით, მისი ცხოვრებისა და ვნებების მიხედვით

წინა თავში გიჩვენე, თუ როგორ შეიძლება გრძნობადი საგნებიდან გონება უფლის ჭვრეტამდე ავამაღლოთ. ახლა სხვა საშუალებაც ისწავლე, იმისთვის, რომ გონება აამაღლო განხორციელებული სიტყვის შესაცნობად, მისი ცხოვრებისა და ვნებათა წმინდა საიდუმლოს გასაგებად. ყველა ამქვეყნიური გრძნობადი საგანი შეიძლება ამაში დაგვეხმაროს. თუკი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათში განვჭვრეტთ უსასრულო უფლის, როგორც ერთადერთ და უპირველეს მიზეზს, რომელმაც ყველა ქმნილებას მიანიჭა ის რაც აქვს, ძალა, მშვენიერება და ა.შ. ამის

[40] აქ გავიხსენებ სოლომონის სიბრძნიდან ერთ მონაკვეთს: „ქმნილებათა სიდიადისა და მშვენების კვალზე მათი შემოქმედიც შეიცნობა (13.5) პავლე მოციქული ამბობს: „უხილავი იგი მისი დაბადებითგან სოფლისაჲთ ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების და სამარადისოჲ იგი ძალი მისი და ღმრთეებაÑ (რომ. 1.20) აქვე დავამატებთ, რომ ქმნილებები აზროვნებითა და სიბრძნით შეიქმნენ. ადამიანებს მიენიჭა ლოგოსის ძალა, რადგან, როცა შეისწავლის ქმნილებათა აზრს, ამაღლდება შემეცნებით წინასაუკუნეთა ლოგოსამდე (ღმერთამდე), რომლისაგან ყოველი შეიქმნა. „ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თჳნიერ მასა არცა ერთი რაჲ იქმნა, რაოდენი რაჲ იქმნა“ (იო. 1.3). მიზეზთაგან შევიცნობთ შედეგებს. აქედან რა გამოდის? საკმარისია ვინმემ შეიცნოს, რომ შემოქმედებაში არსებობს რწმენა და ქმნილებების შეცნობით ადამიანი ეჭვის გარეშე ირწმუნებს, რომ ღმერთი არსებობს.

შემდეგ კი თუ გაიაზრებ, რაოდენ დიდია და უსაზღვრო თავად შემოქმედი ღმერთის სათნოება, რომელმაც ინება დამდაბლება და განკაცება, ვნება და სიკვდილი ადამიანთა მოდგმის გამოსახსნელად. საკუთარ ქმნილებათა ხელით ჯვარს ეცვა.

ამრიგად, როცა ხედავ ან ეხები იარაღებს: თოფს, სვეტებს, ეკალს, ლურსმანს, შუბს და სხვა, იფიქრე, რომ ეს ყველაფერი უფლის საწამებელი გახდა.

თუკი ხედავ ან ცხოვრობ ღარიბულ სახლში, გაიხსენე ბაგა და გამოქვაბული, სადაც მაცხოვარი იშვა. წვიმის დროს გაიხსენე უტკბესი იესოს, ჩვენი უფლის უბიწო სხეულიდან გადმოდენილი სისხლისა და ოფლის წვიმა, რომელმაც დედამიწა დაასველა. ზღვის დანახვისას მოიგონე, როგორ დადიოდა მასზე უფალი, იდგა გემებს შორის და ასწავლიდა ერს. კლდეებს შეხედე და გაიხსენე როგორ დაიმსხვრა ან როგორ იძრა მიწა მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ. მზემ გაგახსენოს ჯვარცმის შემდგომი სიბნელე. წყალმა მოგაგონოს, უფლის ჭრილობებიდან გადმონადენი სისხლი. ღვინოს ან სხვა სასმელს თუ სვამ, გაიხსენე როგრ შეასვეს ჯვარზე გაკრულ უფალს ძმარი და ნაღველი. თუ ქმნილი საგნის კეთილსურნელება გაგიტაცებს გონებაში ამოიტივტივე მყრალი სურნელი, რასაც გოლგოთაზე ჯვარცმული მაცხოვარი გრძნობდა. მთა ხომ დასასჯელი ადგილი იყო. იქ სჯიდნენ სიკვდილით ადამიანებს, ამიტომ მყრალი და ჭუჭყიანი სურნელი იდგა[41]. ტანსაცმელს როცა იცვამ, გაიხსენე, რომ სიტყვამ შეიმოსა ადამიანის სხეული, იმისთვის რომ შენ შეემოსე თავისი ღვთაებრიობით. როცა გაიხდი, გაიხსენე გასამათრახებლად დასჯილი განმოსილი და შენთვის ჯვარზე

[41] გოლგოთის მთას თავის ქალის (თხემის) წმ. ადგილი ეწოდება. პირველი მნიშვნელოვანი მიზეზი ამ სახელწოდებისა (ბასილი დიდის, წმ. იოანე ოქროპირის და თეოფილაქტეს მიხედვით) ის არის, რომ ტრადიციის მიხედვით ამ ადგილას იყო დაფლული ადამის სხეული. ბერი ეპიფანე თავის ჩანაწერებში სირიისა და იერუსალიმის შესახებ წერს: „გოლგოთაზე ადამის პატარა ტაძრის სახლია) და მასში მისი (ადამის) თავის ქალაა“. ოდესღაც ამ ადგილს ეწოდა თავის ქალის ადგილი. მეორე მიზეზი ამ სახელწოდებისა, ის არის, რომ აქ ყოველთვის ეყარა სიკვდილით დასჯილთა თავის ქალები.

გაკრული უფალი. თუკი რაიმე ხმა მოგეჩვენა ტკბილი, გადაიტანე ყურადღება ღმერთის სიყვარულისკენ, ღმერთისა, რომლის ბაგიდან მოედინება სიხარული და სიტკბოება, ფსალმუნის მიხედვით: **„შუენიერ სიკეთითა უფროს ძეთა კაცთასა; განეფინა მადლი ბაგეთა შენთა; ამისთჳს გაკურთხა შენ ღმერთმან უკუნისამდე“** (ფსალმ. 44.3)

ლუკას სახარებაში ნათქვამია: „ყოველი ერი დამორჩილებული იყო სმენად მისგან“ (ლუკ. 19.48). თუ მოისმენ ხალხის შფოთიან შეძახილებს, გაიხსენე იუდეველთა შეძახილები: „აღიღე, აღიღე და ჯუარს-აცუ ეგე“. ეს შეძახილი ესმოდა ხალხის მაცხოვარს. თუ დაინახავ მშვენიერ სახეს, რომ ყველა ადამიანზე ულამაზესი და უმშვენიერესი იესო ქრისტე ულამაზო და უშნო გახდა, როცა შენთვის გაეკრა ჯვარზე. ყოველთვის, როცა დარეკავს საათი, მოიგონე ვნებისა და ჯვარცმის მოლოდინში მყოფი მაცხოვრის გულისცემა. იფიქრე, რომ ისმენ იმ ჩაქუჩის დარტყმის ხმას, რომლითაც ლურსმნებს აჭედებდნენ ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს.

თავი ოცდამესამე

როგორ ვმართოთ ჩვენი გრძნობები სხვა საშუალებით, როცა გრძნობადი საგნებით აღიძვრება ეს გრძნობები

გარეგნულად მშვენიერ საგნებს როცა ხედავ, იფიქრე, რომ ეს მშვენიერება არაფერია ზეციურ მშვენიერებასთან და სიმდიდრესთან შედარებით. მათთან ზიარება კი შერბილებულია სიკვდილის შემდეგ, თუკი ყოველივეს ამქვეყნიერს უგულებელყოფ. მზის ცქერისას იფიქრე, რომ მასზე ბრწყინვალე და მშვენიერია შენი სული თუკი შემოქმედის მადლს ატარებ. სხვა შემთხვევაში კი შენი სული მიწისქვეშეთზე უფრო ბნელია. ზეცისკენ მზერისას, სულის თვალები ცეცხლოვანი ზეცისკენ აღმართე[42]. და აზრით იქ დამკვიდრდი, თითქოს შენთვის არის გამზადებული იქაური სასუფეველი, თუკი მიწაზე უბრალოებით იცხოვრებ. გაზაფხულზე ჩიტების ჭიკჭიკს, რომ მოისმენ გონება აამაღლე სამოთხის ტკბილი გალობისკენ და იფიქრე იქ ისმის უწყვეტად ალილუია და სხვა ანგელოზებრივი დიდება[43] და შესთხოვე უფალს, რათა ღირსი გაგხადოს, რომ ადიდო იგი

---

[42] წმ. კალისტოსის მიხედვით ცეცხლოვან ცას უსპეტაკესი სინათლის არსი აქვს. სხვა თეოლოგების სწავლებით ეს ცა არის უფლის ტახტი. იქ არის სასუფეველი წმინდანთა, ანგელოზთა და ადამიანთაც. იქ არის ზეციური სასუფეველი, რომლის შესახებაც ნეტარი ავგუსტინე ამბობდა: „თუ კი მხოლოდ ერთი დღე მაინც მოვიგებ ზეციურ სასუფეველს, უგულებელვყოთ მთელი ამქვეყნიურ მონაგებს! ნეტარ ავგუსტინეს წმინდა იერონიმე გამოეცხადა და უთხრა: „ძმაო, ზეციურ სასუფეველს ბაგე ვერ აღწერს და ვერც ადამიანური გონება მისწვდება. მას ანგელოზები და მართალნი მოიგებენ. გწამდეს ასე“.

[43] სამი გამორჩეული საგალობელი არსებობს, რომლებითაც ანგელოზთა ცხრა დასი ადიდებს წმინდა სამებას. ერთს პირველი დასის საყდარნი, ქერუბიმნი და სერაფიმნი გალობენ (იეზკ. 1.13) მეორეს მეორე დასის უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი გალობენ: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს (ის. 6,3) მესამეს კი მესამე დასიდან მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი გალობენ ალილუიას (ნიკიტა სტითატის მიხედვით φιλοκαι.).

ზეციურ არსებებთან ერთად. თუ იგრძნობ, რომ სიამოვნებას განიცდი ქმნილებათა მშვენიერების ხილვით, იფიქრე, რომ სიამოვნების მიღმა იმალება ქვეწარმავალი, მას სურს შენთვის ჭრილობის მოყენება. მას მიმართე: „ნუ მიგებ მახეს საცდუნებლულს“ შემდეგ უფლისკენ მიმართე შენი ფიქრი: „კურთხეულ ხარ უფალო ჩემო, რადგან გამომიჩინე მტერი და განმათავისუფლე დანთქმისგან“. იფიქრე ჯვარცმული ღმერთის ჭრილობებზე, იმაზე თუ როგორ ითმენდა უფალი წმინდა სხეულის ტანჯვას იმისთვის, რომ შენ დაეხსენი ცოდვისაგან და მოგეძულებინა სხეულის სიამოვნება.

შეგახსენებ თუ როგორ უნდა გაექცე სხეულის სიამოვნების სახიფათო განსაცდელს. იფიქრე იმაზე თუ რად იქცევა სიკვდილის შემდეგ ის ადამიანი შენ რომ მოგწონდა, იქცევა ფერფლად და მიწად. თითოეული ნაბიჯის გადადგმისას გახსოვდეს, რომ საფლავს უახლოვდები. მფრინავი ჩიტების, მდინარეების ხილვისას იცოდე, რომ შენი სიცოცხლე სწორად მიედინება. ზამთრის ძლიერმა ქარებმა და გრიგალმა, ჭექა-ქუხილმა მოგაგონოს უფლის უკანასკნელი სამსჯავრო მუხლი მოიყარე უფლის წინაშე და შესთხოვე, რომ მოგცეს დრო მის წინაშე წარსადგომად.

თუ ტკივილი, სევდა, მელანქოლია, ავადმყოფობა, მაღალი სიცხე გაწუხებს, გონება მიმართე ღვთის ნებისკენ. უფალმა დაუშვა შენთვის, რომ აიტანო ამ დროში, ამგვარად ეს ტკივილი. შენ მადლიერებით გულის სიღრმიდან წარმოთქვი: „იხილე უფალო ჩემზე ნება შენი, რაც დაუშვი სიყვარულით იმიტომ, რომ ავიტანო ეს ტკივილი. დაე, იყოს კურთხეული უფალი ჩემი“. ყოველთვის, როცა რამე კეთილი აზრი გაგიჩნდება, უფალს მიმართე და მადლობა შესწირე მას.

კითხვის* დროს გწამდეს, რომ ამოკითხული სიტყვების მიღმა უფალი დგას. მზის ჩასვლის ყურებისას სთხოვე უფალს, რომ საუკუნო სიბნელეში არ დაინთქა. ჯვარს უყურე და იცოდე, რომ ის არის შენს ბრძოლაში დროშა და თუკი მას დაშორდები, მტრების ხელში აღმოჩდნები. თუკი ჯვარს გაჰყვები ზეციურ

* იგულისხმება წმინდა წერილის კითხვა (მთარგმნელის შენიშვნა)

სასუფეველში დამკვიდრდები. ღვთისმშობლის ხატს როცა უმზერ, მიუძღვენი გული მას, ვინც მეუფებს სამოთხეში და მადლობა შესწირე მას, რადგან მუდამ მზად არის უფლის ნების აღსასრულებლად. რადგან მან შვა, მან გამოკვება მაცხოვარი ამასოფლისა და არასოდეს არ მიგვატოვებს დედაღვთისა უხილავ ბრძოლაში. წმინდანთა ხატებმა დაგარწმუნონ იმაში, რომ მრავალი შემწე გყავს უფლის წინაშე. მათ გაგიხსნეს გზა, რომელზეც თუკი შედგები, შენც გვირგვინს მოიხვეჭ. ეკლესიას რომ დაინახავ, იფიქრე, რომ შენი სული უფლის ტაძარია „რამეთუ თქუენ ტაძარნი ღმრთისა ცხოველისანი ხართ“ (2 კორ. 6.16) და ის სუფთად უნდა შეინახო. როცა მოისმენ ანგელოზის მოკითხვას „ღმრთისმშობელო ქალწულო..!“ იფიქრე შემდეგი: ა) მადლობა შესწირე ღმერთს ამ უწყებისათვის (ხარებისათვის), რაც გახდა საწყისი ჩვენი გამოხსნისა, ბ) იხარე მარადქალწულ მარიამთან ერთად, რომელიც მისი უღრმესი სიმდაბლისათვის განსაკუთრებული პატივით შეიმკო, გ) თაყვანი ეცი ამ უბედნიერეს დედასთან (ღმრთისმშობელთან) და მთავარანგელოზ მიქაელთან ერთად ღვთიურ ყრმას, რომელიც განკაცდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წიაღიდან. დღეში სამჯერ უნდა გაიმეორო სამადლობელი სიტყვები დილით, შუადღეს და საღამოს.

ხუთშაბათს საღამოს იფიქრე ღმრთისმშობლის გოდებაზე, მის გლოვაზე, ბაღში მლოცველი მაცხოვრის სისხლიან თვალზე, როცა იუდასთან ერთად შეიპყრეს რომაელმა ჯარისკაცებმა, იფიქრე მაცხოვრის იმღამინდელი მწუხარებაზე. პარასკევს დილით იფიქრე თუ როგორც წუხდა დედა ღმრთისა, როცა მისი ძე პილატეს წინაშე წარდგა, მის სასჯელზე და ჯვარცმაზე. შუადღიდან შაბათამდე იფიქრე რა ტკივილს გრძნობდა ღმრთისმშობელი, ეს ყველაზე აღმატებული დედოფალი, ძის ჯვარცმისა და სიკვდილისას და სხვ.

მოკლედ, იყავი მუდამ ფხიზლად, რომ მარტო შენი გრძნობებით ყოველთვის მხიარულებასა და მწუხარებებში იმოქმედო არა მიწიერთა სიყვარულით ან სიძულვილით, არამედ მარტო უფლის ნებით.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებები, რომლითაც გრძნობები შეგიძლია მართო, არ ნიშნავს იმას, რომ მუდმივად ამით იყო დაკავებული. მთავარი ერთია, გონება გულისკენ მიმართე და ეცადე იდგე მუდამ უფლის გვერდით, რადგან მას სურს, რომ ყურადღებით იყო და დაამარცხო შენი მტრები, ვნებები მუდმივი საქმეებით, სათნოებებით.

მრავალნი, უწინდელი და ახალი ასკეტები წარმოსახვებით ცდუნდნენ ეშმაკისგან და დაეცნენ. ეშმაკმა იცის ანგელოზის სახის მიღება, როგორც პავლე მოციქული ამბობს, და ადამიანის ცდუნება. „თჳთ იგიცა ეშმაკი იცვალვისვე ანგელოზად ნათლისა“ (2 კორ. 11.14)

იცოდე აგრეთვე, რომ გრძნობებისგან იბადება წარმოსახვა და პირიქით წარმოსახვისგან გრძნობა. უფრო სწორად, რაც მეტად უმდიდრდება ადამიანს ფანტაზია, მით მეტად ძლიერდება გრძნობა. ამიტომ წარმოსახვით შეპყრობილ ადამიანებს ისე ეშინიათ ამ წარმოსახვებისა, როგორც გრძნობების. ისინი ტკბებიან ან ტკივათ და განიცდიან, ზოგიერთნი კი კვდებიან წარმოსახული საგნებისგან და ადამიანებისგან, თითქოს რეალურად არსებულნი იყვნენ. ვინ არ იცის რამდენად ცუდი რამ არის წარმოსახვა და რომ უნდა დავაღწიოთ თავი მას.

თავი ოცდამეოთხე

როგორ დავიმორჩილოთ ჩვენი ენა

აუცილებელია ჩვენს ენას ვფლობდეთ, რადგან საუბარი სიამოვნების და კმაყოფილების გამომწვევია. მრავალსიტყვაობა ხშირად ამპარტავნებიდან მომდინარეობს. ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ ბევრი რამ ვიცით და გვინდა ჩვენი აზრი სხვების გულებში აღვბეჭდოთ, ვასწავლოთ რაიმე. მრავალსიტყვაობიდან მომდინარე ბოროტებას ორი სიტყვით ვერ დავახასიათებთ. მრავალსიტყვაობა დედაა უსაქმურობისა და უგნურების წინაპირობა. მრავალსიტყვაობა ვნებებს აძლიერებს და ენა უფრო ადვილად ერთვება განურჩევლად საუბარში. სწორედ ამიტომ მოციქული იაკობი ამბობს, რომ ძალიან რთულია ადამიანმა არ შესცოდოს სიტყვით. ეს მხოლოდ სრულყოფილ პიროვნებას ძალუძს. „რომელი სიტ**ყ**ვთ არა სცთებოდის, იგი სრული კაცი არს, შემძლებელი არს იგი აღ**ვ**რსხმად ყოვლისავე გუამსა“ (იაკ. 3.2). როცა ენა იწყებს ერთხელ საუბარს, გარბის როგორც აღვირახსნილი ცხენი და ამბობს არა მარტო კარგს და საჭიროს, არამედ ცუდსაც. ამიტომ უწოდებს იაკობ მოციქული ენას „დაუპყრობელი ბოროტს და სავსეს გესლითა მაკუდინებელითა“ (იაკ. 3.8). სოლომონ ბრძენი ამბობს, „ბევრი ლაპარაკისას ცოდვა აუცდენელია“ (იგავ. 10.19) თუკი განვაზოგადებთ ამ აზრს, შეგვიძლია მოვიყვანოთ ეკლესიასტეს სიტყვები: „ბრიყვი მრავალსიტყვაა“ (ეკლ. 10,14). ნუ ესაუბრები დიდხანს იმას, ვინც ცუდი განწყობით გისმენს, რათა თავი არ მოაძულო. „სიტყვამრავალსა შეიძაგებენ“ (სიბრძნ. ზირაქ. 20,8). ნუ ისაუბრებ მკაცრად და ხმამაღლა. რადგან ორივე საძულველია და ამგვარი ლაპარაკი ამაოა და წარმოაჩენს შენს მაღალ წარმოდგენას საკუთარ თავზე. ნუ ილაპარაკებ ნურასდროს საკუთარ თავზე, შენს ნათესავებზე. ისაუბრე მოკლედ და მცირე სიტყვებით. მაშინაც კი თუ სხვები ამაყად ლაპარაკობენ თავის თავზე, ნუ მიბაძავ მათ[44].

უფლის შესახებ ილაპარაკე მთელი შენი არსებით, ილაპარაკე მის სიყვარულზე, სათნოებაზე, ოღონდ ამ საუბარს თან ახლდეს შიში, რომ არ დაუშვა შეცდომა. გაიაზრე ყველა სიტყვა გულში. სხვების ლაპარაკის მოსმენისას მხოლოდ ყურით ისმინე, გულში კი უფალს ესაუბრე. იმ დროსაც, როცა მოსაუბრეს პასუხი უნდა გასცე, გონებით უფალთან იყავი. იფიქრე, მის სიმაღლეზე, იმაზე, რომ შენ ღვთის წინაშე არაფერი ხარ. კარგად განსაჯე გულში შემოსული ყველა აზრი, სანამ ენა იტყოდეს. ისიც იცოდე, რომ სჯობს ისიც არ თქვა, რაც სწორად მიგაჩნია. მდუმარება უხილავ ბრძოლაში უდიდესი ძალაა და გამარჯვების იმედია. მდუმარება უყვარს მას, ვინც საკუთარ თავს არ ენდობა, არამედ უფალს არის მინდობილი. მდუმარება წმინდა ლოცვის მცველია და სათნოების წვრთნაში შემწე[45]. ზირაქის სიბრძნე გვასწავლის: „ზოგი დუმს, რადგან პასუხი არა აქვს, ზოგი კი იმიტომ დუმს, რომ დროს უყურებს“ (სიბრძ. ზირაქ. 20.6) ზოგს სხვა მიზეზი აქვს[46]. ვინც არ ლაპარაკობს,გონიერია და ბრძენი. „მდუმარებაში სიბრძნე ჩანს“ (სიბრძ. ზირაქ. 20,5).

მდუმარებას რომ შეეჩვიო, ხშირად იფიქრე მრავალსიტყვაობის საფრთხეზე და მდუმარების სიკარგეზე. ასევე საუბრის იმ

---

[44] საუბრისას გახსოვდეს წმინდა თალასეს სიტყვები: „საუბრის ხუთი სტილიდან აირჩიე სამი. მეოთხეს ნუ შეეჩვევი და მეხუთე უგულებელყავი (სათნოებათმოყვარეობა). ნიკოლოზ კატასკეპინის მიხედვით, საუბრის სამი სტილია: პასუხები: დიახ, არა და აზრის ნათლად გამოხატვა. მეოთხე – დაეჭვება, მეხუთე – ისაუბრე იმ თემაზე, რაც ჭეშმარიტია, ხოლო რაც არ იცი, სწორია თუ არა, ნუ ისაუბრებ. არსებობს კიდევ ლაპარაკის ხუთი ფორმა. მოხმობითი - როცა ვინმეს მოვუხმობთ, კითხვითი - როცა ვინმეს ვეკითხებით, სურვილიანი - როცა ვინმეს რამეს ვუსურვებთ, განსაზღვრული - როცა კონკრეტულად ვსაუბრობთ და ბრძანებითი - როცა ვინმეს რამეს ვუბრძანებთ. გამოიყენე მხოლოდ პირველი სამი ფორმა. განსაზღვრული და ბრძანებით სტილის საუბარს თავი აარიდე.

[45] ამბა ისაკი ამბობს, რომ მდუმარება მონაზვნურ ღვაწლში დიდი შემწეა. (λογ. ύ. λδ). დიდი ბარსანოფის აზრით კი საკუთარი ნებით მიღწეული მდუმარება თეოლოგიაზე აღმატებულია.

[46] ამბა ისააკი ამბობს, რომ მდუმარების სამი მიზეზი არსებობს. ადამიანთა დიდებისათვის, სათნოების მოშურნეობისთვის, და იმიტომ რომ ფარულად ღვთიურად საუბრობს საკუთარ თავთან და გონებაში წარმოშობილ სიტყვასთან (λογ.κστ†).

სამ მეთოდზე, რაზეც წინა თავებში გესაუბრე. უფრო ზუსტად კი იმაზე, თუ როგორ მაღლდება ადამიანი გრძნობიერიდან უფლის ჭვრეტამდე, განკაცებული ღვთის სიტყვის ჭვრეტამდე. ეს შეუძლია იმას, ვისაც აქვს ცოდნა, გარჩევის და გულისთქმისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი, ვისაც შეუძლია საკუთარი გრძნობების შეცვლა. ვისაც ამგვარი ცოდნა და ძალა არა აქვს, მათ სხვა მეთოდით შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი გრძნობები. მთელი ძალისხმევით განერიდონ გრძნობიერს, რაც სულს დააზიანებს.

შენ, საყვარელო ძმაო, 1) ყურადღებით უნდა დაიცვა თავი სწრაფი და ავი ქურდებისაგან – შენი თვალებისაგან, არ მისცე საშუალება უყურონ ცნობისმოყვარეობით ქალის სახეს, არც ლამაზს და არც უშნოს, არც მამაკაცს, არც ახალგაზრდის და არც მოხუცის. არ უყურო არც სხვისი და არც საკუთარი სხეულის სიშიშვლეს. ამგვარი ვნებიანი მზერა გულში სიამოვნების და სიძვის სურვილს აღძრავს, როგორც ამბობს უფალი: „ყოველი რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის-თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თ**ჳ**სსა“ (მათ. 5.28). ერთმა ბრძენმა თქვა: „მზერა წარმოშობს გზნებას[47]“. ამიტომ გვაფრთხილებს ბრძენი სოლომონი: „გული ნუ მიგივა მის სილამაზეზე“ (იგავ. 6,25).

გარდა ამისა,ნუ გაგიტაცებს ლამაზი საჭმელი და სასმელი, გაიხსენე ევა. მან სამოთხის ხის აკრძალული ნაყოფი იგემა, რადგან მოუნდა და მოკვდა. ნურც სიამოვნებით ნუ შეხედავ ოქროს და ვერცხლს, ძვირფას ტანსაცმელს, რადგან თვალებიდან სულში არ შეიჭრას დიდებისმოყვარეობისა და ვერცხლის მოყვარეობის ვნება: **„მოაქციენ თუალნი ჩემნი, რათა არა იხილონ ამაოებაჲ, და გზათა შენთა მაცხოვნე მე“ (ფსალმ.** 118.37).

[47] ეს ცხადია წმინდა წერილიდანაც. ღვთის შვილებმა სეთმა და ენოსმა კაენის მოდგის ქალიშვილები დაინახეს, სილამაზით მოიხიბლენ, ცოლად შეირთეს და ამას მოჰყვა სამყაროს კატაკლიზმები (დაბ. 6.6). ემორის ძემ შეიხემმა სიკიმაში დაინახა იაკობის ასული დინა, შეუყვარდა და შესცოდა მასთან, ამას მოჰყვა სიკიმელთა განადგურება (დაბ. 34,26). სამსონმა იხილა ქალები თამნათში, ღაზაში, შეუყვარდა ისინი, დაწვა მათთან (მსაჯ. 14,2. 16,1) და ა.შ.

და საერთოდ არ უყურო ცეკვებს, თამაშებს, ნადიმებს, ორთაბრძოლებს, ჩხუბებს და სხვა ამგვარ თავმდაბლობას მოკლებულ რამეებს, რაც ჭკუასუსტი სამყაროს კუთვნილებაა და იკრძალება საღმრთო სჯულით. განერიდე მათ და თვალი მოარიდე, რათა არ აგევსოს გული და წარმოსახვა მახინჯი სურათებით და ვნებებით, აღძარი ახალი ბრძოლა შენი თავის წინააღმდეგ. შეიყვარე ეკლესიების, ხატების, წმინდა წიგნების, საფლავების და საერთოდ სიწმინდეების მზერა, შეიყვარე ისინი, რისი ხილვაც სასარგებლოა სულისთვის.

2) დაიცავი შენი სასმენელი, რომ არ მოუსმინო სამარცხვინო და ეროტიკულ სიტყვებს, სიმღერებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, რომელთაგანაც სული ტკბება და გული ხორციელი სურვილით ენთება. ნუ მოისმენ სახუმარო და სასაცილო სიტყვებს, რადგან ისინიც ფანტაზიის ნაყოფია და სიცრუეა. არ ხამს ქრისტიანმა ამგვარი რამ სიამოვნებით მოისმინოს. ეს იმ გახრწნილ ადამიანთა საქმეა, რომელთა შესახებ პავლე მოციქული ამბობს: „ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თჳსნი გარემიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ“ (2 ტიმ. 4,4). ნუ მოუსმენ სიამოვნებით სხვების განსჯას და გაკრიტიკებას. თუ შეგიძლია წინააღმდეგობა გაუწიე, თუ არა და ნუ დაჯდები მოსასმენად. წმ. ბასილი დიდი განკვეთის ღირსად თვლის მათაც, ვინც ბევრს ლაპარაკობს და მათაც, ვინც უსმენს.

განერიდე იმგვარ საუბარს, როცა ამაო სიტყვებით მეტისმეტად მრავალსიტყვაობენ, რადგან დაწერილია: „ნუ მოუსმენ ამაო სიტყვებს“ (გამოსვლ.) „სიცრუე და ტყუილი მაშორე“ (სიბრძნ. სოლომონისა 30,8). უფალი ამბობს: „ყოველი სიტყუაჲ უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყუა მისთჳს დღესა მას სასჯელისასა“ (მათ. 12,36). მოკლედ რომ ვთქვათ: დაიცავი თავი, რომ არ მოისმინო ის, რაც სულს ავნებს, ასეთია მლიქვნელი და საქებარი სიტყვები, ამის შესახებ თქვა ისაია წინასწარმეტყველმა:

„ვაჲ უშჯულოსა, ბოროტნი საქმეთაებრ მისთა თანა შთავიდენ მისსა.“ (ისაია.3.11)

გიყვარდეს მხოლოდ ღვთიური სიტყვების, საგალობლების და საერთოდ წმინდა, ბრძნული და სულისმარგებელი რამეების მოსმენა. ასევე გიყვარდეს შენი შეურაცხმყოფელი სიტყვების გაგონებაც.

3) დაიცავი ყნოსვა სურნელოვანი სუნამოების ნელსაცხებლებისაგან. ეს არათავმდაბალი ქალებისათვის არის დამახასიათებელი და არ შეჰფერის გონიერ კაცს. სასიამოვნო სურნელი სულის სიმტკიცეს მიაძინებს და ვნებას აღვიძებს და ისაია წინასწარმეტყველის სიტყვებით: „სურნელების ნაცვლად (მათ) აუვათ სიმყრალე“ (ისაია 3,24).

4) დაიცავი შენი გემოვნება, ნუ მიეცემი გემოთმოყვარეობას და ნუ დაემონები მსუყე და გემრიელ საჭმელს და სასმელს. სანამ ამგვარ სუფრასთან მოხვდები, ჭამის ვნებით აღიძვრები, შემდგომ კი დაგანგრევს ხორციელი სიამოვნება და მოიგონე ამოს წინასწარმეტყველის სიტყვები:

მშუებელნი სარეცელთა ზედა მათთა და მჭამელნი თიკანთანი სამწყსოთაგან და ჯბოებსა შორის სამრეწლისა მწუარებსა (ამოს. 6,4)

5) ფრთხილად იყავი, რომ არ შეეხო არა თუ სხვისი, ქალის, კაცის, მოხუცის თუ ბავშვის, არამედ არც საკუთარ სხეულს და მის არც ერთ ნაწილს, თუ ეს საჭირო არ არის. რადგან შეხება აღძრავს ვნებას და ცოდვისკენ უბიძგებს, თავშეკავება აუცილებელია, რადგან შეხების შემდეგ ძნელია ცოდვისაგან თავდაცვა. შეხების შეგრძნებას უკავშირდება სხვისი სხეულის თუ ფეხის ძვირფასი სამკაულით მორთვა. ჩაიცვი სადა და საჭირო სამოსელი. ზამთარში თბილი, ზაფხულში გრილი სხეულის დასაფარად, რათა შენც არ მოგესმას ის სიტყვები, რაც ერთმა მდიდრულად ჩაცმულმა კაცმა მოისმინა: „მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა“ (ლუკ. 16, 25) და შენც არ გიწიოს წყევლამ, რაზეც ბრძანებს ეზეკიელ წინასწარმეტყველი:

„აღიჯადნენ მიტრანი თავთაგან მათთა და შესამოსელნი მათნი ჭრელნი განიძარცუნენ, განკრთომით განჰკრთენ ქუეყანასა ზედა, დასხდენ და ეშინოდიან წარწყმედასა მათსა და სულთ

ითქმიდენ შენ ზედა“ (ეზეკიელი, 26,16).

შეხებას განეკუთნება აგრეთვე სხეულის სხვა სიამოვნებები: თმების გარცხნილობა, წვერის ხშირი დაბანა, დიდებულ სახლში ცხოვრება, ძვირფასი სარეცელი და სავარძლები. ყოველივე ამას განერიდე, რადგან წინაპირობებია ხორციელი ვნების წარმოსაქმნელად. გაიხსენე ამოს წინასწარმეტყველის სიტყვები: „ვაი, თქვენ, ვინც განისვენებს სპილოს ძვლის საწოლზე და ნებივრობთ“ (ამოს. 6,4).

ეს ყოველივე, რაზეც გესაუბრე, დედამიწაა, რომელიც დაისაჯა, რადგან ეშმაკს დაემორჩილა. ესაა ნივთიერი სამყარო და საკვები, რომლითაც ხორციელი ვნებები საზრდოობენ. თუკი მათგან უმცირესსაც არ უგულებელყოფ და მამაცურად შეებრძოლები და არ შეუშვებ სულსა და გულში, გარწმუნებ, რომ ადვილად დაუსხლტები ბოროტს და ვნებებს ხელიდან და ცოტა ხანში იქნები გამარჯვებული უხილავ ბრძოლაში. რადგან იობის წიგნში ნათქვამია: „ლომი უნადავლოდ დაიღუპება“ (იობ. 4.11)[*48].

---

[*] ბერძნულ ტექსტში გვხვდება სიტყვა „μυρμηκολέων“ – „ჭიანჭველა ლომი“ (ე.დ.).

[48] ბერი იობი (μυριόβιβλο του Φωτ,ου) ფოტიოსის მირიობიბლოში ამბობს, რომ ეშმაკს ეწოდება „ჭიანჭველა–ლომი“, რადგან იგი ადამიანს თავდაპირველად პატარა ცოდვას ჩაადენინებს, შემდეგ კი დიდს. თავიდან იგი უძლური და პატარა ჩანს ჭიანჭველასავით, შემდეგ კი ცოდვილი კაცის წინაშე ლომს ემსგავსება.

თავი ოცდამეხუთე

როგორ გამოვასწოროთ ჩვენი წარმოსახვა და მეხსიერება

უკვე ვისაუბრეთ შეგრძნებათა გამოსწორების შესახებ. ახლა საჭიროა ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვასწოროთ ჩვენი წარმოსახვა და მოგონებები, რადგან ფილოსოფოსთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ წარმოსახვა და მოგონება არის ნანახი, მოსმენილი, გასინჯული გრძნობადი საგნებისაგან მიღებული შთაბეჭდილება. მოკლედ რომ ვთქვათ წარმოსახვა და მოგონება არის შინაგანი გრძნობა, რომელიც წარმოსახავს და იმახსოვრებს ყველაფერს, რასაც ჩვენ ხუთი შეგრძნებით განვიცდით. ეს შეგრძნებები და გრძნობადი საგნები ბეჭედს ჰგავს, წარმოსახვა კი ამონაბეჭდს.

მოგონება და ფანტაზია უფლისგან განდგომის შედეგად მოგვეცა. მათ ვიყენებთ მაშინ, როცა გარეგნული შეგრძნებები მშვიდად არიან და თვალწინ არ გვაქვს გრძნობადი საგნები. ამ დროს წარმოსახვით და მოგონებით ვაცოცხლებთ მათ.

მაგალითად, ერთხელ წახვედი და ნახე ქალაქი სმირნი. იქიდან დაბრუნებული ვეღარ ხედავ ქალაქს ხილულად, მაგრამ წარმოსახვაში და მოგონებაში შეგიძლია თვალწინ გაიცოცხლო. ამ დროს შენ ხედავ სმირნის სურათს, რაც აღბეჭდილია შენს მეხსიერებაში. გრძნობადი საგნების ასეთივე წარმოსახვა გვაწუხებს ძილში, როცა მრავალფეროვან სიზმრებს ვხედავთ, რომელთაც არასოდეს არ უნდა დაუჯერო.

1) იცოდე, რომ ღმერთი არსებობს ყოველი წარმოსახვის და გრძნობის მიღმა. წარმოსახვა არის სულის ძალა, რომელსაც არ შესწევს უფალთან შეერთების უნარი მისი მრავალი ნაკლის გამო[49].

2) გახსოვდეს, რომ ლუციფერი, ანგელოზთა შორის პირველი, რომელიც თავდაპირველად იყო უპირატესი, გონიერი, უნივ-

[49] იხილე „სათნოებითმოყვარეობა“, სადაც ნათქვამია, რომ „არანაირი წარმოსახვა უფალთან ახლოს არ არის, რადგან აზრი არ გააჩნია.

თო და უსხეულო, წარმოსახვით გაუტოლდა უფალს და დაეცა მრავალფეროვანი ფანტაზიის გამო – ასეთია ღმრთისმეტყველთა მოსაზრება. ამგვარად, უსხეულო, უვნებო ანგელოზი იქცა ვნებიან, მრავალსახოვან ნივთიერ ეშმაკად[50].

ამიტომ უწოდებენ წმინდა მამები ეშმაკს მხატვარს, რომელიც ყველაფერს ბაძავს, მრავალსახოვან ქვეწარმავალს და სხვ. გაიხსენე იობის წიგნის მე-40 და 41-ე თავები და გახსოვდეს საყვარელო ძმაო, რომ მრავალფეროვანი წარმოსახვა ეშმაკის ნაყოფია. წმინდა მამების აზრით ის არის ხიდი, რომლითაც ეშმაკი სულში იჭრება და შეაქვს ცბიერი, სამარცხვინო, გულისთქმანი, წარმოშობს ბილწ სულიერ და ხორციელ ვნებებს.

3) იცოდე, რომ წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სწავლების მიხედვით, ადამი უფლისგან წარმოსახვის გარეშე შეიქმნა. ასე რომ ადამის გონება სუფთა, ერთადერთი და ნამდვილი იყო, მასში არ აღბეჭდილა სხვადასხვა გრძნობიერი საგანი. იგი არ იყენებდა ფანტაზიის ძალას და არ წარმოსახავდა არც სახეებს, არც ფერებს, ის უყურებდა სულის უმაღლესი ძალით, ანუ შემეცნებით, საგნებს, არსს სულიერად და უბიწოდ[51].

ადამიანთა მტერმა ეშმაკმა, რადგან თავად დაეცა წარმოსახვისგან, ასევე დასცა ადამი ანგელოზებრივი, მოაზროვნე სიცოცხლიდან დაიყვანა ფანტაზიით პირუტყვ ცხოველთა მდგო-

[50] ღმერთშემოსილი გრიგოლ სინელი ამბობს ეშმაკების შესახებ; „ისინიც ოდესღაც გონიერი არსებანი იყვნენ, მაგრამ დაეცნენ ამ უსხეულობიდან თითოეულმა მიიღო ნივთიერი არსი. და ექვსი ვნების შესაბამისი ენერგია (φιλοκαλία. κεφ. ρκγ΄) და აგრძელებს შემდგომ: „ეშმაკები ექვსი ვნებისგან იქცნენ ნივთიერად“.

[51] ახალ ადამს, უფალს ჩვენსას იესო ქრისტეს ჰქონდა ბუნებრივ არსებათა დამახასიათებელი გონება, მაგრამ მასში არ იყო ვნება და გრძნობად საგანთა წარმოსახვა. თეოლოგი გიორგი კორესიოსი წერს: „ქრისტეს ჰქონდა არსებათა ბუნებრივი ცოდნა, რასაც ხელს არ უშლიდა წარმოსახვა, ძილი და სხვა მიზეზი, როგორც ეს ადამიანურ გონებას ემართება. რადგან ქრისტეს გონება არ იყო დამოკიდებული ფანტაზიაზე“. აქედან გამომდინარე, გასაგებია თეოფილაქტე ბულგარელის (ლუკას სახარების IV თავის განმარტება) სიტყვები, რომ უფალმა არ წარმოიდგინა მიწიერი სამყაროს მეუფება, რაც მას ბოროტმა წარმოუჩინა.

მარეობამდე. რადგან ფანტაზია დამახასიათებელია არა მხოლოდ მეტყველთათვის, არამედ პირუტყვთათვისაც.

ადამიანი დაეცა და ვინ იტყვის, რამდენ ვნებას, ბოროტებას და ცდუნებას დაემორჩილა წარმოსახვით. აივსო ეთიკური ფილოსოფია სხვადასხვა სიცრუით. ადამიანის ბუნება აივსო ფსევდოთეოლოგიით და დოგმებით. მრავალნი, უფროსებიც და ახალგაზრდებიც, რომელთაც სურდათ საუბარი ღმერთზე, მასთან დაკავშირებულ მარტივ საიდუმლოებებზე, სადაც მოქმედებს ყველაზე აღმატებული სულიერი ძალა ანუ გონება, შეცდნენ. იმის ნაცვლად, რომ წინდაწინ განეწმინდათ გონება ვნებიანი წარმოსახვებისგან, ჭეშმარიტების ნაცვლად ტყუილი აღმოაჩინეს. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ეს სიცრუე მიიღეს როგორც ჭეშმარიტება. თეოლოგების ნაცვლად მივიღეთ ფანტაზიორები, რადგან უწვრთნელ გონებას დაემორჩილნენ, როგორც ამბობს მოციქული.

ამრიგად, ძმაო, თუ გსურს განთავისუფლდე ვნებების ცდუნებებისგან, თუ გსურს გაექცე ეშმაკის დაგებულ მახეს, გსურს შეუერთდე უფალს და განათლდე ქრისტესმიერი სინათლით, იბრძოლე მთელი ძალით. იბრძოლე, რომ განძარცვო შენი გონება ფანტაზიის ფერებისგან, სქემებისგან და გრძნობადი როგორც ცუდი, ისე კარგი საგნების მოგონებებისგან. ეს ყველაფერი ჭუჭყია, ტალახია რაც აბინძურებს გონების სინათლეს, ელვარებას, მის უბიწობას. არანაირ სულიერ ან ხორციელ ვნებას[52] არ შეუძლია მიეახლოს გონებას, წარმოსახვის გარეშე. იღვაწე, რომ დაიცვა გონება უბიწოდ, მრავალსახოვნების გარეშე, ისეთი, როგორც შექმნა ღმერთმა.

[52] თუ მოხდება ისე, რომ ვიღაცას თვალი გაექცევა და ვნებით შეხედავს მშვენიერ სახეს, იბრძოლებს, რომ არ აღიბეჭდოს ეს სახე მის წარმოსახვაში, გონებას გულისკენ მიმართავს, დაუსხლტება სიამოვნების მომგვრელ აზრს, და გაექცევა ცოდვის ჩადენას. წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი წერს: „მე გამიტაცა მზერამ, მაგრამ ვერ დამიმორჩილა. არ აღვმართე ცოდვის კერპი. გამოცდილება არის კერპი, გავექეცით ცოდვის ჩადენას. ასეთია მტრის ცდუნების საფეხურები“. თუ ვინმე მიუშვებს და წარმოსახვაში აღბეჭდავს ნანახ სახეს, ადვილად ჩაიდენს ცოდვას. ასე რომ ყველაფერი დამოკიდებულია წარმოსახვაზე.

ასეთი რამ სხვაგვარად არ ხდება, თუკი ჩაუღრმავდები შენს შინაგან სამყაროს და მიეჩვევი ლოცვას გულში სიტყვებით: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე“. ყურადღება მიაქციე ლოცვის სიტყვებს და დააკვირდი შენს თავს, რომ უფალთან იყო აზრით[53].

ამგვარ ჭვრეტას წრიული და შეუცდომელი ეწოდება[54]. რადგან, როცა გველი ძველი ტყავს იცვლის ვიწრო ადგილს ეძებს, ასევე გონება გულის ვიწრო ნაწილშია, სადაც გონებითი ლოცვა წარმოითქმება, აქ იფილტრება, იძარცვება ფანტაზიის შესამოსელისგან და წმინდა, ელვარე და ღმერთან შეერთების ღირსი ხდება. წყალი რაც უფრო ვიწრო მილში გაედინება, თხელდება, ძლიერდება და მაღლა ადის. ასევე გონება, რაც მეტად უღრმავდება გულს, ძალას იკრებს და ყველა ვნებაზე მაღლდება,

[53] წმ. ბასილი დიდი ამბობს: „როცა გონება არ იფანტება გარეგან საგნებში, არ ემორჩილება გრძნობად სამყაროს, საკუთარ თავს უღრმავდება და იქიდან მაღლდება უფალთან „გონებაᲝ, რომელი არა განიბნეოდის და არცა საცნობელთა მიერ სოფლისა მავნებელთა საქმეთა და გულისსიტყუათა მიიზიდვებოდის, მაშინ შემოკრბების თავსა შორის თ**ჳ**სსა და აღვალს ღმრთისა მიმართ…“ (წმ. ბასილი კესარიელი, წმ. გრიგოლ ნაზიანზელი. წერილები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ქაჯაიამ. თბ. 2006. გვ. 85-86.)

[54] წმ. დიონისე არეოპაგელის თხზულებათა მიხედვით სულის სამგვარი მოძრაობა არსებობს ა) წრიული, როცა სული გარეგან საგანთაგან საკუთარ თავს უღრმავდება, შემდეგ უერთდება ანგელოზთა ძალებს და უერთდება უსაწყისო და უსასრულო სიკეთეს ანუ ღმერთს; ბ) სპირალისებური, როცა სული მოძრაობს და იღებს ღვთიურ ცოდნას აზროვნებით და გადაადგილებით ერთი აზრიდან მეორისკენ ენერგიით წრიული და პირდაპირი მოძრაობას შორის; გ) პირდაპირი, როცა სული გადის გარეგანი გრძნობადი საგნების საჭვრეტად და მათგან მაღლდება უმაღლესის ჭვრეტამდე (საღმრთო სახელთათვის. თ. 4).

სულის წრიულ მოძრაობას ეწოდება ძირითადი და უპირატესი რადგან, როგორც მაგ. ორი რტო ერთმანეთს უერთდება იწვნება გვირგვინი და წრე, ასევე, აზრის და შემეცნების ძალები და სულის ენერგია (რომელიც ტვინში იმყოფება) უერთდება სულის მოაზროვნე არსებას (რაც გულში მყოფობს) სახარებისა და წმინდა მამათა სწავლების მიხედვით, ამგვარი შეერთებით იკვრება წრე და გონება უერთდება ღვთიურ მადლს, რომელიც გულის სიღრმეში ივანებს.

გრძნობად და წარმოსახვით გულისთქმებს სძლევს[55]. თუკი შენი გონება წარმოსახვებს აჰყვება, დააბრუნე გულის სავანეში და ამას მიეჩვიე.

ეს არის უმთავრესი მეთოდი, რომლითაც შეგიძლია გამოასწორო შენი წარმოსახვა და მეხსიერება. რას ვგულისხმობ? უნდა გააქრო და ამოძირკვო ძირფესვიანად წარმოსახვის სურათები და კერპები. ეს მეთოდი ნაყოფიერია, მაგრამ დამღლელი რამდენადაც დამღლელია, იმდენად ძნელად გამოსაყენებელი. რთულია ჩვენი დროის ბრძენთათვის და მოძღვართათვის, რომელთაც არ სურთ ირწმუნონ სული წმინდისეული სწავლება, ღმერთშემოსილი მამათა მოძღვრება, რაც სათნოებითმოყვარეობის წიგნშია ასახული. ამიტომაც სამართლიანად არიან მოკლებულნი სული წმინდის ნაყოფს, რასაც ფლობს ბევრი უსწავლელი და უწიგნური: „დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩ**ჯ**ლთა“ (ლუკ. 10,21). ვისაც არ სჯერა გონებითი ღვაწლისა, ვერ გაიგებს მისგან მომდინარე სარგებლობას: „თუ არ იწამებთ, ვერ გაიგებთ“ (**ისაია. 7,9**).

როცა ხედავ, რომ გონება დაღლილია და ვეღარ ჩერდება გულში, მაშინ გამოიყენე ეს მეთოდი. აცალე გარეთ გამოსვლა, რომ მიემართოს წმინდა წერილის კითხვას და სულიერ თემებს. ამით ადვილად დაუბრუნდება გონება გულს და კვლავ შეუერთდება ღმერთის ხსოვნას. ამის შესახებ ამბობს მაქსიმე აღმსარებელი: „მარტო საქმე ვერ გახდის გონებას უვნებოს, თუ მას (საქმეს) არ მოჰყვება მრავალი და მრავალფეროვანი ჭვრეტა“. ყურადღებით იყავი, ნუ იზრუნებ ბევრს მატერიალურ საგნებზე, რადგან ჯერ კიდევ ვნებით სავსე ხარ, თუ შენი გონება არ განთავისუფლდა გრძნობადისაგან მიღებული წარმოსახვებისგან, მაშინ მას გაიტაცებს საგანთა გარეგნული მხარე, ამით კმაყოფილი, მიიღებს ნატყუარ ვნებებს, როგორც ამბობს წმინ-

[55] კარგ მაგალითს მოვიყვან: მზის დისკოს მოშორებული სხივები სუსტი და მკრთალია, თუ ისინი თავს იყრიან მზის ცენტრში ძლიერდებიან და მეტად ელვარებენ. ასევე გონება და სულის მოაზროვნე ძალები თუ გულში ერთიანდებიან, მეტ ძალას და ბრწყინვალეებას იძენენ.

და მაქსიმე, ნაცვლად ჭეშმარიტებისა და უვნებობისა. ასე დაემართა ბევრ ფილოსოფოსს.

გამოიყენე მეთოდი გონების დასამშვიდებლად. წარმოიდგინე მაცხოვრის ცხოვრებისა და ვნების სურათები, მისი დაბადება გამოქვაბულში, მირქმა, იორდანეში ნათლობა, ორმოცდღიანი მარხვა უდაბნოში. სახარების ქადაგება, უფლის სასწაულები, თაბორის მთაზე ფერისცვალება, მოწაფეთათვის ფეხთაბანა, საიდუმლოთა გადაცემა, მაცხოვრის გაცემა, მისი ვნება ჯვარზე, დაფლვა, აღდგომა და ამაღლება, მოწამეთა ღვაწლი და წამება.

იგივე შეგიძლია გააკეთო გულის დასამდაბლებლად. წარმოიდგინე შენი სიკვდილის წამი, უფლის სამსჯავრო, საუკუნო სატანჯველი და საუკუნო ცეცხლი, ბნელი საპყრობილე, ცივი საფლავი, სისხლის მწოველი მატლები, დემონებთან ყოფნა, წარმოიდგინე ასევე აღუწერელი სიხარულით შვება და განსვენება მართალთა, საუკუნო დიდება და ნეტარება. წმინდანთა ხმა და უფალთან ერთობის დღესასწაული[56].

ოღონდ იცოდე, ეს მეთოდები გამოიყენე, მაშინ როცა გონება გადაღლილია, გულში დაბრუნებისას კი უფლის მარადიული ხსოვნა გქონდეს. რადგან როგორც ჯავშნოსანი ცხოველები (კუ, ლოკოკინა) სახლს თან ატარებენ და ამასშივე ისვენებენ

[56] ძმაო, თუ ამგვარი ფიქრებით წარმოსახვის რუკას დახატავ, არა თუ დაუსხლდები ცბიერ მოგონებებს და ბოროტ გულისთქმებს, არამედ უკანასკნელ სამსჯავროზე შეიქები, რადგან წმ. ბასილი დიდი ჰომილიაში (ქალწულებისათვის) ამბობს, რომ ყველა სხეულში მყოფი ადამიანი ჰგავს მხატვარს, რომელიც ფარულად ხატავს სურათს. მაშინ, როცა მხატვარი წარმოაჩენს თავის ნახატს, მხილველნი აქებენ, თუკი დახატა წმინდანთა ხასიათები, მშვენიერი და ღირსშესანიშნავი საგნები, ხოლო განსჯიან იმგვარ მხატვარს, რომელიც დახატა საძულველი და საძაგელი საგნები. ასევე ადამიანი სიკვდილის შემდეგ, როცა წარდგება უფლის სამსჯავროზე განიდიდება და ნეტარ იქმნება ღმერთისგან და ანგელოზთაგან თუკი მისი გონება და წარმოსახვა მოკაზმულია ღვთიური და სულიერი აზრებით. განისჯება, თუკი წარმოსახვა სავსე აქვს ვნებებით სამარცხვინო კერპებით და სურათებით. წმ. გრიგოლ თესალონიკელი გაოცებულია იმით, რომ გრძნობიერისგან სულში წარმოსახვით იქმნება გონებითი სინათლე, რაც საუკუნო სიცოცხლეს ნიშნავს ან გრძნობიერისგანვე წარმოიშვება გონებით ჯოჯოხეთისეული სიბნელე (φιλοκαλία).

კარგად, ასევე გონებაც ყველაზე უკეთ განისვენებს სხეულში, გულის სავანეში და ადამიანის შინაგან სამყაროში. სწორედ იქიდან უნდა ებრძოლოს გონება გულისთქმას, ვნებებს, მტრებს, რომლებიც იქვე არიან დამალულნი. და ხშირად ბევრმა ადამიანმა ეს არ უწყის[57]. ბრძოლისას ყურადღებით იყავი, არ მიუშვა შენი წარმოსახვა, რომ ახსოვდეს ნანახი, გაგონილი და ნაგრძნობი, განსაკუთრებით ცუდი. გამოცდილებამ აჩვენა, რომ მეტი ბრძოლაა საჭირო ერთი საგნით გამოწვეული წარმოსახვისგან გასათავისუფლებლად, ვიდრე შეგრძნებისგან. ერთია ვნებით შეხედვა ან არ შეხედვა, ამას დიდი ბრძოლა არ სჭირდება, მაგრამ ძალიან ძნელია წარმოსახვაში და ხსოვნაში აღბეჭდილი სახის ამოგლეჯა. ხშირად ერთი ვნებიანი და ცნობისმოყვარე მზერა, მშვენიერი სახისკენ მიპყრობილი ვნებანი და ცნობისმოყვარე მზერა ჩვენს წარმოსახვაში და ხსოვნაში ისე ღრმად იბეჭდება, რომ ვეებრძვით ორმოცი, ორმოცდაათი წელი, სიბერემდე და ვერ ვთავისუფლდებით მისგან. სასაცილოა, ეს სახე ბერდება, უშ-

[57] ვნება რომ გულშია დამალული, გამოდის და გვებრძვის, ამას უფალი ამბობს: „გულისაგან გამოვლენ გულის-სიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის-წამებანი, გმობანი. ესენი არიან, რომელნიშეაგინებენ კაცსა“ (მათ. 15,19). წმ. დიადოხოსი ამბობს, რომ წმინდა ნათლობამდე ღვთიური მადლი კეთილისკენ უბიძგებს ადამიანს, სატანა კი სულსა და გულის სიღრმეში დარაჯობს. ნათლობის შემდეგ, ეშმაკი გამოდის გარეთ, რადგან მადლი ივანებს მასში. ნათლობის შემდგომაც ბოროტი ხვდება გულში და იქიდან აღაგზნებს გონებას ხორციელი ვნებებით. წმინდა მამები ამბობენ, რომ არ უყვარს ბოროტს, როცა ადამიანი გრძნობს მის ყოფნას, რათა არ შეებრძოლოს და არ განაგდოს იესო ქრისტეს სახელით (ლოცვით, რომელიც გულში წარმოითქმება) ბოროტი რომ არის ჩვენში, ამას ამბობს წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველიც.

[58] მე მოვიყვანე მზერისგან დაბადებული წარმოსახვის მაგალითი, რადგან სხვა შეგრძნება ასე არ გვებრძვის. შეხედვით გამოწვეული წარმოსახვა ძნელად იშლება მეორე მხრივ, გვებრძვიან მოსმენილით გამოწვეული წარმოსახვები. იცოდე, რომ როცა სხვა შეგრძნებები მოქმედებენ თვალები არ კმაყოფილდება თუკი ვერ ხედავს იმას, რასაც სხვა შეგრძნებები აღძრავენ, ასე რომ არ კმაყოფილდება არც ჩვენი წარმოსახვა, თუ არ არის ხილული, რასაც ვისმენთ, ვიგემებთ ან შევეხებით (წმ. გრიგოლ თესალონიკელი).

ნოვდება, კვდება და მიწად იქცევა. ხშირად ჩვენივე ხელით საფლავში ვხედავთ მის ძვლებს, მაგრამ ჩვენს წარმოსახვაში მისი ხატება ცოცხლად და ახალგაზრდულად ინახება და ამის გამო ვცოდავთ გულში, თითქოს სინამდვილეში იყოს ძილის დროსაც და გაღვიძებისასაც[58].

შეგახსენებ, დაიცავი თავი კარგად და არ ირწმუნო და არ მიიღო როგორც სინამდვილე, რასაც ძილში და მღვიძარე ნახავ გულის სიღრმიდან, იქნება სინათლე, ცეცხლი, ანგელოზის სახე თუ მსგავსი რამ, რაც არ უნდა იყოს.

თავი ოცდამეექვსე

ქრისტეს მეომარმა მთელი თავისი ძალით თავი უნდა აარიდოს შფოთს, თუ სურს მტერთან მედგარი ბრძოლა

ხდება ისეთი შემთხვევა, როცა ქრისტიანი გულის სიმშვიდეს კარგავს, ამ დროს ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ ეს სიმშვიდე კვლავ დაიბრუნოს. უნდა ახსოვდეს ერთი რამ: არავითარი ფაქტი და მოვლენა არ ღირს გულის სიმშვიდის დაკარგვად. დიახ, უნდა ვწუხდეთ ჩვენს ცოდვებზე, მაგრამ მშვიდი წუხილით. ამგვარად, გულის შფოთის გარეშე, სიყვარულით გვტკიოდეს ყველა ცოდვა და შინაგანად ვიტიროთ ცოდვებზე. სხვა ყველაფერი, რაც კი ხდება და შეიძლება შეგვემთხვეს სნეულება, ჭრილობა, ახლობლის გარდაცვალება, შიმშილი, ომი, ხანძარი და სხვ. ღვთის მადლით შეგვიძლია გადავიტანოთ და უფრო მეტიც, ამგვარი განსაცდელი ვითხოვოთ და გვიყვარდეს, როგორც სამართლიანი სასჯელი. ასე გამოვიცდებით და უფალსაც ეს სურს, რადგან განსაცდელს თავად გვიგზავნის. ღვთის ნებას მინდობილი კი მშვიდი გულით გადავიტანთ ყველა მწუხარებას და ტანჯვას ამქვეყნიურ ცხოვრებაში. იცოდე, რომ ნების-

მიერი შფოთი გულისა უფალს არ უყვარს, რადგან ის ყოველთვის საკუთარი თავის მეტისმეტი სიყვარულისგან მომდინარეობს. ამიტომ იყავი ფხიზლად და არ გამოგეპაროს გულში შესული მცირე შფოთიც კი. აღიჭურვე და შეებრძოლე მას. იფიქრე, რომ ყველანაირი ცუდი, რასაც გრძნობ სინამდვილეში, არ არის ცუდი და ყველაფერს უშვებს ღმერთი. ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ყველაფერი, რაც ხდება სამართლიანია უეჭველად. თუკი მწუხარებისა და განსაცდელის ჟამს შენი გული მშვიდად რჩება, იცოდე, რომ ბევრს მოიგებ, სული თუ შფოთავს, ნებისმიერი ღვაწლით ან ვერაფერს მიაღწევ ან ძალიან მცირეს. ამას ვამბობ იმიტომ, რომ მშფოთვარე გული მტრებისგან დამარცხებულია. უფრო მნიშვნელოვანია, როცა აღელვებული ვართ, ვეღარ ვარჩევთ სათნოებისკენ მიმავალ სწორ გზას. ჩვენი მტერი, ეშმაკი, რომელსაც სძულს მშვიდობა, ხშირად მეგობარივით გვესტუმრება და გვცდის სხვადასხვაგვარი სურვილების აღძვრით[59]. ეს სურვილები კარგი გვეჩვენება, სინამდვილეში კი მაცდუნებელი და ცრუა, რადგან გულის სიმშვიდეს გვაკარგვინებს. თუ გსურს გაუმკლავდე ასეთ დიდ დანაკარგს, როცა მაკონტროლებელი, ანუ გონება გატყობინებს, რომ ახალი სურვილი შემოდის გულში, ნუ გაუღებ გულის კარს მანამდე, სანამ არ განთავისუფლდები ყველა შენი ნებისგან და არ აღიარებ უფლის წინაშე. საკუთარი უცოდინარობის აღიარების შემდეგ გულმხურვალედ ითხოვე უფლისგან გაგინათოს გონება, რათა დაინახო, რომ სურვილი მტრისგან მომდინარეობს. გაიქეცი სულიერ მოძღვართან და მას მიენდე განსასჯელად. თუნდაც სურვილი ღვთისგან იყოს, სანამ მას აისრულებენ, თავი დაიმდაბლე და დათრგუნე საკუთარი მისწრაფება. ასეთი სიმდაბლე უფლისთვის სათნოა, ვიდრე აღსრულებული კეთილი საქმე. ამგვარად, როცა დათრგუნავ სურვილს, შეინარჩუნებ სიმშვიდეს და უსაფრთხ-

[59] ამბა ისააკი ამბობს, რომ ეშმაკის მანქანას ეწოდება შფოთი და რისხვა, ასე იჭრება იგი ნატანჯ სულში და შთანთქავს მას. (λόγο? λύ). წმ. პეტრე დამასკელი ამბობს „არც ერთი ბოროტება არ იწვევს ცოდვას ისე, როგორც შფოთი“ (φιλοκαλία).

ოებას, რაც გულის მცველი ციხესიმაგრეა. გულის სიმშვიდის შესანარჩუნებლად ყველა სიტუაციაში, უნდა აკონტროლო და დაიცვა საკუთარი სინდისის ქენჯნისაგან, რომლებიც ხშირად ეშმაკეულია, თუმცა კი ღვთისგან მომდინარედ გვეჩვენება და განგსჯიან რაიმე შეცდომის გამო. ასეთი კონტროლის შედეგად ამოიცნობა სინდისის ქენჯნა საიდან მომდინარეობს. თუ დაგ-ამდაბლებს და განგიმტკიცებს სასოებას უფლისას, მაშინ ის უთუოდ უფლისმიერია და მადლობელი იყავი. თუ შეგაშფოთებს, სულმდაბალად, რწმენადაკარგულად, სიკეთის არმქმნელად გაქცევს, გჯეროდეს, რომ ამგვარი ქენჯნა ეშმაკეულია. და ნუ მიაქცევ ყურადღებას, განაგრძე შენი მოღვაწეობა.

არეულობისა და შფოთისაგან თავდასაცავად ორი რამ გააკეთე: პირველი, დაფიქრდი ვის ეწინააღმდეგება მომხდარი მოვლენა, შენს სულს თუ შენს პირად სურვილებს და საკუ-თარი თავის სიყვარულს. თუკი სურვილების საწინააღმდეგოა, მას ვერ უწოდებ საწინააღმდეგოს, ის უფლისგან მოძღვნილი შეწევნაა, ამიტომ მიიღე გახარებული გულით. თუკი მოვლენა სულს ეწინააღმდეგება, მაშინ გულს ნუ დაიმშვიდებ, გონება აღმართე უფლისკენ და მოწყალე ღმერთისგან თვალდახუჭულ-მა მიიღე ყველა ფაქტი, როგორც სხვადასხვა სიკეთით სავსე საგანი[60].

[60] ამ თვალსაზრისით საინტერესოა წმ. იოანე ოქროპირის სიტყვები: „დიდება ღმერთს ყველაფრისთვის“. ამ სიტყვებს იმეორებდა წმინდა გრიგოლი თესალონიკელიც.

თავი ოცდამეშვიდე

რა უნდა მოვიმოქმედოთ, როცა ჭრილობა გვაქვს მოყენებული

როცა ნაჭრილობევი ხარ, რადგან უძლურებისა ან საკუთარი სურვილის გამო ცოდვა ჩაიდინე, არ შეგეშინდეს, არ შეშფოთდე. უფლისკენ მიმართე მზერა და თქვი: „ხედავ, უფალო, ასეთი რამ ჩავიდინე, როგორიც ვარ. სხვას არც უნდა მოელოდე ჩემნაირი უძლური ადამიანისგან, მხოლოდ დაცემას და დანგრევას“. ამის შემდეგ თვალი შეაჩერე და გულის ტკივილი განიცადე. ნუ აირევი, შეწუხდი სამარცხვინო ვნებების გამო, განსაკუთრებით იმ ვნებისა, რის გამოც დაეცი. და თქვი კვლავ: „აქამდე არ მიფიქრია, უფალო, და უარეს ცოდვას ჩავიდენდი, რომ არ დაგეცავი შენი უსაზღვრო სათნოებით“. და მადლობა შესწირე ღმერთს და შეიყვარე უფრო მეტად, გაოცდი მისი გულმოწყალეობით, რადგან გამოგიწოდა ხელი და გეხმარება, რომ ხელახლა არ სცოდო. ბოლოს კი თქვი: „უფალო, მომიტევე და ნუ დაუშვებ შენგან მოშორებულმა ვიცხოვრო, დაგშორდე და გაწყინო მეტად“.

ნუ იფიქრებ, მოგიტევა თუ არა უფალმა, რადგან იმგვარი ფიქრი ამპარტავნება იქნება, გონების შეწუხება და კეთილი ფერებით შემკული ეშმაკის საცდური. მიანდე შენი თავი უფალს, განაგრძე ღვაწლი, თითქოს არ დაცემულხარ. თუ მოხდება ისე, რომ უძლურების გამო დღეში რამდენჯერმე სცოდავ. რაც გითხარი, ბევრჯერ გააკეთე, ოღონდ ღვთისადმი სასოებით და იმედით[61].

[61] ამ წიგნის მეორე ნაწილის 26-ე და 27-ე თავები გვასწავლის, რომ მოცემულ თავებში აღწერილი ცოდვები მომაკვდინებელი არ არის (რადგან ამგვარი ცოდვების ჩამდენნი უნდა წუხდნენ გულის ტკივილით, ატარონ და მუდმივად აკონტროლონ სინდისი აღსარებით მწუხარებას გრძნობდნენ, მაგრამ არა ისეთ გადამეტებულს, უიმედობას რომ ბადებს). ისინი, ვინც სულიერი ცხოვრებით ცხოვრობენ, სათნოებისთვის იღვწიან, ზოგნი ღვთის დაშვებით სცოდავენ და ამ თავში აღწერილი წესით მოქმედებენ. ამგვარი წესი გამოადგება ყველა ადამიანს, ვინც რაიმე ცოდვას ჩადის.

განსაჯე საკუთარი თავი, შეიძულე ჩადენილი ცოდვა, მეტი ყურადღებით განაგრძე ღვაწლი.

ასეთი ასკეზა არ მოსწონს ეშმაკს, რადგან უფლისთვის სათნოა. ეშმაკი შერცხვენილია, რადგან დამარცხებულია იმისგან, ვინც ცოტა ხნის წინ თავად სძლია. ამიტომ მიმართავს ცდუნების სხვადასხვა მეთოდს. ხშირად აღწევს კიდეც მიზანს ჩვენი უდებებისა და საკუთარი თავისადმი ჩვენი უყურადღებობის გამო. რაც მეტ დაბრკოლებას წააწყდები ეშმაკისგან, უფრო ძლიერად უნდა შეებრძოლო. ანუ თუ ერთხელ დაეცი, არ დანებდე, გაიმეორე ბევრჯერ სიტყვები, რაც გასწავლე. ასე მოიქეცი აუცილებლად, რადგან თუკი შესცოდე და გრძნობ, რომ სასოწარკვეთილება გიპყრობს. ამგვარად შეძლებ გულის სიმშვიდე და მხნეობა მოიპოვო. თუ აღიჭურვები სიმშვიდის იარაღით, უფლისკენ მიბრუნდები. შფოთი, რომელსაც ცოდვისას ვგრძნობთ, აღიძვრება არა იმიტომ, რომ ღმერთი გავანაწყენეთ, არამედ განსჯის შიშით. და ეს ნიშნავს იმას, რომ შფოთი საკუთარი თავის სიყვარულისგან მომდინარეობს (ამაზე ბევრი ვილაპარაკეთ ზემოთ). გულის სიმშვიდის დასაბრუნებლად დაივიწყე ჩადენილი ცოდვა და მიანდე გონება ღმერთის სათნოებას[62]. უფალი მოწყალეა და სურს მოგვიტეოს ყველა ცოდვა, მცირეც კი, რათა მიუახლოვდეს მას ცოდვილი ამ ქვეყნიურ ცხოვრებაშივე და მიუძღვნას მადლი, ამის შემდგომ კი აკურთხოს და საუკუნო ნეტარება მიჰმადლოს. თუკი ასეთი ფიქრით დაიმშვიდებ გონებას, ცოდვაზე სხვაგვარად იფიქრებ. აღსარებისას გაიხსენე ყველა ცოდვა ტკივილით და მწუხარებით, იმით, რომ აწყენინე უფალს. გაუხსენი ყველაფერი სულიერ მოძღვარს და შეასრულე კანონი, რასაც მოგცემს.

---

[62] ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ „მამათა ცხოვრებიდან“ ერთი ამბავი. ერთმა ბერმა სიძვის ცოდვა ჩაიდინა. გულისთქმამ შეაწუხა, ბოროტმა აზრმა შეიპყრო, დაკარგა სულის სიმშვიდე და ფიქრობდა, რომ ხსნა არ არსებობს. უხილავ ბრძოლაში გამოცდილი ბერი ამბობდა „არ შევცოდე, არ შევცოდე“. თავის კელიაში შესული, ჩაიკეტა, დამშვიდდა მაშინ გამოხატა უდიდესი სინანული ცოდვის გამო. ეს ამბავი განუცხადდა ღვთივგანბრძნობილ სხვა ბერს. მაშასადამე, გამოცდილი მონაზონი დაეცა, მაგრამ აღდგა და გაიმარჯვა.

თავი ოცდამერვე

რა მეთოდები აქვს ეშმაკს ადამიანთან საბრძოლველად და მის საცდუნებლად

იცოდე საყვარელო, რომ ეშმაკი ზრუნავს, იმაზე, რომ თითოეულ ადამიანს სხვადასხვა მეთოდით ებრძოლოს.

ამ მეთოდებისა და ტაქტიკის აღსაწერად წარმოგიდგენ ადამიანთა ხუთ მდგომარეობას. ზოგიერთი ცოდვის სამსახურშია და არც ფიქრობს განთავისუფლებას. არსებობენ ისეთნი, ვისაც სურს განთავისუფლება, მაგრამ ვერ ახერხებენ. ზოგიერთნი სათნოების მოპოვების შემდეგ უმძიმეს ცოდვას ჩადიან. სხვებს მიაჩნიათ, რომ სრულყოფილების გზას ადგანან, ზოგიერთი კი ტოვებს სათნოებისკენ მიმავალ ბილიკს, ზოგი სათნოებაც სიბოროტის მიზეზად აქცევს. თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე გესაუბრები.

თავი ოცდამეცხრე

ეშმაკის ბრძოლა და ცდუნება მათთან, ვინც მას ცოდვის მონობაში ჰყავს დატყვევებული

ეშმაკი როცა ცოდვის მონობაში ამყოფებს ადამიანს, ცდილობს დააბრმავოს მეტად იგი და წაართვას ყველა კეთილი აზრი, რომლითაც ცოდვილი ადამიანი შეიძლება მიხვდეს თავის უბედურ მდგომარეობას. ეშმაკი არა მარტო ართმევს სინანულისკენ მიმართულ აზრს ადამიანს, არამედ გონებაში უმრავლებს ბოროტ გულისთქმებს და აიძულებს ხშირად ჩაადენინოს ერთიდა იგივე და უფრო მძიმე ცოდვა, რომლითაც საბრალო ადამიანი უფრო ბრმავდება და უბნელდება გონება და ცოდვაც ჩვეულებად ექცევა. ამგვარად, ცოდვას დამონებული კაცი სიბრმავიდან ცოდვისკენ მიდის და იტანჯება სიკვდილამდე, თუკი უფალი არ შეიწყალებს და მადლით არ აცხონებს მას.

ამრიგად, ვინც ასეთ უბედურ მდგომარეობაშია, თუ უყვარს კურნება, დაუყოვნებლივ უნდა დაემორჩილოს აზრს. რომელიც სინანულს კარნახობს და სიბნელიდან სინათლისკენ მიდრეკს. გულის სიღრმიდან უნდა მიმართოს შემოქმედს: „უფალო, შემიწყალე მე სწრაფად და ნუ მიმატოვებ ცოდვის უკუნეთში!“ ხშირად გაიმეოროს ეს სიტყვები, რომ განთავისუფლდეს მტრისაგან. თუ ეს გაუჭირდება, მივიდეს ჯვარცმული მაცხოვრის ხატთან, მუხლი მოიდრიკოს მაცხოვრისა და ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის წინაშე და სთხოვოს შეწყალება და შეწევნა. ბრძოლაში გამარჯვება მოქმედების სისწრაფეზეა დამოკიდებული.

თავი ოცდამეათე

ეშმაკის ბრძოლა და ცდუნება, რომელსაც იგი იყენებს იმ ადამიანთა მიმართ, ვისაც სურს ბოროტებისგან განთავისუფლება. ჩვენი გადაწყვეტილებები რატომ არის ხშირად უშედეგო

ვისაც გაცნობიერებული აქვს თავის არასწორი ცხოვრება და სურს მისი შეცვლა, და ისინიც ვინც დამარცხებულნი და ცდუნებულნი არიან მტრისგან, ამბობენ: ხვალ, ხვალ, ახლა დავასრულებ ამ საქმეს და შემდეგ მივხედავ სულიერ ცხოვრებას. დღეს გავაკეთებ ამას და ხვალ შევინანიებ. მტრის ხაფანგია ეს, საყვარელო ძმაო, მასში ბევრი გაება. მისი მიზეზი ჩვენი სიზარმაცე და უგნურებაა. რადგან ყოველ წამზეა ჩვენი სულის ცხონება დამოკიდებული. თუ უმალ არ აღვიჭურვებით ხოლმე ძლიერი იარაღით და ვამბობთ: „ახლა, ახლა უნდა ვიცხოვრო სულიერი ცხოვრებით და არა შემდეგ. დღეს შევინანო და არა ხვალ. „დღეს“ და „ახლა“ ჩვენს ხელთაა. „ხვალ“ კი უფლის ხელშია.

როცა გსურს ძმაო, ამგვარ საცდურს განერიდო და გაიმარჯვო მტერზე, კურნება არის კეთილი აზრის მყისიერი მორ-

ჩილება, ღვთიური შთაგონებანი, სინანული და არა იმის თქმა ან გადაწყვეტილება: ამის შემდეგ მოვინანიებ და შევიცვლები. ამგვარი მოსაზრება მცდარია და მრავალი დარჩა მის გამო სინანულის გარეშე.

1) ჩვენი გადაწყვეტილებები არ ეფუძნება საკუთარი თავისადმი უნდობლობას და არ არის მინდობილი უფალს. ამის გამო ვერ ვხედავთ ჩვენს ამპარტავნებას, რომლითაც ჩვენსავე გადაწყვეტილებებს ვენდობით. ამ ამპარტავნებისა და სნეულების გასააზრებლად ღვთიური სინათლე გვჭირდება. უფალი უშვებს ჩვენს დაცემას (როგორც წინა თავში აღვნიშნეთ) და შემდეგ მოგვიწოდებს, რომ არ მივენდოთ საკუთარ გამბედაობას და ამით გვქონდეს ჩვენი თავის იმედი, არამედ მივენდოთ მხოლოდ მას. უფალი ამპარტავნებიდან ჩვენი თავის შეცნობისკენ მოგვიხმობს. ადამიანო, გინდა იცოდე როდის არის ძლიერი და მტკიცე შენი გადაწყვეტილებები, როცა მცირედაც არ ენდობი შენს თავს და თავმდაბლად გაქვს მხოლოდ უფლის იმედი.

2) როცა რაიმე გადაწყვეტილებას ვიღებთ, ვფიქრობთ მხოლოდ სათნოების ძალისა და მშვენიერებაზე, რაც აქრობს ჩვენს საკუთარ სურვილს. მას შემდეგ, რაც სირთულითა და შრომით მივაღწევთ ამ სიკეთეს, სურვილი მცირდება. ამიტომ შეეჩვიე, რომ გიყვარდეს უფრო მეტად სირთულეები, რაც სათნოების მისაღწევად ჩნდება, ვიდრე თავად სათნოება. ამ სიძნელეთაგან უნდა საზრდოობდეს შენი სურვილი ხან მცირედ, ხან მეტად, თუკი გსურს ნამდვილად მოიპოვო სათნოება. გჯეროდეს, რაც სწრაფად და მამაცურად სძლევ საკუთარ თავს და მტრებს, უფრო მეტად შეიყვარებ სიძნელეებს.

3) ხშირად ჩვენი გადაწყვეტილებები ღვთის ნებას და სათნოებას კი არ ეფუძნება, არამედ იმას, რაც ჩვენ მოგვწონს. მწუხარების დროს შვება ერთია, მივენდოთ სრულად ღმერთს და სათნოებებში ღვაწლს. როცა განსაცდელში ხარ, ატარე ჯვარი ისე, როგორც უფალს სურს, უგულებელყავი ყოველნაირი მიწიერი შეწევნა. ერთადერთი რამ ითხოვე ღმერთისგან, მისი შეწევნა ჯვრის ტვირთვაში ისე, რომ მოთმინება არ დაკარგო.

თავი ოცდამეთერთმეტე

ეშმაკის საცდური, მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ სრულყოფილების გზაზე დგას

მტერი როცა ვერ ამარცხებს ცოდვას დამონებულებს და ვერც იმით, ვისაც განთავისუფლება სურს, მაშინ ის მიადგება სათნოებით სავსე ადამიანს და ცდილობს მათ დაავიწყოს მტრის არსებობა. მტერი კი ამ დროს მათთან ახლოს არის და ვნებას აყენებს. ეშმაკი ცდილობს ადამიანის ცდუნებას, მის დარწმუნებას სიძლიერეში და იმაში, რომ ადამიანს შესაფერის დროზე ადრე შეუძლია სრულყოფილებას მიაღწიოს[63].

ამის შედეგად ადამიანი ზრუნავს მიღებულ ჭრილობებზე. იგი ფიქრობს, რომ მისი გადაწყვეტილებები და სურვილები სრულყოფილია და ამაყობს ამით. მაშინ არ სურს ადამიანს გადალახოს ქმედებისას მცირე წინააღმდეგობა და ფიქრობს მხოლოდ ღვთის სიყვარულისთვის დიდ დაბრკოლებას შეერკი-

[63] საყვარელო, იცოდე, რომ ექვსი მხრიდან გვებრძვიან დემონები, ასე ამბობენ წმინდა მამები, განსაკუთრებით მელეტიოს აღმსარებელი. წინიდან, უკნიდან, ზემოდან, ქვემოდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან. ზემოდან არის სათნოების მოპოვებისას საკუთარ ძალაზე მეტისმეტი წარმოდგენა, ქვემოდან ნაკლებობა სათნოებისა. (ამიტომ ამბობენ წმინდა მამები, რომ უკიდურესობა ბოროტისგანაა) მარჯვნიდან გვებრძვის ეშმაკი, მაშინ როცა სიკეთის მოჩვენებით ბოროტებაში გვაგდებს, მარცხნიდან - ბოროტების მიზეზის ჩვენებით ცოდვას ჩაგვდენინებს, წინიდან ბრძოლაა, როცა ეშმაკი გულისთქმებით და სურვილებით გვეტყვის, უკნიდან კი წარსულის მოგონებებით გვებრძვის. ზოგადად, ყველა ცბიერი აზრი სულში იჭრება შინაგანი და გარეგანი ბრძოლის მეთოდით. შინაგანი ბრძოლით ბოროტი წარმოსახვაში აღბეჭდავს რაიმე სურათს ან იდეას, გარეგანი მეთოდით კი ხუთი შეგრძნებით გვიტევს. ესენია ხილული საგნები, მოსასმენი, საყნოსი, ხელშესახები და გემოს გასასინჯი. ამ შინაგან და გარეგან გულისთქმათა მიზეზი სამია: პირველი – დემონები, მეორე – ვნებები, ანუ ჭრილობები, რაც ექვსივე მხრიდან მივიღეთ საგანთა სიძულვილით, სიყვარულით ან მათი ვნებანი სურვილით, მესამე – ადამიანური ბუნების ხრწნადი მდგომარეობა.

ნოს. ამრიგად, ადამიანი იღებს წარმოსახვით გადაწყვეტილებას და წუხს, არ გრძნობს ტკივილს და სხეულებრივ წინააღმდეგობას, ამიტომ ფიქრობს საბრალო, რომ უმაღლესი სათნოება მოიპოვა და გადალახა დიდი განსაცდელები. ვერ იაზრებს,რომ სხვა არის სიტყვები და გადაწყვეტილებები და სხვა არის საქმე და რეალობა.

ამრიგად, ძმაო, თუ გსურს გაექცე ამ საცდურს, გადაწყვიტე მტერთან ბრძოლა ახლიდან და ასე მიხვდები შენი გადაწყვეტილებები ჭეშმარიტია თუ ცრუ, ძლიერია თუ უძლური? ასე იარე სათნოებისა და სრულყოფილების, განსაცდელით სავსე, მაგრამ უსაფრთხო და სამეუფო გზაზე.

იმ მტრებთან, ვინც ამჟამად არ გებრძვიან, არ გირჩევ შებრძოლებას, მხოლოდ მაშინ შეერკინე, როცა მათგან შემოტევას იგრძნობ. წინასწარი მომზადებით მტკიცე გადაწყვეტილებებს მიიღებ და წინ აღუდგები. როცა მოგეახლება მტერი, უმოქმედოდ აქცევ, რადგან მომზადებული დახვდები. ნურასდროს ნუ იფიქრებ, რომ შენი გადაწყვეტილებები განხორციელდა, მაშინაც, როცა უკვე იღვაწე სათნოების მოსაპოვებლად. იყავი თავმდაბალი და საკუთარი თავისა და უძლურების გეშინოდეს. უფლისადმი სასოებით ხშირად ევედრე მას, რომ გაგაძლიეროს და დაგიცვას განსაცდელთაგან, რომ მცირედი ნდობაც არ გქონდეს საკუთარი თავისა. თუკი შენ თავმდაბალი იქნები და რომც არ იყო მცირე ნაკლისგან განთავისუფლებული (ამას უფალი უშვებს, რომ შეიცნო საკუთარი უძლურება და სიკეთე არ დაკარგო), ღმერთი მოგვცემს ძალას დიდი გადაწყვეტილებების მისაღებად და აგამაღლებს სრულყოფილების უმაღლეს საფეხურზე.

თავი ოცდამეთორმეტე

ეშმაკის საცდური, რომელსაც იგი იყენებს იმისთვის, რომ სათნოებისკენ მიმავალი გზა აგვაცდინოს

მეოთხე საცდურს ეშმაკი უგებს ადამიანს მაშინ, როცა ხედავს, რომ იგი სათნოების გზას ადგას. ამ დროს სხვადასხვა სურვილს აღძრავს ჩვენს დასაცემად და სათნოებას ბოროტებად ცვლის. მაგალითად, როცა სნეული მოთმინებით იტანს სნეულებას და ეშმაკი ხედავს, რომ ამგვარად შეუძლია ადამიანს მოთმინებით ჩვეულება მოიპოვოს, მაშინ წარმოუჩენს ბევრ კარგ საქმეს, რომელთა აღსრულებას შეძლებდა სნეული ჯანმრთელი რომ ყოფილიყო.

ასე ნელ-ნელა სნეული კაცის გულში შფოთს აღძრავს და თანდათან უძლიერებს ამ მღელვარებას. ამის შედეგად ეშმაკი მიაღწევს იმას, რომ ადამიანი მოთმინებით ვეღარ იტანს სნეულებას და აღიქვამს მას კეთილი საქმის აღსრულებაში ხელისშემშლელად. სნეულს რჩება მხოლოდ სნეულებისგან განთავისუფლების სურვილი, რადგან თავისი ნებით აღარ იღებს მას და შფოთით მოთმინებას კარგავს. ასე იცვლება მოთმინების სათნოება მოუთმენლობად, რაშიც იწვრთნებოდა დიდ ხანს[64]. ეშმაკის ასეთ საცდურთან საბრძოლველად საჭიროა შემდეგი ქმედება. როცა სნეულება მოგერევა და წუხილი და შფოთი გეუფლება. ყურადღებით იყავი, არ დაემორჩილო არანაირ სურვილს, რაც არ უნდა კარგი გეჩვენებოდეს. რადგან თუკი საქმეს ვერ აღასრულებ, აირევი და ვერ დამშვიდდები. სიმდაბლით, მოთმინებით უნდა გწამდეს, რომ სურვილი არ განხორციელდება

[64] ამის მსგავსად, როცა ბერი არ ემორჩილება სულიერ მოძღვარს და თვითნებურად განმარტოვდება უმაღლესი სათნოებების მისაღწევად, მაშინ კარგავს იმ უმცირეს ღვაწლსაც, რასაც მორჩილება ჰქვია. – ასე ამბობს წმ. იოანე სინელი, იგივე ემართება მეუდაბნოეს, რომელიც დაყუდებას მიატოვებს და ცდილობს ამგვარად მოიპოვოს მეტი სათნოება. ამ დროს კარგავს იგი სიმშვიდეს, რასაც დაყუდებისას მიაღწია.

ისე კარგად, რადგან შენ საამისო ძალა არ შეგწევს და არც დაცული ხარ იმგვარად, როგორც ფიქრობ. იფიქრე, რომ უფალს შენი ფარული ცოდვების გამო არ სურს შენგან კეთილი სურვილების განხორციელება, არამედ ურჩევნია, იყო მორჩილი და მომთმენი მისი ტკბილი და ძლიერი ნებისა.

ასე, მაგალითად, როცა სულიერ მოძღვრისგან კანონი გაქვს მიღებული ცოდვის გამო და ვერ ასრულებ პატივისცემით სათნოებებს, განსაკუთრებით თუკი ვერ იღებ საღმრთო ზიარებას, ნუ აირევი და შეწუხდები სურვილებისგან. განაგდე ყველა შენი ნება და მთელი გულით მიენდე უფალს, თან წარმოთქვი: „ღვთიურ თვალს რომ არ განეჭვრიტა ჩემი უმადურობა და ცოდვილიანობა, არ აღმოვჩნდებოდი ასეთ მდგომარეობაში და არ მოვაკლდებოდი საღმრთო ზიარების მადლს. ამიტომ ვხედავ, რომ უფალმა ამგვარად გამოარჩია ჩემი უღირსობა, ვუგალობ და ვადიდებ მის სახელს უკუნისამდე და მივმართავ: კაცთმოყვარეო მეუფეო, მივენდობი შენს სათნოებას, თუმცა კი უძლური ვარ იმისთვის, რომ ჩემს სულში შემოხვიდე საღმრთო ზიარებით. არ დავცხრები სხვაგვარად გაგიღო გული და შემოგიშვა, რომ განმაძლიერო მტრებთან ბრძოლაში, მტრებთან, რომელთაც სურთ ჩემი შენგან განშორება, დარჩები მუდამ შენი მადლიერი ყველაფრისათვის შემოქმედო ჩემო. მხოლოდ ერთი რამ მსურს, ნება შენი იყოს ჩემი საზრდო და ძალა. მარტო ამას გთხოვ, ყოველთა მოყვარეო. განთავისუფლდეს ჩემი სული ყველაფრისგან, რაც შენთვის სათნო არ არის და მოიკაზმოს ოდენ შენი წმინდა მცნებებით, მზად იყოს სული ჩემი შენთან შესახვედრად“.

თუკი დაიცავ ამ რჩევებს, დარწმუნებული იყავი, რომ ნებისმიერი სურვილი სიკეთეს ქმნის, რასაც შენ ვერ შეასრულებ, ეშმაკისგან ან დაცემული ბუნებისგან მომდინარეობს, გაწუხებს და სათნოების გზას აგაცდენს, ზოგჯერ, როცა ღმერთი გამოსცდის შენს მორჩილებას მისი ნებისადმი, მადლიერი იყავი, რადგან ამგვარად აღსრულება ჩვენგან ჭეშმარიტი მსახურება ღმერთისადმი. ეს არის ის, რასაც უფალი ითხოვს ყოველი ჩვენგანისგან.

იცოდე ასევე, მწუხარებისას და განსაცდელისას მოთმინება რომ არ დაკარგო, გამოიყენე ის მეთოდები, რომლებიც იციან უფლის ნამდვილმა მსახურებმა. შესთხოვე ღმერთს, რომ გაგანთავისუფლოს ყველა შენი სურვილისგან[65]. ჩვენ არ ვიცით, სურს თუ არა ღმერთს განსაცდელის გარეშე გაგვანთავისუფლოს მწუხარებისგან. ამიტომ თუკი ითხოვ ღმერთისგან სრულად აგარიდოს მწუხარება, უფრო ცუდად გახდები და მოუთმენლობა შეგიპყრობს. ბოლოსდაბოლოს, ძმაო, მე საკუთარი თავის სიყვარულიდან მომდინარე საცდურზე გელაპარაკები. ეს თავმოყვარეობა (φιλαυτία) ფარავს ჩვენს ნაკლოვანებებს. მაგ. როცა სნეული, მცირედი მოთმინებით იტანს სნეულებას და მალავს მოუთმენლობას იმით, რომ წუხს არა საკუთარ სნეულებაზე, არამედ იმაზე, რომ მომვლელებს აწუხებს და ზიანს აყენებს. ამაზე ვინმე მიპასუხებს, დიდებისმოყვარე ადამიანიც სწორედ ასე იქცევა. მაშინ, როცა შფოთავს, რომ დიდებას ვერ მიაღწია და საკუთარ ამპარტავნებაზე კი არ საუბრობს, არამედ სხვა მიზეზებს ასახელებს. სულმოკლეობისა და შფოთის თავიდათავი ის არის ორივე შემთხვევაში, რომ ადამიანს სძულს ის და უგულებელყოფს იმას, რაც მისი ნების საწინააღმდეგოა. ამიტომ ძმაო, რომ არ შეცდე, მოთმინებით აიტანე ყველა შრომა, რაც შეგხვდება, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული.

---

[65] შევთხოვოთ უფალს „ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა“ (მათ. 6,13) „ილოცევდით, რაათა არა შეხვდეთ განსაცდელსა“ (ლუკ. 22,40). ამ მუხლების განმარტებისას თეოფილაქტე ბულგარელი ამბობს, რომ ამპარტავნებით და ეშმაკეული სურვილით, როცა ადამიანი თავის თავს განსაცდელში იგდებს, განსაცდელის წინაც ვევედროთ ღმერთს, ნუ ჩაგვაგდებს მასში და განსაცდელში მყოფნი კი უნდა ვთხოვდეთ, რომ არ დავმარცხდეთ. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას,რომ განსაცდელისას უიმედობამ შეგვიპყროს და გლოვას მივეცეთ, გაიხსენეთ იაკობ მოციქულის სიტყვები: „ყოველივე სიხარულად შეჰრაცხეთ ძმანო ჩემნო, რაჟამს განსაცდელსა შესცჴვეთ პირად-პირადსა“ (იაკ. 1,2). განსაცდელი აწრთობს და აბრწყინებს ღვთისადმი ჩვენს რწმენას და სიყვარულს.

თავი ოცდამეცამეტე

ეშმაკის საცდური, რომელსაც იგი იყენებს იმისთვის, რომ ჩვენი მოპოვებული სათნოებანი ბოროტების მიზეზად იქცნენ

ეშმაკი არ ცხრება და ახალ-ახალ საცდურს მოგვივლენს იმისთვისაც, რომ ჩვენი მოპოვებული სათნოებები ხრწნისა და ბოროტების მიზეზად იქცეს. სათნოებებით თავმოწონებულნი ამპარტავნებას ვეძლევით. ძმაო, ამ საფრთხისგან თავდასაცავად მოიკრიბე გონება გულში და ებრძოლე დემონს, იფიქრე, რომ არარაობა ხარ, არაფრის გაკეთება არ შეგიძლია, სავსე ხარ სნეულებებით, ნაკლით, ბოროტებით და ღირსი ხარ მხოლოდ საუკუნო სასჯელისა. თუკი ამ ჭეშმარიტებას მტკიცედ გაითავისებ, გონება არასდროს მოიდრიკება ამქვეყნიური საგნებისკენ. ყველაზე უმნიშვნელო გულისთქმაც კი ვერ გძლევს. ბრძოლისთვის კი გამოიყენე შემდეგი კანონი. რამდენჯერაც გაიფიქრებ შენს თავზე და საქმეებზე. დათვალე რომელია შენი და რომელი ღვთის მადლისგან მომდინარე. მაგ. თუ იფიქრებ იმ დროზე, სანამ შენ შეიქმნებოდი, მიხვდები, რომ საუკუნო უსაზღვრობაში შენ არაფერი იყავი, არც არაფრის გაკეთება შეგეძლო იმისთვის, რომ გეარსება. შენი არსებობა ამ ქვეყნად უფლის უსაზღვრო სათნოების მიზეზია, ამიტომ არაფერი არ ხარ. აქედან ცხადია, რომ ვერ ჩათვლი საკუთარ თავს ვერაფრად და იმის სურვილიც გაგიქრება, რომ სხვებმა მიგიჩნიონ რამედ.. თუ მტკიცედ იდგები იმ აზრზე, რომ ყოველი სიკეთე ღვთიური მადლისგან მომდინარეობს და შენი ბუნება განძარცვული იქნება ღვთიური შეწევნისგან, რა სიკეთე შეგიძლია გააკეთო მარტომ? რა თქმა უნდა არაფერი. შეგიძლია გაიმეორო პავლე მოციქულის სიტყვები: „არა მე, არამედ მადლი იგი ღმრთისა , რომელი იყო ჩემ

თანა“ (1 კორ. 15,10). შემდეგ იფიქრე სხვა მხრივ, ყველა შენს წარსულ შეცდომაზე, ყოვლად მოწყალე ღმერთს რომ არ შეეშალა ხელი შენთვის, ცოდვები და შეცდომები ურიცხვი იქნებოდა და იქცეოდით მეორე მიწიერ ლუციფერად.

ასე რომ, თუ არ გინდა გახდე ღვთის სათნოებისა და დიდების მპარავი, რადგან სხვა ყოველივე ღმერთმა უბოძა თავის ქმნილებას, გარდა დიდებისა, იმისთვის, რომ განდიდებული იყოს მხოლოდ შემოქმედი სამყაროსი, (ამიტომაც ამბობს ისაია წინასწარმეტყველი: **„მე ვარ უფალი ღმერთი, ესე არს სახელი ჩემი. დიდებაჲ ჩემი სხუასა არა მივსცე, არცა სათნოებანი ჩემნი წახნაგებულთა“**. (ის. 42,8).

და გსურს დარჩე უფალთან, განადიდე მისი სახელი შენს ყველა საქმეში მტკიცედ გწამდეს, რომ ყველა ადამიანზე უმდაბლესი და უარესი ხარ[66]. იცოდე, რომ საკუთარი თავის ამგვარი განსჯა არასოდეს არ არის გადამეტებული. ის ჭეშმარიტია და სამართლიანი, მას მოსდევს თავმდაბლობის განცდა.

თუ გსურს, რომ თვითდამდაბლებით მუდამ შორს იდგე მტრისგან და ღვთის საყვარელი იყო, საკმარისი არ არის მარტო შენი

[66] ადამიანს როცა თავის თავი ყველაზე უარესად მიაჩნია სულისთვის დიდად სასარგებლოა. ამას ადასტურებენ წმინდანები. წმ. იოანე ოქროპირი წერს: „არ არსებობს უფლისთვის იმაზე მეტად საყვარელი რამ, ვიდრე ის, როცა ადამიანი საკუთარ თავს ყველა სხვაზე უმდაბლესად მიიჩნევს“. წმინდა მამა ბარსანოფმა თქვა: „თუ გინდა ნამდვილად ცხონდე, მოისმინე რა უნდა გააკეთო. გონება აღმართე უფლისკენ. შენი მეცადინეობა დღედაღამ ზეცისკენ იყოს მიმართული. მთელი ძალით უგულებელყავი საკუთარი ძალა და იფიქრე, რომ სხვებზე დაბლა დგახარ. ეს არის ჭეშმარიტი გზა. ამისგარდა სხვა არ არსებობს იმათთვის, ვისაც ქრისტეს ძალით ცხონება სურს. წმ. გრიგოლ სინელი ამტკიცებს, რომ ჩვენი თავი ყველა ქმნილებაზე მდაბლად უნდა მიგვაჩნდეს: „არსებობს თავმდაბლობის ორი სახე, როგორც წმინდა მამები ამბობენ, ერთია, როცა ადამიანი თავის თავს სხვებზე დაბლა მდგომარედ მიიჩნევს და მეორე, როცა ყველა მიღწევას ადამიანი ღმერთს უძღვნის“, პირველი არის საწყისი და მეორე – დასასრული“. ამგვარი თავმდაბლობის მიღწევა შეუძლიათ, მათ, ვინც ამას ესწრაფვიან: ფიქრობენ, რომ ყველაზე ცოდვილნი არიან, ყველაზე სამარცხვინონი, რადგან არაბუნებრივ მდგომარეობაში არიან, ეშმაკებზე მეტად საბრალონი, რადგან ეშმაკს ემსახურებიან (φιλοκαλία. καφ. ριє).

თავის უგულებელყოფა. საჭიროა სხვებისგანაც იმავეს ითხოვდე. უნდა უარყო ყველა პატივი და ქება[67]. არ შეწყვიტო თვითდამდაბლება, არ იფიქრო იმაზე, რომ მხოლოდ ადამიანებს მოსწონდე. თუკი მოხდება, რომ ბევრი შეგიყვარებს და გაქებენ ღვთისგან მომადლებული რაიმე სათნოების გამო, უფლისკენ მომართე გონება და წარმოთქვი: „ნუ მოხდება ნურასდროს, უფალო, რომ შენი პატივი და მადლი მოვიპარო, შენ შეგფერის ქება, პატივი და დიდება. **„შენდა, უფალო, სიმართლე და ჩუენდა სირცხჳლი პირისაჲ“** (დან. 9,7)

შემდეგ მიუბრუნდი შენს მაქებარს გულში შენს ფიქრებთან მოსაუბრე და თქვი: „არავინ არს სახიერი, გარნა მხოლო ღმერთი“ (მათ. 19,17). როცა ამგვარად უფალს მიაგებ თავისას, შორს იდგები მტრისგანაც და ღირსი გახდები მიიღო მისგან დიდი მადლი და სათნოება. თუ გაიხსენებ შენს მიერ აღსრულებულ კეთილი საქმეებს ამპარტავნება შეგიპყრობს. მაშინვე იფიქრე, რომ ეს ღვთის საქმეებია და არა შენი[68]. შენს ფიქრებში კი კეთილ საქმეებზე ასე ილაპარაკე: „არ ვიცი, როგორ გაჩნდნენ ჩემს გონებაში! მე არ ვარ თქვენი საწყისი, არამედ უფალი და მისი მადლი. ღმერთმა შეგქმნათ თქვენ, გასაზრდოა და დაგიცვათ, ამიტომ მხოლოდ მას ვმადლობ ყველაფრისათვის“.

---

[67] წმ. ბარსანოფი ამბობს: ყველა ამქვეყნიური საგნის მიმართ გულგრილობით მიაღწევ ქალაქს*. ადამიანები არაფრად რომ მიგიჩნევენ, მაშინ დაიმკვიდრებ ქალაქს. თუკი მოკვდები თითოეული ადამიანისთვის, მემკვიდრეობად გერგება ქალაქი და მისი საგანძური. თუ გსურს ცხონება, შეინარჩუნე ერთი რამ, ადამიანთაგან უგულებელყოფა. და ესწრაფე შენს მიზანს“. წმ. ბარსანოფის მოწაფე წმ. იოანე ამბობს, რომ უმაღლესი სულიერი მიღწევა ადამიანისთვის ისაა, როცა ის არავის არ უტოლებს ან ადარებს თავის თავს და არასდროს არ ამბობს სხვის კარგ საქმეზე, ამას მეც გავაკეთებდიო.

* ქალაქი – იგულისხმება გული, ან უვნებობა ან ღვთიური ცოდნა.

[68] რაც მეტ სათნოებას და სიკეთეს მოიპოვებ, მეტ წვალებას იღებ ღმერთისგან, ამიტომ მეტი მოვალეობა გაკისრია მის წინაშე. ნუ გახდები ამპარტავანი, არამედ მეტად იღვაწე იმისთვის, რომ დაეშვა სიმდაბლის ფსკერზე და არ გქონდეს არაფერი ღირსეული, რათა უფალს მადლისთვის მადლობა შესწირო.

შემდეგ იფიქრე, რომ შენი კეთილი საქმეები არ არის სრულყოფილი, პირიქით ნაკლულია. რაც მეტს იფიქრებ ასე, უნდა შეგრცხვეს შენი სათნო საქმეების გამო და არ იამაყო მათით ამაოდ. რადგან ღვთის სათნოებები, რომელთაც უნდა ვბაძავდეთ, წმინდაა და სრულყოფილი და იბილწება და მცირდება ჩვენი მცდარი და ცუდი მიბაძვით[69]. შეადარე შენი საქმეები ღვთის ჭეშმარიტ მონათა და წმინდანთა საქმეებს და მიხვდები, რომ შენი უდიდესი და საუკეთესო საქმენი ძალიან მცირეა. თუკი ასევე შეადარებ იესო ქრისტეს ჯვარცმის და მის მიერ სხვა აღსრულებულ სათნოებებს (საქმეებს, რომლებსაც ადამიანური ბუნებით აღასრულებდა), თუ დაფიქრდები უფლის სიყვარულის სიწმინდეზე, უცოდველობაზე, მიხვდები, რომ ყველა შენი სათნოება და საქმე ცოდვით სავსეა და არაწმინდაა, რადგან დაწერილია: „მთელი ჩვენი სამართლიანობა არის **როგორც ჭუჭყიანი** სამოსელი“ (ის. 64.6)

ბოლოსდაბოლოს თუ აღმართავ გონებას ღმერთისკენ, „რომლის წინაშეც თვით ცა არ არის სუფთა“ (იობ. 15,15). მისი თაყვანისცემისას და მსახურებისას დაინახავს ნათლად, რომ არა ამპარტავნებით, არამედ დიდი შიშით უნდა აღასრულებდე ყველა საქმეს და გულში იმეორებდე მეზვერის სიტყვებს: „ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა ამას“ (**ლუკ. 18,13**).

გირჩევ არ წარმოაჩინო ადვილად უფლისგან მოძღვნილი მადლი, რადგან ეს არ იქნება მისთვის სათნო. ქვემოთ მოთხრობილი ამბით თავად ღმერთი გვასწავლის ამას.

---

[69] ყველა სათნოება უფლის წყალობით და სული წმინდის მადლით აღესრულება და არა აქვს არც საწყისი და არც სასრული – წერს წმინდა მაქსიმე აღმსარებელი. სათნოება უსაზღვროა და ურიცხვი წმ. ბასილი დიდის სწავლების მიხედვით. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია ადამიანი სათნოების მოპოვების შემდეგ არ დამდაბლდეს, რადგან მიხვდება, რომ სინამდვილეში სათნოების დასაწყისშიც არ არის, მისგან მიიღო მხოლოდ მცირედი, როგორც წვეთი ზღვაში შეუძლებელია ამ დროს ადამიანმა არ წარმოთქვას არსენი დიდის ლოცვა: „უფალო, ნუ მიმატოვებ არ გამიკეთებია შენს წინაშე არცერთი სიკეთე, შენი მრავალმოწყალეობით შემეწიე, რომ შევუდგე სათნოებას“.

ერთხელ მაცხოვარი ყრმის სახით გამოეცხადა ღვთიური სათნოებით სავსე კაცს, ამ უკანასკნელმა იცნო უფალი და სთხოვა, წარმოეთქვა მისალმება: „გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ…“ როგორც ყველა ამბობდა. ყრმამ დაიწყო: „გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეული ხარ შენ დედათა შორის…“ და აქ შეჩერდა, აღარ გააგრძელა საკუთარი თავის შესხმა: კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა“. ღვთივსათნო კაცი სთხოვდა მაცხოვარს ბოლო სიტყვებიც ეთქვა, მაგრამ უფალი გაუჩინარდა. ამრიგად, ქრისტემ პირადი მაგალითით წმინდა კაცს გამოუჩინა ზეციური სწავლება: ნურავინ ნუ შეაქებს საკუთარ თავს და საკუთარ წყალობას და მადლს. ასე რომ, ისწავლე თავით დამდაბლება და გაიაზრე, რომ ყველა შენი საქმე ნულის ტოლია. „სხვამ შეგაქოს და არა შენმა პირმა, უცხომ და არა შენმა ბაგეებმა“ (იგავ. 27,2). ეს არის ყველა სათნოების საფუძველი[70].

ღმერთმა არაფრისგან შეგვქმნა და არსება მისგან მივიღეთ. მას სურს ჩვენი სულიერება ააგოს იმ აზრზე, რომ თავისთავად ჩვენ არაფერი ვართ. რაც მეტად ვუღრმავდებით ამ აზრს, მეტად ვმტკიცდებით. რაც ღრმად გავიაზრებთ ჩვენს უძლურებას, შემოქმედი უფრო მტკიცე ქვებით აგებს ჩვენს სულიერ შენობას. არ გეგონოს, ოღონდ, რომ მთელი სიღრმით ჩასწვდები ღვთის წინაშე ადამიანის არარაობის აზრს, რადგან ეს შეუძლებელია.

ასეთი ფიქრით ყველა საქმეში სიკეთეს მივაღწევთ, ხოლო მის გარეშე არარაობანი ვიქნებით, თუნდაც ვასრულებდეთ წმინდანთა მსგავს საქმეებს. ეს არის ნეტარი აზრი, რომლითაც მიწაზე მყოფნი მადლობელნი ვართ და ვადიდებთ ზეცას! სინათლეა, რომელსაც სიბნელიდან გამოვყავართ და სულს გვინაბს! ეს არის განცდა არარაობისა, რომლითაც სამყაროს მეუფენი ვხდებით!

საყვარელო ძმაო, ვერ დავასრულებ ამ განცდაზე დიდხანს

[70] ამიტომ ამბობს უფალი, რომ თავმდაბლობაა საფუძველი ნეტარებისა „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“ (მათ. 5,3).

საუბარს. თუ გსურს აქებდე უფალს, განსაჯე საკუთარი თავი და განისაჯე სხვებისგანაც. დაიმდაბლე თავი, თუ გსურს ამაღლდე ღმერთამდე. დაიმდაბლე თავი რამდენადაც შეგიძლია, მაშინ მოვა უფალი და სიყვარულით შეუერთდები მას.

ძმაო, ხედავ შენი ურიცხვი ცოდვების მიუხედავად, ღმერთი რამდენ მადლს განიჭებს იმისთვის, რომ მას შეუერთდე. ამ ერთობისთვის შენ გააკეთე შემდეგი: მიგაჩნდეს საკუთარი თავი ყველაზე უარესად, არ მიატოვო იმაზე ფიქრი, რომ ყველას ვალი გადევს, ვინც შენ განგსჯის. თუკი გულის ავი ზრახვით გეძნელება ამის კეთება, ეცადე გარეგნულად არ გამოავლინო, რომ გწყინს შეურაცხყოფა.

თუ მოხდა ისეც, რომ ეშმაკის საცდურმა გვძლია და ამპარტავნებით გულში ჭრილობა ჩნდება, მაინც არ დასცხრე, ამ დროსაც შეგიძლია თავი დაიმდაბლო და შეიძულო საკუთარი თავი. განსაცდელში მყოფნი ვხედავთ, რომ ვიბრძვით, დიახ, ვიღვწით მთელი ძალით თავის დასახსნელად. ძნელია ძალიან ამპარტავნების ტირანიისგან განთავისუფლება, რადგან ვიტანჯებით სწორედ მისგან მომდინარე წუხილით, რომლის ძირი საკუთარი თავის სიყვარულია.

ბრძოლაში ნელ-ნელა მწარე წამლიდან თაფლს ვადენთ, ჭრილობებს ვიშუშებთ და ამპარტავნებას თავმდაბლობით ვთრგუნავთ.

თავი ოცდამეთოთხმეტე

მცირე ცოდნა, რაც აუცილებელია ვნებების დასაძლევად და ახალი სათნოებების მოსაპოვებლად

ბევრი რამ გითხარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა სძლიო საკუთარ თავს და აღიჭურვო სათნოებით. კიდევ გასწავლო ზოგიერთი სხვა მეთოდიც.

1) თუ გსურს ძმაო, მოიპოვო სათნოებანი, ნუ გაიმეორებ სხვების ღვაწლს, რასაც კვირაში შვიდი დღის განმავლობაში ასრულებენ სხვადასხვა სათნოების მოსაპოვებლად. შენი პირადი ასკეზა უნდა იყოს ბრძოლა იმ ვნებების წინაარმდეგ, რომლებიც ყოველთვის გაწუხებს. უნდა მოიკაზმო მათი საპირისპირო სათნოებებით, მაშინ ადვილად მიაღწევ მათ და დიდი შრომაც არ დაგჭირდება.

2) ნუ გადადებ დღეებით, კვირებით, თვეებით სათნოებების მოსაპოვებლად ბრძოლას. ყოველი დღე იღვაწე ისე, თითქოს ახლად დაიბადე. ახალგაზრდა მეომარივით იბრძოლე და არ შეჩერდე ერთი წამითაც კი. რადგან შეჩერებით ძალას ვერ მოიკრებ, არამედ პირიქით უკან დაიხევ. შეჩერებაში ვგულისხმობ, რომ არ იფიქრო, თითქოს მოიპოვე ერთი სათნოება და მეორის მოსაპოვებლად იწყებ ღვაწლს. გიყვარდეს ყველა მიზეზი, რაც სათნოებისკენ გიბიძგებს, განსაკუთრებით სირთულეები, რომელთა ძლევა გიჭირს. ამ დროს მეტად ეჩვევი მუდმივ ღვაწლს. გაექეცი და თავი აარიდე იმ მიზეზებს, რომლებიც ხორციელ განსაცდელს აღგიძრავს.

3) ფრთხილი და გონიერი იყავი გარეგანი სათნოებების აღსრულებისას, რომლითაც შეუძლიათ სხეულის სნეულება გამოიწვიონ, მაგალითად ზედმეტი მარხვა, ღამისთევა და სხვ. ამ სათნოებებს უნდა შეეჩვიო ნელ-ნელა და საფეხურებრივად. სულიერი სათნოებები კი, როგორიც არის უფლის სიყვარული,

თავმდაბლობა, ვნებისა და ცოდვის სიძულვილი, მოთმინება, მორჩილება. მათ მოსაპოვებლად თანდათანობითი ღვაწლი არის საჭირო. მათ ვერ მოიპოვებ საფეხურებით. იჩქარე, რაც შეიძლება სწრაფად აღასრულე ყოველი მათგანი.

4) მთელი გულით, სურვილით და აზრით არ გრძნობდეს სხვა არაფერს, გარდა ვნების ძლევისა. ეს სურვილი გახდეს შენთვის მიწა და ზეცა. ეს იყოს შენი საგანძური და მიზანი იმისთვის, რომ ღვთისათვის სათნო იყო. ჭამის დროს, მარხვისას, დასვენებისას, მღვიძარებისას, შრომისას, შინ და გარეთ მთელი ყურადღება მიმართე მხოლოდ ვნების დათრგუნვისკენ და მისი საპირისპირო სათნოების მოპოვებისკენ.

5) იქეცი ყველა მიწიერი სიამოვნების მტრად, რადგან ამგვარად ნაკლებად შეგებრძოლება ბოროტება, რომლის ძირიც სიამოვნებაა. როცა საკუთარ თავს უგულებელყოფ, სიამოვნების სურვილი ძალას კარგავს. თუ გსურს ერთი მხრივ ებრძოლო ერთ ბოროტებას და მეორე მხრივ სხვა მიწიერ სიამოვნებას მიეცე, თუნდაც მსუბუქს, შენი ბრძოლა სისხლისმღვრელი, მძიმე და არამტკიცე იქნება. შესაბამისად გამარჯვებაც იშვიათი. გახსოვდეს ყოველთვის უფლის სიტყვები: „რომელსა უყუარდეს სული თჳსი, წარიწყმიდოს იგი და რომელსა სძულდეს სული თჳსი ამას სოფელსა, ცხორებად საუკუნოდ დაიმარხოს იგი“ (იო. 12,25). „აწ უკუე, ძმანო, თანა-გუაც არა ჭორცთაჲ, რაჲთა ჭორციელად სცხონდებოდით. რამეთუ უკუეთუ ჭორციელად სცხონდებოდით, მოსიკუდიდ ხართ; ხოლო უკუეთუ სულითა ჭორცთა საქმესა მოაკუდინებდეთ, სცხონდეთ“ (რომ. 8,12)

6) ბოლოს გაცნობებ, რომ სათნოების მოსაპოვებლად აუცილებელი და უპირველესი არის აღსარება, რადგან დარწმუნდე, რომ ღვთის მადლი გიფარავს და ამ მადლით მოელი ყველა წყალობას, სათნოებას და გამარჯვებას.

თავი ოცდამეთხუთმეტე

სათნოებები უნდა მოვიპოვოთ საფეხურებრივად. ჯერ ვიღვაწოთ ერთის, შემდეგ მეორის და ა.შ. მოსაპოვებლად

ქრისტეს ჭეშმარიტი მეომარი, რომელსაც უყვარს სრულყოფილების მიღწევა, არ უნდა შეჩერდეს გარკვეული დროით გზაზე, რომ შეინარჩუნოს სულის მხურვალება, რაც გზის დასაწყისში აღიგზნება, რადგან ჩაქრება და დავრჩებით შუა გზაზე. ხორციელი და სულიერი სათნოებების მოპოვება ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა დავიწყოთ. მაგალითად, მოთმინების სათნოების მოსაპოვებლად გაგიჭირდება. თავიდანვე გიხაროდეს, როცა გლანძღავენ, განგიკიცხავენ, შეურაცხგყოფენ. ამგვარი მდგომარეობა მოთმინების უმაღლესი საფეხურია. ამ სიმაღლეს ვერ მიაღწევ, თუ დაბალი საფეხურებიდან არ დაიწყებ სვლას. პირველად უნდა შეეჩვიო საკუთარი თავის უგულებელყოფას.

გირჩევ ასევე, რომ ყველა სათნოებისთვის ნუ დაიწყებ ერთდროულად ღვაწლს. ჯერ ერთს შეუდექი და მერე სხვას. ამგვარად სული იკვებება სათნოებით ადვილად და მტკიცედ. უწყვეტი ღვაწლით გონება იწრთობა და ეძებს სხვადასხვა საშუალებას სათნოების მოსაპოვებლად. სხვა მხრივ ერთი სათნოებისთვის აღსრულებული საქმეები ერთმანეთის მსგავსი ღვაწლით ხორციელდება და ნაკლებ შრომას მოითხოვს და მტკიცედ იბეჭდება ჩვენს გულში, რომელიც უკვე მზადაა ახალი მსგავსი საქმეების მისაღებად.

ვინც ერთი სათნოებისთვის იღვწის, სწავლობს მეორის მოსაპოვებელი საშუალებასაც. ყველა სათნოება იზრდება ერთად, რადგან მათ შორის განუყოფელი შინაგანი კავშირი არსებობს. ისინი ერთი ღვთიური სინათლიდან მომდინარე სხივები არიან.

თავი ოცდამეთექვსმეტე

რა მეთოდებით უნდა მოვიპოვოთ სათნოებანი და როგორ უნდა ვიღვაწოთ გარკვეული დროის განმავლობაში ერთი სათნოებისთვის

სათნოებათა მოსაპოვებლად საჭიროა მამაცი სული და დიდი სურვილი, ოღონდ არა დასნეულებული, არამედ ძლიერი, რომლითაც ყველანაირ განსაცდელს გადავიტანთ. ამასთანავე უნდა გვქონდეს სათნოებისკენ მიდრეკილება და მისი სიყვარული. სათნოებას მოვიპოვებთ, თუ ვიფიქრებთ, რომ ის უფლისთვის საყვარელია და რამდენად სასარგებლო და აუცილებელია. ჩვენი მისწრაფება სრულყოფილებისკენ სწორედ სათნოებისთვის ღვაწლით იწყება.

ყოველი დილა უნდა დავიწყოთ სათნოების მისაღწევი მიზეზების ძიებით საღამოს შევამოწმოთ, თუ რამდენად სწორედ გამოვიყენეთ ეს მიზეზები. მეორე დილით განვაახლოთ იგივე, მისწრაფება და ღვაწლი. წმინდანთა მსგავსად, ჩვენი ლოცვა, მაცხოვრის ვნების გახსენება, რაც სულიერ ღვაწლში ასე აუცილებელია, მივმართოთ სათნოებისკენ, რომლის მოპოვებაც გვსურს. სათნოების ყველა მიზეზი კი, თუნდაც ერთმანეთისგან განსხვავებული სრულად გამოვიყენოთ. შევეჩვიოთ კეთილი საქმეების აღსრულებას ისეთი მისწრაფებით, როგორითაც საპირისპირო ცუდ საქმეს ვასრულებდით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სათნოებებისთვის ღვაწლს ისე უნდა შევეჩვიოთ, რომ ბუნებრივი მდგომარეობა გახდეს ჩვენთვის. ღვაწლში რაც მეტი სირთულე დაგვხვდება, მით ღრმად აღიბეჭდება ჩვენს სულში სიკეთის ქმნის ჩვეულება.

წაკითხული და წარმოთქმული წმინდა წერილის სიტყვებსაც ამ დროს მეტი ძალა აქვს, რადგან ამბობს სოლომონი: „**რას დაიცავ შვილო, ღმერთის სიტყვებს?**“ (იგავ. 31.2).

ამიტომ მუდამ გვახსოვდეს წმინდა წერილის ის სიტყვები,

რომლებიც ჩვენს მიერ აღსრულებული სათნოებას ეხება. ეს სიტყვები საქმედ უნდა იქცეს.

მაგალითად, როცა მოთმინების სათნოებისთვის ვიღწვით, შეგვიძლია გავიმეოროთ სოლომონის სიტყვები:

„**ვინც მრისხანებას იოკებს, გონიერია**“ (იგავ. 14.31).

„**მოთმინება ღარიბთა არ გაქრება** (ფსალმ. 9,19).

„**ვაი, მათ, ვინც მოთმინება დაკარგა**“ (ზირაქ. 2,15)

„**მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი**“ (ლუკ. 21,19)

„**მოთმინებით ვრბიოდით წინა-განმზადებულსა მას ჩუენსა ღუაწლსა**“ (ებრ. 12,1).

„**ნეტარ არს კაცი იგი, რომელმან დაუთმოს განსაცდელ-სა**“ (იაკ. 1,12).

„**მოთმინებაჲ გიჯმს თქუენ**“ (ებრ. 10,36)

ასევე შეგვიძლია წარმოვთქვათ მოკლე ლოცვები:

„ღმერთო როდის შეიჭურვება ჩემი გული მოთმინებით?”

„როდის დავძლევ ყველა განსაცდელს მშვიდი გულით და უფალს მივუძღვნი სიხარულს?“

„ჩემო ძვირფასო განსაცდელებო, თქვენით ვემსგავსები იესო ქრისტეს, რომელიც ჩემთვის ეწამა! იესო ჩემო, შენშია ჩემი სუ-ლის ხსნა, როდის შევძლებ ათასნაირი ტანჯვის ატანას შენი დიდებისთვის?“

„ნეტარი ვიქნები, თუ ტანჯვის ცეცხლში მყოფი ავენთები სურვილით, რომ უდიდესი წამება ავიტანო!“

ამ მოკლე ლოცვებით სული განმტკიცდება ღვაწლისთვის. გულწრფელად წარმოთქმულს ამ ლოცვებს უფალი შეისმენს. ოღონდ ამ სიტყვებს ორი მთავარი რამ უნდა ახლდეს. ერთი ჭეშმარიტი ცდა იმისა, რა ახარებს უფალს და მეორე მხურვალე სურვილი სათნოების მოპოვებისა[71].

[71] ნეტარ ავგუსტინეს უყვარდა ამგვარი მოკლე ლოცვები, რომელთაც ხშირად ისრებივით ლოცვას უწოდებდნენ

თავი ოცდამეჩვიდმეტე

უწყვეტად უნდა ვიღვაწოთ ბეჯითად სათნოების მოსაპოვებლად

სათნოების მოსაპოვებლად რა არის საჭირო, ამაზე ვისაუბრეთ ზემოთ. დავამატებთ, რომ ასევე აუცილებელია მუდმივად წინსვლა. თუ შევჩერდებით, უკან დავიხევთ. როცა ვწყვეტთ სათნო საქმეებს, ბუნებრივად მოვიდრიკებით სხვა საგნებისკენ, რაც ჩვენში ვნებებს აღძრავს და სათნოებას ხრწნის, ან ამცირებს და ღვთიურ სიხარულს გვაშორებს. ამიტომ სულიერი გზა, მიწიერი სვლისგან განსხვავდება. მიწაზე მოსიარულე თუ შეჩერდება, არაფერი აკლდება. სულიერ გზაზე მოსიარულე მგზავრი კი შეჩერებისას სათნოებას კარგავს. მიწაზე ბევრი სიარულისას დაღლილობა იმატებს. სულიერ გზაზე კი რაც მეტ ხანს მივაბიჯებთ, მეტ ძალას ვიძენთ. სათნოებისთვის თვაწლით სხეული სუსტდება, მაგრამ სული მტკიცდება და ძლიერდება. რაც მეტად წავიწევთ წინ სიკეთისკენ, უფრო მცირდება გზის დასაწყისში განცდილი განსაცდელი. ფარული სიტკბოება (უფლისგან მომდინარე) გვიპყრობს და თანდათან იზრდება. ასე გვიადვილდება სვლა სათნოებიდან სათნოებისკენ და მივაღწევთ მწვერვალს, სადაც სული სრულყოფილია. და მხოლოდ სიკეთით მოქმედებს. სულმა დათრგუნა ვნება, ცხოვრობს უფლის მადლიერებით და ასე ისვენებს.

თავი ოცდამეთვრამეტე

ჩვენი მოვალეობაა მუდმივად ვიღწოდეთ სათნოების მოსაპოვებლად და არ გავექცეთ არაფერს, რასაც ამ გზისკენ მივყავართ

თუ გსურს უწყვეტად სიარული სათნოებისკენ მიმავალ გზაზე, ყურადღებით იყავი, არ გამოგეპაროს რამე, რაც სათნოებისკენ გიბიძგებს. არასწორად ფიქრობენ ისინი, ვინც გაურბის წინააღმდეგობას, რაც ეხმარება სათნოების მიღწევაში. მაგალითად: გსურს მოიპოვო მოთმინების სათნოება? ნუ გაექცევი იმ სურვილს, რაც მოუთმენლობისკენ გიბიძგებს. თავი არ აარიდო შემაწუხებელ საქმეებს. ყოველთვის მზად იყავი მათ ასატანად. სხვა შემთხვევაში ვერ შეეჩვევი მოთმინებას.

ამის მსგავსად მოიქეცი, როცა რაღაცის გაკეთება არ გინდა, გძულს, გაწუხებს. ამით ისწავლი ატანას, მოთმინებას. ასე მოიქეცი, მაშინაც როცა შემაწუხებელი აზრები მოგდის თავში. ეს განსაცდელია, რომლითაც უნდა შეეჩვიო მოთმინებას.

თუ მოვისურვებთ განსაცდესილგან თავის დაღწევას, მომავალში მეტი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით და მოთმინებას დავკარგავთ, რადგან არ ვიქნებით წინასწარ აღჭურვილნი მოთმინებით. მაგრამ ეს არ ეხება ხორციელ ვნებებს და სურვილებს (რაზეც წინა თავებში ვისაუბრეთ), რადგან მათ გამომწვევ მიზეზებს ყოველთვის უნდა გავექცეთ.

თავი ოცდამეცხრამეტე

უნდა გვიყვარდეს ყველა მიზეზი, რაც სათნოებისკენ გვიბიძგებს, განსაკუთრებით სირთულეებით აღსავსე

საყვარელო ძმაო, ნუ გაექცევი ნურცერთ მიზეზს, რაც სათნოებისკენ გიბიძგებს. სიხარულით მიიღე, რაც არ უნდა არასასურველი და საძაგელი იყოს შენთვის. ამას შეძლებ უფლის შეწევნით თუ გონებაში ჩაიბეჭდავ შემდეგ აზრებს.

პირველად იფიქრე, რომ ესა თუ ის მიზეზი აუცილებელია და შესაბამისი სათნოების მოსაპოვებლად. როცა უფლისგან სათნოებას ითხოვ, მოითხოვე მისი მიზეზებიც. სხვაგვარად შენი ლოცვა ამაოა და მხოლოდ უფალს აწუხებ, რადგან ღმერთი არ გვაძლევს მოთმინების სათნოებას არასოდეს წუხილის გარეშე. სწორედ წუხილი არის მოთმინების მოსაპოვებელი მიზეზი, არც თავმდავლობა მიიღწევა შეურაცხყოფის ატანის გარეშე და სხვ. აქედან გამომდინარე, რაც მეტი შრომა და ღვაწლი სჭირდება სათნოებას, მით უფრო უნდა გვიყვარდეს ის მიზეზები, რასაც სათნოებისკენ მივყავართ. უნდა ავიტანოთ მცირე და დიდი სირთულეები ერთნაირად. მაგალითად მოთმინებაში წვრთნისთვის გავუძლოთ არა მხოლოდ შეურაცხყოფას, დარტყმას, არამედ სხვათაგან უხეში და გულცივი მზერა და საუბარიც უნდა ავიტანოთ[72]. მცირე მიზეზი უფრო ხშირად გვხვდება, ამიტომ მათი ატანით ვეჩვევით უფრო დიდის მოთმენას.

მეორედ იფიქრე, რომ ყველაფერი, რაც შენს გარშემო ხდება უფლისგან მომდინარეობს შენს სასარგებლოდ. ამიტომ ნაყოფი უნდა გამოიღოს მან. ყველა მწუხარება და ტანჯვა ჩვენი

[72] იაკობ მოციქული ამბობს, რომ მოთმინება არასრული არ უნდა იყოს, უნდა ვითმენდეთ ყველაფერს მცირესაც და დიდსაც და ყოველთვის. „ხოლო მოთმინებასა მას საქმე სრული აქუნდინ, რაჲთა იყვნეთ სრულ და ყოვლად ცოცხალ და არარაჲთ ნაკლულევან“ (იაკ. 1,4).

ნაკლისა და სხვა ცოდვის გამო გვეძლევა ღმერთისგან. უფალს სურს ავიტანოთ ისინი სიკეთისათვის და კიდევ იმისთვის, რომ ღმერთის სხვა სამართლიან და კურთხეულ სასჯელსაც გავუძლოთ, როგორც ამბობს ნეტარი ავგუსტინე (ამის შესახებ იხილე 41-ე თავში). უფალს უყვარს ჩვენგან ადამიანთა ცბიერებისგან მომდინარე განსაცდელის ატანა, რადგან ჩვენი ამპარტავანი ბუნება ამ დროს მდაბლდება. თუკი ნებით ვიტანთ განსაცდელს, ვიკურნებით და ვადიდებთ ღმერთს, რადგან მას ვუერთდებით გამოთქმულ სათნოებასა და ძლიერებაში. ასე გამოვიტანთ ცოდვის მომაკვდინებელი საწამლავისგან ტკბილ ნაყოფს და სათნოების სიტკბოებას ვიგემებთ. როგორც კი დაინახავს ღმერთი, რომ გვაქვს ჭეშმარიტად ცოცხალი და მხურვალე სურვილი და ვთხოვთ სიკეთის მიღწევას, მაშინ გვიმზადებს ძლიერი განსაცდელით სავსე ფიალას ასატანად და შესაფერის დროს მისაღებად. უნდა გვწამდეს უფლის ჩვენდამი სიყვარული და დახუჭული თვალებით, სიხარულით მივიღოთ და შევსვათ ფიალა ბოლომდე. ეს ფიალა საკურნებელად გვეძლევა იმ ხელიდან, რომელიც შეცდომას არასოდეს უშვებს. ის მცენარეა სასარგებლო სულისთვის, მაგრამ თავისთავად მწარე.

თავი მეორმოცე

როგორ უნდა გამოვიყენოთ ერთი სათნოებისთვის ღვაწლი სხვადასხვა შემთხვევაში

ზემოთ ავღნიშნეთ, რომ მხოლოდ ერთი სათნოებისთვის ღვაწლი, რაც მცირე დროში მომდინარეობს უფრო ნაყოფიერია და სასარგებლო, ვიდრე ის ღვაწლი, რომელიც ერთდროულად სხვადასხვა სათნოების მისაღწევად სრულდება. ასე იმართება ყველა სათნოების გამომწვევი მიზეზი. ახლა მოისმინე როგორ მოხდება ეს ადვილად.

ხშირად ხდება, რომ ერთსა და იმავე დღეს და დროს ვიღაც გვიკონტროლებს საქმეებს უმიზეზოდ, ან გვხვდება სირთულეები, რაც ჩვეულებრივია ადამიანის ცხოვრებისთვის. ყველა შემთხვევაში შეგვიძლია სათნო საქმეები წარმოვაჩინოთ. მაგალითად, თუ ვიღვწით მოთმინების მოსაპოვებლად, ყველა მისი გამომწვევი მიზეზი ნებით უნდა ავიტანოთ. თუ თავმდაბლობას ვესწრაფვით, შთავიგონოთ, რომ ყველაზე უღირსნი ვართ. თუ მორჩილების მიღწევა გვსურს, დავემორჩილოთ უფალს. და განსაკუთრებულად დავემორჩილოთ უფლის მეტყველ და პირუტყვ ქმნილებებსაც, მათგან მივიღოთ და ავიტანოთ ტანჯვა და მწუხარება.

თუ ვიღწვით უპოვარებისთვის, დავკმაყოფილდეთ მცირედით. თუ ვიღწვით სიყვარულისთვის, მოყვასის სიყვარულისთვის გავაკეთოთ რამე, რადგან იგია სიყვარულის მოპოვების მიზეზი. აღვასრულოთ კეთილი საქმე აგრეთვე ღმერთის სიყვარულისთვის, რადგან იქ არის უპირველესი და უსაყვარლესი მიზეზი, რომლისგანაც მომდინარეობას და დაშვებულია ჩვენი მწუხარება, ღვაწლი, და სულიერი წინსვლა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ერთი მიზეზია, სნეულების, მწუხარების და სხვ. დათმენით შეგვიძლია ნებისმიერი სათნოების მოპოვება.

თავი ორმოცდამეერთე

რა დროს უნდა დავიწყოთ ღვაწლი სათნოებისთვის

რაც შეეხება დროის მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც უნდა წარიმართოს ჩვენი ღვაწლი სათნოების მოსაპოვებლად, მას ჩვენ თვითონ მერე განვსაზღვრავთ. ამას სულიერი მოძღვარი გაარჩევს. ამ ღვაწლში რაიმე პროგრესის მაჩვენებელია მისი მუდმივად გაგრძელება, მაშინაც კი, როცა სულიერი მწუხარება და განსაცდელ;ი გვაქვს, როცა უფლის დაშვებით სულიერი სიხარული და სიმშვიდე გვეკარგება[73].

ხორციელ სურვილებთან ბრძოლაში სათნო საქმეთა აღსრულებაც წინსვლას ნიშნავს, როგორც კი ძალას კარგავს ხორციელი ბრძოლა, ვიგრძნობთ, რომ სათნოებას მივაღწიეთ.

მაშინაც კი, თუ ვერ ვგრძნობთ გრძნობადისგან ბრძოლას, მაგრამ სათნოების აღსრულების მიზეზი ჩნდება, ესეც ნიშნავს იმას, რომ მივაღწიეთ სათნოებას[74].

არასოდეს არ უნდა ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ სათნოება მოვიპოვეთ ან დავამარცხეთ ვნება, თუ დიდი ხნის ბრძოლის

---

[73] ამბა ისააკი (λογος ιβ) ამბობს, რომ ჩვენი ყველა ნაბიჯი უნდა აღვნიშნოთ, რათა მივხვდეთ პროგრესი გვაქვს თუ მტერი გვაცდუნებს. როცა ხედავ, რომ გონება არა ძალდატანებით, არამედ თავისუფლად მიისწრაფვის კეთილი აზრებისკენ, ეს პროგრესის ნიშანია. ლოცვისას თუ გონება აქეთ-იქით არ გეფანტება და ფსალმუნის სიტყვებს სიმშვიდე მოაქვს, როცა ხედავ, რომ ყველა ფიქრისა და აზრის, ჭვრეტისა და წმინდა წერილის კითხვისას თვალები ცრემლით გევსება, როცა გონება გულს უღრმავდება და გრძნობ, რომ სიმშვიდე გეუფლება, – ეს ყოველივე სულიერი პროგრესის ნიშანია.

[74] არ უნდა გავთამამდეთ, თუ არ ვშფოთავთ ვნებათაგან. რადგან თუ დღეში ერთხელ, ორჯერ, სამჯერ არ შეგვაშფოთებს რამე, უნდა ვიცოდეთ, რომ მეოთხედ და მეხუთედ ვნებებით შეეწუხდებით. თუ კი ადამიანი ცვალებადია, საათობით იცვლება. ერთ წუთში სასუფეველშია, მეორეში კი ჯოჯოხეთში, ყოველთვის უნდა ჰქონდეს გულში შიში, როგორც ამბობს პავლე მოციქული: „შიშით და ძრწოლით თჳსსა ცხორებასა იქმოდეთ“ (ფილ. 2,12).

შემდეგ არ გვიგვრძნია ვნების შემოტევა, შესაძლებელია ეშ-მაკის საცდური მიმალული იყოს და გვაცდუნებდეს. ზოგჯერ ხდება ისეც, რომ ფარული ამპარტავნება სათნოებად წარმოჩნ-დება. ვფიქრობთ სრულყოფილებაზე, რომლისკენაც მოგვიწოდებს ღმერთი, მაშინ კი თუკი სათნოებისკენ სწრაფვაში პროგრესი გვაქვს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ მის საზღვარს მივუახლოვდით[75]. გულის სიღრმეში იმდენი ფარული ვნებაა, რომელთა არსე-ბობას ვერც კი ვგრძნობთ. როგორ ვიტყვით, რომ გავთავისუ-ფლდით მათგან, როცა დავით წინასწარმეტყველიც ითხოვს ღმერთისგან იმავეს:

„დაფარულ ვნებათაგან განმათავისუფლე მე“ (ფსალმ. 18,13). ამასვე უნდა ვითხოვდეთ ჩვენც. ვგრძნობთ მხოლოდ ვნებების ქმედებას, ხოლო მათ ძალას და ძირებს სული წმინდის მადლის გარეშე ვერ შევიცნობთ. ამიტომ ვნებას, მხოლოდ მათი ქმედები-სას ვხედავთ, როცა მშვიდდებიან, გვგონია, რომ სრულყოფილე-ბას მივაღწიეთ[76]. შენ, დამწყებო მეომარო, იღვაწე, იფიქრე, რომ ჯერ არაფერი დაგიწყია სათნოების მისაღწევად. ნუ გამოიკვ-ლევ შენი სულიერი წარმატების საფეხურებს. მხოლოდ უფა-

[75] ამიტომაც წმინდა მამები და განსაკუთრებით წმ. იოანე სინელი სრულ-ყოფილებას სრულს და უნაკლოს უწოდებს. პავლე მოციქული ამბობს, რომ ამ სრულყოფილებისკენ შეუჩერებლად და უკანმოუხედავად უნდა ვისწრაფვოდეთ. საკუთარ თავს არასრულყოფილს უწოდებს, ამბობს, რომ ვერაფერს ვერ მიაღწია: „ძმანო, მე არღარა შემირაცხიეს თავი ჩემი წარწევნულად; … და კრძალულებით ვსდევ გჯრგუნსა მას ზეცისა ჩინებისა ღმრთისასა ქრისტე იესუ ს მიერ. რაოდენნი უკუე სრულნი ვართ, ამას ვზრახვიდეთ: და სხუასა თუ რასმე ზრახვიდეთ, და იგიცა ღმერთმან გამო-ვეგიცხადოს თქუენ“ (ფილიპ. 3,12-15). სრულყოფილება ნიშნავს იმას,როცა ვფიქრობთ, რომ არასდროს მივაღწევთ მას. ეს არის სათნოება, მუდმივი სწრაფვა შეუჩერებლად.

[76] როცა ვნების გამომწვევი მიზეზი ჩნდება, ვხვდებით, რომ ის გვაწუხებს. ამის შესახებ ამბა ისააკი ამბობს: ზამთარში ბალახი ქრება, მაგრამ მისი ფესვები მიწაშია, გაზაფხულის დადგომასთან ერთად ამოდის და მიწას ფარავს, იგივე ხდება ვნებების შემთხვევაშიც. უფრო აზრიანად ვიტყვი, როგორც მიწა იფარება ეკალ-ბარდებით, ასევე ადამიანური ბუნება დაცემის შემდეგ ცოდვით ითესება და ბადებს ვნებას.

ლია გულთა მხილავი, იგი უჩვენებს ზოგიერთ ადამიანს, რომ შეიცნოს სულიერი წარმატება, ზოგიერთს კი არა, რადგან ამ შემეცნებას ზოგჯერ თავმდაბლობა და ზოგჯერ ამპარტავნება მოსდევს, ამიტომაც ღმერთი, როგორც მზრუნველი და მოსიყვარულე მამა ხან აგვარიდებს განსაცდელს, ხან კი დაუშვებს სათნოების განსამტკიცებლად. ვინც ვერ ხედავს თავის სულიერ წინსვლას, მაინც უნდა გააგრძელოს ღვაწლი და შეიცნობს მაშინ, როცა ეს უფლისათვის სათნო გახდება.

თავი ორმოცდამეორე

არ უნდა გვსურდეს ძალიან განთავისუფლება იმ ტანჯვისგან, რომელთაც მოთმინებით ვიტანთ, როგორ უნდა ვმართოთ ჩვენი სურვილები, სათნონი რომ ვიყოთ

როცა განსაცდელში ხარ და მას იტან მადლიერებით, ყურადღებით იყავი, არ დანებდე ეშმაკისგან ან საკუთარი თავის სიყვარულისგან და არ ითხოვო განსაცდელისგან განთავისუფლება. ასეთ შემთხვევაში ორმაგ ზიანს მიიღებ. ერთია ის, რომ ამ სურვილით დღეს არ დაკარგავ მოპოვებულ სათნოებას, მაგრამ ნელ-ნელა მოუთმენლობა დაგეუფლება, მეორე – შენი მოთმინება არასრული იქნება, დაკარგავ უფლის წყალობას. რომ არ გესურვა განთავისუფლება. და ყველა განსაცდელში მინდობოდი ღვთიურ სათნოებას, განსაცდელი თუნდაც ერთი საათი და უფრო მცირე ხნით გაგრძელებულიყო, მიუხედავად ამისა, უფლის წინაშე შენ ხანგრძლივი განსაცდელის ამტანად გამოჩნდებოდი.

ამიტომ ყველა სიტუაციაში შენი სურვილები მიანდე მხოლოდ ღვთის ნებას, მაშინ მუდმივად მშვიდად იქნები. არაფერი არ ხდება უფლის ნების გარეშე.

ღვთის ნებაზე როცა ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ, შენს ან სხვის ცოდვებს, რადგან უფალი ცოდვის ჩადენას არ უშვებს, როგორც ამბობს წმ. იოანე დამასკელი[77]. იგულისხმება სასჯელი, რაც ცოდვისთვის მიეზღვება ადამიანს.

განსაცდელს და მწუხარებას ჯვარი ეწოდება და განსაკუთრებით საყვარელია უფლისთვის. ამ განსაცდელით ქველმოქმედებს უფალი საყვარელი ქმნილებების მიმართ.

კვლავ გიმეორებ, მოითმინე ყველა მწუხარება და განსაცდელი, გაიაზრე, უფალს სურს შენგან მისი ატანა. თავდაპირველად გამოვიყენოთ ის მეთოდები, რომლითაც განთავისუფლდებით მისგან (მაგალითად ლოცვა, რომ ჩვენი ნებით არ მოგვეცეს განსაცდელი), ოღონდ ღვთის ნების მიხედვით. უფრო სწორად გამოვიყენოთ ის მეთოდები არა ჩვენი სურვილითა და მცდელობით, ან იმიტომ, რომ გვსურს გავთავისუფლდეთ განსაცდელისგან, არამედ იმიტომ რომ ვემსახურებით უფალს.

---

[77] ღვთისმეტყველები ამბობენ, რომ არსებობს ღვთის ორი ნება. წარსული და მომდევნო. წარსული ნების თანახმად, რომელსაც ეწოდება კეთილი ნება და უფლისგან მომდინარეობს, წმ. იოანე დამასკელის მიხედვით უფალს სურს მარტო ყველაფერი კარგი და ადამიანთა ცხონება, არამედ სიკეთის საზღაური როგორც დროებითი, ისე საუკუნო. მომავალი ნებით კი, როდესაც იოანე დამასკელი დაშვებას უწოდებს, ჩვენი მიზეზისგან მომდინარეობს, უფალს სურს სასჯელი ბოროტებისთვის, დროებითი და საუკუნო. საუკუნო ჯოჯოხეთი, წმ. მარკოზ ეფესელის თანახმად, ბოროტებას წყეტს და ღვთიურ სამართლიანობას ასრულებს. ცოდვა არ სურს ღმერთს არც ერთი ნებით, რადგან ცოდვას თავად ირჩევენ მეტყველი ქმნილებები.

თავი ორმოცდამესამე

როგორ უნდა აღვუდგეთ წინ ეშმაკს, როცა ის ცდილობს გვაცდუნოს განურჩევლობით

ცბიერი ეშმაკი როცა ხედავს, რომ სათნოების სწორ გზაზე მივაბიჯებთ და ცხადი საცდურით ვერ გადაგვახვევინებს გზიდან, მაშინ ნათლის ანგელოზის სახეს იღებს და მეგობრული ფიქრებით და წმინდანების მაგალითებით, აღგვიძრავს განურჩევლად ავიდეთ სრულყოფილების სიმაღლეზე იმისთვის, რომ უფსკრულში ჩავვარდეთ. აღგვიძრავს, რომ ვწვრთნიდეთ სხეულს მძიმე მარხვით, თავშეკავებით, მწუხარებით, იმისთვის, რომ ამპარტავნება დავიმორჩილოთ და ვიფიქროთ, რომ სიმართლეს მივაღწიეთ, ან შეიძლება დავსნეულდეთ და კეთილი საქმე ვერ აღვასრულოთ, ღვაწლი მოვიძულოთ და ავირიოთ სულიერ მოღვაწეობაში. ასე ნელ-ნელა თუ გავცივდებით სიკეთის მიმართ, მეტად დავეშვებით მიწიერ სიამოვნებებში. ასეთი რამ ბევრს ემართება. განურჩევლად ემორჩილებიან მოშურნეობას და სათნოების მისაღწევად უკიდურეს ტანჯვას მიმართავენ, ამგვარად ხვდებიან ბოროტის ხაფანგში. ეს არ მოხდებოდა რომ ეფიქრათ იმაზე, რაც ზემოთ აღვნიშნეთ. თუ იფიქრებდნენ, რომ მათი ტანჯვა და ასეკეზა თუნდაც ქების ღირსი იყოს და ნაყოფიერი, ჰქონდეს სხეულებრივი ძალა, მასთან ერთად უნდა თანარსებობდეს შესაბამისი სულიერი თავმდაბლობაც. ვისაც არ შეუძლია წმინდანების მსგავსი ღვაწლი, სხვაგვარად უნდა ბაძავდნენ მათ ცხოვრებას. უფრო სწორად, ადამიანს უნდა ჰქონდეს სათნოების მოპოვების დიდი სურვილი, ამისთვის მხურვალედ ილოცოს და ესწრაფვოს იესო ქრისტესგან გვირგვინს ჭეშმარიტი ბრძოლის სანაცვლოდ. უგულებელყოს მთელი სამყარო, საკუთარი თავი, განმარტოვდეს და დაეყუდოს. გახდეს თავმდაბალი, აიტანოს ბოროტება და სიკეთით მიუგოს მის მტრებს და უმადურ ადამიანებს. თავი დაიცვას მცირე შეცდომისგანაც კი. ეს ყოველივე უფრო მეტად სათნოა ღმერთისთვის, ვიდრე უმძიმესი ტანჯვა

სხეულისა. ამიტომ გირჩევ, სხეულის ტანჯვისას ისე იმოქმედე, რომ წინსვლა შეძლო, რადგან ზედმეტობით იძულებული გახდები რაღაც მომენტში შეაჩერო ღვაწლი, გირჩევ არ შეცდე და არ გადააჭარბო არც სხვა მხრივ. იმათ მსგავსად, ვინც საკუთარი სხეულის გადამეტებული სიყვარულით, ბევრს ზრუნავენ სხეულის სიჯანსაღეზე და მცირე დაბრკოლებაც კი აშინებთ, რომ არ დაკარგონ მიღწეული. მათ სხეულის სიჯანსაღის გარდა სხვა არაფერი აღელვებთ. ითხოვენ გემრიელ საჭმელს. ასეთ ქმედებას ადამიანი ამართლებს იმით, რომ სურს უკეთესად ემსახუროს უფალს სინამდვილეში სურს ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული რამ სული და სხეული ისე შეარიგოს, რომ არც ერთი არ დაზიანდეს. ამგვარი ზრუნვით სხეული სიმართლეს კარგავს და სული კრძალულებას. ამიტომ უსაფრთხო და სასარგებლოა სხეულისთვისაც და სულისთვისაც თავისუფალი ცხოვრების წესის არსებობა. თუმცა არა განურჩეველი. ასეთი გარჩევა აკონტროლებს ადამიანის მდგომარეობას და სხეულის ტემპერამენტს, რომლებიც არ ემორჩილება ერთსა და იმავე, კანონს, როგორც ამბობს წმ. ბასილი დიდი[78].

[78] როგორც რკინა და სპილენძი ხეზე მკვრივი და მტკიცეა, ისე ერთი სხეული და მისი ტემპერამენტი განსხვავდება მეორისგან. აქედან გამომდინარე, რაც ზოგიერთისთვის უკიდურესად მძიმე ასატანია, სხვისთვის მსუბუქია „საუკეთესო თავშეკავება კუჭის მოთხოვნილებისგან თითოეულის ძალის შესაბამისად იზომება“ (Διαταξ ’Ασκητ. δ).* φιλαυτία - ბერძნ. საკუთარი თავის სიყვარული, თავმოყვარეობა.

თავი ორმოცდამეოთხე

საკუთარი თავის ზედმეტი პატივისცემა და ეშმაკის ბიძგი გვაიძულებს განვსაჯოთ მოყვასი. როგორ უნდა აღვუდგეთ წინ

საკუთარი თავის ზედმეტი სიყვარულისგან მომდინარეობს ბოროტება, რასაც დიდი ზიანი მოაქვს. ესაა მოყვასის განკითხვა და განსჯა. მეგობრებს ვამცირებთ და უგულებელვყოფთ. ამპარტავნება განსჯასთან ერთად მუდმივად იზრდება. რაც მეტ პატივს მივაგებთ საკუთარ თავს, მით მეტად აღვიძვრებით სხვების განსაკითხავად, ვფიქრობთ რა, რომ სხვების ნაკლი ჩვენგან შორსაა. ეშმაკი ხედავს ჩვენს ამგვარ ცუდ განწყობას და მუდმივად მღვიძარებას, რომ ყოველთვის ვხედავდეთ და განვიკითხავდეთ სხვების შეცდომებს. უვიც ადამიანს არ სჯერა და არ ესმის ეშმაკის ქმედება, როცა ეს უკანასკნელი ცდილობს გონებაში ჩაუბეჭდოს სხვათა უმცირესი ნაკლიც.

ასე რომ, ძმაო, თუკი ბოროტი მღვიძარებს, შენც ფხიზლად იყავი, რომ მის ხაფანგში არ გაება. როგორც კი მოყვასის შეცდომას შენიშნავ, ნუ მიაქცევ ყურადღებას, რადგან დაწერილია: „ავი არ იზრახოთ ერთმანეთზე თქვენს გულში“ (ზაქ. 8,17). თუ მაინც გრძნობ, რომ რაღაც გაიძულებს მის განკითხვას, იფიქრე, რომ ამის უფლება არ გაქვს. რომც გქონდეს, ვერ განსჯი სწორედ, რადგან თავად ხარ ვნებებით სავსე. ასეთ დროს ყველაზე კარგი ხსნის გზაა, საკუთარ ვნებებზე და ცუდზე ფიქრი. ეს ვნებები ხომ დაფარულია და ბევრია, მათგან განსაკურნებლად არ გეყოფა მთელი ცხოვრება, ამიტომ არ დაგრჩება დრო სხვების განსასჯელად. თუ ასე იფიქრებ, განიწმენდ გონების სულიერ თვალებს სიბილწისგან, რომელიც გაიძულებს სხვის თვალში თხელი ბეწვის დანახვას. გახსოვს რას ამბობს უფალი: „რაჲსა ხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დჯრესსა

თუალსა შინა შენსა არა განიცდი?“ (მათ. 7,3).

გახსოვდეს, როცა მოყვასის ვნებას განსჯი, იმავე ვნების ძირი შენს გულშიც არის და ამიტომ ლაპარაკობ სხვაზე. „ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი“ (მათ. 12,35). სხვაგვარად სუფთა და უვნებო თვალი უვნებოდ ხედავს საგნებს. „სუფთაა სახედველნი ბოროტების საყურებლად და არ ძალგიძს სიავის ჭვრეტა“ (აბაკ. 1,13). ასე რომ როცა აზრი მოგივა სხვისი შეცდომის განსასჯელად, აიძულე თავი და წარმოიდგინე, რომ შენ შეცდი და გულში თქვი: „მე, რომელიც იმავე შეცდომას ჩავდივარ, როგორ უნდა განვიკითხო სხვა“. სხვების განსაკითხად გამოსაყენებელი იარაღი საკუთარი თავის წინააღმდეგ გამოიყენე და განკურნე ჭრილობები. და კიდევ, თუკი ვინმეს შეცდომა ცხადი იქნება, მაშინ გაამართლე იგი და თქვი, რომ მას სხვა ბევრი ფარული სათნოება აქვს და მათ დასაცავად დაუშვა უფალმა, რომ შეცდენილიყო და მეტად დამდაბლებულიყო. თუკი სხვისი ცოდვა მართლა დიდია და გულიდან მომდინარეობს, ნურც მას განიკითხავ. გაიფიქრე ღმერთის საშინელ სასჯელზე და დაინახავ ბევრ ადამიანს, რომლებიც უწინ დაცემულნი იყვნენ და სინანულით სიწმინდეს მიაღწიეს და პირიქით წმინდანნი, სრულყოფილნი ცოდვით დაეცნენ. ამიტომ იდექი შიშით და იფიქრე საკუთარ თავზე, საკუთარ ცოდვაზე. და გჯეროდეს, რომ ყველა კეთილი სიტყვა და სიხარული, რასაც მოყვასს მიაგებ, იქნება სულიწმინდისეული მადლის ნაყოფი. პირიქით სხვისი განკითხვა, განსჯა მომდინარეობს ჩვენი სიბოროტისგან და ეშმაკის საცდურისგან. თუ მოყვასის რაიმე ნაკლს ამჩნევ და გინდა მისი განსჯა, თვალი არ მოხუჭო, სანამ გულიდან არ ამოიგდებ ამ განცდას.

თავი ორმოცდამეხუთე

ლოცვა

ჩვენი თავისადმი ურწმუნოება და უფლის ნებისადმი მინდობა, ღვაწლი, რაზეც ვისაუბრეთ, ცხადია აუცილებელია უხილავ ბრძოლაში. ყველზე მთავარი კი არის ლოცვა. ლოცვით შეგვიძლია მივიღოთ უფლისგან ყველაფერი, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ და უფრო მეტი სიკეთეც. ლოცვის საშუალებით მოგვეცემა სიხარული და მადლი ყოვლადსახიერი ღმერთისგან: ლოცვით აწვდი მახვილს ხელში უფალს, რომ შენთვის იბრძოლოს. ამიტომ კარგი ლოცვა მოუკლებელია,ჩვეულებად ქცეული, ლოცვით უნდა იღვაწო, რომ მიაღწიო შემდეგ შედეგებს:

1) გქონდეს ცოცხალი სურვილი ღვთის სამსახურისა. იფიქრე, რომ უფალი სიბრძნით, დიდებულებით, მშვენიერებით, სათნოებით და სხვა ურიცხვი სრულყოფილებით ღირსია იმისა, რომ შენ ემსახურო და პატივი მიაგო. იგი შენი ხსნისთვის ეწამა, ცოდვით წაბილწული ჭრილობები მოგიშუშა, არა ღვინით და ძმრით, არამედ პატიოსანი სისხლით, როცა ჯვარს აცვეს ეკლის გვირგვინი დაადგეს და გაამათრახეს.

იფიქრე, რამდენად შეგვფერის ჩვენ, ადამიანებს უფლის მსახურება. რადგან ვხდებით საკუთარი თავის უფალნი, ეშმაკზე ამაღლებულნი და ღვთის შვილები.

2) გქონდეს გულმხურვალე რწმენა იმისა, რომ უფალი მოგვცემს რაც საჭიროა მისი სამსახურისთვის და შენს სასარგებლოდ, ეს წმინდა რწმენა და იმედი ჭურჭელია, რომელსაც მოწყალე ღმერთი აღავსებს მადლის საგანძურით. რაც დიდია ჭურჭელი, მით მეტ მადლს იტევს. უფალი არასდროს შეწყვეტს ჩვენს წყალობას, რადგან თავად ამბობს: „რაოდენ უფროჲს მამამან ზეცით მოსცეს სული წმიდაჲ, რომელნი სთხოვდენ მას (ლოკ. 11,13). „და ყოველისა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუენ“ (მათ. 21,22)

3) ლოცვით უნდა ითხოვო ღვთის ნების და არა საკუ-

თარი ნების თანახმად შესასრულებელი სურვილი. ანუ ილოცე, რადგან ეს სურს შენგან ღმერთს. შენი სურვილი შეუერთე უფლის ნებას და ნუ ისურვებ უფლის ნების დათმობას შენი სურვილისათვის. რატომ? შენი სურვილი თავმოყვარეობით* არის წაბილწული და ხშირად მცდარია. ღმერთის ნება კი ყოველთვის სათნოებით სავსეა და არასოდეს არ არის მცდარი. ეს ნება ყველა ნებაზე აღმატებულია და სხვა სურვილები მას უნდა მიჰყვნენ. ითხოვე ის, რაც ღმერთისთვის სათნოა. თუ ეჭვი გეპარება იმაში, რომ შენი თხოვნა სათნოა თუ არა ღვთისთვის, ითხოვე ასე: თუ იქნება ნება შენი უფალო. ხოლო რაშიც დარწმუნებული ხარ, რომ ღმერთისთვის სათნოა, ის ითხოვე ბევრჯერ, რომ ემსახურო და მადლობდე უფალს.

4) ლოცვის შემდეგ ეცადე, რომ მიიღო ნათხოვნი მადლი და სათნოება. ხდება ასეც; ვითხოვთ ღვთისგან სათნოებას და არ ვიყენებთ არანაირ საშუალებას, რომ მის მისაღწევად ვიღვაწოთ. მაგალითად ვხვდებით უყურადღებონი და გულგრილნი. გაიხსენე იაკობ მოციქულის სიტყვები: „ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მართლისაჲ შეწევნად“ (იაკ. 5,16)*.

5) ლოცვაში უნდა დაიცვა ოთხი რამ, რასაც ამბობს წმ. ბასილი დიდი: ადიდო ღმერთი, მადლობდე მას სიქველისათვის, აღიარე ღმერთის წინაშე, რომ ხარ ცოდვილი და მის მცნებებს არ იცავ და ბოლოს ითხოვე ის, რაც აუცილებელია შენი ცხოვრებისთვის. მაგალითად, შეგიძლია ილოცო ასე: „უფალო და ღმერთო ჩემო, გადიდებ და გმადლობ შენი დიდებულებისთვის, გმადლობ, რომ შემქმენი შენი სათნოებით და მიხსენი ბევრჯერ, რასაც მე ვერ შევიმეცნებ. მიხსენ მტერთაგან. ვაღიარებ, რომ ყოველთვის ვუხვევდი შენს მცნებებს და უმადური ვიყავი ყველა შენი სათნოების მიმართ. უფალო ნუ მიმატოვებ, შემეწიე და ამისრულე ის თხოვნა, რაც ჩემი ცხონებისთვის არის საჭირო“. თუ ვინმე შეგაწუხებს, არ დაგვავიწყდეს ამისთვისაც

* მართალი ლოცვა, წმინდა მაქსიმეს სწავლებით, ლოცვასთან შეერთებული საქმეა, ასემოქმედი ლოცვაა, და შეეწევა თავად მლოცველს და მასაც ვისთვისაც ვლოცულობთ.

მადლობა შესწირო უფალს. ესეც მცირე სიქველეა მისი.

6) ლოცვას რომ ძალა ჰქონდეს და აგვისრულოს ღმერთმა თხოვნა, ლოცვა დაასრულე შემდეგი სიტყვებით: „მომადლე უფალო, ეს წყალობა შენი უსაზღვრო სათნოებით. შენ ხომ დაგვპირდი, რომ შეისმენდი ჩვენს ვედრებას: „**სანამ ისაუბრებ, გეტყვი, რომ მე შენს წინაში ვიქნები** (ისაია 58,9)“ ითხოვე შეწევნა ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლისა და წმინდანთა შუამდგომლობით, რომელთაც აქვთ პატივი ღმერთისგან.

7) უნდა ილოცო მოთმინებით. თავმდაბალი მოთმინება იმორჩილებს უძლეველს უფალს და წყალობისკენ მიდრეკს. გაიხსენე სახარებიდან ქვრივის ხშირი და მოთმინებით სავსე თხოვნამ მოალბო უსამართლო და ცბიერი მსაჯული (ლუკ. 18, 3-6) თუკი უსამართლო მსაჯულმა შეუსრულა ქვრივს თხოვნა, როგორ არ შეისმენს ღმერთი, რომელიც საუნჯეა სათნოებათა, ჩვენს ვედრებას ლოცვისას თუ დაიგვიანებს უფალი პასუხს, გააგრძელე ლოცვა და გქონდეს იმედი მისი შეწევნისა. თუ მაინც არ აგისრულა უფალმა თხოვნა, იცოდე, რომ არ იყო შენთვის საჭირო და ამისთვისაც მადლობელი იყავი, რადგან შენს თხოვნაზე მეტი მიიღე, რადგან სწორედ ეს იყო შენთვის სასარგებლო. რაც მეტად არ შეისმენს შენს ვედრებას ღმერთი, მით მეტად დამდაბლდები მის წინაშე. შენი უღირსება ღმერთის მოწყალებაზე იქნება დაფუძნებული და მოგემატება გამბედაობა და იმედი. ამ იმედს უფრო მეტად ებრძვის ეშმაკი, რაც მეტად მოსწონს იგი ღმერთს.

ყოველივე ზემოთნათქვამის გარდა, მადლობა შესწირე ღმერთს და აღიარე ის, როგორც შენი სათნო, ბრძენი და საყვარელი ქველმოქმედი, როცა გისრულებს თხოვნას და როცა არ გისრულებს მაშინაც[79]. შეინარჩუნე ყველა თხოვნისას სიმტკიცე, სიხარული და მორჩილება უფლის წინაშე.

---

[79] წმ. იოანეოქროპირი ამბობს: „დიდი სიკეთეა ლოცვა, როცა მადლიერებით აღესრულება. საკუთარ თავს უნდა ვასწავლოთ ღმერთისადმი მადლიერება არა მხოლოდ მაშინ, როცა თხოვნას გვისრულებს, არამედ ყოველთვის. რადგან როცა გგონია, რომ არ მიიღე ღმერთისგან პასუხი, მიღებული გაქვს. ის, რაც შენთვის სასარგებლოა. თუ ვინმემ წარუმატებლად ილოცა, ეს არის მისი წარმატება“,

თავი ორმოცდამეექვსე

რა არის გონებით ლოცვა
და როგორ აღესრულება იგი

გონებით ლოცვა წმინდა მამების, ე.წ. მღვიძარე მამების სწავლებით ნიშნავს ადამიანის გონების მიდრეკას გულისკენ, როცა იგი ბაგეებით არ საუბრობს, არამედ გულში წარმოთქვამს ლოცვას: „უფალი იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე“ და ცოტათი სუნთქვას იკავებს[80].

ძმაო, თუ გინდა, რომ ღმერთმა ისმინოს შენი თხოვნა, იღვაწე გონებითი ლოცვით, სთხოვე ღმერთს მთელი შენი გონებით და გულით შეწყალება და ის, რაც შენი ცხონებისთვის არის საჭირო. ღმერთს გულის ხმა უფრო ესმის, ვიდრე ბაგედან წარმოთქმული ხმამაღალი სიტყვები. ამიტომ უებნებოდა მოსეს, რომელიც გონებით და გულით ევედრებოდა იუდეველთათვის: **„რატომ მიხმობ ხმამაღლა“** (გამოსვლ. 14,15)

---

[80] ამ წმინდა,და გონებით ლოცვას დიდი და აღმატებული მადლი აქვს. ასე ამბობენ მღვიძარე მამები (იხ. სათნოებათმოყვარეობა). მე მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს ვიტყვი. ადამიანი ღვთის ხატად იწოდება. აქვს გონება, სიტყვა და სხეულის ცხოველსმყოფელი სული, ბუნებრივი ნება და სიყვარული. რადგან ღმერთი არის სამება ერთარსება, ადამიანიც, ხატი ღვთისა, უნდა იყოს სამება და ერთი, რათა ბაძავდეს თავის პროტოტიპს და მუდმივად უერთდებოდეს მას. ეს ერთობა კი ლოცვით ხდება. როცა გონება სრულად არის კონცენტრირებული გულში და სიტყვა (λόγος) ამბობს: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე“, და როდესაც სულს და ბუნებრივ ნებას მთელი ძალით უყვართ და ერთიანდებიან ამ ლოცვაში, მაშინ ეს სამი ძალა (გონება, სიტყვა (λόγος), სული) ერთიანდება. ერთი ადამიანი ხდება სამი და რჩება ერთად. ეს ნიშნავს იმას, რასაც ამბობს წმ. გრიგოლ თესალონიკელი: „როცა ერთიანი გონება ხდება სამი და რჩება ერთი, მაშინ უერთდება სამებას, ერთარსებას და გამოირიცხება ნებისმიერი ცდუნება და ამაღლებულია ყოველგვარ ხორციელზე“. ამგვარი ერთობის გარეშე ადამიანი ვერ დაიცავს ღვთის პირველ მცნებას: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი…“ (ლუკ. 10,27). ეს შესაძლებელია მხოლოდ გონებით ლოცვით.

იცოდე, რომ უფლის სახელის წარმოთქმა არის უმთავრესი ლოცვისას[81], ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა ლოცვის დროს შეგიძლია თქვა: „უფალო იესო, ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე“. ამ დროს გონება ადვილად კონცენტრირდება. სხვადასხვა თხოვნისას შეგიძლია წარმოთქვა ასეთი ლოცვა: უფალო, ღმერთო ჩემო, მომეცი მადლი და სათნოება შენი დიდებისთვის: „უფალო ჩემო, მწამს, რომ სათნოა შენთვის, ვითხოვდე მადლს. ამისრულე თხოვნა შენი ნების თანახმად“. როცა მტერს ებრძვი საქმით, ილოცე ასე: „უფალო მოდი ჩემთან, რომ არ დამძლიოს მტერმა და არ დავეცე“. ბრძოლა თუ გაგრძელდა, გააგრძელე ლოცვა. ბრძოლის დასრულებისას, მიუბრუნდი ღმერთს, წარუდგინე მტერი და შენი უძლურება „აი, უფალო, შენი სათნოების ქმნილება, შენი სისხლით გამოხსნილი და აი, შენი მტერი. შენდამი მოვილტვი, მხოლოდ შენი იმედი მაქვს, რადგან ხარ ყოვლადძლიერი და სათნო. მოხედე ჩემს უძლურებას. შემეწიე. იმედო და ძალავ ჩემი სულისა“.

გახსენებ, თუ დაიღლები გონებით ლოცვით, შეგიძლია სიტყვებით წარმოთქვა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემიწყალე მე“ და სხვა ლოცვაც, ოღონდ ეცადე გონების კონცენტრაციას.

ზოგიერთი ამბობს, რომ გონებითი ლოცვაა აგრეთვე, როცა ადამიანი გონებას მოიკრებს გულში, უსიტყვოდ, მხოლოდ გონებით ფიქრობს, რომ ღმერთი არსებობს და შიშით დგას. მის წინაშე დუმილით ითხოვს შეწევნას, გაიხსენე ფსალმუნის სიტყვები: „მუდამ ვხედავდი უფალს“ (ფსალმ. 15,8.)

---

[81] ცხადია, რომ მადლი, რომელიც ამქვეყნიურ ცხოვრებაში გვეძლევა ღმერთი და დიდებაც, რაც საუკუნო სიცოცხლეში გვეძლევა, რაზეც ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „მადლსა და დიდებას მოგვცემს“ (ფსალმ. 83,12) ორივეს მოწყალება ჰქვია. ვინც მადლი მიიღო, მათ პეტრე მოციქული შეწყალებულებს უწოდებს. „რომელნი-ეგე ოდესმე არა ერ, ხოლო აწ ერი ღმრთისა; რომელნი-იგი ოდესმე არა შეწყალებული, ხოლო აწ შეიწყალენით“ (1 პეტრ. 2,10). პავლე მოციქულიც ამბობს: „შევიწყალე, რამეთუ უმეცრებით ვიყავ ურწმუნოებასა შინა“ (1 ტიმ.1,13). წმინდანებისთვის მიძღვნილი დიდება და გვირგვინი იწოდება წყალობად (ფსალმ. 102,4). ამ სიტყვებს წმ. იოანე ოქროპირი ასე განმარტავს: „გვირგვინი არის მადლისა და კაცთმოყვარეობის შედეგი“.

ლოცვა შეიძლება გონების ერთი უდრეკი მზერით ღვთისადმი, სავედრებელი მზერით, დუმილით გახსენება იმ წყალობისა, რაც ვიაზროვნეთ გულისმიერი ლოცვით. ასეთი ლოცვა შეიძლება აღსრულდეს ადვილად ყველგან, ყველა სიტუაციაში. ამიტომ იქონიე ის როგორც ადვილად გამოსაყენებელი და ძლიერი იარაღი, უფლისგან შეწევნის მისაღებად.

თავი ორმოცდამეშვიდე

ლოცვა, რომელიც ჭვრეტითა და წმინდა წერილის კითხვით აღესრულება

აზროვნება, რომლითაც გონება ერთი აზრიდან მეორეზე გადადის და ფიქრობს, ეწოდება შემეცნებითი აზრი, ამიტომ როცა ჭვრეტა და კითხვა სრულდება ამ შემეცნებითი აზრით[82], წმინდა მამები მას ლოცვას უწოდებენ. ამგვარი მეცადინეობის ბოლოს შევთხოვთ ღმერთს, მოგვცეს მადლი ან სათნოება, რაც გვსურს აზროვნების ძალით. გარკვეულწილად გულში მიმდინარე, გონების მოძრაობა, არის შემეცნებითი სინათლე და ლოცვა. მას შეისმენს ღმერთი, ვინც თავად არის უპირველესი გონება და გონებათა შემოქმედი. შენ, თუ გსურს ლოცვა, გარკვეულ დროს, მაგ. ნახევარი, ერთი ან მეტი საათის განმავლობაში ლოცვას დაუმატე სულიერი მეცადინეობა, წაიკითხე მაცხოვრის ცხოვრება და ტანჯვა. მაგ, თუ გსურს და ითხოვ ღმერთისგან მოთმინების სათნოებას, წაიკითხე მაცხოვრის გამათრახების ეპიზოდი.

1) მაცხოვარი პილატეს ბრძანებით იდგა მის წინაშე და ისმენდა ხალხის შეძახილებს, მისი გამათრახების მოთხოვნით.

---

[82] წმინდა ისააკი ამბობს: „ძმაო იცოდეთ შემდეგი: ღვთიურისა და სულიერის შესამეცნებლად საუბარი ან სხვა ქმედება იწოდება ლოცვად. თუ კითხულობ რამეს, ან ამბობ, ან ადიდებ ღმერთს, მუხლს იდრეკ, გალობ და სხვ. ესენი წარმოადგენენ ჭეშმარიტი ლოცვის სწავლებას“ (λογος λέ).

2) იესო ქრისტე გააშიშვლეს გამხეცებულმა ადამიანებმა.

3) მაცხოვარს შეუკრეს ხელები თოკით და ბოძზე გააკრეს.

4) მისი სხეული მიატოვეს დაჭრილი და გამათრახებული, მდინარესავით მოედინებოდა სისხლი სხეულიდან.

5) მათრახის დარტყმით უფრო გაღიზიანდა სხეულის ჭრილობები[83].

ამ ეპიზოდების კითხვით და გახსენებით ძლიერად შეიგრძნობ შინაგანად როგორი ტანჯვა აიტანა უფალმა, სხეულის რამდენ იარას გაუძლო და განგამტკიცებს მოთმინებაში. იფიქრე, რომ სხეულის ჭრილობების შემდეგ ტანჯვა უფლის სულში გადაინაცვლა და რამდენადაც შენი გონება დაიტევს იმ მოთმინებას, რომლითაც იესომ გაუძლო ტანჯვას და არ განელდება მეტის ატანის სურვილი ზეციური მამის დიდებისათვის და შენს გადასარჩენად.

იფიქრე ასევე, რომ თავად იესო ქრისტეს სურს ის, რომ შენ გინდოდეს განსაცდელის გაძლება და სთხოვს ზეციურ მამას, მოგმადლოს მადლი მოთმინებისა, რათა მტკიცედ ატარო ჯვარი და წამება შენც და ნებისმიერმა სხვა ადამიანმა. ზემოთ აღწერილი მეცადინეობით (წმინდა წერილის კითხვით) და ჭვრეტით უფალს სურს გქონდეს მომთმენი გული. მიმართე გონება ზეციური მამისკენ და მადლობა შესწირე, რადგან შენი სიყვარულისთვის თავისი საყვარელი ძე მისცა კაცობრიობას, ის ჯვარს ეცვა და მარადიულად ევედრება მამას შენს ცხონებას.

---

[83] ეს აუცილებლად მოხდებოდა… კორნელიოს იტალოსი მოგვითხრობს, რომ მაცხოვარი აწამეს ბორკილებით, ეკლიანი ჯოხებით, მათრახებით. მაცხოვრის სხეულზე არ დარჩა დაუზიანებელი ადგილი. კანიდან სისხლი მოედინებოდა, ხორცი ისე დაუჭრეს, რომ ძვლები ჩანდა. ასე იწინასწარმეტყველა დავით მეფსალმუნემ: „**და აღრაცხეს ყოველი ძუალები ჩემი**" (ფსალმ. 21,18.) ეს თხრობა ეთანხმება სახარებას. მახარებლები მათე და მარკოზი ამბობდნენ, რომ იესო აწამა და გაამათრახა პილატეს ჯარმა.

თავი ორმოცდამერვე

როგორ ვისწავლოთ ლოცვა სხვაგვარად

მაცხოვრის ვნების ეპიზოდების წაკითხვით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შენს გულში მოთმინება ისადგურებს და ორ რამეს გაიაზრებ: ერთია იესო ქრისტეს წამება და მოთმინება, რაც მან ადამიანური ბუნებით იტვირთა და აიტანა კაცობრიობის გამოსახსნელად და მეორე ზეციური მამისადმი აბსოლუტური მორჩილება, რომლითაც გაუძლო წამებას. ამ ორი აზრის გააზრებით შესთხოვე ღმერთს სათნოება. ეს შეგიძლია ითხოვო არა მარტო მაცხოვრის წამების გახსენებით, არამედ მისი ყველა საქმის მოგონებით.

თავი ორმოცდამეცხრე

ღმრთისმშობელი მარიამის შეწევნით ლოცვა

საყვარელო ძმაო,არსებობს კიდევ ერთი საშუალება ლოცვისა. ღმრთისმშობლის შემწეობით. მიმართე შენი გონება ა) ზეციური მამისკენ, ბ) ტკბილი იესოსკენ, გ) და ბოლოს ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლისკენ. ღმერთისკენ მიმართულმა იფიქრე იმ სიხარულზე, რომელიც საუკუნეთა უწინ ჰქონდა ღმერთს ღმრთისმშობლის მიმართ, იფიქრე ყოვლადწმინდა მარიამის სათნო საქმეებზე, რომელთაც ასრულებდა დაბადებიდან მიცვალებამდე.

ა) განიცადე და იფიქრე ასე: აამაღლე გონება ყოველივე მიწიერზე, დროულზე და გრძნობაზე. გაიაზრე გამოუთქმელი სიხარული, რომელსაც ღმერთი იღებდა მარადქალწული მარიამისგან[84]. შესთხოვე ღმერთს ამ სიხარულის გააზრებით, რომ მოგმადლოს ძალა მტერზე გასამარჯვებლად. შემდეგ აამაღლე გონება ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიმართ, გაიხსენე, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მას ატარებდა ცხრა თვე მუ-

ცლით მადლიერებით და თაყვანი სცა, როცა დაიბადა და შეიცნო, როგორც ჭეშმარიტი ღმერთი და კაცი სრული, ძე და შემოქმედი მისი. გაიხსენე როგორ ეალერსებოდა ყრმას, რძით კვებავდა. იფიქრე, რა განიცადა დედაღმრთისმშობელმა იესო ქრისტეს ჯვარცმისას. გარწმუნებ ამგვარი ფიქრით, ღვთისადმი უსაზღვრო მადლიერებით აღივსები და უფალი შეისმენს შენს ვედრებას. ბოლოს მიმართე გონება ყოვლადწმინდა ღმრთის-მშობლისკენ და ლოცვით გაახსენე მას, რომ იდგა რჩეული ღვთის წინაშე, როგორც დედა მადლისა და მოწყალებისა და რომ ის არის ჩვენი დედაც. ძის შემდგომ მის გარდა სხვა ძლიერი თავშესაფარი არ გვაქვს, რომ ყველა ქრისტიანისთვის მამაა ზეციური მამა „ერთი არს მამა თქუენი, რომელი არს ცათა შინა“ (მათ. 23,9). და ერთია დედა, დედაღმრთისმშობელი, ამიტომ მას შევთხოვთ წყალობას და შეწევნას.

ლოცვით მოაგონე დედა ღვთისას, ჭეშმარიტება, რასაც წერ-ენ წმინდა წიგნებში, რომ ყველა მორწმუნეს სწამს ის უმაღლე-სი, საოცარი მიღწევა და მადლი, რაც ადამიანთა მოდგმას

[84] ყოვლადწმინდა სამება ხარობდა სამყაროს შექმნამდე, რადგან უწინვე იცოდა ყოვლადწმინდა მარიამის შესახებ. ზოგიერთი ღმრთისმეტყველის აზრით, თუ დავუშვებთ, რომ ანგელოზთა ცხრა დასი ზეციდან დაეცემოდა და დემონად იქცეოდა, თუ ყველა შექმნილი ადამიანი ბოროტი გახდებოდა და ჯოჯოხეთში წავიდოდა. თუ ყველა ქმნილება ცა, ვარსკვლავები, მცენარეები, ცხოველები ღმერთის წესრიგიდან გავიდოდნენ და არარსებობაში იქნებოდნენ, ყოველივე ღმრთისმშობლის სიწმიდესთან შედარებით არაფერია და ვერ აწყენდა ღმერთს. მხოლოდ ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელს შეეძლო მადლობა შეეწირა შემოქმედისთვის ყველაფრისთვის, რადგან მხოლოდ მან შეიყვარა უფალი ყველაზე მეტად. იგი დაემორჩილა მის ნებას და მხოლოდ მარიამი გახდა ღირსი მიეღო ყველაფერზე ბუნებრივი, თუ ზებუნებრივი მადლი ღმერთისგან. ერთი სიტყვით ღმრთისმშობელი გახდა მეორე სამყარო, აღმატებული გრძნობებით და გონიერი სამყაროზე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, როგორც ნიადაგი მზადდება ხის ჩასარგავად, და ხე ირგვება ნაყოფისთვის, სწორედ ასე მთელი გრძნობადი და გონიერი სამყარო შეიქმნა ღმრთის-მშობლისთვის. ყოვლადწმინდა მარიამი გამოჩნდა იესო ქრისტესთვის, ასე აღსრულდა უპირველესი მიზანი ღმრთისა. ასე შეუერთდა ქმნილება შემოქმედს არა ბუნებით, ან არჩევანით, არამედ იპოსტასურად. ეს არის ერთობის უმაღლესი საფეხური. მასზე აღმატებული არ არსებობდა და არც იქნება.

მიეცა – ღმერთი გახდა ძე ადამიანისა და ადამიანები ძენი ღმრთისა. ღმრთისმშობლის შუამდგომლობის გარეშე ვერავინ ვერ მიუახლოვდებოდა ღმერთს, ვერც ადამიანი, ვერც ანგელოზი, რადგან მხოლოდ ის იმყოფება შემოქმედსა და ზეციურ ქმნილებას შორის. ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელია ღვთაებრიობის საუნჯის მცველი და მისი დამრიგებელი ანგელოზთათვის, ადამიანთათვის, იგი გასცემს ყველანაირ ზებუნებრივ ელვარებას და სულიერ მადლს, რაც ღმერთისგან ეძლევა ქმნილ სამყაროს. და არ მოხდება ისე, რომ მან არ შეისმინოს ვინმეს გულწრფელი ვედრება. ბოლოსდაბოლოს მოაგონე ლოცვით ღმრთისმშობელს იესო ქრისტეს წამება, რაც ჩვენი ცხონებისთვის აიტანა და შეევედრე, შესთხოვოს ძეს შენი შეწყალება, რომ მაცხოვრის ჯვარცმის შედეგი გახდეს შენი ხსნა მის სადიდებლად.

თავი ორმოცდამეათე

ფიქრები, რომლითაც მხნედ და რწმენით მივუახლოვდებით ღმრთისმშობელს

თუ გსურს რწმენით და მხნედ მიეახლო დედაღმრთისას, იფიქრე შემდეგი:

ა) ჭურჭელი დიდხანს ინახავს კეთილსურნელებას. რაც დიდხანს არის სუნამო ჭურჭელში, მით უფრო დიდხანს ინახება სურნელი, რადგან ამ სურნელს გარკვეული ძალა აქვს. ასევე იფიქრე, რომ ცეცხლის ალთან ახლოს დგომისას სითბო დიდხანს შენარჩუნდება. მაშ, წარმოიდგინე კეთილმოყვარეობის როგორი სურნელით, სიყვარულის ცეცხლით და წყალობით არის აღსავსე ღმრთისმშობელი, რომელმაც ცხრა თვე მუცლით იტვირთა უფალი და მუდმივად ჰყავს გულში ჩახუტებული. ღმრთისმშობელია თავად სრულყოფილი სიყვარული, წყალობა.. ვინც ეხება სურნელოვან ჭურჭელს, მის სურნელს იღებს,

ვინც უახლოვდება ცეცხლის ალს, მხოლოდ სითბოს იღებს. ყველა ღატაკი, ვისაც სჭირდება და უახლოვდება სიმდაბლით და ზეციური მირონისადმი რწმენით სიყვარულის, მოწყალების ცეცხლს, რომელიც მარადიულად ანთია ქალწული მარიამის გულში, აუცილებლად მიიღებს შეწევნას, მადლს იმდენს, რამდენად ხშირად მიეახლება მას რწმენითა და მხნეობით.

ბ) არც ერთ ქმნილებას არ უყვარდა იესო ქრისტე, ძე ღმრთისა ისე, როგორც ყოვლადწმინდა დედას. მისგან იშვა უმამაკაცოდ და იშვა მხოლოდ ის და არ გაუნაწილა სიყვარული სხვას. ღმრთისმშობელი გახდა მიზეზი ჩვენი ცხონებისა, როგორ გახდება იგი ოდესმე საყვარელი ძის ნებისგან განდგომილი და არ შეგვეწევა ჩვენ? ამიტომ მისდამი ყველაზე უსაფრთხო თავშესაფარია, ნეტარია და მდიდარი და ყოველთვის შენს გულში მადლსა და წყალობას ბადებს.

თავი ორმოცდამეთერთმეტე

როგორ უნდა ვევედროთ და ვილოცოთ ანგელოზებისა და წმინდანების წინაშე

ორი მეთოდი შეიძლება გამოიყენო იმისთვის, რომ ზეციურ წმინდანთა შეწევნა მოიღო. ერთია აღმართო გონება ზეციური მამისკენ და უჩვენო სიყვარული, რომლითაც უყვართ წმინდანებს, წარმოთქვა სადიდებელი, რომლითაც უგალობენ მას, გაიხსენო ის ტანჯვა-წამება, რაც წმინდანებმა აიტანეს უფლის სიყვარულისთვის. ამ სიტყვების ძალით შესთხოვე ღმერთს, რაც გსურს. მეორეა, შესთხოვო წმინდანებს და ანგელოზებს შეწევნა მტერთან ბრძოლაში და სიკვდილის დროს შენთან ახლოს ყოფნა. მოიგონე მადლი, რომელსაც იღებდნენ ღვთისგან წმინდანები და აღივსე გული სიხარულით და სიყვარულით მათდამი, რადგან სწორედ ისინი არიან მდიდარნი ზებუნებრივი

მადლით, და ეს მადლი შეგიძლია შენც ითხოვო. გახსოვდეს, რომ წმინდანებს შენზე მეტი წყალობა აქვს უფლისგან, რადგან ასეთია ღვთის ნება. ლოცვა შემდეგნაირად წარმართე: შეარჩიე თითოეულ დღეს თითო წმინდანი და მას ევედრე: ორშაბათს შესთხოვე შეწევნა ანგელოზთა ცხრა დასს, სამშაბათს – იოანე ნათლისმცემელს, ოთხშაბათს – პატრიარქებს და წინასწარმეტყველებს, ხუთშაბათს – მოციქულებს, პარასკევს – მოწამეებს, შაბათს – იერარქებს და სხვა წმინდანებს, კვირას – ქალწულ მოწამეებს და სხვ.

ყოველ დღე ევედრე ღმრთისმშობელს, ყოველთა წმინდანთა დედოფალს, შენს მფარველ ანგელოზს, მიქაელ მთავარანგელოზს და ყველა წმინდანს შენს შემწეს. ყოველ დღე ილოცე მაცხოვრისა და ყოვლადწმინდა ღვრთისმშობლის წინაშე, რომ გახდე მათი მადლის ღირსი.

ევედრე ასევე მართალ იოსებს, რომ დაგიფაროს, რადგან ურიცხვი სიქველე მიიღეს მისგან, ვინც გულით ევედრა, არა მხოლოდ სულიერი, არამედ ნივთიერი საჭიროებისას, უფალს უყვარს ყველა წმინდანი, ვინც ის შეიყვარა, პატივი მიაგო და დაემორჩილა, გჯეროდეს, რომ განსაკუთრებულად უყვარს იესო ქრისტეს იოსებ მართალი, რადგან მაცხოვარი მისი მიწიერი ცხოვრების განმავლობაში, განსაკუთრებულ პატივს სცემდა იოსებს. როგორც მამას და ემორჩილებოდა მას (ლუკ. 2,51). ამის შესახებ წერს წმ. ბასილი დიდი[85].

[85] წმ. ბასილი დიდი წერს: [მაცხოვარი] ყრმობის ასაკში მშობლებს ემორჩილებოდა, ყველა საქმეს მორჩილებით და ერთგულად ასრულებდა. მშობლები ღარიბები იყვნენ და თავიანთი შრომით მხოლოდ აუცილებელის მოპოვება შეეძლოთ. იესო მათ ემორჩილებოდა და ეხმარებოდა როგორც ამბობს წმინდა წერილი.

თავი ორმოცდამეთორმეტე

მაცხოვრის ვნების ამსახველი ეპიზოდების კითხვა ღვთივსაყვარელ განცდებს აღძრავს ჩვენს გულში

ზემოთ ვისაუბრეთ იმაზე, როგორ უნდა ვილოცოთ მაცხოვრის ვნების გახსენებით. ახლა დავუმატებ სხვას, იესო ქრისტეს წამების კითხვით გულში წმინდა თანადგომობის განცდა იბადება. როცა კითხულობ მაცხოვრის ჯვარცმის შესახებ, იფიქრე შემდეგი:

1) მაცხოვარი გოლგოთაზე იდგა, გამხეცებულმა ხალხმა ის განძარცვა და წამებით მიყენებული ჭრილობებიდან ტანსაცმელს ვერ აცლიდნენ.

2) ჯვარცმამდე მას დაადგეს ეკლის გვირგვინი, რამაც თავზე ახალი ჭრილობები გაუჩინა.

3) ლურსმნებით მიაჭედეს ხის ჯვარზე.

4) გაუჭირდათ ჯარისკაცებს მაცხოვრის მთლიანი სხეულის გაკვრა ჯვარზე და ისე აწამეს, რომ ძვლები გამოუჩნდა. ასე ამბობს ფსალმუნიც „**აღრაცხეს ყოველი ძუალები ჩემი“** (ფსალმ. 21,18)

5) ჯვარცმულ უფალს არ შეეძლო დაყრდნობოდა არაფერს, გარდა ხელ-ფეხში გაყრილ ლურსმნებს, ამიტომ სხეულის სიმძიმის გამო ჩვენი უტკბესი იესო უფრო მეტ ტკივილს გრძნობდა სხეულშიც და გულშიც.

ამგვარი ფიქრებით აღძრავ გულში ჯვარცმული მაცხოვრისადმი თანადგომისა და სიყვარულის განცდას. ეცადე ფიქრის დროს ჩაწვდე უფლის უსაზღვრო სიყვარულს და სათნოებას შენდამი. როცა ეს აზრი გაიზრდება შენში, გაიზრდება შენი სიყვარულიც უფლის მიმართ.

გულში ტკივილი და მწუხარება რომ შემოვიდეს, უნდა გაიფიქრო რამდენჯერ აწყენინე უფალს შენი ცოდვებით, იფიქრე ისევ მის უსაზღვრო სიყვარულზე შენდამი, რომლითაც

აიტანა საშინელი ტანჯვა.

სასოებით და იმედით უნდა აივსო, რომ მაცხოვარი ეწამა შენი ცოდვების განსაბანად, ეშმაკის მონობისგან შენს გასათავისუფლებლად, იმისთვის, რომ ზეციურ მამას დაახლოებოდი და მიგეღო მხნეობა ლოცვისა და შეწევნისა.

უფლის ჯვარცმით იწმინდება მთელი სამყაროს ცოდვები, კვდება სიკვდილი, წმინდანთა სულებით იცვლება დაცემული ანგელოზების ადგილი. შენი ცოდვების შესაძულებლად იფიქრე, რომ მაცხოვარი ეწამა სწორედ ამისთვის, იფიქრე, რა უნდა იყოს იმაზე დიდი, რომ ხედავდე შემოქმედს, რომელიც აძლევს სიცოცხლეს ყველას და ყველაფერს და თავად ისჯება საკუთარ ქმნილებათაგან. ხედავდე გათელილ დიდებულებას, განსჯილ სამართლიანობას, ხედავდე უქმნელ სინათლეს, რომელსაც სიბნელე ჩაგრავს. იტანჯე ტანჯულ მაცხოვართან ერთად არა გარეგანი ტანჯვით, არამედ შინაგანი, სულიერი ტკივილით, რასაც განიცდის უფალი. თუ განიცდი გარეგან ტკივილს, ესეც საოცრება იქნება და გული როგორ არ გისკდება მაცხოვრის სულიერი ტკივილის განცდით!

როცა ფიქრობ, რომ იესო ქრისტეს სული ხედავდა ღმერთს

---

[86] წმინდანები მიწიერ ცხოვრებაში ხედავდნენ უფალს მკრთალად, როგორც ამბობს პავლე მოციქული, „სარკითა და სახითა“ (1 კორ. 13). ზეციურ სასუფეველში მკვიდრნი და ნეტარნი კი პირისპირ უმზერენ მაცხოვარს. თავად იესო ქრისტე კი ყოვლადწმინდა სამების მეორე პირი, რომელსაც ღვთისმეტყველთა შრომების მიხედვით, ღვთაებრიობა ბუნებით ჰქონდა, მიწიერ ცხოვრებაში პირისპირ ხედავდა მამას ჯვარცმის დროსაც, როცა ტანჯვას დაითმენდა ადამიანური ბუნებით. ამაზე მეტყველებს სახარების სიტყვები: „და არავინ აღ**ჴ**და ზეცად, გარნა რომელი-იგი გარდამო და ზეცით-ძე კაცისა**ჲ**, რომელი არს ზეცათა შინა“ (იო. 3,13). ეს იმას ნიშნავს, რომ ქრისტე ზეცაში იყო ნეტარი ჭვრეტით, რაც მხოლოდ ზეცაში ეძლევა. თეოლოგები ამბობენ, რომ იესო ქრისტეს სულს ჰქონდა სამი ცოდნა: 1) ეს ნეტარი ჭვრეტა, რაზეც ზემოთ აღვნიშნეთ, 2) ღმრთივშთაგონებული, რაც წინასწარმეტყველებსაც ჰქონდათ, რომლითაც ქრისტე ადამიანთა ფარულ ზრახვებს კითხულობდა, როგორც ნათქვამია სახარებაში „და არა უ**ჴ**მდა, რა**ჲ**თა წამოს ვინმე კაცისა მისთ**ჳ**ს, რამეთი მან თ**ჳ**თ იცოდა, რა**ჲ** იყო კაცისა მის თანა“ (იო. 2,25) და 3) შეძენილი, ანუ არსებითი ბუნებრივი ცოდნა, რაც ჰქონდა სოლომონს. ეს ცოდნა ტკივილით და სწავლით მოიპოვება.

მიწაზე ნეტარი ჭვრეტით, როგორც ახლა ხედავს ზეცაში[86]. და მაშინ შეიცნო ის როგორც ყველა პატივზე აღმატებული, ამიტომ ითხოვდა, რომ ყველა ქმნილების პატივი მიეგო მისთვის. წამებისას კი ხედავდა შეურაცხყოფილ ღმერთს ამაქვეყნიური უსჯულოებისგან და უფრო მეტად სტკიოდა ჭრილობები. წამება მით მეტად სტანჯავდა, რაც უფრო დიდი იყო მისი სურვილი პატივდებული ყოფილიყო ყველასგან ღმერთის დიდებულება. ასე რომ, ისე როგორც არავის შეუძლია ჩასწვდეს უფლის სიყვარულს და სურვილის სიღრმეს, ასევე ვერავინ ვერ გაიგებს ჯვარცმული იესოს შინაგან ტკივილს.

ამას გარდა იფიქრე იმაზე, რომ უფალს თავის ქმნილებების მეტისმეტი სიყვარულის გამო განსაკუთრებულად სტკივა ადამიანთა ცოდვები, რადგან ამით შორდება კაცობრიობა შემოქმედს. რამდენჯერაც შესცოდავს ადამიანი, იმდენჯერ შორდება ღმერთს, რომელთანაც შეუძლია სიყვარულით იყოს შეერთებული. უფლის წამებათაგან ყველაზე მტკივნეული იყო ჯოჯოხეთში მყოფთა გამო ტანჯვა, რადგან ისინი ვერ შეუერთდებიან მას და უნდა აიტანონ საუკუნო ტანჯვა. საყვარელო ძმაო, თუ შენი სული არ მოიდრიკა იესო ქრისტეს წამების გახსენებით, უფრო მეტი იფიქრე მასზე, რადგან მაცხოვარი ეწამა არა მარტო ადამიანთა ჩადენილი ცოდვების გამო, არამედ იმ ცოდვების გამოც, რასაც მომავალში ჩაიდენენ[87]. საყვარელო, თუ კარგად იფიქრებ მაცხოვრის ტანჯვის მიზეზზე, აღმოაჩენ, რომ ეს ჩვენი ცოდვაა: „**ხოლო იგი იწყლა ცოდვათა ჩუენთათჳს და გუემულ არს უსჯულოებათა ჩვენთათჳს**” (ისაია 53,5)

აქედან დასკვნა: თუ გსურს შენც ჯვარცმულ უფალთან

[87] ჩვენი ცოდვები ზღვას ჰგავს. ამას ამბობს წმ. იოანე ოქროპირი: „უფალმა იმაზე მეტი გაიღო, ვიდრე ჩვენგან ემართა, იმდენად ბევრი, როგორც ზღვაა და წყლის ერთი წვეთი“. პავლე მოციქულიც ამბობს: „ნიჭი იგი მადლითა მით ერთისა მის კაცისა იესუ ქრისტესითა მრავალთა მიმართსა აღემატა!“ (რომ. 5,15). რადგან მაცხოვარმა ურიცხვი ტანჯვა აიტანა და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაღვარა, მოკვდა შეურაცხმყოფელი სიკვდილით, იფიქრე რაოდენ უსაზღვრო და უხვია ეს მსხვერპლი, რაც ჩვენთვის გაიღო.

ერთად ევნო და მიუძღვნა სამაგიერო მისი უსაზღვრო სიქველი-სათვის. აი, ეს ნიშნავს იმას, რომ გტკივა ნამდვილად მისი სიყვარულისთვის, იბრძვი მამაცურად მტერთან, რათა განიძარცვო ძველი ადამიანი მის საქმეებთან ერთად და შეიმოსო ახალი, მოიკაზმო სული სახარებისეული სათნოებებით.

თავი ორმოცდამეცამეტე

სულიერი სარგებელი, რომელსაც ვიღებთ მაცხოვრის ჯვარცმის გახსენებით და მისი სათნოების მიბაძვით

ჯვარცმული მაცხოვრის შესახებ წმინდა წერილის კითხვა ზემოთ ჩამოთვლილ სულიერ სარგებლობასთან ერთად დაგაფიქრებს და განგაცდევინებს: 1) ტკივილს არა მარტო წარსულ ცოდვებზე, არამედ იმაზეც რაც ახლაც გაწუხებს, რის გამოც ეცვა ჯვარს უფალი, 2) შესთხოვე მას, რომ მოგიტევოს შეცოდებანი და მოგმადლოს მადლი, რომლითაც შეძლებ შენს თავს სძლიო და აღარ აწყენინებ უფალს და ემსახურები მთელი სულით, 3) განაგდებ სულიდან უმცირეს ბოროტებასაც კი, 4) იღვაწებ მთელი შენი ძალით, რომ მაცხოვრის სათნოებებს მიბაძო, მიბაძო იმ ტკივილს, რაც ჩვენი ცოდვების გამო აიტანა და მოგვცა მაგალითი, რომ მისი მიმდევარნი გავხდეთ. „რაჲთა სათნოებათა მიუთხრობდეთ, რომელმან-იგი ბნელისაგან გიწოდნა თქუენ საკჳრველსა მას ნათელსა მისსა“ (1 პეტრ. 2,9). იმისთვის, რომ გულღრძობისგან განთავისუფლდე და არ გძულდეს მტრები, არამედ გიყვარდეს, აპატიო და შეავედრო უფალს მათი ცოდვები. თუმცა მათ შეურაცხგყვეს, დაგსაჯეს, შენი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეს. გაიხსენე ამ დროს ჯვარზე გაკრული და სისხლმდინარე მაცხოვარი, თავზე ეკლის გვირგვინით, გამშრალი ბაგეებით, დამდაბლებული, შეურაცხყოფილი როგორ ევედრება ზეციურ მამას, შეუნდოს მის ჯვარმცმელებს ცოდვა. მაშინ როცა

მაცხოვარს შეეძლო ერთ წამში გაექრო მთელი სამყარო. აქედან გამომდინარე, იფიქრე შემდეგი: თუკი ყოვლადძლიერმა უფალმა აპატია ცოდვა მის მკვლელებს, რამდენად მნიშვნელოვანია, თუ შენ, მდაბიო არსება, დედამიწის ჭუჭყიანი ჭიანჭველა მიბაძავ ღმერთს და მიუტევებ მტერს მთელი გულით! სულიერი მოძღვრისადმი მორჩილების სათნოების მოსაპოვებლად და გულის დასამდაბლებლად გაიხსენე მაცხოვარი, რომელმაც შექმნა სამყარო, როგორი მორჩილი იყო ზეციური მამის ნებისა, როგორ დამდაბლდა, აიტანა სიყვარული ჯვარზე, როგორც ამბობს პავლე მოციქული: „დაიმდაბლა თავი თ**ჯ**სი და იქმნა იგი მორჩილი ვიდრე სიკვდილადმდე და სიკვდილითა მით ჯუარისა**ჲ**თა“ (ფილიპ. 2,8). ჯვარცმით სიკვდილი ყველაზე დამამდაბლებელი და შეურაცხმყოფელი იყო. ეს არის სიკვდილი, რომლითაც არც ერთი ადამიანი არ მომკვდარა სამყაროს ისტორიაში. გაადევნე თვალყური სახარებაში აღწერილ მოვლენებს: მაცხოვარი გასცა ერთმა მოწაფეთაგანმა, მეორემ იგი უარყო, დანარჩენებმა მიატოვეს! მთელი სამყარო მისი წინააღმდეგი იყო! მისმა საკუთარმა მოწაფემ შეიძულა და გასცა, მეორემ უარყო როგორც მატყუარა. დანარჩენ მოციქულებსაც აღმოაჩნდა, რომ არ უყვარდათ იესო ჭეშმარიტი სიყვარულით, არამედ ყალბად, ამიტომ ჯვარცმული მიატოვეს და გაიქცნენ. მაცხოვარი მარტო დარჩა ანას, კაიაფას, პილატეს და ჰეროდეს წინაშე! ავაზაკი ბარაბა მასზე უკეთესად ჩათვალა ხალხმა! ეს ყოველივე რამხელა შეურაცხყოფაა! დასცინის ჰეროდე და მოსავს დიდებული მოსასხამით! დასცინის პილატე, მეწამული მოსასხამს აცმევს, ხელში აძლევს რტოს და თავზე ახურავს ეკლის გვირგვინს და თაყვანს სცემს დაცინვით, როგორც სამყაროს მეუფეს! მაცხოვარს აფურთხებენ! ლანძღავენ! უფალს კი საკუ-

[88] ჯვარი 15 ნაბიჯის სიგრძის და რვა ნაბიჯის სიგანის. ასეთი იყო მაშინდელი ტრადიცია. ნატანჯ მაცხოვარს მძიმე ჯვრის ტარება უნდა გაძნელებოდა. ამიტომ გზაზე ხშირად იჩოქებდა. ჯარისკაცები აიძულებდნენ სიმონს, რომ აეკენებინა იესო, არა იმიტომ, რომ ეცოდებოდათ, არამედ ეშინოდათ გოლგოთამდე არ მომკვდარიყო.

თარი მხრებით მიაქვს ჯვარი გოლგოთისკენ![88] მას განძარცვავენ და ლურსმნებით გააკრავენ ჯვარზე! ეს სამაგალითოდ, რომ ყველამ დაინახოს ცუდ ადამიანს როგორ სჯიან[89]. ჯვარცმული იესოს თავთან ფიცარი აუკრეს[90], წყლის ნაცვლად ძმარი და ნაღველი შეასვეს! აქ არ დასრულებულა მისი წამება! ფერდში შუბი გაურჭო რომაელმა ჯარისკაცმა, მისი საფლავი ლოდით დაბეჭდეს! შეიძლებოდა უსაფლავოდ დარჩენილიყო უმოწყალო ჯარისკაცების ხელში, რომ არ გამოჩენილიყო წმ. იოსებ არიმათიელი და არ გაებედა მისი დაფლვა.

ახლა არ შეგრცხვება საყვარელო ძმაო, შენი ამპარტავნების, როცა იფიქრე მაცხოვრის უმაღლეს თავმდაბლობაზე?!

მორჩილებიდან გამომდინარე მოთმინების მოსაპოვებლადაც უნდა მიბაძო ქრისტეს და იფიქრო:

1) ქრისტეს სული, სრულყოფილად იყო მიმართული ღმერთისკენ* და ხედავდა მის უსაზღვრო დიდებულებას, რომლის წინაშეც მთელი მიწიერი სამყარო არაფერია. და აიტანა ტანჯვა ადამიანისთვის, რომლისგანაც ამპარტავნებისა და შეურაცხყოფის მეტი არაფერი არ მიუღია.

რადგან ყველა შეურაცხყოფა ადამიანმა მიაყენა ქრისტეს, როგორც ადამიანს და როგორც ღვთის სიტყვასაც.

2) იფიქრე, რომ მამა ზეციერის ნებით აიტანა ტანჯვა ძემ, იესო ქრისტემ. აიტანა შეურაცხყოფა, გამათრახება, ეკლიანი გვირგვინი და ბოლოს ჯვარზე სიკვდილი. მამის სურვილი იყო ეხილა იესო ქრისტეს სული* აღსავსე მწუხარებით და ტანჯვით.

3) იფიქრე, მაცხოვრის სული როგორი სიყვარულით ითმენდა ტანჯვას და ემორჩილებოდა ზეციური მამის ნებას. ვის

---

[89] რომში ჯვარზე ლურსმნით გაკვრით დასჯა განსაკუთრებულ შემთხვევაში ხდებოდა. როცა ყველაზე მძიმე დამნაშავეს სჯიდნენ. მაცხოვრის გვერდით ჯვარცმული ორი ავაზაკი თოკებით მიაბეს ჯვარზე.

[90] ფიცარზე სამენოვანი წარწერა იყო: რომაული, ბერძნული და ებრაული: „იესო ნაზარეველი მეუფე ჰურიათა“

* ქრისტეს სული - ავტორი გულისხმობს ძე ღვთისას ადამიანურ სულს (ედ.)

* აქაც ავტორი გულისხმობს იესო ქრისტეს ადამიანურ სულს.

შეუძლია ჩასწვდეს იესო ქრისტეს სულის განცდის სიღრმეს, სულისას, რომელიც ყველაზე სათნო და წმინდაა![91]

იესოს სული თითქოს ტანჯვათა ლაბირინთში იმყოფებოდა და ეძებდა ახალ გზებს წამებისას. ამიტომ მისცა თავისუფლება ჯოჯოხეთის ძალებს, რაც სურდათ, ის გაეკეთებინათ.

4) ამის შემდგომ შეხედე იესო ქრისტეს, რომელიც მშვიდი და მოწყალე თვალებით გიყურებს და გეუბნება: „შვილო ჩემო, არ გინდა, რომ შეებრძოლო შენს ვნებებს! შეხედე მე როგორ ვიტან ტანჯვას სიხარულით შენი სიყვარულისთვის, რომ მოთმინების მაგალითი გიჩვენო! გთხოვ, შვილო ჩემო, აიღე ჯვარი და შენს მდევნელებს დაემორჩილე. მათ მე მივუგებ სამაგი-

[91] როგორც კვამლისგან შევიცნობთ ცეცხლს, ასევე რაიმე გარკვეული ნიშნებით შევიცნობთ შინაგან ცეცხლს, რაც უფალს ჰქონდა ჯვარცმისას. ეს ნიშნებია: უფალმა პეტრეს უწოდა სატანა, რადგან ეს უკანასკნელი ხელს უშლიდა მას იერუსალიმში წასვლაში, რომ წამებას არიდებოდა: „წარვედ ჩემგან, სატანა, საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა“ (მათ. 16,23) უფალი წამებას და სიკვდილს უწოდებს სასმისს. მისი სიტყვები თეოფილაქტეს განმარტებით ნიშნავს სიხარულს, სიამოვნებას და ზეიმს, რასაც ღვინის შესმისას განიცდიან. „სასუმელი, რომელი მომცა მე მამამან, არა შევსუაა იგი?“ (იო. 18,11) უფალი მიდის შუაღამეს მდ. კედრონის გადაღმა ბაღში, სადაც ხვდება იუდას და აჩვენებს ამით, რომ ტანჯვას ნებით იღებს. ასე განმარტავს ამ ეპიზოდს წმ. იოანე ოქროპირი: „ესე თქუა იესუ და გამოვიდა მოწაფითურთ თჳსით წიაღი ჴევსა მას ნაძოვანსა, იცოდა იუდაცა, მიმცემელმან მისმან“ (იო. 18, 1-2). მაცხოვარს სიხარული ჰქონდა თვალებში ჯვარცმისას. იაკობ მოციქულის სიტყვებით ჯვარცმული უფლის უსაზღვრო სიყვარულს ჩვენდამი უმთავრესად ორი რამ ასახავს: 1) საღმრთო საიდუმლოთა გადაცემა, რომლის დროსაც სულიერად საიდუმლოებრივად კვდება და აღდგება ქრისტე; 2) ისტორია, რომელსაც დიონისე არეოპაგელი მოგვითხრობს დიმოფილესადმი გაგზავნილ წერილში. მოციქული კარპოსი კრეტაზე ყოფნისას წუხდა და ევედრებოდა ღმერთს, დაესაჯა უღირსი კაცი, რომელმაც აცდუნა ქრისტიანი. ლოცვის დროს მასთან მივიდა მაცხოვარი ანგელოზთა დასთან ერთად. ხელი გაუწოდა და უთხრა, რომ დაერტყა. რადგან მიუხედავად იმისა, რომ უფალს ჯვარს აცვამენ ადამიანები და ამიტომ ჯოჯოხეთში მიდიან, ის მზად არის მოკვდეს ადამიანთა საცხონებლად ბევრჯერ. „დამარტყი, მზად ვარ მოვკვდე ადამიანთათვის, ვისაც სურს ცხონება, ესაა ჩემეული სიყვარული, რადგან არ არსებობენ ადამიანები, რომლებიც არ სცოდავენ!“

ეროს. რომ იცოდე ეს რამხელა სიხარულია ჩემთვის! ამის დანახვა შეგიძლია ჩემს ჭრილობებზე, რომლებიც მეტისმეტი სიხარულით მივიღე, როგორც საყვარელი და ძვირფასი რამ. ეს იმიტომ, რომ სათნოებით შემემკო შენი ღატაკი სული, რომელიც ასე ძალიან მიყვარს. მე შენთვის ავიტანე ამდენი ტანჯვა, შენი გულის საკურნებლად, ასევე იმისთვის, რომ შენი მოუთმენლობისგან მიღებული ჭრილობები მოვიშუშო“.

5) იფიქრე კარგად, ვინ არის ის, ვინც ამგვარად გესაუბრება. ის თავად უფალია, ჭეშმარიტი ღმერთი და კაცი სრული! იფიქრე მის მძიმე ტანჯვაზე, რაც ზედმეტი იყო თვით ყველაზე საშინელი ავაზაკისთვის!

შეხედე ნაწამებ უფალს, რომელიც არა მარტო მშვიდად იტანს ყველაფერს, არამედ ისე ხარობს, თითქოს ქორწილში იყოს!

6) იფიქრე იმ მიზეზზე, რის გამოც თავისი ნებით ეწამა უფალი. ეს იმიტომ მოხდა, რომ შენც იწვრთნებოდე, ბაძავდე მის მოთმინებას. თუ ამ სათნოებისთვის იღვაწებ, შენს ჯვარს იტვირთავ მოთმინებითაც და მხურვალე სიყვარულითაც და გაუძლებ ყველა მწუხარებას. თვალწინ გქონდეს სიმწარე და შეურაცხყოფა, რაც იგემა უფალმა, მისი მოთმინება. და სირცხვილის გრძნობამ უნდა შეგიპყროს, რადგან ყველა შენი ტკივილი და წუხილი არაფერია მაცხოვრის მიერ ატანილ ტანჯვასთან, შენი მოთმინება ჭეშმარიტი მოთმინების აჩრდილია. გეშინოდეს, რომ შენს გულში ისევ არის პატარა გულისთქმა, რომ არ გინდა აიტანო ტკივილი უფლის სიყვარულისთვის.

შვილო ჩემო, ჯვარცმული მაცხოვარი წიგნია, რომელიც მუდმივად წასაკითხად გაძლევ. მისგან ისწავლი ყველა სათნოებას. იგია სიცოცხლის წიგნი და გვასწავლის არა მარტო სიტყვებით, არამედ ცოცხალი მაგალითით აღვივებს ამ ქვეყნად მრავალი წიგნის წაკითხვის სურვილს, მაგრამ ყველა წიგნი ერთად ვერ გასწავლის ისე სრულყოფილად სათნოების მოპოვებას, როგორც იესო.

გირჩევ, შვილო ჩემო, ჯვარცმულ უფალს მიეახლო და ცრემ-

ლებით და მხურვალე სიყვარულით მიენდო, როცა ეშმაკეული გველები დაგკბენენ, ადამიანური განსაცდელი შეგიპყრობს და ნამდვილად განიკურნები ჭრილობებისგან, როგორც ოდესღაც ებრაელები განიკურნენ ნამდვილი გველების ნაკბენებისგან, როცა ხედავდნენ მოსეს კვერთხზე ჩამოკიდებულ სპილენძის გველს, რაც უფალს განასახიერებდა: „და ვითარცა-იგი მოსე აღამაღლა გუელი უდაბნოს, ეგრეთ ჯერ-არს ამაღლება ძისა კაცისა“ (იო. 3,14).

იცოდე შვილო, რომ ისინი, ვინც ყოველდღიურად საათობით ღვრიან ცრემლს მაცხოვრის ტანჯვის გამო, მაგრამ განსაცდელის ჟამს მოუთმენელნი არიან, გვანან მშიშარა მეომრებს, რომლებიც ბრძოლის წინ ჯარისკაცები არიან, ომის დაწყებისთანავე კი იარაღს აგდებენ და გარბიან. რა უნდა იყოს იმაზე უგუნური და სასაცილო, როცა ადამიანი უფლის სათნოებებზე ფიქრობს, უყვარს, მაგრამ სრულიად ივიწყებს და არც პატივს მიაგებს, როცა მათში წვრთნის ჟამი დგება.

ნაწილი მეორე

თავი პირველი

საღმრთო ევქარისტიის უწმინდესი საიდუმლო

ჩემო მკითხველო, როგორც ნახე, აქამდე გესაუბრე იმ ოთხ იარაღზე, რაც აუცილებელია უხილავ ბრძოლაში გასამარჯვებლად. არ უნდა ენდო საკუთარ თავს და მიენდე ღმერთს, იბრძოლო მუდმივად და ილოცო. ეხლა სხვა რამეზე ვისაუბროთ; საღმრთო ევქარისტის უწმინდეს საიდუმლოზე, რადგან იგია ყველაზე აღმატებული საიდუმლო და მაშასადამე, უძლიერესი იარაღი. ოთხი იარაღი, როგორც ვთქვით, ძალას იღებს ქრისტეს მიერ დაღვრილი სისხლის მადლისგან და სიქველისგან. ევქარისტია კი არის თავად სისხლი და ხორცი ქრისტესი. მტერთან ბრძოლა მისი საშუალებით მიმდინარეობს. ვინც იღებს მაცხოვრის სისხლსა და ხორცს, ქრისტეში ცხოვრობს და ქრისტე ივანებს მასში: „და რომელი ჭამდეს ჴორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, იგი ჩემ თანა დადგომილ არს, და მე მის თანა“ (იო. 6.56). ჩვენც, როცა ვამარცხებთ მტერს, ვამარცხებთ მაცხოვრის სისხლით, როგორც აპოკალიფსშია ნათქვამი: „და მათ სძლიეს მას სისხლითა მით კრავისაჲთა“ (გამოცხ. 12,11)

მაშასადამე, ეს უწმინდესი საიდუმლო, რომელიც თავად იესო ქრისტეა, ქრისტიანმა შეიძლება მიიღოს ორნაირად: ფიზიკურად (ისე ხშირად, რამდენადაც აქვს სულიერი მოძღვრისგან კანონი და აუცილებლად წინასწარი მომზადებით: აღსარებით, მარხვით, როგორც შეუძლია), და გონებით და სულიერად ყოველ საათში და ყოველ წამში. შენც ნუ დასცხრები, რომ ეზიარო უფლის სისხლსა და ხორცს სულიერად და ფიზიკურად, როცა შეძლებ.

თავი მეორე

როგორ უნდა მივიღოთ უწმინდესი საღმრთო ევქარისტია, ანუ როგორ უნდა ვეზიაროთ ქრისტეს

განსაზღვრულ შემთხვევებში შეგვიძლია მივუახლოვდეთ ამ საღმრთო საიდუმლოს. ამისთვის უნდა შევასრულოთ რამდენიმე რამ, რაც სამ პერიოდად ნაწილდება. ზიარებამდე, ზიარების დროს და ზიარების შემდეგ. საღმრთო ზიარების მიღებამდე უნდა განვიწმინდოთ სინანულით და აღსარებით დიდი და მცირე ცოდვებისგან და დავიცვათ სულიერი მოძღვრის მიერ დადებული კანონი. მთელი ჩვენი გული, სული და ძალა უნდა მივმართოთ იესო ქრისტესკენ, იმისკენ, რაც მისთვის სათნოა. იგი ხომ თავად საღმრთო ზიარებით გვაძლევს თავის სისხლს და ხორცს. უფლისადმი ჩვენგან გაღებული ძღვენი მისგან მიღებულთან შედარეებით მცირეა და არარაობა.

ამიტომ, თუკი გსურს მიიღო უფლის ეს საიდუმლო შენი მტრების დასამარცხებლად, წინა საღამოდან დაიწყე ფიქრი, რომ ძეს ღვთისას სურს დაივანოს შენს გულში საღმრთო ზიარებით, რომ მას შეუერთდე და შეგეწიოს ვნებების დამარცხებაში.

უფლის ეს სურვილი უსაზღვროა და დიდი, ამიტომ შეუძლებელია მისი სიღრმის ადამიანური გონებით წვდომა. შენ თუ გინდა ეს გაიცნობიერო, უნდა გახსოვდეს ორი რამ: ერთი ძე ღვთისას გამოთქმელი სურვილი იმისა, რომ ჩვენს გულში არსებობდეს, ამ ერთობას ადამიანთან თავად უფალი უწოდებს თავისთვის სათნოს. და მეორე, ღმერთს სძულს ცოდვა, რადგან ის უშლის ხელს მისსა და ადამიანის ერთობას. ცოდვა უცხოა მისი ღვთაებრივი სრულყოფილებისათვის. ღმერთი ბუნებით არის სრულყოფილი სიკეთე, წმინდა სინათლე და უსაზღვრო მშვენიერება, ამიტომ ვერ მიეახლება მას ცოდვა და ვერ შეაშფოთებს. უფლისმიერი სიძულვილი ცოდვისა ისეთი ძლიერია, რომ მის დამარცხებას მიეძღვნა მთელი ძველი და ახალი აღთქმა, მხოლოშობილი ძის ჯვარცმა. აქედან გამომდინარე, ბევ-

რი თეოლოგი და მასწავლებელი ამბობს, რომ ჩვენი სულიდან უმცირესი ცოდვის ამოსაძირკვადაც კი უფალი ბევრჯერ ეცმებოდა ჯვარს. ასეთი ფიქრებით, მცირედ მაინც თუ ჩაწვდები ღმერთის შენთან ყოფნის უსაზღვრო სურვილს შენი და თავისი მტრების დასამარცხებლად, მაშინ აღაგზნე გულში ცოცხალი სურვილი, რომ უფალი მიიღო. ამგვარად როცა აივსები სიმამაცით და სასოებით, რომ მოვა და დაივანებს შენში ზეციური მთავარსარდალი იესო, მოუხმე ხმამაღლა საბრძოლველად ვნებას, რომლის დამარცხებაც გსურს. შეიძულე ის და დაუპირისპირე სათნოება. ეს ყოველივე გააკეთე საღამოს. დილით კი საღმრთო ზიარებამდე სულში ჩაიხედე და გაიხსენე ღვთის შიშის გარეშე ჩადენილი შეცდომები, თითქოს ვერ გხედავდა უფალი და თითქოს შენი ცხონებისთვის ჯვარზე არ ეცვა. ამ ფიქრით, სირცხვილით და შიშით გაიაზრე შენი უმადურობა ღვთის მიმართ, უფალი თავის უსაზღვრო სათნოებით გიხმობს საიდუმლოსთან ზიარებისკენ, მიუხედავად შენი უმადურობისა და მცირე რწმენისა, მიუახლოვდი მას და მიუძღვენი ფართოდ გახსნილი გული, რომ მისი მეუფე გახდეს უფალი. როგორ? როცა გულიდან განაგდებ ნივთიერი საგნებისადმი სიყვარულს და შეუშვებ მხოლოდ უფალს.

ზიარების შემდგომ გულს ჩაუღრმავდი, თაყვანი ეცი პირველად უფალს და გონებით გაესაუბრე: „შენ ხედავ მხოლოდ ჩემს სიკეთეს, მე კი ასე ადვილად გაწუხებ, რადგან ვნებები მღლის და მათ მარტო ვერ ვუმკლავდები. მხოლოდ შენი იმედი მაქვს, რომ ვნებასთან ბრძოლაში გავიმარჯვებ“.

ამის შემდეგ აღმართე გონება ზეციური მამისკენ და მადლობა შესწირე, რომ შენს გულში მხოლოდშობილი ძე ღვთისა სუფევს ვნებასთან ბრძოლაში გამარჯვებას მოთმინებით და უფლის რწმენით დაელოდე. გწამდეს არ მოხდება ისე, რომ არ გაიმარჯვო, თუკი გააკეთე ის, რაც შეგეძლო, არ დამარცხდები, თუნდაც უფალმა დააააგვიანოს შენთვის გამარჯვების წყალობა. მოგვიძღვნა საკუთარი თავი ჩვენ მის ქმნილებებს, ჩვენ ვინც ასეთი უღირსნი ვართ.

თავი მესამე

როგორ უნდა მოვემზადოთ ზიარებისთვის, რომ ავენთოთ ღვთის სიყვარულით

ღვთიურ საიდუმლოსთან ზიარებისთვის, უფლის სისხლთან და ხორცთან ზიარებისთვის, უფლის სიყვარულში ჩასაღრმავებლად, აზრით განჭვრიტე ის სიყვარული, რომელიც გამოგივლინა უფალმა საიდუმლოებებში. დიდებული და ყოვლისმპყრობელი ღმერთი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ შეგქმნა თავის ხატად და მსგავსად, არც იმით, რომ ოდესღაც სცოდე და ის შეურაცხყავი, გამოგიგზავნა ძე თვისი მხოლოდშობილი ოცდაცამეტი წლით დედამიწაზე საცხოვრებლად შენს მოსაძებნად, იმისთვის, რომ საშინელი ტანჯვა ეტვირთა ჯვარზე სიკვდილით და გამოეხსენი ეშმაკის ხელთაგან, დაგიტოვა საზრდოდ საღმრთო ზიარება. იფიქრე კარგად, შვილო ჩემო, ამ სიყვარულის სიდიადეზე, რაც ყოველივეს აღმატებულსა და სრულყოფილს ხდის.

ა) თუკი ვიფიქრებთ, რომ ღმერთმა შეგვიყვარა საუკუნოდ და უსაზღვროდ და ამდენადაც მისი ღვთაებრიობა საუკუნოა, საუკუნო და მარადიულია მისი სიყვარულიც ჩვენდამი. ამ სიყვარულით მოგვცა თავისი ძე! ამიტომაც ყოველივე ამის გააზრებით სულიერი სიხარულით აღსავსემ თქვი: ამ უსაზღვრო მარადიულობაში მე უმცირესი ვარ, ასეთი უმცირესი შემიყვარა უფალმა და გამოუთქმელი სიყვარულით მომცა ძე თვისი საზრდოდ?

ბ) ყველა სხვა ამქვეყნიური სიყვარულები რაც არ უნდა დიდნი იყვნენ, ყველას აქვს საზღვარი და საზომი, მხოლოდ ღვთის სიყვარული ჩვენდამი არის უსაზღვრო. ამიტომაც სურდა ღმერთს ჩვენი სრული განკურნება და მოგვცა თავისი ძე, მისი თანასწორი და ერთარსი. ასეთი დიდია უფლის სიყვარული და წყალობა და, პირიქით, ისეთივე დიდია წყალობა უფლისა, როგორიცაა მისი სიყვარული. და ორივე იმდენად დიდია და უსაზღვრო, რომ მოკვდავი გონებისთვის მიუწვდომელია.

გ) ღმერთმა შეგვიყვარა თავისი ბუნებითი სახიერებით (სიკეთით) ისეთი დიდი სიყვარულით, რომ ჩვენ მისი წვდომა არ შეგვიძლია.

დ) თუ კარგად იფიქრებ ამ სიყვარულის სიწმინდეზე, მიხვდები, რომ ის ამქვეყნიერ სიყვარულს არ ჰგავს და პირად სარგებლობას არ ეფუძნება. უფალი ჩვენს გარეშეც არის ბედნიერი, ნეტარი და დიდებული. ამიტომაც მისი გამოუთქმელი სათნოება და სიყვარული ჩვენდამი მხოლოდ ჩვენივე სიკეთისთვის არსებობს.

ყოველივე ზემოთქმული გაიაზრე და შენს თავს უთხარი: „როგორ ხდება ეს? უმაღლესი ღმერთი თავის გულს მდაბალი ქმნილებას უძღვნის? რა გსურს მეუფეო დიდებისაო? რას მოელი ჩემგან, ვინც ვარ მტვერი და ფერფლი? ღმერთო ჩემო, ვხედავ კარგად ვხედავ შენი სიყვარულის შუქს, რომელიც ცეცხლს ჰგავს და მხოლოდ ერთი მიზანი გაქვს, მაჩვენო შენი სიყვარული ჩემდამი. გსურს, რომ შენ ჩემში იყო და მე შენში და ეს სიყვარულით მოხდეს. ჩემი მიწიერი და შენი ზეციური გულის ერთობით, ჩემში აძგერდეს გონიერი და ღვთიური გული“.

ამგვარი ფიქრებისას სიხარულით უნდა აივსო, რადგან ხედავ, რომ ღვთის სიყვარულის პატივით ხარ შემკობილი და შენგან ერთადერთი რამ უნდა უფალს, მიგიზიდოს თავისკენ და გამოგარჩიოს როგორც უპირველესი ქმნილებათა შორის, რომ მიუძღვნა შენი თავი სრულიად უფალს და მხოლოდ მისი სიყვარული მართავდეს შენს გონებას, ნებას და მეფობდეს ყველა გრძნობაზე. ამის შემდგომ დაინახავ, რომ ზემოთქმულ ღვთაებრივ გრძნობას აღძრავს ყოვლადწმინდა საღმრთო ევქარისტიის საიდუმლო. გაუხსენი გული და თქვი: „ზეციურო საზრდოო, როდის მოვა დრო, როცა მთლიანად მოგეძღვნები სიყვარულით? როდის ვიცხოვრებ მხოლოდ შენთვის? ვიცხოვრებ მშვენიერი, საუკუნო ცხოვრებით, ზეციური მანანით, როდის მოვიძულებ ყოველნაირ მიწიერ საზრდოს და ვისაზრდოებ მარტოოდენ შენით? როდის მოხდება ეს ჩემო სიტკბოებავ? უფალო ჩემო, ყოვლადძლიერო, გაანთავისუფლე გული ყველანაირი ვნებისგან. შეამკე შენი წმინდა სათნოებებით და იმ ჭეშმარიტი

მიზნით, რომლითაც მხოლოდ იმას გავაკეთებ, რაც მოგწონს. ასე მოვალ და გაგიხსნი გულს. მინდა შეგევედრო და მადლობა შემოგწირო, რომ ჩემში დაივანო, უფალო!

ამ ფიქრებით შეგიძლია იწვრთნებოდე საღამოს და დილის ზიარებისთვის ემზადებოდე. როცა მოვა დრო ზიარების, იფიქრე, ვინ არის ის, ვინც უნდა მიიღო. იგია ძე ღმრთისა, რომლის დიდებულებას ვერ ჩავწვდებით, რომლის წინაშე თრთიან ზეცანი და ძალნი! იგია წმინდა წმინდათა, ყველაზე სუფთა სარკე! ამ სიწმინდეს ვერ გავიგებთ, რადგან მსგავსი უბიწო ქმნილება არ არსებობს! იგია, ვინც შენი სიყვარულისთვის დამდაბლდა, ის არის ღმერთი, რომლის ხელშია მთელი სამყაროს სიცოცხლე და სიკვდილი შენ კი, რომელიც მას უნდა ეზიარო, ხარ არარაობა და ცოდვების გამო უარესი გახდი, გათამაშებს დემონი! ღმერთისადმი მადლიერების სანაცვლოდ უგულებელვყოფთ მის პატიოსან სისხლს! ის კი მიუხედავად ყველაფრისა, თავისი უსაზღვრო სიკეთით გვიხმობს საღმრთო ტრაპეზისკენ. ზოგჯერ გვემუქრება კიდეც სიკვდილით და ამბობს: „უკუეთუ არა ჭამოთ ჴორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა შორის თქუენთა“ (იო. 6,53).

შენგან ითხოვს მხოლოდ: ა) გულისტკივილს იმის გამო, რომ აწყენინე, ბ) გძულდეს მცირე და დიდი ცოდვაც, გ) მიუძღვნა შენი თავი მას მთელი გულით და დაემორჩილო მის ნებას, დ) გწამდეს მტკიცედ, რომ უფალი მოგიტევებს, განგწმენდს და დაგიცავს მტრისგან.

როცა განმტკიცდები უფლის გამოუთქმელი სიყვარულით, მიუახლოვდი წმინდა ზიარებას შიშით, რომელიც სიყვარულით იქნება ნასაზრდოები და წარმოთქვი: „უფალო ჩემო, მე არ ვარ ღირსი შენთან ზიარების, რადგან ამდენჯერ გაწყენინე და არ მიტირია სინანულით ამის გამო. უფალო ჩემო, არ ვარ ღირსი შენთან ზიარების, რადგან გულწრფელად არ მივუძღვენი თავი შენს სიყვარულსა და ნებას. ყოვლადძლიერო ღმერთო, უსაზღვრო სიკეთევ, მხოლოდ შენი სათნოების გამო გავხდი ღირსი, რომ გეზიარო რწმენით“. ზიარების შემდგომ კი გულში დაივიწყე ყოველივე მიწიერი და გაესაუბრე უფალს: „ზეციური სა-

სუფევლის მეუფეო, რა მიუძღვენი ჩემს გულს, ასე უღირსს, ღატაკს, ბრმასა და შიშველს?“. ღმერთი კი მოგიგებს „სიყვარული“. შენ კი კვლავ თქვი: „სიყვარულო უქმნელო! სიყვარულო ტკბილო! რა გსურს ჩემგან?“ უფალი გიპასუხებს,რომ არ სურს არაფერი სიყვარულის გარდა. „არ მსურს აანთო გულის საკურთხეველში სხვა ცეცხლი, გარდა სიყვარულისა. მას გთხოვდი და გთხოვ შენ. მინდა მთლიანად შენი ვიყო და შენ ჩემი. რაც არ მოხდება თუ არ დაიმორჩილებთ საკუთარ თავს და მიეჯაჭვები თავმოყვარეობას, საკუთარ აზრს, სურვილს და ამქვეყნიურ პატივს. გთხოვ, შეიძულო შენი თავი, რომ მოგიძღვნა ჩემი სიყვარული. ვითხოვ შენს გულს, რომ ჩემსას შევუერთო. ხედავ, ვარ აღმატებული პატივი, ასეთი ვხდები შენგან. ჩემო საყვარელო სულო მიმიღე და მომიძღვენი თავი. გინდა საყვარელო შვილო, რომ ჩემს გარდა არავის და არაფერს არ ხედავდე და მეც ვფიქრობდე მარტო შენზე, მუდამ სავსე იყო ჩემით, იყო ბედნიერი, ნეტარი და ამით ვხარობდე მეც“.

ეცადე, ყოველდღიურად გაიზარდოს შენში რწმენა ყოვლადწმინდა ზიარების მიმართ, ნუ შეწყვეტ ნურასოდეს ამ საიდუმლოთი გაოცებას და აღტაცებას. გიხაროდეს, რომ ღმერთი ჩნდება პურით და ღვინით შენს განსაწმენდად, რადგან როგორც უფალი ამბობს: „ნეტარ არიან, რომელთა არა უხილავ და ვჰრწმენე“ (იო. 20,29).

ნუ მოელი, რომ უფალი გეჩვენება ამ ცხოვრებაში სხვაგვარად, გარდა ზიარების საიდუმლოსი. სცადე, დაგითბეს გული და მოშურნეობით აასრულო უფლის ყველა ნება. ყოველთვის, როცა ეზიარები, მზად იყავი მისი სიყვარულისთვის აიტანო ყველანაირი განსაცდელი[92].

---

[92] პავლე მოციქული ამბობს: „რაოდენ-გზისცა შჭამდეთ პურსა ამას და სუმიდეთ სასუმელსა ამას, სიკუდილსა უფლისასა მიუთხრობდით“ (1 კორ. 11,26) უფლის სიკვდილი აღსრულდა ყველასთვის „და ყოველთათჳს მოკუდა, რაჲთა ცხოველნი იგი არღარა თავთა თჳსთათჳს ცხოველი იყვნენ“ (2 კორ. 5,15). „ამიტომ ვინც საღმრთო ზიარებას იღებს, ვალდებულია სიკვდილამდე ღვთის ნების მორჩილი იყოს, აღარ იცხოვროს ცოდვით, საკუთარი სურვილით, არამედ მხოლოდ უფლისთვის, რომელიც მისთვის მოკვდა და აღდგა“ – წერს წმ. ბასილი დიდი.

ბოლოსდაბოლოს ყველა მსხვერპლი, მღვდელმსახურება თუ ლოცვა, მადლიერებით მიუძღვენი მხოლოდ უფალს.

თავი მეოთხე

სულიერი და გონებითი ზიარება, ანუ როგორ აღსრულდება ქრისტესთან ზიარება სულიერად და გონებით

საღმრთო ზიარების საიდუმლოს დღეში მხოლოდ ერთხელ ვიღებთ, სულიერად და გონებით შეგვიძლია ვეზიაროთ უფალს ყოველ საათსა და წუთში სათნო საქმეთა აღსრულებით და განსაკუთრებით გონებითი ლოცვით[93]. უფალი მის წმინდა მცნებებში მყოფობს და ვინც მათ აღასრულებს, მაშინვე ღმერთიც მის სულში ივანებს. რადგან თავად უფალი დაპირდა კაცობრიობას: „უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, და მამამანცა ჩემმან შეიყუაროს იგი, და მოვიდეს მის თანა დავადგრეთ“ (იო. 14, 23)[94].

ასეთი ზიარება ზოგჯერ ღვთისთვის იმდენად სათნოა და ადამიანისთვის ნაყოფიერი, რომ ვერ შეედრება სხვა საიდუმლო ზიარებას. ამიტომ რამდენჯერაც შეგიძლია, მოემზადე უფალთან სულიერი და გონებითი ზიარებისთვის, რომ მხოლოდ უფლისგან მიიღო სულიერი საზრდო.

---

[93] სათნოებებით ამზადებენ ადამიანს უფალთან ერთობისათვის. გონებით ლოცვას აქვს ისეთი ძალა, რომ მისი საშუალებით ადამიანი ღმერთთან ერთობაშია. ლოცვა წებოს ჰგავს, რომელიც მყარად აწებებს საგნებს. წმ. გრიგოლ თესალონიკელი ამბობს „ლოცვის ძალა ადამიანის აღდგომას და მის უფალთან ზიარებას ემსახურება, რადგან იგია (ლოცვა) დამაკავშირებელი ქმნილებებისა შემოქმედთან (სათნოებათმოყვარეობა).

[94] სახარების ამ სიტყვებზე წმ. მაქსიმე აღსარებელი წერს, რომ ვინც აღასრულებს უფლის მცნებებს, იგი თავის სულში იღებს არა მარტო იესო ქრისტეს, არამედ მამას და სული წმინდას, განუყოფელ სამებას.

ამ ზიარებისთვის მოსამზადებლად გააკეთე შემდეგი: აღმართე გონება ღმერთისკენ და ერთი თვალით შენს ცოდვებს უყურე, მეორეთი უფალს. შეწუხდი შენი ცოდვების გამო და თავმდაბლად და რწმენით შესთხოვე ღმერთს, მადლი შენი სულის განსაკურნებლად და მტერთან ბრძოლაში განსამტკიცებლად.

ღვთის რომელიმე მცნების აღსრულებისას, სათნო საქმის კეთებისას მთელი შენი არსებით ესწრაფე, რომ გული მოუმზადო უფალს და შესთხოვე, მისმა მადლმა დაივანოს შენს გულში და გაგანთავისუფლოს მტრისგან, უფალი იყოს შენი გულის მფლობელი.

საღმრთო ზიარების ლოცვის წაკითხვის შემდეგ, ანთებული გულით წარმოთქვი: „უფალო როდის შემოხვალ ჩემში მეორედ...“ თუ გსურს, რომ სულიერად ეზიარო უფალს, წინა დილიდანვე ყველა სათნო საქმის კეთებისას ამაზე იფიქრე. დილიდან კი გაიცნობიერე, რა ბედნიერი ხარ, რომ საღმრთო ზიარებას იღებ! რადგან სწორედ საღმრთო ზიარებით მოიპოვება ხელახლა დაკარგული სათნოება, სულს უბრუნდება ძველი მშვენიერება და ხდება თანაზიარი იესო ქრისტეს ჯვარცმასთან. ზიარების შემდგომ სულში ცეცხლი უნდა აგენთოს, რომ უფალს სულიერად და გონებითაც შეუერთდე და თქვი: „უფალო, რადგან დღეს საიდუმლოს ვერ ვეზიარები, შემეწიე შენი სათნოებით, რომ შევძლო დღეს და ყოველ წამს შენთან სულიერი ზიარება, მომეცი ძალა ვნებასთან და მტერთან საბრძოლველად!“[95].

---

[95] ვისაც სურს ხშირად უფალთან ზიარება, მაგრამ საიდუმლოთი ვერ იღებს მას იმიტომ, რომ ან უდაბნოშია, ან გარკვეული მიზეზთა გამო საერო ცხოვრებაშია და ვერ ახერხებს (თუკი არასწორი ჩვეულებაა, რომელიმე ეკლესიაში, თითქოს ხშირი ზიარება არ შეიძლება) მას შეუძლია გონებით და სულიერად ეზიაროს უფალს, როგორც ამბობს ნიკოლოზ კაბასილია ლიტურგიის განმარტებაში: ქრისტე, რომელიც საიდუმლოებებში გონებით არსებობს, მაგრამ უხილავია, ადამიანს გადასცემს ამ საიდუმლოს იმ გზით, რაც „მხოლოდ თავად იცის“.

თავი მეხუთე

უფლისადმი მადლიერების მიგება

ვიცით, რომ ყველა სიკეთე უფლისაგან მომდინარეობს, ამიტომ მას უნდა ვმადლობდეთ ყველა ჩვენი ღვაწლისთვის, გამარჯვებისთვის, სიქველისთვის, რაც უფლის მოწყალე ხელისგან მივიღეთ: „ყოველსა შინა ჰმადლობდით, რამეთუ ესე არს ნებაჲ ღმერთისაჲ ქრისტე იესუჲს მიერ თქუენდა მიმართ“ (1 თეს. 5,18)[96].

ღირსეულად რომ ვმადლობდეთ უფალს, ვიფიქროთ იმაზე, რა მიზნით მოგვაგო ღმერთმა სათნოება. ღმერთი ყოველთვის ითხოვს შენგან მის მორჩილებას და პატივისცემას, ამიტომ იფიქრე, რომ: ა) უდიდესი მადლიერება შენგან იქნება უფლის მცნებების დაცვა, მისი პატივისცემა და მზადყოფნა მისი ნების მორჩილებისთვის გაიხსენე წინასწარმეტყველის სიტყვები: „რას ითხოვს შენგან უფალი? მხოლოდ სიმართლის ქმნას და წყალობის სურვილს, მოწიწებით სიარულს უფლისკენ“ (მიქ. 6,8). ბ) ხედავდე, რომ არა ხარ ღირსი უფლის სათნოებისა, რადგან უმადურობისა და ცოდვის მეტი არაფერი ჩაგიდენია, თავმდაბლობით შესთხოვე ღმერთს: „უფალო ჩემო, როგორ შეიძლება, რომ მე, როგორც ბინძურ ძაღლს, მომანიჭო ამდენი სიკეთე? კურთხეული იყოს სახელი შენი უკუნითი უკუნისამდე“. გ) იფიქრე, რომ ღმერთს თავისი წყალობით შენდამი სურს რომ გიყვარდეს, მას ემსახურო, ამიტომ აენთე ღმერთის წრფელი სიყვარულის სურვილით და ემსახურე მას ისე, როგორც თავად სურს. ამისთვის კი მთელი შენი არსება სრულად უნდა მიუძღვნა მხოლოდ უფალს.

---

[96] ამბა ისააკი ამბობს: „მადლიერება უფლისადმი აღძრავს ახალ ძალას, რომ ადამიანმა უფრო მეტი წყალობა მიიღოს“ (λογὸ Λ). ზოგიერთი ფსალმუნის (ფსალ. 72,24) სიტყვებს „ვინ არის შენს გარდა ჩემთვის ზეცაში (მხოლოდ მადლიერება) და შენგან რა ვითხოვე ადამიანო დედამიწაზე? (დიდება და მადლიერება)“.

თავი მეექვსე

როგორ უნდა მივუძღვნათ გონებით საკუთარი თავი და ყველა ქმედება უფალს

სრულყოფილად რომ მივუძღვნათ თავი უფალს, ამისთვის საჭიროა ორი რამ ერთი, შენი ძღვენი შეუერთე იმ ძღვენს, რაც იესო ქრისტემ შესწირა მამას. მეორე, გულიდან ამოიგდო მიწიერი საგნებისაკენ მიდრეკილება. პირველისთვის იცოდე, რომ ძე ღვთისამ არა მხოლოდ საკუთარი თავი და საქმენი, არამედ ჩვენც და ჩვენი საქმეებიც მიუძღვნა ზეციურ მამას, ამიტომაც ჩვენი ღვაწლი ღვთისათვის სათნო რომ იყოს, უნდა შეუერთდეს ქრისტეს ღვაწლს.

მეორე რამისთვის იფიქრე, სანამ რაიმე ღვაწლს აღასრულებ, შენს ნებას ხელს თუ უშლის რამე. თუ ასეა, უნდა განთავისუფლდე ყველა სხვა გრძნობებისგან, მიმართო უფალს შეწევნისთვის და შენი თავი სრულად მიუძღვნა მას. ამ დროს ყურადღებით იყავი. თუ მიეძღვნები ღმერთს და ამავე დროს მიჯაჭვული ხარ მიწიერ საგნებზე, იცოდე, რომ უფალს კი არა ქმნილებებს უძღვნი თავს. შენ შენს თავს არ ეკუთვნი, მიწიერ საგნებს ემორჩილები, მათზეა შენი სურვილი მიჯაჭვული, რაც არ არის ღვთისათვის სათნო. გაიხსენე ძველი აღთქმა, როცა უფალმა არ მიიღო ის შესაწირი, რომელსაც ნაკლი ჰქონდა, ამიტომ ბრძანა ღმერთმა, ნუ შემომწირავთო ბრმა და ნაკლიან ცხოველებს (ლევ. 22,20). ასევე ვერ მივუძღვნით უფალს თავს სრულყოფილად თუკი ნაკლი გვაქვს, ანუ რაიმე სხვისკენ ვართ მიმართულნი[97]. ის, რაც უფალს ეწირება მისთვის ღირსეული უნდა იყოს. „უფალს ღირსეულად მიართვი ძღვენი“ (ზირაქ. 14,11).

ხშირად ძღვენს ვწირავთ ღმერთს, მაგრამ ეს ძღვენი უნაყოფოა, ჩვენ ისევ საცდური გვიპყრობს. კი, შეიძლება მივუძღვნათ თავი უფალს, მიუხედავად იმისა, რომ მიჯაჭვულნი ვართ მიწი-

[97] წმ. ბასილი დიდის სწავლებით, წმინდანთა ძღვენი,ა როცა ადამიანი სრულყოფილად, უწყვეტად უძღვნის საკუთარ თავს უფალს.

ერ საგნებზე, მაგრამ უნდა შევთხოვოთ მას ამ მიჯაჭვულობისგან გვიხსნას. ამგვარად შევძლებთ სრულად მივეძღვნათ ღვთიურ დიდებულებას და მისი მსახურნი გავხდეთ. ეს ხშირად უნდა გავაკეთოთ გულიდან მომდინარე ღრმა სიყვარულით.

ამრიგად, ძმაო, შენი ძღვენი ღვთისადმი არ უნდა იყოს არაფერზე დამოკიდებული, არც შენს სურვილზე, არც მიწიერ საგნებზე, არც ზეციურ წყალობაზე, მხოლოდ და მხოლოდ უფლის ნებაზე, მას უნდა ემორჩილებოდე მთელი შენი არსებით და შეეწირო მსხვერპლად. დაივიწყე ყველა ქმნილი საგანი და თქვი: „უფალო და შემოქმედი ჩემო, ყოველ ჩემს სურვილს ვუმორჩილებ შენს ნებას. ის მომმადლე, რაც შენ გსურს, შენთვის სათნოა ჩემგან ამ ქვეყნიერ ცხოვრებაშიც და სიკვდილის შემდგომაც“.

თუ ძღვენს ამგვარი სიწმინდით გაიღებ, მიწიერებიდან სახარებისეულ სინამდვილეში გადაინაცვლებ და უბედნიერესი იქნები, რადგან შენ იქნები უფალთან და უფალი შენთან. ღმერთი ხომ მათი მეგობარია, ვინც სრულყოფილად ეწირება მას.

ამრიგად, შვილო ჩემო, ხედავ, რომ ზემოთ აღწერილი საშუალებით, შეძლებ დაამარცხო ყველა მტერი. თუ ძღვენი ღმერთთან ასე შეგაერთებს, ვერანაირი მტერი ვერ მოგერევა.

თუ გსურს უფალს მიუძღვნა მარხვა, ლოცვა,მოთმინება და სხვა სათნოება, იფიქრე იმაზე, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, რა მიუძღვნა ქრისტემ ზეციურ მამას. ეს ფიქრი ძალას მოგცემს და ასე შესწირე შენც ძღვენი უფალს.

საერთოდ კი მიაპყარი მზერა შენს ცოდვებს და მიხვდები, რომ მარტოს არ შეგიძლია მათგან განკურნება. გაიხსენე უფლის ჯვარცმა,მისი ტანჯვა[98],მარხვა, ლოცვა და დაღვრილი სისხლი.

გაიხსენე, როგორ ევედრებოდა ზეციურ მამას ცოდვილ კაცობრიობის შეწყალებას და შენც, ასე გადაინაცვლე ფიქრით მაცხოვრის ერთი ტანჯვის საიდუმლოდან მეორისკენ და ა.შ. ილოცე არა მარტო შენთვის, არამედ სხვებისთვისაც.

[98] გახსოვდეს, რომ ეკლესიის ზოგიერთი მამა მაცხოვრის ყოველი ტანჯვის საიდუმლოს უწოდებს, რადგან თითოეული მათგანი საიდუმლო არსს შეიცავს. მის შესახებ ვისაუბრებთ ქვემოთ. მაცხოვრის წამების გზის გავლით ერთი საიდუმლოდან მეორეში და ა.შ. გადავდივართ.

თავი მეშვიდე

შეგრძნებადი მოკრძალება, ამ მოკრძალების სიცივე და სიმშრალე

შეგრძნებადი კრძალულება, ანუ როცა შინაგანად გრძნობ საკუთარ თავს და გგონია, რომ ხარ მოკრძალებული, სიყვარულით სავსე, ეს გრძნობა ზოგჯერ ადამიანური ბუნებიდან მომდინარეობს, ზოგჯერ ეშმაკისგან[99] და ზოგჯერ მადლისგან. მათ წარმომავლობას შედეგით გაიგებ.

თუკი ამ გრძნობას შენი ცხოვრების გაუმჯობესება არ მოჰყვება, შეგიძლია ჩათვალო, რომ ან ეშმაკისგან არის ან შენი ბუნებისგან. თუ გრძნობ, რომ შენი გონება სულიერ სიტკბოებას გრძნობს, ნუ მისცემ მას თავისუფლებას. იზრუნე მეტად, რომ შეიძულო საკუთარი თავი, დამდაბლდე, გული თავისუფალი გქონდეს ყველანაირი მიჯაჭვულობისგან და ისურვე მხოლოდ ის, რაც ღმერთისთვის არის სათნო.

კრძალულობის სიცივე და სიმშრალეც მომდინარეობს ზემოთ ჩამოთვლილი სამი მიზეზისგან: ეშმაკისგან, რომელიც ცდილობს გონება სულიერი საქმეებს მოაშოროს და ამაოებისკენ და ამქვეყნიური სიამოვნებისკენ მიდრიკოს; ჩვენგან, რადგან სავსენი ვართ მიწიერი საგნების სიყვარულით და მადლისგან, რომლითაც უნდა ვისწავლოთ მეტი სიბეჯითე და დავივიწყოთ ყოველივე ღვთისთვის არასათნო. უნდა შევიგნოთ, რომ ყველა სიკეთე მხოლოდ ღმერთისგან მოგვემადლება. ამიტომ მეტად თავმდაბალნი უნდა ვიყოთ, მეტად ვისწრაფოთ უფალთან შესაერთებლად საკუთარი თავის აბსოლუტური უარყოფით. გული არ გაიხლიჩოს, ორ ნაწილად, ერთით მიწიერ საგნებს მიაჯაჭვოს და მეორეთი უფლისკენ მიდიოდეს. იცოდე, ღმერთს უხარია, როცა გვხედავს, რომ ვიბრძვით მისი მადლის მოსაპოვებლად.

---

[99] ისინი, ვინც გულმოწყალენი და გულჩვილნი ხდებიან, იმისთვის, რომ სხვების წინაშე ასეთნი გამოჩნდნენ ან სიმთვრალის ან სხვა ვნების აღძვრისას, ეშმაკის ტყვეობაში არიან.

მაშ ასე, თუ იგრძნობ, რომ გაცივდი და არ გაქვს კრძალულება და სიყვარული ღვთისადმი, შენი თავი შეამოწმე. დაფიქრდი, რომელმა ნაკლმა გამოიწვია ეს გრძნობა და შეებრძოლე მას. თუკი მიზეზს ვერ აღმოაჩენ, ეცადე არ შეწყვიტო ან არ შეასუსტო სულიერი ღვაწლი. ნუ ისურვებ, გაჰყვე იესო ქრისტეს მხოლოდ თაბორის გზაზე, არამედ გაედევნე გოლგოთისკენაც. ნუ ისურვებ მხოლოდ ღვთაებრივი სინათლის შინაგან განცდას, სულიერ სიხარულს და სიტკბოებას, გსურდეს ატანა ტანჯვის, მწუხარების, სიმწარის, რასაც სული ეშმაკისგან მოვლენილი განსაცდელში განიცდის. თუკი მაინც გრძნობ შინაგან სიცივეს, სიბნელეს, ნუ შეგეშინდება, მტკიცედ იდექი ჯვარზე, შორს ყველანაირი მიწიერი სიამოვნებისგან. ეს განცდა დამალე სხვათაგან და აღიარე მხოლოდ სულიერი მოძღვრის წინაშე. აღიარე არა იმიტომ, რომ განთავისუფლდე ამ განცდისგან, არამედ იმიტომ, რომ მოძღვარმა გიჩვენოს გზა, რომლითაც გადაიტან ისე, როგორც ღმერთისთვის არის სათნო[100].

ასევე ლოცვას, საღმრთო ზიარებას და სხვა ღვაწლს ნუ გამოიყენებ მხოლოდ სულიერი სიტკბოების განსაცდელად. პირიქით ღვაწლით გაძლიერებულმა უნდა ასწიო ჯვარი. ჯვარცმულის დიდებისათვის. ზოგჯერ გონების არეულობით თუკი ვერ შესძლებ ლოცვას ან კითხვას ჩვეულებისამებრ, გაესაუბრე შენს საკუთარ თავს: **„რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემაძრწუნებ მე? ესევდ ღმერთსა, რამეთუ მე აუვარო მას, მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა“ (ფსალმ. 42,6) ან „აღგიარო შენ, უფალო, ყოვლითა გულითა ჩემითა და მიუთხრა მე ყოველი საკჳრველებაჲ შენი“ (ფსალმ. 9,2) „ნუ დამაგდებ მე, უფალო ღმერთო ჩემო, და ნუცა განმეშორები ჩემგან“** (ფსალმ. 37,22). და გაიხსენე ის წმინდა სწავლება, რაც ღმერთმა შთააგონა მწუხარების ჟამს სარას ტობითას საყვარელ მეუღლეს და შენც წარმოთქვი: „ეს ემართება იმას,

[100] ამბა ისააკი ამბობს, რომ როცა ადამიანი ასეთ რამეს განიცდის, მას სჭირდება ღმრთივგანბრძნობილი, გამოცდილი ადამიანი (სულიერი მოძღვარი) რომელიც გონებას გაუნათებს.

ვინც შენ გცემს თაყვანს. ეს ცხოვრება თუ განსაცდელია გვირგვინს მოიგებს, ვინც დაითმენს. თუ მწუხარეა განთავისუფლდება მისგან და თუკი განწირულია დასაღუპავად, ეს არ მოხდება შენი წყალობის გარეშე, რადგან არ გიხარია უფალო, ჩვენი დაღუპვა. ზღვის ღელვის შემდეგ სიმშვიდეს ასადგურებ, ტირილისა და გლოვის შემდგომ სიხარულს განაბნევ. ღმერთო ისრაელისა, კურთხეულ იყოს სახელი შენი უკუნისამდე (ნაწყვეტი ტობითას წიგნიდან).

გაიხსენე ჯვარცმული ქრისტე, რომელიც ამბობდა: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმ3დენ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“ (მათ. 26,39). ამგვარად შენი მოთმინება და ლოცვა გულში მსხვერპლის ცეცხლს აანთებს და უფლამდე მიაღწევს, იქნება ჭეშმარიტად მოკრძალებული, რადგან ნამდვილი კრძალულება მტკიცე სურვილია იმისა, რომ ქრისტეს გავყვეთ ჯვრით ყველა გზაზე, სადაც ის თავად მოგვიხმობს. ამგვარად, თუკი ადამიანი გაზომავს თავის წარმატებას ჭეშმარიტი კრძალულებიდან გამომდინარე და არა იმით, რასაც თავად განიცდის, არ დაემორჩილება საცდურს. უფალს მადლობას შესწირავს ერთი სიკეთისთვისაც და მეტი ყურადღებით იღვაწებს მოშურნეობით ღვთის სადიდებლად. ბევრნი ცდუნდებიან, როცა გაურბიან შიშით ცოდვის შემოტევას, ოღონდ როცა წუხდებიან ზოგჯერ ბოროტი გულისთქმებით ან სახიფათო ოცნებებით, გონება ერევათ და ფიქრობენ, რომ უფალმა მიატოვა ისინი. ღვაწლს წყვეტენ, ვნებების მორევში ეცემიან, ვერ იგებენ ღვთისმიერ მადლს, რადგან სწორედ ღმერთის დაშვებით წუხდება ადამიანი განსაცდელით იმისთვის, რომ საკუთარი თავმდაბლობა შეიცნოს და მიეახლოს უფალს განკურნებულად. ამიტომ უმადურად წუხან იმაზე, რის გამოც სინამდვილეში მადლობა უნდა შესწირონ უფალს უსაზღვრო სათნოების გამო.

თუ ასეთი რამ შეგემთხვევა, მოიქეცი შემდეგნაირად: იფიქრე კარგად და გაიაზრე, რომ მზად იყო რაიმე ცუდის ასატანად და გჯეროდეს, უფლის შეწევნის გარეშე უფრო დიდ განსაცდელში

მოხვდებოდი. შემდეგ გწამდეს, რომ უფალი დაგეხმარება, რადგან სურს შენგან მეტი სიახლოვე და ლოცვა. ამის გამო თავმდაბლად უნდა მადლობდე მას. იცოდე, რომ ღმერთის უიმედობით სავსე ფიქრები შენი განსაცდელია და ისინი მოთმინებით უნდა განდევნო, სრულად უგულებელყო და ხელჩართული ბრძოლა არ გამოუცხადო (გაიხსენე, რაზე გესაუბრე წიგნის პირველ ნაწილში მე-13 თავში).

თავი მერვე

სინდისის გაკონტროლება

სინდისის გასაკონტროლებლად იფიქრე სამი რამ: შენს ყოველდღიურ შეცდომებზე, ამ შეცდომების მიზეზებზე და სურვილებზე, რომლითაც გსურს მათი საპირისპირო სათნოებების მოპოვება. შეცდომებთან მიმართებით გააკეთე ის, რაზეც გესაუბრე 26-ე თავში (რა უნდა გავაკეთო, როცა ჭრილობა გაქვს მოყენებული და სხვ.). აიძულე შენი თავი შეებრძოლო შეცდომას და დაამარცხო. საკუთარი თავის იმედი ნუ გექნება, მიენდე ღმერთს ლოცვით, ცუდი საქმის სიძულვილით და ისწრაფე სათნოებისკენ. ძმაო, ეცადე, რომ ყველა ფიქრისა თუ ქმედების დროს სინდისი არ გქეჯნიდეს. ვინც მუდმივად უღრმავდება თავის სინდისს, ის არ უშვებს შეცდომას, თუ შეეშლება, გამოასწორებს. სინდისი ღმერთისგან ადამიანისთვის მიცემული ბუნებრივი კანონია, რომელიც შუქურასავით ანათებს და სიკეთისკენ მიჰყავს იგი. წმინდა ნილოსი ამბობს: „სინდისი გამოიყენე შუქურასავით შენი საქმეებისთვის“. პავლე მოციქულის სიტყვებია: „რომელნი გამოაჩინებენ საქმესა სჯულისასა, და წერილსა გულთა შინა მათთა“ (რომ. 2,15) სინდისი სუფთა უნდა გქონდეს მოყვასის, საკუთარი თავის და ღმერთის წინაშე. ღმერთის წინაშე მუდმივად უნდა იფიქრო იმაზე, ასრულებ თუ არა პირნათლად იმას, რაც გევალება, ანუ უფლის მცნებებს, თუნდაც უმნიშვნე-

ლოს[101], გიყვარს თუ არა ღმერთი მთელი გულით და სულით და მზად ხარ მისთვის მოკვდე. თუ არ ასრულებ ამ ყოველივეს, ეცადე რომ შემდეგნაირად იმოქმედო. ნუ უგულებელყოფ შენს მოვალეობას უფლისა და მოყვასის წინაშე. ნუ მიეცემი უკიდურესობას, ზედმეტ ასკეზას, რითაც სხეულს დაისნეულებ და დაისუსტებ. ეს არ არის სწორი ქმედება. მოყვასის მიმართ იყავი

[101] წმ. ბასილი დიდი ამბობს, რომ ყველა ქრისტიანი ვალდებულია განურჩევლად დაიცვას სახარებისეული მცნებები; ა) რადგან უფალმა საქადაგებლად გაგზავნილ მოციქულებს უთხრა: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ“ (მათ. 28,19-20); ბ) რადგან რომ არ ყოფილიყო აუცილებელი ჩვენი ცხონებისთვის ყველა მცნება, არ ჩაიწერებოდა წმინდა წერილში და არც უფალი ბრძანებდა თითოეულის შესრულებას; გ) თუკი უფალი გვიბრძანებს: „იყვენით თქუენ სრული“ (მათ. 5,48) და პავლე მოციქული გვასწავლის: „რაჲთა აწვე იყოს ღმერთისა იგი კაცი“ (2 ტიმ. 3,17), ცხადია, რომ სრულყოფილებას მივაღწევთ ქრისტეს მცნებების დაცვით; დ) რადგან უფლის ყოველი მცნება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, თუკი ერთი დაირღვევა, დანარჩენებიც ირღვევა და ადამიანი ვერ მიიღებს მადლს დაცული მცნებების საფასურად, პირიქით სასჯელი ერგება ერთის დაუცველობისთვისაც კი. იაკობ მოციქული ამბობს: „რამეთუ რომელმან ყოველი სჯული დაიმარხოს და სცთეს ერთითა, იქმნა იგი ყოვლისავე თანა-მდებ“ (იაკ. 2,10) აქედან გამომდინარე, ქრისტიანი ვალდებულია ყველა მცნება დაიცვას მთელი თავისი ძალით, ნებით, სიყვარულით, თუკი სურს, მოციქულის სიტყვებით რომ ვთქვათ, მიიღოს გვირგვინი. და არა მარტო ეს… ადამიანმა მცნებებზე მეტი უნდა შეასრულოს. გაიხსენე, კაცს, რომელსაც ჰქონდა ერთი ტალანტი, ვერ მიიღო ქება უფლისგან, რადგან დაუბრუნა რაც მიიღო და არ გაზარდა. დასასრულს, გეუბნები: ძმაო, თუ ჭეშმარიტი მონა ხარ ღმრთისა და გეშინია მისი სასჯელის, დაიცავი ყველა მცნება (ფსალმ. III, 1). თუ ამაღლდით და ელოდები შენი სათნოებისთვის უფლისგან საზღაურს ზეციურ სასუფეველში, დაიცავი მისი მცნებები (ფსალმ. 118, III). თუ ამაღლდი და ემსახურები მარტოდენ უფლის სიყვარულს, დაიცავი მისი ყველა მცნება (ფსალმ 118, 48) და კვლავ: „თუკი ვარ მამა, რომელიც არის ჩემი დიდება“- ამბობს ღმერთი. მამის დიდება ძისაგან მისი მორჩილებაა. იცოდე, თუ გადაუხვევ მხოლოდ ერთ მცნებას, როცა შეგიძლია, რომ არ გადაუხვიო, უკანასკნელ სამსჯავროზე შერცხვები. ამიტომ ამბობს დავით მეფსალმუნე: „**მაშინ არა მრცხუენოდის, რაჟამს ვხედვიდე მე ყოველთა მიმართ მცნებათა შენთა**“ (118,6)… გაგახსენებთ აგრეთვე, რომ ძველი და ახალი აღთქმის ყველა მცნება ხშირად ბრძანებაა; მაგალითად „გიყვარდეთ მტერნი თქუენნი“, აკურთხევდეთ მათ…

პირნათელი ყველასთან შენზე დიდებთან, შენზე დაბლა მდგომებთან, ნუ აწყენინებ ნურც სიტყვით, ნურც საქმით, როგორც ამბობს მოციქული: „არა დაუდგათ შესაბრკოლებელი გინა საცთური ძმასა“. (რომ. 14,13).

თუ მოხდება ისეთი მოვლენა, რაც ღვთის მცნებას არღვევს, მაგრამ შესაძლებელია შენ შეასრულო, მაგრამ ამით შეწუხდება და ტკივილს მიაყენებ მოყვასს, ნუ გააკეთებ ამას, ხოლო თუ ღვთის მცნების შესრულება სხვას შეაწუხებს, უგულებელყავი ეს და მცნებას ნუ გადაუხვევ – ამას გვასწავლის წმ. ბასილი დიდი.

სუფთა სინდისი გექნება სხვა საგნების მიმართ, თუკი გადაჭარბებული ან ნაკლული არ გამოიყენებ საჭმელს, სასმელს, შესამოსელს, ფულს და ქონებას, ზოგადად რომ ვთქვათ, ყველაფერი, რაც სწორი ლოგიკის მიღმა უსინდისო ქმედებად ითვლება. საყვარელო ძმაო, შენც ყოველი საქმის დაწყებისას სინდისს ჩაუღრმავდი და გაანალიზე მოქმედება. ჭა რაც უფრო ღრმად ითხრება, მეტად ივსება სუფთა წყლით, ასეა სინდისიც, მისი ღრმად გაანალიზებით და ვნებებისგან დაცვით, ის გვკარნახობს სწორად რა მოვიმოქმედოთ.

მრავალნაირი სინდისი არსებობს: სუფთა, ცბიერი და ვნებით წაბილწული, ამიტომ თუ არ გაანალიზდება სწორად და კარგად, ვერ გვასწავლის მართებულ მოქმედებას. ნუ დაუჯერებ ყოველთვის შენს სინდისს, იფიქრე მისი კარნახი წმინდა წერილის მცნებებს ეთანხმება თუ არა, განუცხადე სულიერ მოძღვარს და რჩევა ჰკითხე, რომ არ შეცდე. აღვნიშნე, რომ სინდისი უნდა ვაკონტროლოთ ბეჯითად და სიღრმისეულად, რადგან თუკი კაცის სინდისი ცბიერია და ვნებით სავსე, გაანალიზებისას მაინც ქენჯნის ცოდვის გამო და სინანულისკენ მოუწოდებს. სინდისი ღვთისგან მოგვენიჭა, როგორც სახარება ამბობს: „იყავ კეთილად მცნობელი წინამოსაჯულისა მის შენისა“ (მათ. 5,25). სინდისია სამართლიანი და მკაცრი მსაჯული, ამიტომ ჩუმად ვერ იქნება. თუ ადამიანი ვნებით არის შეპყრობილი და ღვთის რჯულის საწინააღმდეგოდ მოქმედებს, მაშინ წმინდა სინდისის

წინააღმდეგიც არის. ვისაც არა აქვს სინდისის ქენჯნა ჰეროდესავით თავს კვეთს იოანე ნათლისმცემელს, ანუ არ უწევს ანგარიშს სინდისს და საუკუნო სასჯელისთვის იმეტებს თავს.

კიდევ ერთ რამეს გირჩევ. ნურასოდეს ნუ ენდობი შენს სინდისს, თუ კი ერთხელ მაინც განუსჯიხარ მას შენი საქციელის გამო. გაიხსენე იერემია წინასწარმეტყველის სიტყვები „გული ყველაზე ღრმაა“ (17,9). მასშია თავმოყრილი და დაფარული ვნებები, რომელთა არსებობას ვერ გრძნობს ადამიანი, სწორედ მათგან განწმენდას ევედრება უფალს დავით წინასწარმეტყველი: „განმწმინდე ფარული ვნებათაგან” (ფსალმ. 18,13).

ამიტომ გწამდეს, რომ შენი გულიც არასდროს არ არის ფარული ვნებებისგან განწმენდილი. ამ ვნებებს მხოლოდ უფალი იცნობს. გახსოვდეს იოანე მახარებლის სიტყვები: „უფროჲს არს ღმერთი გულისა ჩუენისა და იცის ყოველი“ (1 იო. 3,20). ასევე პავლე მოციქულის ნათქვამი: „არარა თავსა ჩემსა შემიცნობიეს, არამედ არა თუ ამით განვმართლდები; ხოლო განმკითხველი ჩემი უფალი არს“ (1 კორ. 4,4). ყველა გამარჯვებას და კეთილ საქმეს ეჭვის თვალით შეხედე. იმას გირჩევ, ბევრს ნუ იფიქრებ შენს სინდისზე, რადგან ფარული ამპარტავნების საფრთხე არსებობს: ყველაფერი მიანდე ღვთის მოწყალებას.

ყოველ საღამოს გაანალიზე შენი სინდისი და რაც შეგეშალა, მოინანიე. უფალს პატიება შესთხოვე და ეცადე გამოასწორო შეცდომები. ღმერთს მადლობა შესწირე ყოველი დღე მონიჭებული მადლისთვის, აღიარე, რომ ის არის შემოქმედი ყველა სიკეთისა და უფრო მეტად შესწირე მადლობა, რომ გაგხსნა ხილული და უხილავი მტრებისგან, მოგანიჭა კეთილი აზრები და მიმართა შენი გული სათნოებისკენ.

თავი მეცხრე

როგორ უნდა მოვემზადოთ იმ მტრებთან შესახვედრად, რომლებიც სიკვდილის წინ შეგვებრძოლებიან

მთელი ჩვენი ცხოვრება დედამიწაზე ბრძოლაა და უნდა ვიბრძოლოთ სიცოცხლის ბოლომდე, როგორც ვისაუბრეთ წიგნის მე-15 თავში. ბრძოლის უმნიშვნელოვანესი დღე არის სიკვდილის წინ. ვინც იმ დროს დაეცემა, აღარ შეუძლია ადგომა. ამიტომაც, ნუ გაიკვირვებ, რომ მტერი საბრძოლველად უფალი იესო ქრისტესთან სწორედ ამქვეყნიური სიცოცხლის ბოლოს მივიდა. იოანე მახარებელი ამბობს: „მოვალს მთავარი იგი ამის სოფლისაჲ და ჩემ თანა პოოს არარაჲ“ (იოან. 14,30). უფრო გამბედავად მოვა მტერი ჩვენთან ცოდვილებთან[102].

ამიტომ წინასწარ მომზადებული უნდა იყო, უნდა იბრძოლო მამაცურად ღმერთისგან შენთვის მოცემული ამქვეყნიერ სიცოცხლეში. ვინც კარგად იბრძვის ამ ცხოვრებაში და ეჩვევა მას, ადვილად იმარჯვებს სიკვდილის წინა ბრძოლაშიც. იფიქრე ხშირად სიკვდილზე, რადგან, როცა მოგიახლოვდება ცოტა შეგეშინდება და გონება თავისუფლად იბრძოლებს. ამქვეყნიერ ცხოვრებაში გართული ადამიანები თავს არიდებენ სიკვდილის ხსოვნას, რათა არ შეუსუსტდეთ მიწიერი საგნებისადმი სიყვარული და სწრაფვა, წუხდებიან იმაზე ფიქრით, რომ მიწიერი ცხოვრება უნდა დატოვონ. ამის გამო უფრო უძლიერდებათ ეს მისწრაფება და ხორცისა და სულის გაყრის ჟამს გამოუთქმელ ტკივილსა და მწუხარებას განიცდიან.

---

[102] წმ. ბასილი დიდი მე-7 ფსალმუნის სიტყვებს: **„ნუ სადა წარიტაცოს ვითარცა ლომმან სული ჩემი, არავინ იყოს მჴსნელ ჩემდა, არცა მაცხოვარ.**” შემდეგნაირად განმარტავს: მამაცი მეომარნიც კი, რომლებიც დემონებს მთელი სიცოცხლის მანძილზე ებრძოდნენ და დაუსხლტნენ მათ განსაცდელებს, სიცოცხლის ბოლოს მათაც მიადგება „მთავარი ამა ქვეყნისა“ და თუკი აღმოუჩენს ცოდვის ჭრილობებს და უწმინდურებას, დაეუფლება მათ. თუკი სიწმინდით იქნებიან სავსენი, მაშინ მშვიდად განისვენებენ ქრისტესთან.

ამრიგად, კარგად მოსამზადებლად გირჩევ ასე მოიქცე. განმარტოვდი შენს ფიქრებთან და იფიქრე, სიკვდილის წინა ბრძოლაზე. შემდეგ თავში გესაუბრები იმაზე, თუ როგორ უნდა იბრძოლო, სოცოცხლის ბოლოს, რადგან იმ დროს დაშვებულ შეცდომას ვეღარ გამოასწორებ.

თავი მეათე

მტრის ოთხი შებრძოლება ადამიანის სიკვდილის წინ. რწმენასთან შებრძოლება და მისი კურნება

არსებობს ოთხი შემოტევა და საფრთხე, რომლითაც მტრები გვიტევენ სიკვდილის წინ: 1) რწმენის დაკარგვა, 2) სასოწარკვეთილება, 3) ამაო მედიდურობა, 4) დემონების მიერ სინათლის ანგელოზებად სახეცვლილება.

ამათგან, როგორც კი პირველი, ანუ ურწმუნოება, დაგეუფლება, მაშინვე ეცადე განაგდო გონებიდან: „უკან დაიხიე სატანავ, არ მინდა შენი მოსმენა, მე მწამს ის, რაც სწამს წმინდა ეკლესიას“. გულში ნუ დატოვებ ადგილს ურწმუნოების ფიქრებისათვის, როგორც ნათქვამია ძველ აღთქმაში „თუ თავს დაგატყდა მთავრის რისხვა, შენს ადგილს ნუ მიატოვებ, რადგან თვინიერს დიდი ცოდვებიც მიეტევება“ (ეკლეს. 10,4). ეს ფიქრები ეშმაკისგანაა და შენს სულში შფოთის აღძვრა სურს. თუ ვერ შეძლებ გონებიდან მათ ამოგდებას, მტკიცედ იდექი შენს სურვილზე, ნუ მოიგონებ წმინდა წერილის სიტყვებსაც, რადგან ამ ფიქრსაც ეშმაკი აღგიძრავს და მცდარად მოგაწვდის პასუხს. თუკი ეშმაკი ცბიერად გკითხავს: „რა სწამს ეკლესიას? ნუ უპასუხებ. თუ ძალა გაქვს და შეგიძლია პასუხი, მიუგე: ეკლესიას სწამს ჭეშმარიტება და ეს ჭეშმარიტებაა ის, რაც მას (ეკლესიას) სწამს. გულში გქონდეს ჯვარცმული მაცხოვრის ხატი და თქვი: „ღმერთო და შემოქმედო ჩემო, მაცხოვარო ჩემო, შემეწიე

სწრაფად და ნუ დაუშვებ, რომ შენი ჭეშმარიტი რწმენა დავკარგო. სათნო მეყავ შენი მადლით, როგორც დავიბადე რწმენით, ისე დავასრულო მოკვდავი ცხოვრება შენი სახელის სადიდებლად“.

თავი მეთერთმეტე

სასოწარკვეთილება და მისგან კურნება

მეორე შემოტევა, რითაც გვებრძვის ეშმაკი, არის ჩვენი ცოდვების მოგონება, რომლითაც სასოწარკვეთილებას აღძრავს.

ძმაო, ასეთ განსაცდელში მტკიცედ იყავი, რადგან ცოდვების გახსენება ღვთის მადლით ხდება და ჩვენი ცხონებისკენ არის მიმართული. უფალს სურს დაგამდაბლოს და გულში ტკივილი აღგიძრას ცოდვების გამო, მაგრამ უნდა გქონდეს სასოება და რწმენა უფლისა, რომ მოგიტევებს თავისი უსაზღვრო სათნოებით. თუ ეს მოგონებები შენში უიმედობას ბადებს და ფიქრობ, რომ ჯოჯოხეთისთვის ხარ განწირული და არ არსებობს შენთვის ცხონება, იცოდე, ეს ეშმაკისეული შემოტევაა. ამიტომ თავი დაიმდაბლე და ღმერთს მიენდე. ასე დაამარცხებ მტერს და განადიდებ უფალს.

დიახ, ძმაო, მუდამ უნდა გახსოვდეს შენი ცოდვები და გაწუხებდეს ღვთიური მადლის დაკარგვა, მაგრამ ასევე, მუდამ უნდა ითხოვდე მიტევებას. მაშინაც კი თუ გვეჩვენება, რომ თავად უფალი გეუბნება არა ხარო ჩემი სამწყსო, არ დაკარგო რწმენა, არამედ თავმდაბლად მიმართე შემოქმედს: „ღმერთო ჩემო, მართალი ხარ, რომ ჩემი ცოდვების გამო მცდი, მაგრამ მე იმედი მაქვს შენი უსაზღვრო მოწყალებისა. ამიტომ გთხოვ ცხონებას შენი ნატანჯი ქმნილებისა, რომელიც დაისაჯა სიბოროტისგან, მაგრამ გამოხსნილი იქნა შენი პატიოსანი სისხლით.

მხსნელო ჩემო, მინდა ცხონება შენი დიდებისათვის, ამიტომაც სრულად მოგენდობი და იყოს ჩემ ზედა ნება შენი. რადგან შენ ხარ მხოლოდ ჩემი უფალი, თუკი მომკლავ, მაინც მექნება შენი იმედი“.

თავი მეთორმეტე

ცუდმედიდურობა და მისგან კურნება

მესამე შემოტევა ცუდმედიდურობა და საკუთარი თავის რწმენაა. ყოველთვის და განსაკუთრებით სიკვდილის წინ ნუ გაივლებ გონებაში საკუთარი თავის ქებას, მიღწევებს. იფიქრე მარტო ღმერთზე, მის მოწყალებაზე, ტანჯვაზე იმისთვის, რომ ცხონდე ითხოვე ღმერთისგან შეწევნა, ოღონდ ნუ ელოდები სწრაფად წყალობას თითქოს ამას იმსახურებ მრავალი ღვაწლითა და გამარჯვებით. მტკიცედ გჯეროდეს მაცხოვნებელი ღვთის შიში და გულწრფელად აღიარე, რომ ყველა შენი ღვაწლი ამაო იქნებოდა უფლის შეწევნის გარეშე.

თუ ამ რჩევებს შეასრულებ, სიკვდილის წინ მტერი ვერაფერს დაგაკლებს. გაგეხსნება გზა, რომლითაც დედამიწიდან ზეციურ იერუსალიმში, ტკბილ მარადიული სამშობლოში გაემგზავრები.

თავი მეცამეტე

წარმოსახვების შემოტევა
და მათგან კურნება

ეშმაკი არასდროს არ იღლება ჩვენთან ბრძოლით, ხშირად და განსაკუთრებით სიკვდილის წინ სინათლის ანგელოზის სახით ან სხვაგვარი წარმოსახვებით გვებრძვის. ამ დროს შენ მყარად უნდა გახსოვდეს, რომ არარაობა ხარ. მტკიცე გულით წარმოთქვი: „დაბრუნდი, უძლური სიბნელეში, რადგან არ მჭირდება წარმოსახვები, მხოლოდ იესო ქრისტეს, ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლისა და წმინდანთა წინაშე ვედრება და ლოცვა მსურს“. თუკი სხვა მინიშნებით გაიგებ, რომ გამოცხადება

ღვთისგან მომდინარეობს, მაინც შორს დადექი და ნუ დაიჯერებ. ნუ შეგეშინდება, თითქოს ღმერთს არ მოეწონება შენი განზე დგომა. თუკი ჩვენება ღმერთისგან არის, მან უკეთ იცის როგორ დაგარწმუნოს. რადგან ის, ვინც მადლს ანიჭებს თავმდაბალ ადამიანებს, უკან არ ართმევს, თუკი ისინი თავმდაბლობით აღასრულებენ საქმეებს.

ზემოთ ჩამოთვლილი შემოტევებით ებრძვის ეშმაკი ადამიანს სიკვდილის წინ. ყოველი ადამიანი მისი შესაბამისი გონებისა და ცოდვის მიხედვით ერკინება. ამიტომ, საყვარელნო, სანამ მოვა ჟამი დიდი და მთავარი შებრძოლებისა, აღიჭურვეთ თქვენი მფლობელი ვნებების წინააღმდეგ საბრძოლველად, რათა მამაცურად შევებრძოლოთ და ადვილად გავიმარჯვოთ იმ დროს, როცა მეტი დრო ამქვეყნად აღარ დაგვრჩება.

თავი მეთოთხმეტე

სულიერი სიმშვიდე გულში

საყვარელო, შენი გული ღმერთმა შექმნა სიყვარულისთვის და თავის სავანედ. ამიტომ ყოველი დღე გიხმობს: „ძეო, მიეცი გული შენი“ (იგავ. 23,26). ღმერთი მშვიდობაა და ყველა გონებაზე აღმატებული, გული, რომელშიც უფალი დაივანებს უშფოთველი და მშვიდი უნდა იყოს. „**იქმნა მშჳდობით ადგილი მისი და სამკჳდრებელი მისი სიონს**…“ (ფსალმ. 75,2.) უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიცვა გულის მშვიდობა, ყველა შენი გარკვეული სათნო ქმედება ამ მშვიდობიდან და სულიერებიდან დაიბადოს გახსოვდეს წმ. არსენ დიდის სიტყვები: „იზრუნე იმაზე, რომ მთელი შენი შინაგანი ქმედება ღვთის ნების თანახმა იყოს და დაამარცხებ გარეგან ვნებებს“. სხეულის წვრთნა და ღვაწლი ქების ღირსია, როცა ისინი შეესაბამება მათი აღმსრულებლის შესაძლებლობებს. თუ სხეულის ასკეზა არ არის დაფუძნებუ-

ლი სულიერ სათნოებებზე, ადამიანი ვერ მოიპოვებს ჭეშმარიტ სათნოებას. ადამიანის ცხოვრება სხვა არაფერია, გარდა ერთი ხანგრძლივი ბრძოლისა, ამიტომ თქვა იობმა: „**კაცის ცხოვრება ჯარის სამსახურია ამქვეყნად, მისი დღეები ჯარისკაცის დღეებია**" (იობი 7,1).

აქედან გამომდინარე, მუდამ ფხიზლად უნდა იყო და აკვირდებოდე გულს მშვიდია თუ არა. როცა სულში შფოთი შემოდის, ეცადე, გულში მშვიდობა შეინარჩუნო. ადამიანის გული საათის ელემენტს და გემის საჭეს ჰგავს. როგორც კი საათის ერთი ელემენტი მოიშლება, მთელი მექანიკა იშლება, ასევე თუ გემის საჭე სწორად არ არის მიმართული, გემი გზას სცდება. მსგავსი რამ ემართება გულსაც. ერთხელ შეშფოთდება და მთელი სხეული, შინაგანი და გარეგანი ორგანოები აღელდება. თავად გონებაც სწორად ვეღარ ფიქრობს. ამიტომ ყოველთვის, როცა შინაგანი შფოთი მოგეძალება, უნდა ეცადო, გული მშვიდად შეინარჩუნო. დაიმახსოვრე შემდეგი: მშვიდი გულით კარგად ილოცებ, როგორც ამბობს პავლე მოციქული „თვინიერ რისხვისა და გულის ზრახვისა" (1 ტიმ. 2,8). ასე რომ, იფიქრე, ყველა შენი საქმე მშვიდი გულით უნდა აკეთო, „მშვიდად წარმართე შენი საქმეები" (სიბრძ. ზირაქ. 3,17). და გახსოვდეს მაცხოვრის სიტყვები: „ნეტარ იყვნენ მშ**ვ**დნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანა" (მათ. 5.5).

თავი მეთხუთმეტე

როგორ უნდა დავიმშვიდოთ სული

ძმაო, უპირველეს ყოვლისა, სიმშვიდე უნდა გქონდეს ხუთ მთავარ გრძნობაში. არ უყურო, არ ისაუბრო და არ იარო შფოთით, არამედ მშვიდად. თუ შეეჩვევი სიმშვიდის შენარჩუნებას გარეგნულ მოქმედებებში, ადვილად მოიპოვებ სულიერ მშვიდობასაც, რადგან წმინდა მამათა აზრით, ადამიანის სულიერი სამყარო გარეგნულით არის აგებული. შეეჩვიე ადამიანების სიყვარულს, როგორც გვასწავლის პავლე მოციქული „ყოველთა კაცთა თანა მშვიდობასა ჰყოფდით“ (რომ. 12,18).

ყურადღება მიაქციე შენს სინდისს, რომ არავინ არ განიკითხოს, იყოს მშვიდი და უფლისკენ მიმართული, არც შენ განგსაჯოს ღვთის რომელიმე მცნების დარღვევისთვის, რადგან სუფთა სინდისის შენარჩუნება გულის სიმშვიდეს ბადებს: „**მშჳდობაჲ მრავალ არს მათ თანა, რომელთა უყუარს შჯული შენი, და არა არს მათ თანა საცთურ**” (ფსალმ. 118,165)

შეეჩვიე გაკიცხვის გადატანას უშფოთველად. თუ ამას მიაღწევ, შენი სული მუდმივად მშვიდად იქნება.

თუკი შფოთი შემოგეჭრა გულში და ვერ მშვიდდები, დაიწყე ლოცვა, მიბაძე უფალს, რომელმაც სამჯერ ილოცა განმარტოებით გეთსამანიის ბაღში და მაგალითი მოგვცა, რომ ყველა მწუხარებისას თავშესაფრად ლოცვა გქონდეს. რაც არ უნდა დამწუხრებული და უიმედო იყო, არ მიატოვო ლოცვა იქამდე, სანამ შენი სურვილი ღვთის ნებას არ დაეთანხმება. მაშინ დაგეუფლება სიმშვიდე და განმტკიცდები. გაიხსენე, იესო ქრისტეს თავდაპირველად ეშინოდა წამებისა, ლოცვის შემდეგ კი განმტკიცებულმა თქვა: „აღდეგით, წარვიდეთ ამიერ. აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი“ (მათ. 26,46).

თავი მეთექვსმეტე

მშვიდობიანი შენობა ნელ-ნელა იგება

ეცადე ყოველთვის, როგორც ზემოთ ვთქვით, გული არაფერმა არ შეგიშფოთოს. იღვაწე სიმშვიდის შესანარჩუნებლად. უფალი, რომელიც ხედავს შენს ღვაწლს, შენს სულში მშვიდობის ქალაქს ააგებს. გული შენი სიხარულის სახლი გახდება. ფსალმუნის სიტყვებით რომ ვთქვათ: **„იყავნ სახელი უფლისაჲ კურთხეულ ამიერითგან და უკუნისამდე“** (ფსალმ. 121,2)

მხოლოდ ამას ითხოვს შენგან უფალი, როგორც კი შფოთი მოგეძალება, მაშინვე შეცვალე აზრის მიმართულება და ეცადე დამშვიდდე. როგორც ქალაქი ერთ დღეში არ შენდება, ვერც ასე სწრაფად მოიპოვებ სულიერ სიმშვიდეს. რადგან სულის მშვიდობა ნიშნავს, რომ მშვიდობის ღმერთის სავანე აუგოთ სულში და თავად ვიქცეთ ტაძრად. იცოდე, რომ თავად უფალია ამგვარი სავანის ამგებელი. შენი შრომა ამაო იქნებოდა სხვაგვარად, როგორც ფსალმუნი ამბობს: **„თუ უფალი არ ააშენებს სახლს, ამაოდ გაირჯებიან მისი მშენებლები; თუ უფალი არ დაიცავს ქალაქს, ამაოდ ფხიზლობს გუშაგი“** (ფსალმ 126,1).

გარდა ამისა, იცოდე, რომ გულის სიმშვიდის უმთავრესი საფუძველი თავმდაბლობაა. უნდა ეცადო, რამდენადაც შეგიძლია თავი აარიდო შფოთსა და არეულობას. წმინდა წერილიდან გაიხსენე, ღმერთს არ უნდოდა, რომ დავითს მისთვის ტაძარი აეგო, რადგან იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ბრძოლებში და შფოთში იყო. დავითის შვილმა კი სოლომონმა, რომელიც მშვიდობიანი მეფე იყო და ომი არ ჰქონია, ააგო ღმერთის სავანე.

თავი მეჩვიდმეტე

სული უნდა განერიდოს ყველა პატივს და უყვარდეს თავმდაბლობა და სიგლახაკე, რითაც მიიღწევა მშვიდობა

ძმაო, თუ გიყვარს გულის მშვიდობა, მისი კარი თავმდაბლობით უნდა გააღო (სხვა შესასვლელი არ არსებობს). თავმდაბლობის მოსაპოვებლად კი უნდა იღვაწო (განსაკუთრებით დასაწყისში) იმისთვის, რომ შეეჩვიო ტკივილს და მწუხარების ატანას, გაექცე ყველა დიდებასა და პატივს, არ ესწრაფვო არავისგან, გარდა ღმერთისა ნუგეშისცემას და დამშვიდებას. ჩაიბეჭდე ღრმად გულში ეს აზრი: უფალია მხოლოდ შენი თავშესაფარი, ყველა სხვა საგანი ეკალია და თუ გულში შეუშვებ, სასიკვდილო ჭრილობას მოგაყენებს. თუ ვინმე გკიცხავს, ნუ დაღონდები, გიხაროდეს, რადგან მაშინ ღმერთი შენთან არის. ნუ ეძებ სხვა პატივს, გარდა ღმერთის სიყვარულისა.

გიხაროდეს, როცა შეურაცხგყოფენ, გყვედრიან, უგულებელგყოფენ, რადგან ამ მტვრისა და შეურაცხყოფის მიღმა დაფარული საგანძურია. თუ მას შენი ნებით მიიღებ, სწრაფად გამდიდრდები ისე, რომ შენი შეურაცხმყოფელი ვერც კი მიხვდება.

ნუ მოითხოვ ნურავისგან ამქვეყნიურ ცხოვრებაში შენდამი სიყვარულს, პატივისცემას. იფიქრე, რომ ჯვარცმულ მაცხოვართან ერთად უნდა იტვირთო ჯვარი და ამაში ხელი არავინ შეგიშალოს. საკუთარ სურვილს ნუ დაემორჩილები. როცა ეს სურვილი რაიმე ქმედებისკენ გიბიძგებს, გააშიშვლე ის და უფალს წარუდგინე, შესთხოვე მას, რომ აღასრულოს არა შენი სურვილი, არამედ მისი ნება. ეს გააკეთე მთელი გულით, შენი თავისადმი სიყვარულის გარეშე. თავი დაიცავი იმგვარი აზრებისგან, რომელიც ნატყუარ სიწმინდეს და მოშურნეობას წარმოშობენ. „ეკრძალენით ცრუ-წინაწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლით ცხოვართაჲთა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელი მტაცებელ ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი“ (მათ 7,15).

მათი ნაყოფი შფოთია, რასაც სულში ტოვებენ. ამგვარი აზრები თავმდაბლობასა და სულიერ სიმშვიდეს გაშორებს. ცრუწინასწარმეტყველნი განსაკუთრებით საშიშნი არიან, კრავის სახით, სინამდვილეში მგელივით მტაცებელნი, რომლებიც თავმდაბლობას და სიმშვიდეს აკარგვინებენ ადამიანს და აღძრავენ ცრუ მოშურნეობით, ვითომდა მოყვასის სასარგებლოდ. საერთოდ იცოდე, როცა რაიმე მოქმედება გარეგნულად მეტისმეტად წმინდად ჩანს, უფრო ყურადღებით უნდა გაანალიზო შინაგანი სიმშვიდით. თუკი მაინც შფოთი დაგეუფლა, ნუ შეშინდები, თავი დაიმდაბლე ღვთის წინაშე და აღიარე შენი უძლურება მის წინაშე, ჩაუღრმავდი გულს და უფლის მოწყალებას მიენდე. დარწმუნებული იყავი, ყველაფერი რაც შენს თავს ხდება, გამოსაცდელად ხდება. უფალს სურს გაგხადოს მისი სამართლიანობის გვირგვინის ღირსი.

თავი მეთვრამეტე

სულმა უნდა შეინარჩუნოს გონებითი სიმშვიდე, რათა ღმერთმა თავისი მშვიდობა დაამკვიდროს მასში

ღმერთმა და უფალმა რადგან შენი სული თავის ტაძრად შექმნა, მას უნდა გაუფრთხილდე და არ დაუშვა სხვა რამისკენ მიდრიკოს. ყველა შენი სურვილით და იმედით ღმერთის შემოსვლას უნდა ელოდე, რადგან თუკი უფალი ვერ ნახავს განმარტოებულ სულს, მასში არ დაივანებს. აქედან გამომდინარე, ეცადე, თვითონ ნუ გადაწყვეტ ღვაწლს უფლის სიყვარულისთვის, დაემორჩილე სულიერი მოძღვრის რჩევებს, რადგან მისი საშუალებით გიჩვენებს უფალი თავის ნებას.

არასოდეს არ მიენდო შენს სურვილს. ღმერთს მიანდე თავი-სუფალი და განმარტოებული სული და დაინახავ, რამდენ სასწაულს აღასრულებს მასში. მათგან განსაკუთრებით მნიშვნე-

ლოვანია ღვთიური მშვიდობა, რომელიც ყველა სხვა მადლს დაიტევს (ამბობს წმ. გრიგოლ თესალონიკელი). იგია უფლისმიერი უმაღლესი და ფარული საუნჯე! ღვთიურ მშვიდობაში მხოლოდ უფლის ხმა ისმის, მხოლოდ ის ესაუბრება შენს გულს! მხოლოდ ამ დროს აძლევს ღმერთი ადამიანს მასთან საუბრის უფლებას: „**წარვიდე და ვიხილო, ხილვა ესე დიდი რაჲ არს**“ (გამოსვლა 3,3.) ამბობდა სინას უდაბნოში მყოფი მოსე. თუ შენც გსურს ამგვარი სიმაღლის მიღწევა, შეაბიჯე წმინდა მიწაზე ფეხშიშველმა. ამ გზაზე განთავისუფლდი ყველანაირი მიწიერი საგნებისგან, „ნუ წარგაქუნ ბალანტი*, ნუცა ვაშკარანი*, ნუცა შესასხმელი ფერჯთა“ (ლუკ. 10,4). არ უნდა გჭირდებოდეს არავითარი მიწიერი ნივთი. შენ მარტო უნდა მიაბიჯებდე გზაზე და ფიქრობდე მარტო ღმერთზე. ქრისტე ამბობს: „შენ მომდევდი მე და აცადენ მკუდარნი დაფლვად თჯსთა მკუდართა“ (მათ 8,22). შენ იარე ცოცხალთა ქვეყნისკენ, დაე, ნუ ექნება ძალაუფლება შენზე სიკვდილს.

თავი მეცხრამეტე

კეთილგონიერება მოყვასის სიყვარულში, რათა არ დავკარგოთ სულის მშვიდობა

უფალი ჩვენი, იესო ქრისტე ამბობს სახარებაში, რომ სიყვარულის ცეცხლის ასანთებად გარდამოხდა ზეციდან. „ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა და რა მნებავს, რაჲთა აწვე აღეგზნეს! (ლუკა 12,49) ღვთის სიყვარული უსაზღვროა, რადგან თავად იგია უსაზღვრო. მოყვასის სიყვარულს კი უნდა ჰქონდეს საზღვარი. თუკი ამ სიყვარულს უზომოდ გამოხატავ, უფალს დაშორდები და დაინგრევ სულს. დიახ, უნდა გიყვარდეს მოყვასი, მაგრამ მხოლოდ იქამდე, რომ სული არ დაგიზიანდეს.

* ბალანტი – ქისა

* ვაშკარანი – გუდა

თავი დაიმდაბლე ყველა საქმეში და მიხვდები რა მცირე სარგებელი შეგიძლია მოუტანო სხვებს. იფიქრე, რომ არ არის საჭირო გქონდეს სულის მეტისმეტი სიმხურვალე და მოშურნეობა, რადგან გულის სიმშვიდეს დაკარგავ[103]. მოყვასის გადარჩენის წყურვილს მუდმივად უნდა ატარებდე, მაგრამ ეს გრძნობა ღვთისგან მომდინარე იყოს და არა შენი მოშურნეობიდან. უფალი ნერგავს სიყვარულს ადამიანის სულში და როცა დროა, მაშინ მოაგროვებს მისგან ნაყოფს. შენ თვითონ ნუ დათესავ, მიუძღვენი ღმერთს სულის ნიადაგი სუფთად და უბიწოდ და თავად ჩარგავს სიყვარულს მასში.

გახსოვდეს, რომ ღმერთი შენგან ითხოვს ყველაფრისგან განთავისუფლებულ სულს, რათა მას შეუერთდეს. ნუ იფიქრებ და აკეთე მხოლოდ ის, რაც უფალს მოსწონს. დაელოდე, როდის მოგიხმობს შრომისთვის. გაიხსენე სახარება, მემამულე თავად ეძებს ვენახში სამუშაოდ ადამიანებს. ყველა აზრსა და ზრუნვას შეეშვი, დროებითი საგნების მიმართ სიყვარული დაივიწყე და მიენდე ღმერთს. იგი შეგმოსავს და მოგმადლებს იმას, რასაც ვერც წარმოიდგენდი. დაივიწყე შენი თავი და სულში მხოლოდ ღვთის სიყვარული დატოვე. შეამსუბუქე შენი ზრუნვა და ფიქრი სხვა ადამიანებზე, რათა ღმერთმა დაგიცვას და განგიმტკიცოს სიმშვიდე. ეცადე ღვთის სიყვარულის ადგილი სხვა არაფერმა არ დაიკავოს. ერთადერთი დღესასწაული, რომლისკენაც უნდა იარო „გასამდიდრებლად“, არის შენი სულის მორჩილება უფლისადმი. თუმცა ნურც ამას გააკეთებ ისე, თითქოს თავს უკეთებ. ღმერთს სურს მხოლოდ შენი სიმდაბლე და მიწიერი ჯაჭვებისგან განთავისუფლებული სული, რომ მიაღწიო სრულყოფილებას და გქონდეს აბსოლუტური მორჩილება მისი.

---

[103] რაც შეეხება რწმენისა და ეკლესიის ტრადიციის დაცვას, ამ დროს ყველაზე მშვიდმა ადამიანმაც უნდა იბრძოლოს, ოღონდ არა გულის შფოთით, არამედ მტკიცე და მამაცური სულით, როგორც ამბობს წინასწარმეტყველი იოელი: „იქ მორიდებული ადამიანიც მებრძოლად უნდა იქცეს“. გწყუროდეს და გსურდეს, რომ ყველამ გაიგოს ჭეშმარიტება ისე, როგორც შენ გესმის და შესვან ღვინო, რომელსაც უფალი საზღაურის გარეშე პირდება თითოეულ ადამიანს. „იყიდით უფულოდ ღვინოს და ცხიმს“ (ისაია 55,1).

თავი მეოცე

საკუთარი ნებისგან განთავისუფლებული სული ღვთის წინაშე უნდა იდგეს

ძმაო, გჯეროდეს, რომ ღმერთს, რომელიც მოგვიწოდებს: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტჯრთმძიმენი, და მე განგისუენო თქუენ“ (მათ. 11,28), უნდა გაჰყვე და დაელოდო სულიწმინდის მოსვლას. მიენდე თვალდახუჭული ღვთიურ ზრუნვას, ზღვას, თითქოს უსულო საგანი ხარ და გამოძრავებს უფლის ნება, რომ მიაღწიო სრულყოფილებისა და ცხონების ნავსადგურს. დღეში რამდენჯერმე გააკეთე ეს. მთელი სულიერი ძალით, საქმეებით იღვაწე, რომ ღმერთი შეიყვარო. ლოცვა და უფლის სახელის მარადიული ხსოვნა, სიყვარულისგან დაღვრილი ცრემლები[104], მხურვალე მოკრძალება და სიხარული არის ის, რაც საჭიროა ღვთის სიყვარულის განსაცდელად. ეს ყოველივე უნდა გააკეთო ნებით, ძალდატანების გარეშე. ამიტომ მიიღე გამოცდილთა რჩევა და ეცადე, ყოველ წამს გახსოვდეს უფალი. მიიღე თავმდაბლად შენს სულში მისი უსაზღვრო სათნოებისგან მომდინარე ტკბილი წვეთები. ეს ყოველივე და განსაკუთრებით ცრემლები ძალით ვერ წამოგივა. დაელოდე მშვიდად შენს სულიერ სამყაროში ჩაღრმავებული ღვთის ნების აღსრულებას.

მადლის ცრემლს მოგმადლებს თუ არა ღმერთი, მადლობა შესწირე თავმდაბლად. ღვთიური სიყვარულის და ღვთიური საუნ-

---

[104] გლოვა სხვაა და ცრემლები სხვა. გლოვა გულის ტკივილის გამოხატულებაა. ვგლოვობთ: ა) რადგან ვაწყენინეთ ღმერთს ჩვენი სურვილებით და გადავუხვიეთ მის მცნებებს, ბ) ამ ცხოვრებაში დავკარგეთ მადლი და სიკვდილის შემდეგ დავკარგეთ სასუფეველი, გ) ჩვენი ცოდვებით თავი გავწირეთ საუკუნო სასჯელისათვის. ეს ტკივილი და ფიქრი გულს ამძიმებს და ამ სიმძიმისგან მოდის ცრემლები ღვთის მადლის მოქმედებით. ამ მადლს გვიძღვნის ღმერთი ცოდვების განსაბანად. ამრიგად, ხშირად უნდა ვიგლოვდეთ, უძღები შვილივით. ცრემლი ვითხოვოთ ღმერთისგან, როგორც მადლი. აცრემლებული გვეამბორება ღმერთი, როგორც უძღებ შვილებს – როგორც ამბობს წმ. გრიგოლ თესალონიკელი.

ჯის შემეცნების გასაღები მხოლოდ საკუთარი თავის უარყოფის განცდაშია. იგივე გასაღები კეტავს უგნურების და სიცივის კარსაც.

შეძლებისდაგვარად იდექი მუდმივად ღმრთისმშობლის გვერდით ჯვარცმული მაცხოვრის წინაშე და ისმინე მისი სიტყვები. ყურადღებით იყავი, მტრებმა ხელი არ შეგიშალონ ამ მდუმარეობაში. როცა გონებით ითხოვ,რომ იპოვო ღმერთთან განსვენება, შენი ვიწრო და უძლური წარმოსახვით ნუ ითხოვ ადგილს და საზღვარს განსვენებისა[105]. რადგან უფალი უსაზღვროა და ყველგან სუფევს, უფრო სწორად მასში სუფევს მთელი შექმნილი სამყარო. შენ მას აღმოაჩენ საკუთარ სულში[106], როცა სწორედ მას მოძებნი და არა შენს თავს. რადგან უფლის სიხარულია ჩვენთან, ადამიანებთან ყოფნა, როგორც ვთქვით, რათა თავისი სიახლოვის ღირსნი გაგვხადოს. წმინდა წერილის კითხვისას ნუ დაკმაყოფილდები გადაფურცვლით, ჩაუღრმავდი მის სიტყვებს,რადგან მასში იპოვი ღვთიურ სიყვარულსა და სულიერ სიხარულს. წმინდა წერილში აღმოაჩენ ღმერთს, რომელსაც შენთან ყოფნა სურს. მთელი არსებით ეცადე მიბაძო უფლის საქმეებს. სახარების ყველა ეპიზოდს, მაგ. მაცხოვრის ვნების ადგილების კითხვისას დაფიქრდი და გაიაზრე დიდხანს.

---

[105] ნეტარი ავგუსტინე თავისი ლოცვით მიმართავდა ვარსკვლავებს, მნათობებს და სხვა ქმნილებებს და მათში ეძებდა ღმერთს. იქ ვერ იპოვა და ჩაუღრმავდა საკუთარ თავს, სწორედ თავის სულში აღმოაჩინა უფალი.

[106] ღმერთი მყოფობს ჩვენს სულში არა მისი ჭეშმარიტი არსებით, არამედ მისი მადლითა და ენერგიით, როგორც თეოლოგები ამბობენ. ღმერთი მყოფობს არა სულის ენერგიაში, არამედ უფრო მეტიც მის (სულის) არსებაში. რადგან ღმერთია არსებათა შემოქმედი, ამიტომ იგი ერთადერთია, ვინც უკავშირდება არსებებს არსებათა საშუალებით, უკავშირდება სხეულებს, სულებს – ამაზე დაწვრილებით წერს წმ. გრიგოლ თესალონიკელი ბალაამისადმი ეპისტოლეში. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ღმერთია ცენტრი, რომელშიც მყოფობს ყველა არსება „რამეთუ მის მიერ ცხოველი ვართ და ვიქცევით“ (საქმ. 17,28) წაიკითხე აგრეთვე წიგნის პირველი ნაწილის 24-ე თავი. ვთქვით, რომ მხოლოდ ღმერთი უკავშირდება არსებებს, რადგან არცერთი სხვა ქმნილება, არც სული, არც სხეული არ უერთდება არსებით სხვა ქმნილებას, არამედ უკავშირდება მხოლოდ ენერგიით. არც სატანას შეუძლია შეუერთდეს სულის არსებას, ის ურთიერთობს სულის ენერგიასთან, როგორც წერს წმ. გრიგოლ თესალონიკელი.

ძმაო, სულის სიმშვიდეს ყველაზე მეტად უშლის ხელს, როცა შენს ფიქრსა და აზრს აიძულებ, წაიკითხო ფსალმუნი ან წმინდა წერილი. მაგრამ არც ერთი სიტყვა გულისა და გონებაში არ გრჩება, არავითარ სულიერ ნიშანს არ იღებ. ამ მდგომარეობაში მყოფი ეძიებ ღმერთს და გაურბიხარ მას, გსურს მისი სამსახური, მაგრამ მისი ნების აღსასრულებლად არაფერს არ აკეთებ.

თუ მართლა გსურს ამ ცხოვრებაში სათნოებით ცხოვრება, გქონდეს ერთადერთი მიზანი – ღვთის პოვნა. მიატოვე ყველა საგანი და იღვაწე მარტო უფალთან სიახლოვისთვის.

კარგად დაიმახსოვრე, რომ ბევრი სულიერი ადამიანი ვერ იღებს სულიერ ნაყოფს და სიმშვიდეს, რადგან მათი სულიერი ღვაწლი იზრდება, მაგრამ ფიქრობენ, რომ არაფერი გაუკეთებიათ, თუკი არ დაასრულებენ და სრულყოფილებას არ მიაღწევენ. ამის გამო წუხან, იტანჯებიან, მაგრამ ვერასდროს მიაღწევენ ჭეშმარიტ სულიერ სიმშვიდეს, სადაც ნამდვილად სუფევს უფალი.

თავი ოცდამეერთე

არ უნდა ეძიებდეთ მადის აღმძვრელ საზრდოს, ეძიებდეთ მარტო ღმერთს

გერჩიოს ყოველთვის ტანჯვა და წუხილი, ვიდრე ურთიერთობა იმ ადამიანებთან, ვისგანაც სულიერი სარგებელს ვერ მიიღებ. ეძიე გზა, რომელითაც მხოლოდ უფლისკენ ივლი. ყველა ტკივილი მიუძღვენი ღმერთს, შეიყვარე იგი და უშიშრად მიუძღვენი მთელი გულით. მაშინ უფალი გაგიფანტავს ყველა ეჭვს და აღგადგენს, თუკი დაეცი.

ბოლოს გეტყვი მოკლედ: თუ გიყვარს ღმერთი, მიიღე ყველა საზღაური, მიუძღვენი შენი თავი მსხვერპლად მას სულიერი სიმშვიდით. უფლისკენ სავალ გზაზე სიარული უკეთ რომ შეძლო შფოთისა და დაღლის გარეშე, ყოველ ნაბიჯზე დაუმორ-

ჩილე შენი სურვილი ღვთის ნებას. რამდენადაც დაემორჩილე-ბი მას, იმდენად მეტს მიიღებ. გააკეთე ის, რაც შენი მოვალეობაა და ნუ დაგაინტერესებს, რაც შენ არ გეხება, შენი საქმე არ არის.

ყოველთვის მიანდე შენი სურვილი ღმერთს, ნუ ისურვებ მეტს. გიხაროდეს მხოლოდ სულის მშვიდობა. ამ სიმშვიდეს წმინდა წერილი გვასწავლის. ჭეშმარიტი თავისუფლება საკუ-თარ სულში ჩაღრმავებაა. ამ დროს მოიპოვებ ღვთიურ და გამოუთქმელ სიხარულს, რაც ღვთის სასუფეველია, ის ჩვენს სულშია, გაიხსენე უფლის სიტყვები: „აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისა შორის თქუენსა არს“ (ლუკ. 17,21).

თავი ოცდამეორე

ღვთის მონა არ უნდა ღელავდეს მაშინაც, როცა სულში სიმშვიდის საწინააღმდეგო განცდა აქვს

იცოდე, რომ ხშირად იგრძნობ სულში შფოთს და მშვიდო-ბისა და საყვარელი თავისუფლების ნაკლებობას, ზოგჯერ შეიძ-ლება გულის მოძრაობისას მტვერი აიშალოს და ღვთისკენ სვლაში ხელი შეგიშალოს. ამას უფალი დაუშვებს შენი სიკეთის-თვის. გახსოვდეს, რომ ეს არის ბრძოლა, რომლითაც წმინდანებ-მა გვირგვინი მოიპოვეს. შფოთისა და წუხილის დროს თქვი: „უფალო, ხედავ შენს მონას, აღსრულდეს შენი ნება. ვიცი და ვაღიარებ, რომ შენი სიტყვები ჭეშმარიტია, მყარია და მტკიცე, შენი დაპირება მართალია და მათი იმედი მაქვს. მე ვცხოვრობ მხოლოდ შენთვის“.

ბედნიერია სული, რომელიც ამგვარად მიეძღვნება უფალს ყველანაირი შფოთისას. თუკი ბრძოლა დიდხანს გრძელდება და სწრაფად ვერ შეძლებ შენი სურვილის შეერთებას უფლის ნებასთან, ნუ შეშინდები, და დამწუხრდები. გააგრძელე შენი თავის მიძღვნა, მიაპყარი მზერა ბაღში მლოცველ იესო ქრისტეს,

რომელსაც ზურგი შეაქცია კაცობრიობამ. და უფალი ლოცულობდა: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელი არს, თანაწარმჴედინ ჩემგან სასუმელი ესე“, მაგრამ იმავდროულად ამბობდა: „ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“ (მათ. 26,39).

რთულ მდგომარეობაში ყოფნისას არ დათმო არაფერი, სანამ არ აღმართავ მზერას ჯვარცმული მაცხოვრისკენ, რომელიც მოთმინების მაგალითი იქნება შენთვის. დაითმინე იქამდე, სანამ არ დასძლევ შენს სურვილს და ღვთის ნება არ გახდება შენი ნებაც. თუ ლოცვას დაასრულებ მხოლოდ ამ შედეგის მოლოდინით, სიხარული და სიმტკიცე დაგეუფლება. შენი სული თუ ვერ მიაღწევს ამგვარ მდგომარეობას, იცოდე, რომ ის საზრდოს გარეშეა დარჩენილი. იღვაწე, უფლის გარდა არაფერმა არ დაიმორჩილოს შენი სული, ნუ დამწუხრდები ნურაფრის გამო, ნუ მიაქცევ ყურადღებას სხვების ცუდ ქმედებებსა და ცბიერებას. იყავი პატარა ბავშვივით, რომელსაც უდანაკარგოდ გადაატარებს ყველანაირი წუხილი.

თავი ოცდამესამე

ეშმაკის მეცადინეობა ჩვენი სულის სიმშვიდის დასარღვევად. უნდა გავეჭცეთ ეშმაკის ცდუნებებს

ეშმაკი ხარობს, როცა ჩვენს გულში შფოთი და არეულობა შემოაქვს. ცდილობს დაიმორჩილოს სული და თავმდაბლობა დააკარგინოს. ღვთიური მადლის გარეშე ვერ მივმართავთ უფალ იესო ქრისტეს, როგორც ამბობს პავლე მოციქული: „არავის ხელ-ეწიფების თქუმად უფალი იესო, გარნა სულითა წმიდითა“ (1 კორ. 12, 2). თუ შევძლებთ, რომ ამ მადლს წინ აღვუდგეთ ჩვენი თავისუფალი ნებით, მას ხელახლა ვეღარ მივიღებთ, რადგან თუკი ვინმე ვერ იღებს მადლს, ამის მიზეზი თავად არის. თუ ადამიანი გამოასწორებს თავის ცხოვრებას და მადლს მიიღებს,

მაშინ ვერანაირ საქმეს ვერ გააკეთებს იმ მადლის გარეშე, რომელსაც თავდაპირველად აძლევს უფალი ყველა ადამიანს. მტერი (ეშმაკი) ცდილობს, რომ ჩვენ სხვები განვსაჯოთ და ვიფიქროთ, თითქოს ამგვარად ღვთიურ წყალობას მივიღებთ. ეშმაკი გვიბიძგებს კეთილი საქმეები ამპარტავნებით აღვავლინოთ და არ ვიფიქროთ ჩვენს უძლურებაზე, უგულებელვყოთ სხვები.

ძმაო, იყავი ყურადღებით, თავი დაიმდაბლე, საკუთარ თავს ნუ მიენდობი (როგორც ზემოთ ვთქვით), თორემ ფარისეველთა მსგავსი ამპარტავნება შეგიპყრობს. გაიხსენე სახარებიდან, როგორ ამაყობდა იგი თავისი კეთილი საქმეებით და სხვებს განიკითხავდა.

თუ ეშმაკმა მრავალჯერ გძლია შენი ნებით, გძლევს ბევრჯერ და დაგცემს ბოროტი ქმედებებით. ამგვარად საფრთხეში ჩაგაგდებს. ამიტომ გვასწავლის უფალი ღამის თევასა და ლოცვას: „იღვიძებდეთ და ილოცევდით, რაითა არა შეხვიდეთ განსაცდელსა" (მათ. 26, 41). აუცილებელია ფხიზლად ყოფნა, რომ მტერმა არ დაგვინგრიოს ისეთი დიდი საუნჯე, როგორიცაა სულის სიმშვიდე. ის ყველანაირი გზით ცდილობს შენი სულიდან განდევნოს მშვიდობა და შფოთი, ღელვა და არეულობა დათესოს, რასაც დამღუპველი შედეგი მოსდევს: თუ სული მშვიდადაა, ყველა საქმეს ადვილად და კარგად ასრულებს, მოთმინებით სავსეა და თრგუნავს თავის სურვილს. პირიქით, როცა სული მშფოთვარეა და არეული, ყველაფერს არასრულად და ძნელად აკეთებს, იღლება ადვილად და ტანჯვით, უსარგებლოდ ცხოვრობს.

შენ თუ გსურს გამარჯვება და არ გინდა მტერმა გზიდან გადაგახვევინოს, მეტად ფხიზლად უნდა იყო. არ დაუშვა სულში შფოთის შემოსვლა ერთი წუთითაც. იცოდე, რომ თუ გინდა თავი დაიცვა ცდუნებებისგან, მაშინ კანონივით შეასრულე შემდეგი: ყველა აზრი, რომელიც აგაშორებს ღვთის სიყვარულს და მის იმედს გაკარგვინებს, ჯოჯოხეთის ანგელოზისგან მომდინარეობს. მას ერიდე და არ უსმინო. სულიწმინდის ქმედება ერთადერთი რამით გამოიხატება, მისი მადლით სული მუდმივად

ძლიერდება, თბება და სიყვარულით უბრუნდება ღმერთს, მაშინ, როცა ეშმაკის ქმედება სრულიად საპირისპიროა.

ბოროტი იყენებს ყველანაირ მეთოდს სულის დასამორჩილებლად. სულს ასუსტებს, ხელს უშლის აღსარებასა და სინანულში, საღმრთო ზიარების მიღებაში, ლოცვაში. ეშმაკი ცდილობს ადამიანი უსიყვარულო, უშიშარი და შფოთიანი გახადოს. ლოცვისას ხშირად გვაკლია შინაგანი მოკრძალება,სითბო, ამიტომ სულს წუხილი იმორჩილებს და ფიქრობს, რომ ეს განცდა ღმრთისაგან მომდინარეობს არა მის გამოსაცდელად, არამედ იმიტომ, რომ ყველა მისი საქმე ამაოა. უკეთესია მიატოვო სულიერი ღვაწლი. ბოლოსდაბოლოს კი ეშმაკი ადამიანს უკიდურეს უიმედობაში აგდებს, რომ აფიქრებინოს, რაც არ უნდა გააკეთოს, უსარგებლო და უნაყოფო იქნება. ამგვარად, ადამიანის სულში იზრდება შიში და მწუხარება, რომ უფალმა მიატოვა. ეს სიმართლე არ არის. თუ სული გამოიცდება სულიერი სითბოსა და სიტკბოების ნაკლებობით, მაინც უნდა აკეთოს უამრავი კეთილი საქმე მოთმინებით და რწმენით.

კარგად გაიაზრე, რაც ვთქვი. ნუ დაზიანდები, თუკი უფლის დაშვებით, შენს სასარგებლოდ, დაგეკარგება კრძალულობა და შინაგანი სითბო. შემდეგ თავში მოგითხრობ იმ სიკეთეზე, რაც თავმდაბალ მოთმინებას მოსდევს, როცა ადამიანი განიცდის სულიერი კრძალულობისა და სითბოს ნაკლულებას. კარგად შეისწავლე და გაითავისე, როგორ უნდა მოიქცე, რომ არ დაკარგო სულის სიმშვიდე, თუ დაგეუფლება სიმწარე და ტკივილი გულში, შინაგანი განსაცდელისას და ცბიერი გულისთქმებისგან.

თავი ოცდამეოთხე

სული არ უნდა აირიოს შინაგანი განსაცდელებისა და გულისთქმებისაგან

ბევრი ვისაუბრეთ მე-7 თავში იმაზე, თუ რას ნიშნავს შინაგანი სიცივე და სიმწარე, კრძალულების ნაკლებობა, ახლა დავამატებთ, რაც გამოვტოვეთ წინა თავში.

ბევრი სიკეთე მოაქვს სულისთვის, როცა მასში, ღვთის დაშვებით, სიხარული ქრება და სიმწარე და სიმშვიდე ისადგურებს, თუ ამ მდგომარეობას თავმდაბლად და მოთმინებით მივიღებთ. ეს მდგომარეობა ადამიანს სწორად რომ ესმოდეს, არ შეწუხდებოდა და არ ინაღვლებდა. სიმწარესა და სიტკბოების ნაკლებობას ღვთისაგან დიდი სიყვარულის გამოვლინებად ჩათვლიდა და მიიღებდა როგორც მადლს. ასეთი მდგომარეობა არ ეუფლება ყველას, მხოლოდ მათ, ვისაც სურს სრულყოფილად ემსახუროს ღმერთს და განეშოროს იმას, რაც სულისთვის საზიანოა. ამგვარი განსაცდელი არ ხვდება ასკეტს მოღვაწეობის დასაწყისში, არამედ გარკვეული დროის შემდეგ, როცა საკმარისად აქვს გული განწმენდილი წმინდა ლოცვით, თვითჩაღრმავებით, სულში სიტკბოებას და მხურვალებას გრძნობენ და გადაწყვეტილი აქვთ მთელი არსებით მიეძღვნან უფალს, ემსახურონ მას სრულყოფილად. მიწიერ სავანეებზე მიჯაჭულ და ცოდვიან ადამიანებს არ აწუხებთ ასეთი განსაცდელები. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ სულში გაჩენილი სიმწარე საპატიო და ძვირი საზრდოა, რომლითაც ღმერთი მოუხმობს იმათ, ვისაც ის უყვარს და მასპინძლობს. თუმცა, ეს საზრდო გემრიელი არ არის, მიუხედავად ამისა, ჩვენთვის სასარგებლოა და ამას ვერ ვხვდებით მისი მიღებისას. როცა სული სიმშრალესა და სიმწარეს განიცდის და განსაცდელშია, მხოლოდ ამაზე ფიქრიც კი გვაშფოთებს, გულს გვიწამლავს და თითქმის გვანგრევს. სული

ამგვარად მოიპოვებს შიშს, საკუთარი თავის სიძულვილს, საკუთარ თავს უარყოფს და თავმდაბალი ხდება – რასაც ითხოვს ჩვენგან ღმერთი. გარდა ამისა, სული თბება ღვთისადმი სიყვარულით, ხდება ყურადღებიანი გულისთქმათა მიმართ, ძლიერდება, რომ დაიოკოს განსაცდელი და შეძლოს ადვილად ცუდისა და კარგის გარჩევა, როგორც ამბობს პავლე მოციქული: „სრულთაი არც მტკიცე იგი საზრდელი, რომელთა წესითა მით გონებანი წურთლნი ჰქონედ განრჩევად კეთილისა და ბოროტისა" (ებრ. 5, 14). თუ სული ვერ აცნობიერებს განსაცდელის მიზეზს, ირევა და გაურბის სიმწარეს ისე, თითქოს არ უნდა იგემოს სულიერი სიტკბოება და სიამოვნება, ამიტომ თვლის, რომ ყველა ღვაწლი დროის კარგვაა და შრომა წარუმატებელი.

თავი ოცდამეხუთე

განსაცდელები ღმერთისგან ჩვენს სასარგებლოდ გვეძლევა

ზოგადად უნდა გვესმოდეს, რომ განსაცდელები უფლისგან გვეძლევა[107]. უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანი ცოდვით დაცემული ბუნების გამო ამპარტავანია, დიდებისმოყვარე, საკუთარი

[107] მრავალი მიზეზის გამო უშვებს უფალი განსაცდელს როგორც ცოდვიანი, ისე წმინდა და სათნო ადამიანებისთვის. წმ. იოანე ოქროპირი ერთ-ერთ ჰომილიაში ჩამოთვლის თერთმეტ მიზეზს, რომელთა გამოც უფლის დაშვებით წმინდანები განწესდებიან. წმ. ისააკ ასურელიც ამბობს, რომ: „განსაცდელი ეხმარება ყველა ადამიანს. მოღვაწენი წუხდებიან იმისთვის, რომ უკვე შეძენილ სიმდიდრეს ახალი სიმდიდრე დაუმატონ", სუსტებმა თავი რომ დაიცვან დაზიანებისგან, მძინარეებმა გაიღვიძონ და უფლისგან დაშინებულნი მიუახლოვდნენ მას. ღმერთის მეგობარნი კი გულახდილად ესაუბრონ მას. წმ. იოანე დამასკელი მართლმადიდებლობის გარდამოცემის 45-ე თავში წერს, რომ განსაცდელი მიდის მართალთანაც, ცოდვილთანაც მისატევებლად ან დასათმენად. და ბოლოს ასკვნის: „უნდა შევიგნოთ, რომ ყველა უსიამოვნება მადლიერებით მისაღებია, რადგან მათ ყველა შემთხვევაში სარგებლობა მოაქვთ".

აზრის დამცველი და სურს ყველამ ანგარიში გაუწიოს. ეს მდგომარეობა ისეთი სახიფათოა სულიერ ღვაწლში წარმატებისთვის, რომ მხოლოდ მისი სურნელიც კი საკმარისია ადამიანს ხელი შეუშალოს ჭეშმარიტი სრულყოფილების მიღწევაში. ღმერთი, როგორც მოყვარული მამა, ზრუნავს თითოეულ ადამიანზე და უშვებს განსაცდელს, რათა ზემოთ აღწერილ საშიშ საფრთხეს გადავურჩეთ და ნამდვილ თავმდაბლობას მივაღწიოთ. ასე მოხდა პეტრე მოციქულის შემთხვევაში. უფალმა დაუშვა, რომ სამჯერ უარეყო მოწაფეს იგი, რათა საკუთარი უძლურება გაეზიარებინა. ასევე მოხდა პავლე მოციქულთანაც. უფალმა ჯერ აიყვანა მესამე ცამდე და გაუხსნა ღვთიური დაფარული საიდუმლო და შემდეგ მოუვლინა ბუნებრივი განსაცდელი, რომ მოციქულს განეცადა საკუთარი სისუსტე, სნეულება, დამდაბლებულიყო და ღვთისგან მიღებული გამოცხადებით არ გაამპარტავნებულიყო. ამის შესახებ აღნიშნავს თავადაც: „და გარდარეულებითა ამით გამოეცხადება რათა არა აღვიმაღლო, მომეცა მე საწერტელი ხორცთა – ანგელოზ სატან, რათა დამქენჯნიდეს მე, რათა არა აღვიმაღლო” (2 კორ. 12, 7).

უფალი ჩვენდამი თანაგრძნობით მოგვივლენს განსაცდელს, რომელიც ზოგჯერ საშიშია და ამით დაგვამდაბლებს[108]. ჩვენ კი ცოდვილი ბუნების გამო გვეგონა, რომ მას არავითარი სარგებელი არ აქვს. ამასთან ერთად, უფალი გამოიჩენს თავის სათნოებას და სიბრძნეს. რაც ჩვენ მიგვაჩნია საზიანოდ, სწორედ ის გვეხმარება თვითდამდაბლებაში, რაც ყველაზე აუცილებელია სულისთვის. თუკი ზოგადად ყველა განსაცდელი თავმდაბლობას იწვევს, უნდა დამდაბლდეს მონა ღვთისა, რომლის სულშიც გულისთქმებია თავმოყრილი (რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ) და აკლია სულიერი სიხარული.

ამ დროს ადამიანმა უნდა იფიქროს, რომ ყოველივე ეს ხდება მისი ცოდვების გამო და არ არსებობს სხვა ვინმე, ვისაც ასეთი უძლური სული აქვს და შეუძლია მისნაირი გულგრი-

[108] წმ. ისააკ ასური ამბობს: „თუკი წმ. მოციქული პავლესთვის სასარგებლო იყო განსაცდელი, მაშინ მთელი სამყარო მოვალეა ღმერთის წინაშე“.

ლობით ემსახუროს უფალს. ასეთი გულისთქმები სხვას არ ეუფლება, მხოლოდ იმას, ვინც მიატოვა ღმერთმა და იგია თავად ღირსი ამ მიტოვებისა. აი, რა სარგებელი აქვს ამ თავმდაბალ ფიქრებს: ის, ვინც უწინ არ თვლიდა, რომ ცუდი ჩაუდენია, ახლა ხედავს თავის უძლურებას, უღირსებას. არასოდეს არ იფიქრებდა ადრე მდაბლად საკუთარ თავზე და არ დამდაბლდებოდა განსაცდელსა და გულში სიმწარისა და მწუხარების გარეშე. ესაა უფლის ქვეცნობიერება ადამიანის მიმართ, ამ უკანასკნელის განსაკურნებლად იმ საწამლავისგან, რაც ოდენ თავად ღმერთმა უწყის.

გარდა ამ ნაყოფისა, რასაც ჩვენი სული განსაცდელისგან იღებს, კიდევ ბევრი არსებობს. ვინც წუხს შინაგანი განსაცდელით, თითქმის იძულებულია მიუახლოვდეს ღმერთს და ცდილობს გააკეთოს ის, რაც სულის სიმწარის განსაკურნებლად და მისგან გასათავისუფლებლად არის საჭირო. ადამიანი გულს უმკლავდება, გაურბის ყველა ცოდვას, რაც ღმერთისგან აშორებს. ის მწუხარება, რაც დამღუპველი ეგონა, ხდება ცენტრი, საიდანაც უფალს სთხოვს მეტ სითბოს და უახლოვდება მის ნებას. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ტანჯვა და მწუხარება, სულიერი სინაზისა და მადლიერების ნაკლებობისას, რომელსაც სული განსაცდელის ჟამს იტანს, განწმენდას ნიშნავს. ამგვარად განწმენდს სულს უფალი, თუკი ადამიანი თავმდაბლად და მოთმინებით უძლებს განსაცდელს. ასე მივიღებთ ზეციურ გვირგვინს. რაც მეტია ტანჯვა, მით მეტი დიდებაა მოსალოდნელი ზეცაში.

აქედან ცხადია, რომ ჩვენ არ უნდა შევშფოთდეთ არც გარეგანი და არც ზემოთ ჩამოთვლილი შინაგანი განსაცდელებისგან. მათ ეშინიათ სულიერ ღვაწლში გამოცდილი ადამიანების და ფიქრობენ განცდები ეშმაკისაგან ან მათი არასრულყოფილებისაგან მომდინარეობს.

ღვთის სიყვარულის ნიშანს სიძულვილად მიიჩნევენ, მის წყალობას და სიქველეს სასჯელად, რომელიც განრისხებული გულიდან მოდის. ფიქრობენ, რომ მათი ყველა საქმე ამაოა, უშედეგო და დანაკარგი შეუვსებელი.

ადამიანს რომ სჯეროდეს განსაცდელის სარგებლობა, მადლიერებით იღებდეს მას, ფიქრობდეს, რომ ეს ჩვენდამი ღმერთის მამობრივი სიყვარულის გამოვლინებაა, მაშინ არ აღელდებოდა და არ დაკარგავდა გულის სიმშვიდეს. ამის ნაცვლად კი ადამიანი გლოვობს,წუხს,კრძალულობას კარგავს, ლოცვა უჭირს და სულიერ ღვაწლს სწყვეტს.

ყოველივე ზემოთქმულს რომ აცნობიერებდეს ადამიანი, მტკიცედ აიძულებდა სულს უფლის წინაშე თავმდაბლობა გამოეჩინა და ყველა სიტუაციაში ეცდებოდა ღვთის ნების აღსრულებას, მის სამსახურში იქნებოდა ამქვეყნად და სიმშვიდეს შეინარჩუნებდა, იფიქრებდა, რომ ყველაფერს ზეციური მამის ხელიდან იღებს, რომ უფლის ხელიდანაა მისთვის განკუთვნილი მწარე სასმისი. თუკი ეშმაკისგან მომდინარეობს განსაცდელი ან ცოდვებისგან ან სხვა რამისგან, ყველაფერს ღმერთი უშვებს, რომ უფრო მძიმე ცდუნებამ არ დაგიმორჩილოს და მოვლენილი გამოცდა შენი სულისთვის მარგებელია. მაგალითად, მოყვასის მხრიდან შენ მიმართ ჩადენილი ცოდვა ეწინააღმდეგება ღვთის ნებას, ამასაც შენს სასარგებლოდ და საცხონებლად უშვებს, თუკი შენ მოთმინებით და უშფოთველად გაუძლებ.

ამგვარად, ნაცვლად წუხილისა და მღელვარებისა, უნდა მადლობდე ღმერთს შინაგანი სიხარულით და ცდილობდე ღვაწლი გააგრძელო შეძლებისდაგვარად, დრო არ დაკარგო და მასთან ერთად არ დაკარგო საზღაური, რაც უნდა მოიპოვო უფლის ნებით, მისგანვე დაშვებული განსაცდელის ატანით.

თავი ოცდამეექვსე

როგორი კურნების მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, რომ არ შევშფოთდეთ შეცდომებისა და უძლურების დროს

თუ შეცდომას დაუშვებ სიტყვით ან საქმით, შეშფოთდები რაიმე მოვლენით ან განიკითხავ ვინმეს, ან თავად მოუსმენ სხვების განსჯას, ცნობისმოყვარეობის ან მოუთმენლობის გამო შეცდები, ნუ დამწუხრდები და ნუ დაკარგავ იმედს ჩადენილი შეცდომის გამო. ნურც იმას ჩაიდებ გონებაში, რომ უფლის გზას არ ადგახარ და სულს ნუ დაიტვირთავ ათასნაირი სიმძიით შენი მწუხარებისა და სულმოკლეობის გამო.

აი, რა მოჰყვება ამ მდგომარეობას: შეგრცხვება უფლის წინაშე დგომა, რადგან არ დაიცავი რწმენა როგორც საჭირო იყო, დრო დაკარგე იმაზე ფიქრით, რამდენ ხანს ჩადიოდი შეცდომას. რაც მეტად წუხარ, მით მეტად გემატება შფოთი, ღელვა აღსარების სათქმელად. თუკი წახვალ აღსარებისთვის სულიერ მოძღვართან, აღიარებ შეცდომებს შიშით და მღელვარებით და მაინც არ გაქვს სულში სიმშვიდე, რადგან ფიქრობ, რომ ყველაფერი არ გითქვამს. ამგვარად ატარებ მწარე და შფოთიან ცხოვრებას მცირედ ნაყოფიერად, კარგავ დროს. ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ არ ვფიქრობთ ჩვენი ბუნების უძლურებაზე და არ ვიაზრებთ სწორად როგორ უნდა ვემსახუროთ უფალს. უფრო სწორად, უკეთესია ადამიანმა თავმდაბლად მოინანიოს ჩადენილი ცოდვა და უფალს მიენდოს, ვიდრე დამწუხრდეს ძალიან და შფოთმა დაიმორჩილოს. ცოდვებზე საუბრისას ვგულისხმობ მისატევებელ შეცდომებს, რადგან ასეთ ცოდვებს ჩადიან ხშირად სულიერი ცხოვრებით მცხოვრები ადამიანები, რომელთაც სურთ სულიერ ღვაწლში წინსვლა და მომაკვდინებელ ცოდვებს არ ჩადიან. იმათ კი, ვინც ამქვეყნიერ ცხოვრებას არის მიჯაჭვული და შეემთხვევათ მომაკვდინებელი ცოდვა, რითაც

უფალს შორდებიან, სხვაგვარი რჩევები სჭირდებათ. ასეთი ადამიანები უნდა წუხდნენ და ტიროდნენ ტკივილით, მუდმივად აკონტროლონ სინდისი, ხშირად თქვან აღსარება, რადგან გულგრილობით შეიძლება დაკარგონ სულის კურნება და ცხონება.

აღსანიშნავია, რომ სულის სიმშვიდე უნდა ჰქონდეს უფლის მსახურ ადამიანს, მას, ვინც სინანულით ღმერთს არის მინდობილი, ყველა შემთხვევაში, მსუბუქი და ყოველდღიური შეცდომებისა და დიდი და მძიმე ცოდვების დროსაც. ცოდვას ჩავდივართ ზოგჯერ უძლურების გამო, ზოგჯერ კი ჩვენივე არჩევანით[108].

სულიერი ადამიანის გონება თუ შფოთავს, ვერასდროს წარმართავს სულს სრულყოფილებისკენ, თუკი ღვთის სიყვარულსა და სათნოებას არ შეუერთდება. ეს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მათთვის, ვისაც სურს გამოვიდეს ტანჯვისგან და მოიპოვოს სათნოება და სიყვარული უფალთან შესაერთებლად. ბევრი სულიერი ადამიანი, ვინც ამ აზრს ვერ გაითავისებს, გულში მუდმივად უიმედობა ექნება, რაც ხელს შეუშლის სულიერ წინსვლაში და დიდი მადლის მიღწევაში, რაც უფალს აქვს

[108] აქ ყველაფერი კარგად არის განმარტებული, ღვთის მონა ზოგჯერ მსუბუქ და ჩვეულ, ზოგადად კი მძიმე შეცდომას უშვებს. მათ მისატევებელი და არა მომაკვდინებელი ცოდვები ეწოდება. ერთია ცოდვა, რომლის პატიება შეიძლება და სხვა არის ადამიანის მუდმივი მიდრეკილება ცოდვისადმი. მისატევებლად ცოდვის ჩადენისგან დაზღვეული არ არის არც წმინდანი. კართაგენის კრების 25-ე, 26-ე, 27-ე კანონების მიხედვით, წმინდანიც უშვებს მსუბუქ შეცდომას უცოდინრობის, სიძველის ან ადამიანური სისუსტის გამო. თუმცა ასეთი ადამიანები ცოდვისკენ მიდრეკილნი არ არიან და მუდმივად იღწვიან სულის განწმენდისათვის. უფალი მისატევებელი ცოდვების გამო არ სჯის ადამიანს საუკუნო სასჯელით, მაგრამ მისთვის არ არის სათნო ამგვარი ქმედებები. ეს ე.წ. მსუბუქი ცოდვები სულს ასუსტებენ, ღვთისგან მომდინარე მადლს აბრკოლებენ, კარს უღებენ განსაცდელებს. მართალია ასეთი ცოდვა სულის მომაკვდინებელი არ არის, მაგრამ ასუსტებს მას, განსაკუთრებით, თუკი ადამიანი დიდხანს რჩება ცოდვის ტყევობაში. ერთია როცა ერთხელ-ორჯერ იტყვი მსუბუქ ტყუილს და, მეორეა, როცა ყველა სიტუაციაში მიდრეკილი ხარ ტყუილის სათქმელად. ბუზები სურნელოვან საკვებს თავიდანვე არ ანადგურებენ მთლიანად, ნელ–ნელა ხრავენ შიგნიდან და ასე აფუჭებენ. როგორც ამბობს სოლომონი: „შხამიანი ბუზები აფუჭებენ და ალპობენ სურნელოვან ზეთს (ეკლ. 10,1)“.

მათთვის გამზადებული. დღითი დღე უსარგებლო ცხოვრებით ცხოვრობენ და ტირიან. მათ სურთ საკუთარ ფანტაზიას დაუჯერონ, არ იღებენ ჭეშმარიტ მაცხოვნებელ სწავლებას, რომელსაც სამეუფო გზით მივყავართ ქრისტიანული სათნოებისკენ და მშვიდობისკენ, რაც უფალმა იესო ქრისტემ დაგვიტოვა „მშვიდობასა დაგიტევებ თქუენ; მშვიდობასა ჩემსა მივცემ თქუენ" (იო. 14,27). ადამიანი, როცა ეჭვის და წუხილის შფოთშია, ვალდებულია მიიღოს სულიერი მოძღვრისგან ან სხვისგან, ვისაც მიიჩნევენ ამგვარ სიტუაციაში სწორად დამრიგებლად, რჩევები და მათ მიენდონ.

თავი ოცდამეშვიდე

სული უნდა დამშვიდდეს და ფინ ისფრაფოს დროის დაკარგვის გარეშე

გააკეთე ის, რაზეც გესაუბრე წიგნის პირველი ნაწილის 26–ე თავში. ყოველთვის, როცა კრიტიკულად შეცდომას დაუშვებ, ათასჯერაც რომ მოხდეს დღეში, შფოთსა და ღელვას ნუ მიეცემი, ნურც ბევრ დროს დაკარგავ შეცდომების გაანალიზებაში. მას გააცნობიერებ თუ არა. თავი დაიმდაბლე და გაიზიარე შენი უძლურობა, მიმართე ღმერთს გონებით და სიტყვებით და წარმოთქვი: „უფალო ჩემო, მე ისე ვიმოქმედე, როგორიც ვარ: ჩემგან სხვაგვარი ქცევა არც იყო მოსალოდნელი გარდა შეცდომისა. მხოლოდ ერთზე არ შევჩერდებოდი, შენი სათნოებით რომ არ გადაგერჩინე. გმადლობ უფალო, რომ გამანთავისუფლე მე შენი მადლის უღირსი ადამიანი. მომიტევე და შემეწიე, რომ აღარ გაწყენინო, რომ არაფერმა აღარ დამაშოროს შენგან. მსურს მუდამ შენ გემსახურო და დაგემორჩილო". ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ ნუ იფიქრებ იმაზე, უფალმა მოგიტევა თუ არა. რწმენითა და სიმშვიდით განაგრძე ჩვეული ღვაწლი ისე, თითქოს

შეცდომა არ დაგიშვია. ამგვარად მოიქეცი არა ერთხელ, არამედ ასჯერ, ათასჯერ, ყოველ წუთს მტკიცედ და დაუღლელად. ამგვარად პატივს მიაგებ ღმერთის სათნოებას, ვალდებული ხარ ღრმად ჩაიბეჭდო გულსა და გონებაში, რომ ღმერთი სრული სიკეთე და მოწყალებაა, იმაზე მეტი, რასაც შენი გონება იტევს. ასე არასოდეს შეფერხდება შენი სულიერი წინსვლა, მოთმინება, დროსაც ამაოდ არ დაკარგავ და ღვაწლის ნაყოფსაც იხილავ.

შეცდომის ჩადენისას შეგიძლია დარჩე მშვიდად, თუკი შემდეგნაირად იმოქმედებ: შენი შინაგანი ენერგიის წყალობით, აღიარე საკუთარი უძლურება და, დამდაბლებით უფლის წინაშე, აღიარე მისი გულმოწყალეობა შენდამი, შეიყვარე და განადიდე უწინდელზე უფრო მეტად მისი სახელი. ამგვარად დაცემა გახდება შენივე ამაღლების მიზეზი უფლის შემწეობით.

ზემოთქმულს ყურადღება უნდა მიაქციონ იმათ, ვინც წუხს შეცდომის დაშვებით და დაინახონ თავიანთი სიბრმავე, რადგან მძიმე წუხილით და ანალიზით დროს კარგავენ. ამიტომ ვასწავლით ასეთ ადამიანებს როგორ უნდა გაუხსნან სული, რომელიც მალე აივსება იესო ქრისტეს მადლით. სწორედ მას უნდა მივაგოთ დიდება, პატივი და თაყვანისცემა მამასთან და სულიწმინდასთან ერთად აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წმიდა ნიკოდიმოს მთაწმიდელი 3
პროლოგი 5

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

თავი პირველი. რა არის ქრისტიანული სრულყოფილება. მის მისაღწევად საჭიროა ბრძოლა. ოთხი აუცილებელი პირობა ამ ბრძოლისათვის 9

თავი მეორე. არასდროს არ ვენდოთ და ვერწმუნოთ ჩვენს თავს 14

თავი მესამე. უფლისადმი რწმენა და მინდობა 17

თავი მეოთხე. როგორ უნდა გაიბოს ადამიანმა, რომ იღწვის საკუთარი თავის იმედის დასათრგუნად და უფლის სრულყოფილი სასოების მოსაპოვებლად 19

თავი მეხუთე. ცდება, ვინც სულმოკლეობას სათნოებად თვლის 20

თავი მეექვსე. სხვა ცოდნა, რომლითაც მიიღწევა საკუთარი თავის უნდოებლობა და უფლის იმედი 20

თავი მეშვიდე. როგორ აღვზარდოთ ჩვენი გონება უგნურებისგან დასაცავად 21

თავი მერვე. რატომ ვერ ვარჩევთ საგნებს სწორად და როგორ უნდა შევიცნოთ ისინი 23

თავი მეცხრე. როგორ დავიცვათ გონება ზედმეტი ცნობისმოყვარეობისგან 25

თავი მეათე. როგორ გავწვრთნათ ჩვენი ნება, რომ იბი ყველა სულიერ თუ ფიზიკურ ქმედებაში ღვთისათვის სათნო მიზანს ეძებდეს 27

თავი მეთერთმეტე. ზოგიერთი მოსაზრება, რაც ადამიანის ნებას და სურვილს მიმართავს ღვთისათვის სათნო ქმედებისაკენ 31

თავი მეთორმეტე. ადამიანის სურვილების და ნებათა და მათ შორის წინააღმდეგობების შესახებ 32

თავი მეცამეტე. როგორ ვებრძოლოთ გრძნობისმიერ სურვილებს და რა საქმენი უნდა განხორციელდეს ნებით სათნოებათა მოსაპოვებლად 35

თავი მეთოთხმეტე. რა უნდა მოვიმოქმედოთ, როცა ამაღლებული გონებრივი ნება მდაბლისაგან და მტრისაგან დამარცხებული ჩანს 40

თავი მეთხუთმეტე. უნდა ვიბრძოლოთ მთელი ძალის-ხმევით უწყვეტად და მამაცურად 42

თავი მეთექვსმეტე. ქრისტეს მეომარი გაღვიძებისთანავე როგორ უნდა ჩაებას ბრძოლაში 45

თავი მეჩვიდმეტე. როგორი წესით უნდა ვებრძოლოთ ჩვენს ვნებებს 47

თავი მეთვრამეტე. როგორ უნდა ვებრძოლოთ ვნებების უეცარ შემოტევას 48

თავი მეცხრამეტე. როგორ უნდა ვებრძოლოთ ხორციელ ვნებებს 50

თავი მეოცე. როგორ უნდა ვებრძოლოთ სიზარმაცეს 56

თავი ოცდამეერთე. გარეგანი შეგრძნებების გამოსწორება. როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანმა ამას 60

თავი ოცდამეორე. გრძნობადი საგნები, რომლებზეც ვი-საუბრეთ, გვჭირდება ჩვენი გრძნობების გამოსასწორებლად, თუ ამ გრძნობებს განვიხილავთ განკაცებული უფლის სწავ-ლებით, მისი ცხოვრებისა და ვნებების მიხედვით 65

თავი ოცდამესამე. როგორ ვმართოთ ჩვენი გრძნობები სხვა საშუალებით, როცა გრძნობადი საგნებით აღიძვრება ეს გრძნობები 68

თავი ოცდამეოთხე. როგორ დავიმორჩილოთ ჩვენი ენა 72

თავი ოცდამეხუთე. როგორ გამოვასწოროთ ჩვენი წარმოსახვა და მეხსიერება 78

თავი ოცდამეექვსე. ქრისტეს მეომარმა მთელი თავისი ძალით თავი უნდა აარიდოს შფოთს, თუ სურს მტერთან მედგარი ბრძოლა 85

თავი ოცდამეშვიდე. რა უნდა მოვიმოქმედოთ, როცა ჭრილობა გვაქვს მოყენებული 88

თავი ოცდამერვე. რა მეთოდები აქვს ეშმაკს ადამიანთან საბრძოლველად და მის საცდუნებლად 90

თავი ოცდამეცხრე. ეშმაკის ბრძოლა და ცდუნება მათთან, ვინც მას ცოდვის მონობაში ჰყავს დატყვევებული 90

თავი ოცდამეათე. ეშმაკის ბრძოლა და ცდუნება, რომელსაც იგი იყენებს იმ ადამიანთა მიმართ, ვისაც სურს ბოროტებისგან განთავისუფლება. ჩვენი გადაწყვეტილებები რატომ არის ხშირად უშედეგო 91

თავი ოცდამეთერთმეტე. ეშმაკის საცდური, მათთვის, ვინც ფიქრობს, რომ სრულყოფილების გზაზე დგას 93

თავი ოცდამეთორმეტე. ეშმაკის საცდური, რომელსაც იბი იყენებს იმისთვის, რომ სათნოებისკენ მიმავალი გზა აბვაცდინოს 95

თავი ოცდამეცამეტე. ეშმაკის საცდური, რომელსაც იბი იყენებს იმისთვის, რომ ჩვენი მოპოვებული სათნოებანი ბოროტების მიზეზად იქცნენ 98

თავი ოცდამეთოთხმეტე. მცირე ცოდნა, რაც აუცილებელია ვნებების დასაძლევად და ახალი სათნოებების მოსაპოვებლად 104

თავი ოცდამეთხუთმეტე. სათნოებები უნდა მოვიპოვოთ საფეხურებრივად. ჯერ ვიღვაწოთ ერთის, შემდეგ მეორის და ა.შ. მოსაპოვებლად 106

თავი ოცდამეთექვსმეტე. რა მეთოდებით უნდა მოვიპოვოთ სათნოებანი და როგორ უნდა ვიღვაწოთ გარკვეული დროის განმავლობაში ერთი სათნოებისთვის 107

თავი ოცდამეჩვიდმეტე. უწყვეტად უნდა ვიღვაწოთ ბეჯითად სათნოების მოსაპოვებლად 109

თავი ოცდამეთვრამეტე. ჩვენი მოვალეობაა მუდმივად ვიღწოდეთ სათნოების მოსაპოვებლად და არ გავექცეთ არაფერს, რასაც ამ გზისკენ მივყავართ 110

თავი ოცდამეცხრამეტე. უნდა გვიყვარდეს ყველა მიზეზი, რაც სათნოებისკენ გვიბიძგებს, განსაკუთრებით სირთულეებით ალსავსე 111

თავი მეორმოცე. როგორ უნდა გამოვიყენოთ ერთი სათნოებისთვის ღვაწლი სხვადასხვა შემთხვევაში 113

თავი ორმოცდამეერთე. რა დროს უნდა დავიწყოთ ღვაწლი სათნოებისთვის 114

თავი ორმოცდამეორე. არ უნდა გვსურდეს ძალიან განთავისუფლება იმ ტანჯვისგან, რომელთაც მოთმინებით ვიტანთ, როგორ უნდა ვმართოთ ჩვენი სურვილები, სათნონი რომ ვიყოთ 116

თავი ორმოცდამესამე. როგორ უნდა აღვუდგეთ წინ ეშმაკს, როცა ის ცდილობს გვაცდუნოს განურჩევლობით 118

თავი ორმოცდამეოთხე. საკუთარი თავის ზედმეტი პატივისცემა და ეშმაკის ბიძგი გვაიძულებს განვსაჯოთ მოყვასი. როგორ უნდა აღვუდგეთ წინ 120

თავი ორმოცდამეხუთე. ლოცვა 122

თავი ორმოცდამეექვსე. რა არის გონებით ლოცვა და როგორ აღესრულება იგი 125

თავი ორმოცდამეშვიდე. ლოცვა, რომელიც ჭვრეტითია და წმინდა წერილის კითხვით აღესრულება 127

თავი ორმოცდამერვე. როგორ ვისწავლოთ ლოცვა სხვაგვარად 129

თავი ორმოცდამეცხრე. ღმრთისმშობელი მარიამის შეწევნით ლოცვა 129

თავი ორმოცდამეათე. ფიქრები, რომლითაც მხნედ და რწმენით მივუახლოვდებით ღმრთისმშობელს 131

თავი ორმოცდამეთერთმეტე. როგორ უნდა ვევედროთ და ვილოცოთ ანგელოზებისა და წმინდანების წინაშე 132

თავი ორმოცდამეთორმეტე. მაცხოვრის ვნების ამსახველი ეპიზოდების კითხვა ღვთივსაყვარელ განცდებს აღძრავს ჩვენს გულში 134

თავი ორმოცდამეცამეტე. სულიერი სარბებელი, რომელსაც ვიღებთ მაცხოვრის ჯვარცმის გახსენებით და მისი სათნოების მიბაძვით 137

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

თავი პირველი. საღმრთო ევქარისტიის უწმინდესი საიდუმლო 143

თავი მეორე. როგორ უნდა მივიღოთ უწმინდესი საღმრთო ევქარისტია, ანუ როგორ უნდა ვეზიაროთ ქრისტეს 144

თავი მესამე. როგორ უნდა მოვემზადოთ ზიარებისთვის, რომ ავენთოთ ღვთის სიყვარულით 146

თავი მეოთხე. სულიერი და გონებითი ზიარება, ანუ როგორ აღსრულდება ქრისტესთან ზიარება სულიერად და გონებით 150

თავი მეხუთე. უფლისადმი მადლიერების მიგება 152

თავი მეექვსე. როგორ უნდა მივუძღვნათ გონებით საკუთარი თავი და ყველა ქმედება უფალს 153

თავი მეშვიდე. შებრძნებადი მოკრძალება, ამ მოკრძალების სიცივე და სიმშრალე 155

თავი მერვე. სინდისის გაკონტროლება 158

თავი მეცხრე. როგორ უნდა მოვემზადოთ იმ მტრებთან შესახვედრად, რომლებიც სიკვდილის წინ შეგვებრძოლებიან 162

თავი მეათე. მტრის ოთხი შებრძოლება ადამიანის სიკვდილის წინ. რწმენასთან შებრძოლება და მისი კურნება 163

თავი მეთერთმეტე. სასოწარკვეთილება და მისგან კურნება 164

თავი მეთორმეტე. ცუდმედიდურობა და მისგან კურნება 165

თავი მეცამეტე. წარმოსახვების შემოტევა და მათგან კურნება 165

თავი მეთოთხმეტე. სულიერი სიმშვიდე გულში 166

თავი მეთხუთმეტე. როგორ დავიმშვიდოთ სული 168

თავი მეთექვსმეტე. მშვიდობიანი შენობა ნელ-ნელა იგება 169

თავი მეჩვიდმეტე. სული უნდა განერიდოს ყველა პატივს და უყვარდეს თავმდაბლობა და სიგლახაკე, რითაც მიიღწევა მშვიდობა 170

თავი მეთვრამეტე. სულმა უნდა შეინარჩუნოს გონებითი სიმშვიდე, რათა ღმერთმა თავისი მშვიდობა დაამკვიდროს მასში 171

თავი მეცხრამეტე. კეთილგონიერება მოყვასის სიყვარულში, რათა არ დავკარგოთ სულის მშვიდობა 172

თავი მეოცე. საკუთარი ნებისგან განთავისუფლებული სული ღვთის წინაშე უნდა იდგეს 174

თავი ოცდამეერთე. არ უნდა ეძიებდეთ მადის აღმძვრელ საზრდოს, ეძიებდეთ მარტო ღმერთს 176

თავი ოცდამეორე. ღვთის მონა არ უნდა ღელავდეს მაშინაც, როცა სულში სიმშვიდის საწინააღმდეგო განცდა აქვს 177

თავი ოცდამესამე. ეშმაკის მეცადინეობა ჩვენი სულის სიმშვიდის დასარღვევად. უნდა გავექცეთ ეშმაკის ცდუნებებს 178

თავი ოცდამეოთხე. სული არ უნდა აირიოს შინაგანი განსაცდელებისა და გულისთქმებისაგან 181

თავი ოცდამეხუთე. განსაცდელები ღმერთისგან ჩვენს სასარგებლოდ გვეძლევა 182

თავი ოცდამეექვსე. როგორი კურნების მეთოდი უნდა გამოვიყენოთ, რომ არ შევშფოთდეთ შეცდომებისა და უძლურების დროს 186

თავი ოცდამეშვიდე. სული უნდა დამშვიდდეს და ყინ ისწრაფოს დროის დაკარგვის გარეშე 188

საეკლესიო გამომცემლობა "ახალი ივერონის" მიერ "საეკლესიო ბიბლიოთეკის" სერიით გამოცემულია 18 ტომი:

I ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა
II წმ. იოანე სინელის „კლემაქსი ანუ კიბე"
III ლოცვანი და დაუჯდომელი ღვთისმშობლისა
IV ფსალმუნნი
V „სათნოებათმოყვარეობა"
VI „მწირის გულახდილი საუბრები სულიერ მოძღვართან"
VII ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორია"
VIII ელდარ ბუბულაშვილის „საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები"
IX მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის „მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია"
X თეოდორიტე კვირელის „საეკლესიო ისტორია"
XI ვასილი ბოლოტოვის „ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში"
XII წმ. ამბროსი ოპტინელის ცხოვრება
XIII წმ. აბბა დოროთე. „სულის სასარგებლო სწავლანი"
XIV წმ. პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონი"
XV სოკრატე სქოლასტიკოსის „საეკლესიო ისტორია"
XVI დეკანოზ ვასილი ზენსკოვსკის „აღზრდის პრობლემები ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქზე"
XVII ა.პ. ლებედევის „მსოფლიო საეკლესიო კრებების ისტორია"
XVIII წმ. ნიკოდიმოს მთაწმიდელის „უხილავი ბრძოლა"

აგრეთვე: „დიდი კურთხევანი" (I ტომი)
მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის „თვალსაჩინოებითი კატეხიზმო"
სერია „ძველი ქართული თარგმანები",
I ტომი - „გელათის ბიბლიის კატენები"
სერია „მამული ენა სარწმუნოება",
„ქართლის ცხოვრება" (ახალქართული თარგმანი) ტომი I - IV

“ახალი ივერონის” მიერ
უახლოეს მომავალში გამოიცემა:

ჰერმიას სოძომენეს „საეკლესიო ისტორია“
ა.პ. ლებედევი „ეკლესიის გაყოფის ისტორია IX, X და XI სს.-ში“
მღვდელ-მონაზონი დამასკინის „მამა სერაფიმ როუზის ცხოვრება“

გამოსაცემად მზადდება ასევე:

ნემესიოს ემესელის „ადამიანის ბუნების შესახებ“.
ე. ბუბულაშვილის „საქართველოს ეკლესია ეგზარქოსობის პერიოდში“
არქიმანდრიტ კიპრიანე კერნის „სამოძღვრო ღვთისმეტყველება“
მიტროპოლიტ იეროთეოს ვლახოსის „ერთი ღამე ათონის მთაზე“
„დიდი კურთხევანი“ (II ტომი).

წმ. ნიკოდიმოს მთაწმიდელი

უხილავი ბრძოლა

ბერძნულიდან თარგმნა,
ეკა დულაშვილმა

რედაქტორი: გიორგი წულაძე

რეცენზენტ-კონსულტანტი:
დეკანოზი მაქსიმე ჭანტურია

ტექნ.რედ.: ნინო ქებურია

"ახალი ივერონი"
თბილისი
2014